

რომან ლოლუა

უ დ ი უ რ ი ე ნ ა

(გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი)

თბილისი

2010

სარჩევი

აღნიშვნები.....	4
შესავალი.....	6
ფონეტიკა.....	16
ვოკალიზმი.....	17
კონსონანტიზმი.....	29
ფონეტიკური პროცესები.....	45
სახელი.....	61
არსებითი სახელი.....	61
ზედსართავი სახელი.....	92
ნაცვალსახელი.....	97
რიცხვითი სახელი.....	110
ზმნა.....	120
სახელზმნური ფორმები.....	163
მასდარი.....	163
მიმდებობა.....	168
აბსოლუტივი.....	174
ფორმაუცვლელი სიტყვები.....	178
ზმნისართი.....	178
თანდებული.....	184
ნაწილაკი.....	186
კავშირი.....	188
შორისდებული.....	189
სინტაქსი.....	190
ატრიბუტული სინტაგმა.....	190
პრედიკატული სინტაგმა.....	197
მეტყველებისა და ფოლკლორის ნიმუშები.....	214
ვართაშნული დიალექტი (სოფ. ოქტომბერი).....	214
ნიჯური დიალექტი (სოფ. ნიჯი).....	247
უდიურ-ქართული ლექსიკონი.....	252

აღნიშვნები:

- მორფემათა საზღვარი	COMP მაქვემდებარებელი კავშირი
+ მორფემათა შერწყმა	COND კონდიციონალი
= კლიტიკთა საზღვარი	CONT კონტესივი
: კუმულაცია	COP მეშველი ზმნა
# სიტყვაფორმის საზღვარი	CTRF კონტრაფაქტივი
1, 2, 3 პირი	DAT მიცემითი ბრუნვა
[A] გარდამავალი ზმნის სუბიექტი	DEB მყოფადი აუცილებლობითი
[O] გარდამავალი ზმნის ობიექტი	DIST შორეული დემონსტრაცივი
[S] გარდაუვალი ზმნის ოქტანტი	DLOG შორეული დემონსტრაცივი ლოკატივში
ABL აბლატივი	ELAT ელატივი
ABS აბსოლუტივი (I, II, III, IV)	ERG ერგატივი [=ინსტრუმენტალისი]
ABSTR აბსტრაქტულ სახელთა სუფიქსი	ESS ესივი
AD ადესივი	FUT მყოფადი ძირითადი
ADD =აღ კლიტიკა (ქართული -ც ნაწილაკის ანალოგი)	GEN ნათესაობითი ბრუნვა
ADV ადვერბიალური მაწარმოებელი	HORT ჰორტატივი
ALL ალატივი	IMP ბრძანებითი კილო
AOP სრული სახის მიმდგობა	INS ინსტრუმენტალისი [=ერგატივი]
AOR აორისტი	INTJ შორისდებულნი
APUD აპუდესივი	JUSS იუსივი
ART ნაწევარი	LAT ლატივი
ATR ატრიბუტივის მაწარმოებელი -ნა	LV დამხმარე ზმნა (კომპოზიტებში)
BEN ბენეფაქტივი	MED საშუალო დემონსტრაცივი
CAUS კაუზატივი	MSD I მასდარი (-ეს)
CNV აბსოლუტივის გაქვემდებარებული მაწარმოებელი	MSD II მასდარი (-ეს-უნ)
COLL რიგობითი რიცხ. სახელი	NA მასუბსტანტივებელი (ნომინატივში)
COM კომიტატივი	NEG “ფინიტური” უარყოფა
	PROH პროჰიბიტივი

NO მასუბსტანტივებელი (ირიბ
ბრუნვებში)
NOM ნომინატივი
NOT “არაფინიტური” უარყოფა
O ირიბი ფუძე (ჩანართი)
PART უსრული სახის მიმდებობა
PERF ნამყო სრული
PERF2 “მეორე” პერფექტი
PL მრავლობითი რიცხვი
PLOG უახლოესი დემონსტრაცივი
(ლოკატივში)
POSS პოსესიური სერიის პირის
ნიშანი
POST პოსტესივი
POT მყოფადი პოტენციური

PROX უახლოესი დემონსტრაცივი
PRS აწმყო
PST ნამყო
PTCP მიმდებობა
Q კითხვითი ნაწილაკი
RDP რედუპლიკაცია
SG მხოლოდობითი რიცხვი
ST ზმნური ფუძის “გამყოფადი”
ნაწილი
SUBJ კონიუნქტივი
SUP სუპერლაცივი
SUPER სუპერესივი
TEMP დროის აბსოლუტივი
VOC ვოკატიური ნაწილაკი

შესავალი

(მოკლე ცნობები უდიური ენისა და უდი ხალხის შესახებ)

უდიები კავკასიის ერთ-ერთ მცირერიცხოვან ეთნოსს წარმოადგენენ. მათი საერთო რაოდენობა დღეს დაახლ. 8,5 ათას კაცს შეადგენს.¹ უდი ეთნოსის ძირითადი ბირთვი ცხოვრობს აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, გაბალის (ყოფ. ქუთქაშენის) რ-ნში მდებარე სოფ. ნიჯში (3,5-4 ათასი კაცი). უდიების კომპაქტური დასახლება არსებობს საქართველოშიც; ეს არის კახეთში, ყვარლის რ-ნში მდებარე სოფ. ოქტომბერი (ყოფ. ზინობიანი) – ამ სოფელში დაახლ. 400 მაცხოვრებელია, ხოლო კომლთა რაოდენობა 100-ს აღწევს. საქართველოში უდიების საერთო რაოდენობა 500-600 კაცს არ უნდა აღემატებოდეს.

XX ს.-ის მიწურულს უდიების საცხოვრებელი არეალი შემცირდა. 1990 წლების დასაწყისამდე უდიები კომპაქტურად სახლობდნენ სამ დასახლებაში: სოფ. ნიჯი (დაახლ. 4,5 ათასი კაცი); ქ. ვართაშენი (დღეს ქ. ოღუზი) – დაახლ. 3 ათასი კაცი;² სოფ. ოქტომბერი (დაახლ. 800 კაცი). 1990-იან წლებში აზერბაიჯანში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად უდი მოსახლეობისაგან დაიცალა ქ. ოღუზი (ვართაშენი). დღეს ოღუზს ოცდაათიოდე უდიური კომლი შემორჩა (მეკომურების რაოდენობა 50-60 კაცს არ უნდა აღემატებოდეს). უდიების დიდი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამკვიდრებელი და რუსეთში გადახვეწილიყო (მცირე ნაწილი – სომხეთში, უკრაინასა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში). უდიების ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფები წარმოდგენილია რუსეთის სამხრულ ოლქებში – როსტოვისა და ვოლგოგრადის ოლქებსა და კრასნოდარის მხარეში. 2002 წლის აღწერის მიხედვით რუსეთში 3 721 უდი ცხოვრობდა, თუმცა მათი რეალური რიცხვი შეიძლება უფრო დიდიც კი იყოს.³ უდიების განსახლება უზარმაზარ ტერიტორიაზე, ბუნებრივია, ხელს არ უწყობს უდიური ენის შენარჩუნებას. სამწუხაროდ, რამდენიმე ათწლეულში

¹ “უდიური კრებული”, მოსკოვი, 2008: 5.

² იქვე.

³ იქვე: 6.

მოსალოდნელია უდიური დიასპორის წარმომადგენელთა ასიმილირება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, გადასახლებულთა ბავშვები უკვე ვერ ფლობენ მშობლიურ ენას.

საქართველოში უდიები 1918-1922 წწ. გადმოსახლდნენ ვართაშენიდან. ამ პროცესის წამომწყები და მოთავე იყო უდი მოღვაწე ზინობი სილიკაშვილი, ვისი სახელიც დაერქვა ახალდაარსებულ სოფელს. 1938 წლამდე სოფელს ერქვა ზინობიანი, ხოლო ზინობი სილიკაშვილის დახვრეტის შემდეგ (1938 წ.) მას ეწოდა ოქტომბერი. აღნიშნულ სახელს სოფელი დღემდე ატარებს, თუმცა თვით ოქტომბერის მკვიდრნი და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობაც მას მაინც ზინობიანს უწოდებს.

უდიური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიური ენების ჩრდილო-აღმოსავლეთ განშტოებას – დაღესტნურ ენათა ლეზგიურ ქვეჯგუფს. უდიური ენა იყოფა ორ დიალექტად – ვართაშნულ (ვართაშნულ-ოქტომბერულ ან ვართაშნულ-ზინობიანურ) და ნიჯურ კილოებად. დიალექტური სხვაობა თავს იჩენს ენის თითქმის ყველა კომპონენტში: ლექსიკაში, ფონოლოგიურ სისტემასა და მორფოლოგიურ-სინტაქსურ წყობაში.

უდიური ენა საფრთხეში მყოფი ენაა. თუ სოფ. ნიჯში მეტ-ნაკლებად მყარია ენის ცოდნა, მათ შორის, ახალგაზრდებშიც, სოფ. ოქტომბერში უდიური მეტყველება გაქრობის პირასაა მისული. მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბერის საშუალო სკოლაში ფაკულტატურად ისწავლება უდიური ენა¹, მისი ცოდნა უმცროსებში ძალზე იშვიათია. ეს მდგომარეობა ძირითადად გამოწვეულია შერეული ქორწინებებით: ოქტომბერელი უდი მამაკაცების უმრავლესობა ქართველ ქალებზე ქორწინდება, ხოლო უდი ქალები ძალიან ხშირად ახლომდებარე ქართულ სოფლებში თხოვდებიან. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ოქტომბერი (ზინობიანი) ვართაშნელი უდიების ფაქტობრივად ერთადერთი კომპაქტური დასახლებაა, ეს ვითარება საფრთხეს უქმნის საერთოდ ვართაშნელი დიალექტის არსებობას.

¹ უდიური ენის სწავლება IV–IX კლასებში განხორციელდა ოქტომბერის მკვიდრის მ. ნეშუმაშვილის მეცადინეობით, რომელიც უშუალოდ ასწავლის ბავშვებს მშობლიურ ენას. უდიური ენა აგრეთვე სოფ. ნიჯში ისწავლება სპეციალურად შედგენილი პროგრამით, იხ.: Айдынов Ю. А., Кочарли Ж. А. Программа удинского языка (для начальных классов): Проект, Удины: источники и новые материалы, Краснодар, 1999.

გარშემომყოფი ენები საგრძნობ ზეგავლენას ახდენენ უდიურ ენაზე. პირველ რიგში ეს ითქმის ლექსიკის შესახებ. ა. დირი სამართლიანად აღნიშნავდა: "... უდიური ლექსიკონის შედგენა საკმაოდ საჩოთირო საქმეა. არ იცი – უნდა შემოიფარგლო მხოლოდ უდიური სიტყვებით, თუ მასში უნდა შეიტანო აგრეთვე თურქული, სომხური, სპარსული სიტყვებიც. პირველ შემთხვევაში მივიღებთ ოდენობით ისეთ შემოფარგლულ ლექსიკონს, რომ სიტყვები არ გვეყოფა ყოველდღიური საგნების აღსანიშნავადაც კი. მეორე შემთხვევაში კი, თუნდაც ისეთი სიტყვებით დავკმაყოფილდეთ, რომელთაც უდიურში შესატყვისი არა აქვთ, საშიშროება იქმნება, შეადგინო იგივე თურქული ან სომხური ლექსიკონები, აქა-იქ გაფანტული სხვა სიტყვებით, რომლებიც სწორედ იქნებიან უდურნი"¹.

უდიურზე უდიდეს გავლენას ახდენდა აზერბაიჯანული ენა (ნიჯურზე დღემდე, სოფ. ოქტომბერის მეტყველებაზე – გადმოსახლებაზე). აზერბაიჯანული ენის გავლენა, უპირველეს ყოვლისა, შესამჩნევია ლექსიკაში, ნაკლებად – სიტყვაწარმოებაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში.

აღსანიშნავია სომხური ენის გავლენა, განსაკუთრებით ნიჯურზე. ისტორიულად ეს გავლენა უმთავრესად ეკლესიის (შესაბამისად, სკოლის) მეშვეობით ხორციელდებოდა. თვალში საცემია სპარსული და არაბული ენებიდან შემოსული ლექსიკის სიმრავლეც. ბოლო პერიოდში უდიური ენის ლექსიკურ ფონდში დამკვიდრდა რუსული ენიდან ნასესხები სიტყვები და ამ ენის მეშვეობით შემოსული ე.წ. ინტერნაციონალიზმები.

სოფ. ოქტომბერის უდიურ მეტყველებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ქართული ენა. ეს გავლენა განსაკუთრებით შესამჩნევია ახალგაზრდების მეტყველებაში, თუმცა ქართული ენის გავლენა უდიურზე ისტორიულადაც ძლიერი უნდა ყოფილიყო.

უდიები ისტორიულ წყაროებში პირველად ჰეროდოტეს "ისტორია"-ში არიან მოხსენიებულნი *უიტი*, *უიტიოი* (ὠίτιοι) ფორმით. *უტიები* ასევე იხსენიებიან სტრაბონის "გეოგრაფია"-ში და სხვა ანტიკურ წყაროებში. გარდა ბერძნულ-რომაული წყაროებისა, საგულისხმო ცნობებს უდიების

¹ ა. დირი, უდიური ენის გრამატიკა, ტფილისი, 1903: 2 (რუსულ ენაზე).

შესახებ (**ուսի**, **ուսիք**) გვაწვდის სომხური წყაროები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მოვსეს კალანკატუაცის “აღუანთა ქვეყნის ისტორია” (*Պատմութիւն Աղուանից աշխարհի*).

უდიური ენის მონაცემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1994-1995 წწ. შემდეგ, როდესაც ქართველმა მეცნიერმა, აკად. ზ. ალექსიძემ სინას ნახევარკუნძულზე მდებარე წმ. ეკატერინეს მონასტერში პირველი გაბმული კავკასიის ალბანური ტექსტი აღმოაჩინა. დღეს მეცნიერთათვის უკვე ნათელია, რომ უდიური კავკასიის ალბანურის ან უშუალო გამაგრძელებელს წარმოადგენს, ანდა უდიურის წინაპარი ენა კავკასიის ალბანურის ერთ-ერთი დიალექტი იყო. ერთი რამ უეჭველია: უდიური კავკასიის ალბანურის ერთადერთი შემორჩენილი რელიქტია.

სარწმუნოებით ვართაშნელი და ოქტომბერელი უდიები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, ხოლო ნიჯელი უდიები მონოფიზიტები (“გრიგორიანელები”) იყვნენ. ამჟამად, ცნობილი მიზეზების გამო, სომხური “სამოციქულო” ეკლესია ვერ ახორციელებს თავის საქმიანობას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რის გამოც ნიჯელების ლიტურგიკული ცხოვრება ერთადერთ მოქმედ წმ. ელიშეს (ელისეს) ეკლესიაში (უდ. *ჩოთარი გერგეც*) მხოლოდ “მამაო ჩვენო”-ს კითხვით შემოიფარგლება.

უდიური ენის მეცნიერული შესწავლა XIX ს.-დან იწყება. პირველი მონოგრაფია უდიურის შესახებ ეკუთვნის ანტ. შიფნერს – “ცდა უდიური ენის გამოკვლევისა”, რომელიც 1863 წელს გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე პეტერბურგში, საიმპერატორო აკადემიის “მემუარებში”¹ (ნაშრომი დაიწერა 1862 წელს).

მეორე მონოგრაფია უდიურის შესახებ ეკუთვნის ა. დირს; ესაა “უდიური ენის გრამატიკა”, რომელიც ჯერ, 1903 წელს ცალკე გამოქვეყნდა,² ხოლო შემდეგ (1904 წელს) კრებულში: “Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа”, XXXIII გამოშვება, IV ნაწილი. აღსანიშნავია, რომ ამ ორივე მონოგრაფიას ჯერაც არ დაუკარგავს სამეცნიერო ღირებულება.

¹ Schiefner A., Versuch über die Sprache der Uden, Mémoires de l'académie impériale des sciences de St. Pétersbourg, VII^e S., P. VI, N^o8, 1863.

² Дирр А. М., Грамматика удинского языка, Тифлис, 1903.

მესამე მონოგრაფია უდიურის შესახებ არის ვლ. ფანჩვიძის სადოქტორო დისერტაცია “უდიური ენის გრამატიკული ანალიზი”, რომელიც ჯერ კიდევ 1949 წელს იქნა დაცული (ნაშრომის მომზადება 1948 წელს დასრულდა), მაგრამ წიგნის სახით იგი მხოლოდ 1974 წელს გამოქვეყნდა¹. ეს ნაშრომი უდავოდ ახალ საფეხურს წარმოადგენდა უდიური ენის კვლევის საქმეში.

უდიური ენის ნიჯურ კილოს დაეთმო ვ. გუკასიანის საკანდიდატო დისერტაცია “უდიური ენის ნიჯური დიალექტი. ფონეტიკა, მორფოლოგია” (1965 წ.). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვ. გუკასიანის მეორე მონოგრაფია, ესაა 1974 წელს გამოქვეყნებული “უდიურ-აზერბაიჯანულ-რუსული ლექსიკონი”². დღემდე არსებულთაგან ეს ლექსიკონი ყველაზე ვრცელია.

უდიური ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ევგ. ჯეირანიშვილის მონოგრაფიამ “უდიური ენა: გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი”, რომელიც გამოქვეყნდა 1971 წელს⁴.

XX ს-ის 80-იან წლებში უდიურის შესახებ ორი ანგარიშგასაწევი ნაშრომი გამოიცა, ესაა: ვ. შულცეს “უდიების ენა ჩრდილო-აზერბაიჯანში”⁵ და ტ. სიხარულიძის საკანდიდატო დისერტაცია “არსებით სახელთა ბრუნება უდიურში”⁶.

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება ინტერესის გაზრდა უდიური ენის მისამართით. ეს გამოწვეულია ერთის მხრივ – კავკასიის ალბანური ხელნაწერი ძეგლების აღმოჩენით, ხოლო მეორე მხრივ – უდიურ ენაში დამოწმებული საყურადღებო თავისებურებებით, რომელიც მის უნიკალურობას წარმოაჩენს არა მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა წრეში, არამედ მსოფლიო ენათა შორის. ამ მიმართულების ნაშრომებიდან,

¹ ფანჩვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974.

² Гукасян В. Л., Фонетические и морфологические особенности ниджского диалекта удинского языка, Баку, 1965.

³ Гукасян В. Л., Удинско-азербайджанско-русский словарь, Баку, 1974.

⁴ ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971.

⁵ Schulze W., Die Sprache der Udin in Nord-Azerbaidzan, Wiesbaden, 1982.

⁶ სიხარულიძე ტ., არსებით სახელთა ბრუნება უდიურში, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 1987; სადისერტაციო ნაშრომი მთლიანად 2005 წ. გამოქვეყნდა – სიხარულიძე ტ., არსებით სახელთა ბრუნება უდიურში, თბილისი, 2005.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ა. ჰარისის მონოგრაფია “ენდოკლიტიკები და უდიური მორფონოსინტაქსის წარმოშობა”¹. საკითხები, რომელიც დასმულია და განიხილება ამ ნაშრომში, არ შემოიფარგლება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ჩვეულებრივი პრობლემატიკით და ზოგადი ენათმეცნიერებისათვისაც არის საყურადღებო.

აღნიშვნის ღირსია კრებული – “უდიური კრებული: გრამატიკა, ლექსიკა, ენის ისტორია”, რომელიც პროექტ “უდილანგ”-ის ფარგლებში მომზადდა². ეს კრებული ფაქტობრივად უდიური ენის ვრცელ მონოგრაფიას წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიჯის დიალექტის სახელისა და ზმნის მორფოლოგიის ვრცელი აღწერა, რომელიც ფაქტობრივად პირველად სწორედ ამ კრებულში არის წარმოდგენილი.

სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან ერთად, უდიური ენის მასალა მოხმობილია და განიხილება ფრ. მიულერის, რ. ერკერტის, ჰ. შუხარტის, ე. დიუმეზილის, ნ. ტრუბეცკოის, ი. მეშჩანინოვის, დ. კარბელაშვილის, კ. ბოუდას, რ. ლაფონის, აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, მ. ალექსეევის, ე. ბაკარევის, გ. კლიმოვის, ბ. გიგინეიშვილის, ბ. თალიბოვის, გ. თოფურიას, შ. გაფრინდაშვილის, ს. კოძასოვის, ა. კიბრიკის, მ. ქურდიანისა და სხვა მკვლევართა ნაშრომებში.

ამჟამად, უდიურ ენას პროდუქტიულად იკვლევენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები: ტ. სიხარულიძე, მ. თანდაშვილი, ნ. რუხაძე, ა. ჰარისი, ვ. შულცე, ტ. მაისაკი, ი. ლანდერი, დ. განენკოვი და სხვა.

უდიური ენის ტექსტობრივი წყაროებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს უდიურ ენაზე ს. ბეჟანოვის მიერ თარგმნილი ოთხთავი³, რომელიც ხელმეორედ მოამზადა და გამოსცა ვ. შულცემ⁴. ენის ისტორიის თვალზასახრისით აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია უდიური ზღაპარის

¹ Alice C. Harris., *Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax*, Oxford, 2002.

² Удинский сборник: грамматика, лексика, история языка, Исследования и материалы по языкам Кавказа (РАН Институт языкознания, Институт востоковедения), вып. 1, Москва, 2008.

³ Бежанов С., Господа Нашего Иисуса Христа Святое Евангелие от Матвея, Марка, Луки и Иоанна, Сборник Материалов для Описания Племен и Местностей Кавказа, XXX, Тифлис, 1902.

⁴ Schulze W., *The Udi Gospels, Annotated Text, Etymological Index, Temmatized Concordance*, Munich, 2001.

“რუსტამ”-ის გამოცემა¹ და ტექსტები, რომელიც დართული აქვს ა. ღირის მონოგრაფიას (ეს ტექსტები შემდეგ ცალკეც გამოქვეყნდა ჟურნალ “Caucasica”-ში)² და უდიური ენის საანბანო-საკითხავ წიგნს “სამჯი დჰს”-ს (ვართაშნულ-ნიჯური პარალელური ტექსტები)³. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ევგ. ჯეირანიშვილის მონოგრაფიას დართული ქრესტომათია⁴.

ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა ნიჯური დიალექტის მდიდარი მასალა. უნდა აღინიშნოს: ი. აიღინოვისა და გ. კეჩაარის მიერ შედგენილი უდიური საანბანო წიგნი⁵, გ. კეჩაარის მიერ შედგენილი ლიტერატურული კრებული “ნანა ოჩ’ალ”⁶ (სამშობლო, მშობლიური მხარე; ზედმიწ. დედის მიწა). აღსანიშნავია ვ. დაბაკოვის მიერ შედგენილი უდიური ფოლკლორის კრებული⁷. მოგვეპოვება ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოებები უდიურ ენაზე, ესაა, გიორგი (ჟორა) კეჩაარის პოეტურ-პროზაული კრებული “ორაინ” (წყარო)⁸ და პოეტური კრებული “ბურუსმუს” (მთები)⁹. განხორციელდა ძველი ალთქმის წიგნების – რუთისა და იონას თარგმნა უდიურ ენაზე (ნიჯურ კილოზე)¹⁰.

უძველესი ორიგინალური დამწერლობის მქონე ენის (კავკასიის ალბანურის) შთამომავალი – უდიური, დღეს უმწერლობო ენაა. XX ს.-ის 30-იან და 90-იან წლებში და XXI ს.-ის დასაწყისში იყო რამდენიმე ცდა უდიური ანბანის შემუშავებისა¹¹, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ფეხი ვერ

¹ Бежанов М., Рустам (Удинская сказка), Сборник Материалов для Описания Племен и Местностей Кавказа, XII, Тифлис, 1988

² Дирр А. М., Грамматика удинского языка, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа”, XXXIII вып., ч. IV, Тифлис, 1904 (Dirr A., Udische Texte, 1928, Caucasica, 5: 60-72).

³ Çejrani T., Çejrani M., Samçi dəs, Suxum, 1934.

⁴ ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 135-192.

⁵ Aydınov Y. A., Keçaarı J. A., Əlifba (Tetir), Bəki, 1996.

⁶ Кечаари Ж. (შემდგ.), Нана оч’ал. Шеирхо, гьекйаьтхо, драма, Баку, 1996.

⁷ Dabakov V. V. (შემდგ.), Udiğoy folklor: Nağılho. Legendoox, Астрахань, 2007.

⁸ Keçaarı K., Orayin, Bakı, 2001.

⁹ Keçaarı K., Buruxmux, Gəncə, 2003.

¹⁰ Rut’ – Iona, Chambersburg (USA), 2009.

¹¹ ლათინური გრაფიკის საფუძველზე 1933-34 წლებში ვართაშნელი უდიების, ძმები ჯეირანიშვილების მიერ (თველორე და მიხეილ ჯეირანიშვილები) შედგენილია ანბანი, რომელიც გამოყენებულ იქნა უდიური საკითხავი-საანბანო წიგნის შესაქმნელად (სამჯი

მოიკიდა, იხ.: უდიურისათვის გამოყენებული ძირითადი სატრანსკრიფციო სისტემები:

შიფნერი	ღირი	ოთხთავი	სამჯი დან	გუკასიანი	უდილანგი	შულკე	ჰარისი	კეჩარისი	დაბაკოვი	ქართული
a	a	a	a	a	a	a	a	a	a	ა
ä	ʼä	ä	ħa	aḅ	aI	a ^r	a	əḅ, aḅ	ä	(ა ^h) [ა ^r]
ä	ä	ä	ə	aḅ	ä	ä	ä	ə	ə	ჲ
b	ḅ	ḅ	b	ḅ	b	b	b	b	b	ბ
g	ḡ	ḡ	g	ḡ	g	g	g	g	g	გ
—	—	—	—	κ	(g ^l)	—	—	κ	—	(გ ^l)
d	ḏ	ḏ	d	ḏ	d	d	d	d	d	დ
e	e	e	e	e	e	e	e	e	e	ე
—	ʼe	è	ħe	eḅ	eI	e ^r	e	eḅ	è	(ე ^h) [ე ^r]
w	ḅ, w	ḅ	v	ḅ	v	v	v	v	v	ჟ
z	z	z	z	z	z	z	z	z	z	ზ
t	ḏ	ḏ	ḏ	ḏ	t	t	t	t	t	თ

ღან). ამ ანბანით გარკვეული დროის განმავლობაში უდიური ენის სწავლება მიმდინარეობდა.

გ. კეჩარისა და ი. აიდილოვის თაოსნობით 1992 წლიდან განხორციელდა უდიური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების მეორე ცდა და ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ვ. გუკასიანის მიერ სლავური გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანი (ტრანსკრიფცია). ამ ანბანით გამოქვეყნდა გ. კეჩარის მიერ შედგენილი კრებული “ნანა ოჩაღ” (1996 წ.).

მოგვიანებით, 90-იანი წლების მეორე ნახევარში ეს ანბანი შეცვლილ იქნა გ. კეჩარისა და ი. აიდილოვის მიერ ლათინური გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანით, რომელიც შექმნილია დაგვირგად აზერბაიჯანულ მოქმედ გრაფიკას იმეორებდა, თუმცა მასზე წინა, ვ. გუკასიანისეული ანბანის გავლენა იგრძნობოდა, მაგალითად, შენარჩუნებული იყო რამდენიმე რუსულისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერა (ц, ъ, ѣ), არ შეიცვალა ჩაწერის პრინციპი (დიგრაფების გამოყენება) და ა.შ. ამ ანბანით გამოქვეყნდა უდიური საანბანო წიგნი (1996 წ.), რომლითაც დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს უდიური ენის სწავლება სოფ. ნიჯში. გამოქვეყნდა აგრეთვე გ. კეჩარის პოეტურ-პროზაული კრებულები “ორაინი” (2001 წ.) და “ბურუსხუხ” (2003 წ.).

2007 წ. წელს ვ. დაბაკოვიმ გადაამუშავა ეს ანბანი და ამ მოდერნიზირებული ვერსიით გამოსცა უდიური ფოლკლორის კრებული (2007). ეს ანბანი გ. კეჩარისა და ი. აიდილოვის ანბანისაგან ძირითადად დიაკრიტიკული ნიშნების ხშირი გამოყენებით განსხვავდება და პირიქით, მასში არ არის დიგრაფები და სლავური გრაფიკული სიმბოლოები.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ზინობიანშიც მიმდინარეობს უდიური ენის ფაკულტატური სწავლება და ამ მიზნით გამოიყენება მ. ნეშუმაშვილის მიერ შემუშავებული ანბანი, რომელიც, ფაქტობრივად, მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის შედგენილი ქართული სამეცნიერო ტრანსკრიფციის იდენტურია.

შოფენერი	ღირი	ოთხთავი	სამჯი დას	გუგასიანი	უდილანი	შულცი	პარისი	კერარი	დაბაკოვი	ქართული
i	i	i	i	и	i	i	i	i	i	ი
—	—	—	ħ̣	и̣	iI	iʳ	ᵢ	ị	ĩ	(ი̣) [iʳ]
k	к	к	k	к1	k:	kʳ	kʳ	q	kʳ	კ
l	л	л	l	л	l	l	l	l	l	ლ
m	м	м	m	м	m	m	m	m	m	მ
n	н	н	n	н	n	n	n	n	n	ნ
j	ј	ј̣	j	й̣	j	y	y	y	y	ი
o	о	о	o	о	o	o	o	o	o	ო
ọ	‘ọ	ọ	ħo	о̣	oI	oʳ	ọ	ọ, ọ	ọ	(ọ) [oʳ]
ö	ö	ö	ø	о̣	ö	ö	ö	ö	ö	ო̣
p	п	п	p	п1	p:	pʳ	pʳ	pI	pʳ	პ
ž	ж	ж	z	ж	ž	ž	ž	j	j	ჟ
ẓ̌	—	ẓ̌	ẓ	ж1	žI	ẓ̌	ẓ̌:	ji	ĵ	(ჟ̣) [-]
r	р	р	r	р	r	r	r	r	r	რ
s	с	с	s	с	s	s	s	s	s	ს
t	т	т	t	т1	t:	tʳ	tʳ	tI	tʳ	ტ
u	у	у	u	у	u	u	u	u	u	უ
ụ	‘ỵ	ỵ	ħu	у̣	uI	uʳ	ụ	ụ, ụ	ụ	(ụ) [uʳ]
ü	ÿ	ÿ	g	у̣	ü	ü	ü	ü	ü	უ̣
ř	ř	ṛ̌	r	р	p	p	p	p	p	ჟ
в	ф	ф	в	ф	f	f	f	f	f	ფ
ķ	ķ	ķ̣	q	к	k	k	k	k	k	ქ
ǰ	ǰ	ǰ	q	г̣	Ƶ	ǰ̣	ǰ̣	ǰ̣	ǰ̣	ქ̣
q	q	k	q	к̣	q:	qʳ	qʳ	ḳ	qʳ	ყ
š	ш	ш	ṣ	ш	š	š	š	š	š	შ
ṣ̌	ṣ̌	ṣ̌	q̣	ш1	šI	ṣ̌	ṣ̌:	šI	ṣ̌	(ṣ̌) [-]
č	ч	ч	q̣	ч	č	č	č	č	č	ჩ
—	—	—	č̣	ч̣	čI	č̣	č̣:	č̣	č̣	(č̣) [-]
c	ц	ц	ẓ	ц	c	c	c	ц	ś	ც
z	з	з	dz	дз	z	—	z	zi, dz	ž	ძ
č	č̣	č̣	q̣	ц1	c:	cʳ	cʳ	ц	sʳ	წ
—	—	—	q̣q̣	č̣	—	—	—	—	—	(č̣)
č̣	č̣	č̣	c	ч1	č̣:	č̣ʳ	č̣ʳ	č̣	č̣	ჭ
—	—	—	—	č̣	č̣:I	č̣ʳ	č̣ʳ:	č̣, c̣	č̣	(č̣) [-]
x	x	x	x	x	χ	x	x	x	x	ხ
x	ħ	ħ̣	q	х̣	q	q	q	х̣	q	ჰ

შიფნი	ღირი	ოთხთაგი	სამჯი დას	გუკასიანი	უდილანი	შულცი	პარისი	კეჩარი	დაბაკი	ქართული
ჭ	ძ	ძ	ც	дж	ჭ	ჭ	ქ	ც	ც	ჭ
—	—	—	—	дж1	ჭI	ჭ	ქ:	ც1	ც	(ჭ ^ა) [-]
h, ო	h	h	h	гь	h	h	h	h	h	ჰ
y	ყ	ყ	ნ	ყ	ი	ე	ე	ყ	ი	ღ
—	—	ყ	—	ყь	იI	—	—	—	—	(ღ ^ა) [ღ ^ა]

შენიშვნა: (...) მრგვალ ფრხილებში ჩასმულია ფონემური ღირებულების არმქონე ბგერები.

[...] კვადრატულ ფრხილებში ჩასმულია ჩვენ მიერ გამოყენებული სატრანსკრიფციო ნიშნები, რომელიც უდიურის შესახებ ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული ტრანსკრიფციისაგან განსხვავდებიან.

ე.წ. ირაციონალურს (გ ბგერას) ვართაშნულ კილოში არ მოეპოვება დისტინქციური ფუნქცია.

ფონეტიკა

უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა, ბევრი მახასიათებლის გამო, მონათესავე ენათა ფონოლოგიური სისტემებისაგან განსხვავდება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სოფ. ოქტომბერის (ზინობიანის) მეტყველების გამოკლებით, უდიურ ენაში აბრუპტიული თანხმოვნები გადავიდნენ პრერუპტივებში, რაც უდიურს მნიშვნელოვნად განასხვავებს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგან. ახლომონათესავე ლეზგიურ და საერთოდ, დაღესტნურ ენათაგან განსხვავებით უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა გამარტივებულია და, ამ ენებთან შედარებით, უდიური ენა, ფონეტიკური სისტემის თვალსაზრისით, უფრო ქართულ ენას უახლოვდება: უდიურს ახასიათებს ხშულ-მსკდომთა და აფრიკატთა სამეულგებრივი სისტემა (*მჟღერი-ფშვინვიერი-პრერუპტივი* – ნიჯურსა და ვართაშნულ მეტყველებაში; *მჟღერი-ფშვინვიერი-აბრუპტივი* – სოფ. ოქტომბერის მეტყველებაში); არ მოეპოვება ინტენსიური თანხმოვნები; სუსტადაა დაცული ლაბიალიზებული თანხმოვნები (ბგერები); შეინიშნება უკანა წარმოების თანხმოვანთა სიმცირე სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენებთან შედარებით – უდიურს არ მოეპოვება დაღესტნურ ენათა უმეტესობისათვის დამახასიათებელი ფარინგალური სპირანტები, ლარინგალური ხშულ-მსკდომები, მჟღერი ლარინგალური სპირანტი. უდიურში ასევე არ გვხვდება ზოგიერთ დაღესტნურ ენაში დაცული მჟღერი ფარინგალური ხშულ-მსკდომი; არ მოგვეპოვება ლატერალური თანხმოვნები (თუმცა ისინი, გარდა არჩიბულისა, არც ერთ სხვა ლეზგიურ ენას არ ახასიათებს).

უდიურ ენაში დაცულია ყველა ის თანხმოვანი თუ ხმოვანი ქართულში რომ გვაქვს. გარდა ამისა უდიურში გვაქვს: პალატალიზებული ხმოვნები (**ჰ, ო, უ**); ე.წ. ირაციონალური გ (ნიჯურ კილოში მოეპოვება ფონემური ღირებულება); სონორი **ღ**; დენტოლაბიალური **ჭ**; ფარინგალური **ჭ**. ქართულთან შედარებით, გარდა მოყვანილი ხმოვნებისა თუ თანხმოვნების, უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა დამატებითი

არტიკულაციით – ფარინგალიზაციით არის გართულებული, რომელიც უდიურში პროსოდის თვისებას წარმოადგენს.

უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა, ბგერითი შედგენილობის თვალსაზრისით, ერთგვარად არის წარმოდგედი ორსავე კილოში.

გოკალიზმი

ვართაშნულ კილოში დასტურდება 8 ძირითადი (ა, ე, ი, ო, უ, ა, ო, უ) და ერთი ფაკულტატიური ხმოვანი (გ), ხოლო ნიჯურში გ ხმოვანს მოეპოვება ფონემის სტატუსი.

უდიურს არ მოეპოვება დადესტნურ ენებში გაგრძელებული გრძელი და ნაზალიზებული ხმოვანი ფონემები. გრძელი ხმოვანი უდიურში შეიძლება ან მორფემათა გასაყარზე შეგვხვდეს, ანდა ერთი ბგერის მიერ მეორეს ასიმილაციით იყოს მიღებული, მაგ.: მა “სადაც” + ა (კითხვ. ნაწილაკი) – მა? (მა-ა?) “სად?” სა “ერთი” + ო (მასუბსტანტ. სუფიქსი) – სო (სო-ო) “ერთი”; ქლა “დიდი” + ო (მასუბსტანტ. სუფიქსი) – ქლო (ქლო-ო) “დიდი”; პა “ორი” + ო “ბალახი” – პო (პო-ო) “ორი ღერი ბალახი”...

უდიურში ხმოვნები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

მარტივი ხმოვნები (ა, ე, ი, ო, უ);

პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვნები (ა, ო, უ).

ამის გარდა, ცალკე შეიძლება გამოვყოთ ე.წ. ირაციონალური, ან (ზოგიერთი კლასიფიკაციით) ნახევარხმოვანი გ.

უდიურში ხმოვანთა კლასიფიკაცია შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

აწვევა	წინა რიგის		შუა რიგის	უკანა რიგის
	მარტივი	პალატალიზ.		
მაღალი		ა	ა	
საშუალო	ე	ე		ო
დაბალი	ი	უ	[გ]	უ

მარტივი ხმოვნები

როგორც ზემოთ აღინიშნა, უდიურში დასტურდება ხუთი მარტივი ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ). მათი წარმოთქმა ისეთივეა, როგორც, მაგალითად, ქართულში. ყველა მათგანი ნებისმიერ პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს, მაგ.: *ამმა/ამა* “მაგრამ”; *აშ* “საქმე”; *არ* “მსხალი”; *ალა* “მალა”, “ზემოთ”; *მაჯ* “სარი”; *ბაბა*, *ბავა* (ნიჯ.) “მამა”; *ხა* “მატყლი”; *მა* “ტვინი”; *ბაჭან* “ზურგი”; *ბაჭანა* “მერცხალი”...

ეშ “ვაშლი”; *ელ* “მარილი”; *ეე* “ხორცი”; *მეჯ* “მატლი”, “ჭია”; *ველ* “თხა”; *ხე* “წყალი”; *მე* “ეს”; *ენე* “უკავ”; *ელელ* “ცხვარი”; *ქლემ* “ვირი”; *ქველ* “საყდარი, ეკლესია”; *ერეე* “თხილი”...

ეიხი “ძმა”; *იხ* “მეხსიერება”; *იე* “ნაცარი”; *იქ* “თოვლი”; *ინ* “რწყილი”; *ინი* “ახალი”; *ჩილ* “მძივი”; *იხ* “თვითონ”; *იხი* “თავისი”; *ირიზ* “ბილიკი”...

ო “ბალახი”; *ოხ* “სავარცხელი”; *ოე* “ძირი”, ფსკერი”; *კონ* “ფერი”; *თოგ* “ფასი”; *კოჯ*, *ქოე* (ნიჯ.) “სახლი”; *ხოდ* “ხე”; *ხო* “ცვარი”; *ხლო* “ცური”; *ბოეო* “ცომი”...

უნ, *პუნ* (ნიჯ.) “შენ”; *უჯ* “მდინარე”; *უჯ* “ექვსი”; *უკ* “გული”; *უქ* “კაკალი”; *მუჯ* “ფრხილი”; *მუჯ* “მხიარული”; *ჭუმ* “სარეველა”; *მურ* “ღერძი”; *ხუ* “მე”...

პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვნები

უდიურ ენაში წარმოდგენილია სამი უმლაუტიანი ხმოვანი (ა, ო, უ). ეს ხმოვნები გვხვდება ყველა პოზიციაში. პალატალიზებული ხმოვნები დასტურდება ძირითადად ნასესხებ (როგორც წესი – აზერბაიჯანულიდან) სიტყვებში, თუმცა ეს ხმოვნები საკუთარ ლექსიკაშიც აღინიშნება, მაგ.: *პვარამ* “თუ”, “თუკი”; *აფხ* “სოფელი”; *აფელ* “ბავშვი”; *ქღახ* “ქალაღლი”; *პრქდ* “ხვადი”; *ღაღ* “მამიდა”...

რელად “გვარი”, “გენი”, “წარმოშობა”; ომგ “მარღვი”; ოქუზ “ტყუპი”;
გრლრ “ბევრი”; გრმიშ “კამეჩი”; გრგ “ცა”...

უთუ “უთო”; უსუნ “მაღე”; ურუტურუტ “ბინდ-ბუნდი”; არუგ “ჭერამი”;
გურჯი “ქართველი”...

აღსანიშნავია, რომ ნიჯურში ა ბგერა უფრო ხშირად გვხვდება და
ზოგჯერ ვართაშნულის მარტივ ა ბგერას შეესატყვისება, მაგ.: აშ (ნიჯ.) –
აშ (ვართ.) “საქმე”. ო და უ ბგერები კი ნიჯურში, პირიქით, განიცდის
გამარტივებას, ანუ კარგავს უმლაუტობას და ე (< ო) და ი (< უ) ბგერებში
გადადის, მაგ.: გრლრ (ვართ.) – გელე (ნიჯ.) “ბევრი”; არუგ (ვართ.) – არიგ
(ნიჯ.) “ჭერამი”... პალატალობის დაკარგვის პროცესი ამჟამად ვართაშნულ
კილოშიცაა ხელშესახები; ამის გამო შეინიშნება მარტივ და
პალატალიზებულ ბგერათა ხშირი მონაცვლეობა, მაგ.: აბელ – აბელ
“ბავშვი”; გრმუშ – გრმიშ “კამეჩი” და ა.შ.

ეგვ. ჯეირანიშვილის აზრით, პალატალიზებული ხმოვნები უდიურში
ფონემის სტატუსით არ არიან აღჭურვილნი¹. შეუძლებელია დავეთანხმოთ
აღნიშნულ მოსაზრებას; მიუხედავად იმისა, რომ პალატალიზებული
ხმოვნების წარმოქმნა უდიურში უცხოენოვანი გავლენის შედეგი უნდა
იყოს (ძირითადად – აზერბაიჯანულის), მაინც მივიჩნევთ, რომ სინქრონულ
დონეზე პალატალიზებული ხმოვნები უეჭველად ფონემებს წარმოადგენენ.
ამის შესახებ შემდეგი ფაქტები მეტყველებს:

ეს ბგერები არტიკულაციურად წმინდა ხმოვნებს წარმოადგენენ;

პალატალიზებული ხმოვნები ყველა პოზიციაში გვხვდება
(ანლაუტში, ინლაუტსა თუ აუსლაუტში), ისინი არ არიან პოზიციურად
შეპირობებულნი;

აღსანიშნავია მათი სიჭარბე უდიური ენის თანამედროვე ლექსიკურ
ფონდში;

¹ ეგვ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი,
1971, გვ. 11.

დღეს უდიურში პალატალიზებულ ხმოვნებს მოეპოვებათ მნიშვნელობის განმასხვავებელი (დისტინქციური) ფუნქცია, მაგ.:

ბაღა “შვილი”, “ბოკვერი”, “ბარტყი” – ბჷღა “თავსატყხი”, “პრობლემა”;

ღუჭუღ “კოური”, “სიმსივნე”, “გამაგრება” – ღუჭუღ “კვანძი”;

ქაღა “დიდი”, “უფროსი” – ქაღა “თავის ქაღა”, “კეფა”;

ქაღამ “ქაღამანი” – ქაღამ “კომბოსტო”;

ქურ “ორმო”, “ქვაბული” – ქურ “ცელქი”, “შეუპოვარი”;

ჩაფ “დაორთქლილი”, “სოკოთი დააგადებული” – ჩაფ “ელამი”...

გ ბგერა

გ ბგერა დასტურდება უდიური ენის ორსავე კილოში, თუმცა ფონემის სტატუსი მას მხოლოდ ნიჯურ კილოში მოეპოვება. ეს ბგერა ჩვეულებრივ გვხვდება ნასესხებ სიტყვებში (ძირითადად – აზერბაიჯანულიდან), თუმცა ნიჯურ კილოში იგი საკუთარ მასალაშიც დასტურდება (მათ შორის, მორფოლოგიურ ელემენტებშიც), მაგ.: ქაღ ზ “ქაღაღი”; ჯუღ “ქსოვილი”; ჯუ ზღ “ოქრო”; ჰაჯუღ “ჰკუა”, “გონება”...

რაოდენობრივად, გ ხმოვანი უფრო გავრცელებულია ნიჯურში. ხშირად ნიჯურში გ ხმოვანი შეესატყვისება ვართაშნულის სრულ (მარტივ) ხმოვანს (უ, ი ან ე ბგერებს). ასეთ შემთხვევაში, გ ნიჯურში რედუქციის შედეგად უნდა იყოს მიღებული, მაგ.: აღუნ (ვართ.) – აღუნ (ნიჯ.) “ზემო”; ესბესუნ (ვართ.) – ესბესუნ (ნიჯ.) “ხვნა”; აკამინ (ვართ.) – აქამუნ (ნიჯ.) “ნახვამდის”...

დიფთონგები

უდიურში დასტურდება აღმაგალი და დაღმაგალი დიფთონგები: და, და, დე, დი, დო, დუ; ად, ად, ედ, იდ, ოდ, უდ. აღმაგალი დიფთონგები (და, და, დე,

დი, დო, დუ) უფრო ხშირად ნასესხებ სიტყვებში გვხვდება, თუმცა საკუთარ ლექსიკაშიც დასტურდება, მაგ.: დან “ჩვენ”; დაყ “გზა”; დეზნა “სიზე”; დეთიმ “ობოლი”; დივ “მტკაველი”; დოლდაშ “ამხანაგი”, “მეგობარი”; დორღან “საბანი”, “თავშესაფარი”; დუ “რბილი”; დუძბურ “მუშტი”...

დაღმავალი დიფთონგები (აჲ, აჲ, ეჲ, იჲ, ოჲ, უჲ) ხშირად ვითარდება მორფემათა მიჯნაზე, მაგ.: ბანექსა-ჲ “იყო”, იარსება; ბენე-ჲ “გააკეთა” (ადრე, წინარეწარსულში); ბუზუ-ჲ “ვიყავი” (-ჲ ნამყოს მაწარმოებელი კლიტიკა); ნანა-ჲ (+ GEN)...

დაღმავალ დიფთონგებად ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტები გვევლინება: აჲ, ეჲ, ოჲ, უჲ; მაგ.: ჩურ-აჲ “ძროხისა”; მეხნ-აჲ “ნამგლისა”; გან-ეჲ “ადგილისა”; ვიხ-ეჲ “ძმისა”; ვიხიმღ-ოჲ “ძმებისა”; ხორხ-ოჲ “ძაღლისა”...

უდიურში ფუძისეული დაღმავალი დიფთონგებიც გვხვდება, მაგ.: ვუჲ “ცხრა”; ბუჲ “სავსე”; კაჲ “ღია”; აჲთ “სიტყვა”; ყეჲრი “სხვა”...

ნიჯურში, ვართაშნულთან შედარებით, უფრო მეტადაა გავრცელებული როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი დიფთონგები. ეს გამომწვეულია იმით, რომ სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტსა და აუსლაუტში ნიჯურში ხმოვანთან ვითარდება დ. ნიჯური ასევე ჰიატუსს ვერ ეგუება და დ ინტერვოკალურ პოზიციაშიც ვითარდება; შდრ.:

ვართ. ეჲ “ხორცი”; ტაღა-მაღა “იქით-აქეთ”; ხა-ენ “ძაღლმა”.

ნიჯ. დეჲ “id”; თაღაჲ-მაღაჲ “id”; ხა-დ-ენ “id”...

აღსანიშნავია, რომ იჲ დიფთონგი უმთავრესად ნიჯურ კილოში გვხვდება, მაგ.: ბაქაინიჲ “რომ არსებულიყო”; “რომ ყოფილიყო”, “რომ გამხდარიყო”; ბიჲინიჲ “რომ გაეკეთებინა”... იჲ დიფთონგი ნიჯურში კონტრაფაქტივისა და II (შედევობითი) პერფექტის (-იჲო) მაწარმოებლად წარმოგვიდგება.

ე.წ. ფარინგალიზებულ ხმოვანთა საკითხი

უდიური ენის მეცნიერული შესწავლის პირველი ცდებიდან (XIX ს.-ის მეორე ნახევარი) მოყოლებული თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს ფარინგალიზებულ ხმოვნებს. მეორე რიგის ხმოვნებს (აჲ, ოჲ, უჲ) უდიურში

იმოწმებს ამ ენის პირველი მკვლევარი ა. შიფნერი. იგივე სურათი გვხვდება ა. დირის ნაშრომებში უდიურის შესახებ¹. ასევე სამი მეორე რიგის ხმოვანი წარმოდგენილია უდიურ ზღაპარში “რუსტამ”, ხოლო “უდიური ოთხთავის” ტექსტში უკვე ხუთი “ფარინგალიზებული” ხმოვანი გვაქვს (ა¹, ე¹, ი¹, ო¹, უ¹); ასეთივე ვითარებაა უდიურ საანბანო წიგნშიც “სამჯი დჰს”. ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ ასევე წარმოდგენილია ხუთი “ფარინგალიზებული”

¹ როგორც ა. შიფნერს, ასევე ა. დირს სხვაგვარად აქვთ წარმოდგენილი ამ ხმოვანთა ბუნება.

ა. შიფნერის ცნობით: “ჩემთვის ხელმისაწვდომი წყაროები ამ ხმოვანთა უფრო რბილ წარმოთქმას ადასტურებენ ... ა წარმოთქმის თითქმის როგორც a ფრანგულ la-ში, o როგორც eu heure სიტყვაში და u როგორც u სიტყვაში une” – Schiefner A., Versuch über die Sprache der Uden, Mémoires de l'académie impériale des sciences de St. Pétersbourg, VII^e S., P. VI, №8, 1863, გვ. 9.

ა. დირის განსაზღვრით: “ა, ო და ý უჭირავს საშუალო ადგილი. პირველს a-სა და ä-ს შორის, მეორეს o-სა და ö-ს შორის, მესამეს y-სა და ý-ს შორის” – Дирр А. М., Грамматика удинского языка, Тифлис, 1903, გვ. 1.

მიუხედავად იმისა, რომ ა. დირი აღნიშნავს: “მეჩვენებოდა, რომ ä, ö-სა და ý-ს (განსაკუთრებით ö-სა და ý-ს) ყოველთვის თან სდევს ძალიან სუსტი ხორხისმიერი ხმა (ა. დირი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1, შენიშვნ.), მაინც საფიქრებელია, რომ აქ მკვლევარი არა ე.წ. ფარინგალიზებულ ხმოვნებს გულისხმობს, არამეს პოზიციურად შეპირობებულ ხმოვანთა ჯგუფს, რომელიც მკვლევრის აზრით, მარტივი და უმლაუტიანი ხმოვნებისაგანაც განსხვავდებოდნენ.

ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თანხმოვანთა ტაბულაში ა. დირს მოყვანილი აქვს ‘ ბგერა, რომელიც მკვლევრის დახასიათებით “არის მსუბუქი ხორხისმიერი ბგერა, არაბული ჰამზუ-ს მსგავსი; ის არამართო სიტყვის დასაწყისში გვხვდება, არამედ სიტყვის შიგნითაც და ამ შემთხვევაში, აძლევს მომდევნო ხმოვანს უფრო ხორხისმიერ ხასიათს, მაგ.: **m'el** “თავი” (*მელ*), **m'ain** “შავი” (*მაინ*), **n'a** “ორი” (*პა*) – იქვე, გვ. 2-3. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ა. დირი ფარინგალიზაციას განიხილავს არა როგორც ხმოვნების სემანტიკურ თვისებას, არამედ კონკრეტულ სპეციფიკურ თანხმოვანს მიაწერს.

გასარკვევია უდიურ საანბანო-საკითხავ წიგნში (“სამჯი დჰს”) განხორციელებული ფარინგალიზაციის აღნიშვნის პრინციპი. ფარინგალიზაცია იქ გადმოიცემა **h** ნიშნის მეშვეობით, რომელიც ქმნის კომპლექსებს სხვადასხვა ხმოვნებთან: **ha, he, hi, ho, hu**. კ. ბოუდას აზრით: “ახალი “საანბანო-წიგნი” აღნიშნავს ემფატიკურად დარბილებულ თანხმოვნებს ... ლარინგალურობის ნიშნით, რასაც ჩვენ **h** ნიშნით გადმოვცემთ” – K. Bouda, Beiträge zur Kenntnis des Udischen auf Grund neuer Texte, “Zeit-schr. d. Deutschen morgenländischen Gesellschaft”, Bd. I, Leipzig, 1913, გვ. 61.

ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება ვლ. ფანჩვიძე. მისი აზრით, **h** ნიშანი ხმოვნის კუთვნილებას წარმოადგენს და არა დამოუკიდებელ თანხმოვანს – ფანჩვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 22.

ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ). ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში მათ რიგს უმატებს გ-ს. “ფარინგალიზებულ” ხმოვნებს უდიურ მასალაში აღნიშნავს ა. ჰარისი და ვ. შულცე.

გარკვევას მოითხოვს თვით ფარინგალიზაციისა და “ფარინგალიზებული” ხმოვნების რაობის საკითხი. ფარინგალიზაციის მიზეზთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა: ევგ. ჯეირანიშვილმა რუთულურის, წახურისა და უდიურის “ფარინგალიზებული” ხმოვნების საკითხს მიუძღვნა სპეციალური წერილი, სადაც რენტგენოგრაფიულ მონაცემთა გამოყენებით დაასკვნა, რომ ამ ენებში ფარინგალიზაცია ხმოვნის თვისებაა და არა თანხმოვნისა. მკვლევარი წახურსა და რუთულურში ექვს “ფარინგალიზებულ” ხმოვანს გამოყოფს (ა, ე, ი, ო, უ. გ¹), ხოლო უდიურში, როგორც ზემოთ აღინიშნა, – ხუთს (ა, ე, ი, ო, უ)¹. ბ. თალიბოვი წახურში მხოლოდ ოთხ “გლოტალიზებულს” (resp. ფარინგალიზებულს) აფიქსირებს (ა, ი, ო, უ)². დიდოურში, ჰინუსურსა და ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში ევგ. ბოკარევი ფარინგალიზებული ხმოვნების არსებობას აღნიშნავს³, ხოლო დ. იმნაიშვილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. მკვლევარი დიდოურსა (ღ, ხ, ჳ, ყ) და ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში (გ, ქ, კ, ჰ) ფარინგალიზებულ თანხმოვნებს იმოწმებს⁴. ევგ. ბოკარევის აზრს ელ. ლომთაძე არ იზიარებს. მკვლევრის აზრით, ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში ფარინგალური (ჟ, ჰ) და “ქვემოფარინგალური” (ჭ, ყ, ღ) თანხმოვნები მოგვეპოვება⁵. ნ. ტრუბეცკოი ხმოვანთა ფარინგალიზაციის მიზეზს “ემფატიკურად დარბილებულ” თანხმოვნებს

¹ Джейранишвили Е. Ф., Лабializedанные согласные и их изменение в цахско-мухадском (рутульском) и других языках лезгинской группы, იკვ. ტ. XIV, თბილისი, 1966, გვ. 339-359.

² Талибов Б. Б., Цахурский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-Кавказские языки, Москва, 1967, გვ. 592.

³ Бокарев Е. А., Цезские (дидойские) языки Дагестана, Москва, 1959, გვ. 112; Бокарев Е. А., Хваршинский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-Кавказские языки, Москва, 1967, გვ. 422.

⁴ Имнаишвили Д. С., Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршинскими языками, Тбилиси, 1963.

⁵ ლომთაძე ე., ხვარშიული ენა, I. ფონეტიკა, თბილისი, 1998, გვ. 25.

მიაწერს¹. ამ მოსაზრებას ალ. მაჰომეტოვი იზიარებს და დარგული ენის კუბანურ დიალექტსა და თაბასარანულ ენაში ფარინგალიზებულ თანხმოვნებს აღნიშნავს²... საყურადღებოა, რომ თაბასარანულ ენაში ალ. მაჰომეტოვი ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან ერთად ფარინგალიზებულ ხმოვნებსაც გამოყოფს. სპეციალისტის აზრით, ფარინგალიზაცია ჩვეულებრივ მოუდის უკანა წარმოების თანხმოვნებს (ფარინგალურებს), ხოლო ხმოვანთაგან, ასევე უკანა რიგის ხმოვნებს (ა, უ). შესაბამისად, თაბასარანულში, როგორც მკვლევარს მიაჩნია, ხშირად ფარინგალიზებული მარცვალი გვხვდება³.

უნდა აღინიშნოს, რომ ფარინგალიზაციისათვის დამახასიათებელი არტიკულაციის თავისებურებები ერთნაირად წარმოუდგენიათ იმ მკვლევრებსაც, ვინც “ფარინგალიზებულ” ხმოვნებს ფონემებად მიიჩნევს და იმათაც, ვინც ფარინგალიზაციის მიზეზს თანხმოვნებს მიაწერს.

სრულიად განსხვავებული მოსაზრება გ. დეეტერსმა გამოთქვა. მისი აზრით, ფარინგალიზაცია არის თვისება, რომელიც ახასიათებს არა ცალკეულ ფონემას (თანხმოვანსა თუ ხმოვანს), არამედ მარცვალს, ანდა მთელ სიტყვას⁴. ამ მოსაზრებას დაეთანხმა არნ. ჩიქობავა⁵ და სხვა ზოგიერთი მკვლევარიც.

საყურადღებოა ს. კოძასოვის მოსაზრება. მკვლევარმა, უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის შესწავლის შემდეგ, მიიჩნია, რომ უდიურში ფარინგალიზაცია პროსოდის თვისებას წარმოადგენს და მთელ სიტყვაზე ვრცელდება. ს. კოძასოვის აზრით, ფარინგალიზაციის პიკი მოუდის პირველ მარცვალს, ხოლო თუ სიტყვაში გვხვდება შიშინა, უფულარული

¹ Trubetzkoy N., Die Konsonantensysteme der ost-kaukasischen Sprachen, Caucasia, 8, Leipzig, 1931.

² Магомедов А. А., Кубачинский язык, Тбилиси, 1963; Магомедов А. А., Табасаранский язык, Тбилиси, 1965.

³ Магомедов А. А., Табасаранский язык, Тбилиси, 1965, გვ. 49-51.

⁴ Deeters G., Die kaukasischen Sprachen, Leiden-Köln, 1963, გვ. 33. უნდა აღინიშნოს, რომ გ. დეეტერსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სისინა თანხმოვნების ფარინგალიზაცია შეუძლებელია, მაგრამ უდიურ ენაში სისინაც განიცდის ფარინგალიზაციას და ანლაუტში მის მარცვალზე შეიძლება ფარინგალიზაციის პიკიც მოდიოდეს, მაგ.: *ცაჟ* “ელვა”; *ცაჟნაბედლაღა[ყ]* “მაჟაურა”; *წიჟ//წიხ//ციჟ* “ციყვი”; *წოდ* [აღაღა] “თავსხმა წვიმა”, *საში* “ტაბიკი”, *სახტიკ* “კოჭლი”; *ცაშდესუნ* “დასუსხვა”, “დაშუშხვა”; *წაშდალბულ* “წაბლი”; *წაშდეუხ* “წურბელები”; *წაშდეღსუნ* “ტაშის ცემა”; *წაშლაჰჟურ* “მხალი”...

⁵ ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979, გვ. 62.

ან ფარინგალური თანხმოვანი, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი მას მოუდის¹.

ჩვენი დაკვირვებით, ეს მოსაზრება გასაზიარებელია. ამ წესს ემთხვევა სპეციალისტების მიერ ფარინგალიზებულ ხმოვანთა აღნიშვნის ზოგადი ტენდენცია. თუ ფარინგალიზებულ სიტყვაში არ არის შიშინა, უფულარული ან ფარინგალური თანხმოვანი, მაშინ, როგორც წესი, “ფარინგალიზებული” ხმოვანი, სპეციალისტთა ჩანაწერების მიხედვით, პირველ მარცვალშია, ხოლო თუ რომელიმე აღნიშნული თანხმოვანი წარმოდგენილია სიტყვაში, ამ შემთხვევაში “ფარინგალიზებული” ხმოვანი ან ამ თანხმოვნის მარცვალშია დამოწმებული, ანდა “ფარინგალიზებულ” ხმოვნებად აღნიშნულია მომდევნო და წინა ხმოვნები, მაგ.: *ა^ჩილ* “შორეული” (*ა^ჩილ*); *ო^ყენ* “ძვალი” (*ო^ყენ*)...

სპეციალისტების ჩანაწერები იმის შესახებაც მეტყველებს, რომ უდიურში ფარინგალიზაცია მთელ სიტყვაზე ვრცელდება; მაგ.: *ო^ჟ* “თოვლი” (შდრ. ნიჯის დიალექტის: *ო^ჟ* “id”); > *ო^ჟენ* “თოვლიანი”, “ზამთარი” (ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჯეირანიშვილი; ვ. გუკასიანთან არის: *ო^ჟ*; *ო^ჟენ*; *ო^ჟენ*); *ქ^ამ* “ჭუჭყი” > *ქ^ამენ* “ჭუჭყიანი” (ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჯეირანიშვილი; ვ. გუკასიანი...); **-ენ** ამ სიტყვებში დერივაციულ სუფიქსს წარმოადგენს, რომელიც წარმოშობით ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფორმანტია. ცალკე აღებულ ამ ელემენტს ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, შდრ. ანალოგიური: *უსენ* “წელიწადი”, *ტამენ* “გემრიელი”. *ბა^ა-ღე^ა-ნა* (*ვართ*), *ბა^ა-ღა^ა-ნა^ა* (*ნიჯ*.) “*გუშინწინ*”, *ბა^ა-გა^არ-ღე-ნა*//*ბა^ა-გა^არ-ღე-ნა* “*გუშინწინისწინ*”... ცალკე აღებულ სიტყვებს *ღე* “*ღღეს*”, *გა^არ* “*არეული*”, “*შერეული*”, “*შეერთებული*”, “*შერწყმული*”, “*მღვრიე*” და დერივანტს **-ნა** (წარმოშობით – მიცემითი ბრუნვის ნიშანია **-ა**, ე.წ. ჩანართოვან ელემენტთან ერთად – **-ნ**) ფარინგალიზაცია არ ახასიათებს. ამ და სხვა მრავალ ასეთ მაგალითში, მკვლევართა ჩანაწერების მიხედვით, ფარინგალიზებული ხმოვანი მომდევნოს იმსგავსებს და შეუძლებელია ეს მხოლოდ ასიმილაციითა ან სინგარმონიზმით აიხსნას.

¹ Кибрик А. Е., Кодзасов С. В., Сопоставительное изучение дагестанских языков. Имя. Фонетика, Москва, 1990, გვ. 347.

საყურადღებოა “ფარინგალიზებულ” ხმოვანთა ხშირი მონაცვლეობა, მაშინ, როდესაც არ შეინიშნება “ფარინგალიზებულ” ხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევები არაკორელატ მარტივ ხმოვნებთან, რაც ასევე იმის მანიშნებელია, რომ ფარინგალიზაციის პროცესი უდიურში არ წარმოადგენს სეგმენტურ თვისებას, მაგ., უმა//ომა “მარწყვი”, “სახსარი” [მენჯისა]; ოლ^წდ^წსუნ//ულ^წდ^წსუნ “დაღევა”; ოლ^წჭედნ//ულ^წჭედნ “ძვალი”; ოხ^წელ^წ “ნანადირევი”; შდრ.: ოხ^წა^წლ “ნადირობა”; ჭა^წლ//ჭი^წლ “ქაოსური მოძრაობა”, “არეგ-დარევა” (ჭა^წლდესუნ “ადუღება”, ჭა^წლფესუნ “დუღილი”).

არის შემთხვევები, როდესაც მარტივი ხმოვანი ახდენს ფარინგალიზებული ხმოვნის ასიმილაციას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ინარჩუნებს ფარინგალიზებულობას, რაც ასევე არ მეტყველებს “ფარინგალიზებული” ხმოვნების ფონემურობის სასარგებლოდ, მაგ.: პა^წ “ხუთი”; შდრ.: პო^წ “ორი ღერი ბალახი” (ო “ბალახი” პა^წ + ო > პო^წ); პო^წ-პო^წ “ორ-ორი” (პა^წ + ო > პო^წ); შდრ. ანალოგიური: ხო-ხო (ხა + ო > ხო) “ერთ-ერთი” (-ო – “მასუბსტანტივებელი” სუფიქსია)...

ჩვენი აზრით, უდიურში ზოგადად ფარინგალიზაციას აქვს დისტინქციური ფუნქცია, რის შესახებაც მრავალი მინიმალური წყვილი მეტყველებს, და არა რომელიმე ფარინგალიზებულ ბგერას – ხმოვანსა თუ თანხმოვანს.

უნდა აღინიშნოს, რომ უდიურის შესახებ ქართულენოვან სპეციალურ ლიტერატურაში (ვლ. ფანჩიძე, ევგ. ჯეირანიშვილი და სხვა) ფარინგალიზებულ ხმოვანთა აღსანიშნავად იხმარება * დიაკრიტიკული ნიშანი, რომელიც ასევე ინტენსიური თანხმოვნებისათვის გამოიყენება. უდიურ მასალაში ფარინგალიზაციის აღნიშვნისას ძირითადად ვხელმძღვანელობდით ს. კოძასოვის მიერ შემოთავაზებული პრინციპით, რომელიც გულისხმობს, თუ სიტყვაში არ გვაქვს შიშინა, ფარინგალური ან ველარული თანხმოვანი, ფარინგალიზაციის აღნიშვნას პირველ მარცვალზე (ე.ი. ხმოვანზე), ხოლო თუ სიტყვაში გვაქვს აღნიშნული თანხმოვნები, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი სიტყვაში მოუდის პირველ მათგანს და ფარინგალიზაციის აღმნიშველი ნიშანი სწორედ მას დაერთვის. ჩვენ მიერ მხოლოდ ფარინგალიზაციის მაქსიმუმის აღნიშვნა

იმთავითვე მთლიანი სიტყვის ფარინგალიზებულობას გულისხმობს; მაგ.: სიტყვა *პა* “ორი”-ს ზუსტი ფონოლოგიური ტრანსკრიფცია უნდა ყოფილიყო *პა*; სიტვისა *კაკა* – *კანკან*; სიტყვისა ბეღ – *ბეღ*, ხოლო სიტყვისა *ჭოჭა* – *ჭოჭან*, რაც, ბუნებრივია, ძალზე უხერხულ სატრანსკრიფციო სისტემას შექმნიდა. ეს სისტემა მოითხოვს ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშნის გამოყენებას ხმოვნებისათვის და თანხმოვნებისათვის და უდიურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად მიღებული ნიშნის გამოყენება შარმოქმნიდა უხერხულობას და გაართულებდა ფარინგალიზებული და ინტენსიური ბგერების (სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენათა მასალაში) გარჩევას. ამის გამო, ფარინგალიზაციის აღსანიშნავად ვიყენებთ ‘ ნიშანს, რომელიც უკვე იხმარება სპეციალურ ლიტერატურაში ამ ფუნქციით (ვ. შულცე და სხვა).

ფარინგალიზაციის აღნიშვნისას გარკვეულწილად მორფოლოგიური პრინციპითაც ვხელმძღვანელობთ. მხედველობაში არ მიიღება არაფუძისეული შიშინა, უფულარული და ფარინგალური თანხმოვანი, ანუ თუ სიტყვაში მოგვეპოვება რომელიმე მათგანი, მაგრამ ფუძის გარეთ, მაშინ ფარინგალიზაციას აღმნიშვნელი დიაკრიტიკა ფუძის პირველ ხმოვანს დაერთვის (თუ ფუძეში არ გვაქვს რომელიმე აღნიშნული თანხმოვნებიდან). ასევე, ჩვენი დაკვირვებით, პირის ნიშნები ხელს უშლის ფარინგალიზაციის გავრცობას (ზმნაში თუ სხვა), მაგ.: *უღ-ეს* “სმა”; *უნე-ღ-ესა* “სვამს” (+ 3SG – -ნე). ფონოლოგიური თვალსაზრისით უფრო უპრიანი იქნებოდა ეს ფორმა ასე გადმოგვეცა: *უნეღესა*, მაგრამ აქაც და მსგავს მაგალითებშიც, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, ვსარგებლობთ მორფოლოგიური პრინციპით.

ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშანი დაერთვის შემდეგ ბგერებს: **ა, ე, ი, ო, უ; ღ, ხ; ჳ, ყ**; შესაბამისად, შესაძლებელია შემდეგი გრაფიკული კომბინაციები: **ა, ე, ი, ო, უ; ღ, ხ; ჳ, ყ**.

ფარინგალიზაცია, როგორც ჩანს, საერთო ლეზგიურისათვის უკვე იყო დამახასიათებელი. ამის შესახებ მეტყველებს ფარინგალიზაციის თვალსაზრისით იდენტური ბგერათშესატყვისობების არსებობა ლეზგიურ ენათა შორის, მაგ.: უღ. *მაჯ* – თაბ. *მაჯუ*, რუთ. *მახუ*, წახ. *მუჯ*, კრიწ. *მაღ*, ად. *მელუ* “რკო” [მუხის];

უდ. *ღ¹ოღ* – ლეზგ. *ჭ^აურ*, თაბ. *ჭ^აურ/ღ¹ურ*, ად. *ღ¹ურ*, რუთ. *ღ¹ირ*,
წახ. *ჭ^აიღე*; შდრ. აგრეთვე: დიდ. *ჭ^აად*, ხვარშ. *ჭ^აე* “კურდღელი”...

ხშირია შემთხვევები, როცა სხვა ლეზგიურ და (/ან) დადესტნურ
ენებში დადასტურებული ფარინგალური თანხმოვანი უდიურში
დაკარგულია, მაგრამ მის ნაცვლად გვხვდება ფარინგალიზაცია, რაც
გვაფიქრებინებს, რომ ფარინგალიზაცია უდიურში წარმოადგენს ერთგვარ
საკომპენსაციო პროცესს, რომელიც გამოწვეულია ფარინგალური
თანხმოვნების შესუსტებით, შემდგომი დაკარგვით ან სხვა კონსონანტებში
გადასვლით, მაგ.:

უდ. *ა¹შ* < **გ¹Vნ* – არჩ. *ჭ^აუნ*, თაბ. *ღ¹უნ*, რუთ. *ღ¹უნ* “მხარი”; შდრ.
აგრეთვე: წახ. *ღ¹ულ ხე* “ნიხაბი”;

უდ. *ეშ* < **ჭ^ეშ* < **ჭ^ენ* – ხუნდ. *ჭ^ენ*, ასვ. *ჭ^ენგ*, დიდ. *ჭ^ენეშ*, *ჭ^ინუ*, ლაკ.
ჭ^ინუჩ, ად. *ჭ^ან* “ვამლი”;

უდ. *იშ¹ენ* < **გ¹Vგ¹-Vნ* < **გ¹Vღ-Vნ* – ლეზგ. *ეშ¹დ*, თაბ. *ეშ¹რდ*, ად.
ღ¹ურდ, რუთ. *ეშ¹დ*, წახ. *ეოღიმ*, ბუდ. *ეაჯ¹რაჯ¹*, კრიწ. *ეშ¹დ*, ხინ. *კინაჯ*, არჩ.
ეოტა-იჯ “ზამთარი”;

უდ. *პა¹* < **ჭ^აV* – ლეზგ. *ჭ^აედ*, თაბ. *ეშ¹დ*, ად. *ეშ¹დ*, რუთ. *ჭ^აად*, წახ.
ეოღ, ბუდ. *ეად*, კრიწ. *ჭ^აად*, ხინ. *კუ*, არჩ. *ჭ^აეგუ* “ორი”;

უდ. *მო¹ღ* < **მ¹Vგ¹Vღ* – ლეზგ. *ეიფ*, *ეუშ* (ახტ), *ეუხ¹* (ფიი), თაბ.
ეოღ, ად. *ჭ^აელ/ეშ¹ღ*, რუთ. *ეღ*, წახ. *ეოგ*, ბუდ. *ეად*, ხინ. *ნუეურ*, არჩ.
ნოეონ;

უდ. *ჭ^აე-[ნ]* < **ღ¹Vნ* – ლეზგ. *ჭ^აუნ*, თაბ. *ღ¹უნ*, ად. *ღ¹უნ* “ქვა”; შდრ.
ასევე ხუნდ. *ეონო*, არჩ. *ჭ^აუნ* “ქვის ფილა”;¹

¹ ბ. გიგინეიშვილის აზრით, აქ უნდა გვქონდეს საერთო დადესტნური **ღ*-ს რეფლექსები
– Гигенейшвили Б.К., Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси, 1977, გვ. 85.

კონსონანტიზმი

კონსონანტთა სისტემა: სოფ. ოქტომბერი (ზინობიანი)

	სშუელი			აფრიკატი			სპირანტი		სონორი
	მჟღერი	ფშვინგ.	აბრუპტ.	მჟღერი	ფშვინგ.	აბრუპტ.	მჟღერი	ყრუ	
ლაბიალური	ბ	ფ	პ				მ		მ
დენტალური	დ	თ	ტ	[d]	ც	წ	ზ	ს	ნ, ლ
ალვეოლარული				ჯ	ჩ	ჭ	შ	შ	რ
შუაენისმიერი									ლ
უკანაენისმიერი	გ	ქ	კ				ღ	ხ	
ფარინგალური					ჭ	ყ			
ლარინგალური								ჰ	

კონსონანტთა სისტემა: სოფ. ნიჯი და ქ. ოღუზიდან (ვართაშენიდან)

გადასახლელი უდიეები.

	სშუელი			აფრიკატი			სპირანტი		სონორი
	მჟღერი	ფშვინგ.	პრეჟუ.	მჟღერი	ფშვინგ.	პრეჟუ.	მჟღერი	ყრუ	
ლაბიალური	ბ	ფ	ფჟ				მ		მ
დენტალური	დ	თ	თჟ	[d]	ც	ცჟ	ზ	ს	ნ, ლ
ალვეოლარული				ჯ	ჩ	ჩჟ	შ	შ	რ
შუაენისმიერი									ლ
უკანაენისმიერი	გ	ქ	ქჟ				ღ	ხ	
ფარინგალური					ჭ	ჭჟ			
ლარინგალური								ჰ	

შენიშვნა: [...] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია ფონემური ღირებულების არმქონე ბგერები.

უდიური ენის თანხმოვნები არსებითად ისეთივეა, როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში. პრინციპული განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სოფ. ოქტომბერის (ზინობიანის) მეტყველების გამოკლებით, უდიურ ენაში აბრუპტიული თანხმოვნები გადავიდნენ პრერუპტივებში. ტაბულებში მოყვანილ თანხმოვანთა თავისებურებები ზოგადად ცნობილია. წარმოგიდგენთ საილუსტრაციო მასალას:

ჩქამიერი თანხმოვნები

ხშულ-მსკდომნი

ბილაბიალური თანხმოვნები

ბ. ბაბა (ვართ.) “მამა”; ბიბი “ხიდი”; ბულ “თავი”; ბეს “კეთება”...
ფ. ფოფ “თმა”; ფუფ “წიფელი”; ფულ “თვალი”; ფოთიკ “გოჭი”...
პ//ფ. პა “ორი”; პი “სისხლი”; პეა “აკენის ლეიბი”; პური “მკვდარი”...

დენტალური თანხმოვნები

დ. დად “მამიდა”; დიხიკ “გველი”; დადალ “მამალი”; დად “ნედლი”...
თ. თათიკ “თათი”; თამბა “ზარმაცი”; თულქი “მელია”; თე “არა”...
ტ//თ. ტამ “გემო”; ტაძნა “ფეთვი”; ტატ “ბუზი”; ტეკალ “კალია”...

უკანაენისმიერი თანხმოვნები

გ. გა “ადგილი”; გონ “ფერი”; გოგ (ვართ.) “ცა”; გუგელ “ჭოტი”...
ქ. ქალა “დიდი”; ქეჯე “მუავე”; ქოდ “სახელო”; ქულ “ხელი”...
კ//ქ. კაკაპ “მუხლი”; კაშა “თითი”; კიწი “ცოტა”; კოკოწ “ქათამი”...

აფრიკატები

სისინა აფრიკატები

[ძ]. ამჟამად უდიურში ძ აფრიკატი გვხვდება მხოლოდ რამდენიმე ნასესხებ სიტყვაში. ევგ. ჯეირანიშვილი ამ ფონემას სულ ოთხ სიტყვაში იმოწმებს: *ძაბრი* “ძაბრი”, *ხაძალ* “ფოთოლი”, *მანძილ* “მანძილი” და *ღანძილ* “ღანძილი”. ამასთან, მკვლევარი შენიშნავს, რომ ოთხივე მაგალითში ძ აფრიკატს ფაკულტატურად ზ სპირანტი ენაცვლება: *ზაბრძ*; *ხაზალ*; *მანზილ*; *ღანზილ*¹. ვლ. ფანჩვიძეს ამ აფრიკატით ორი სიტყვა მოჰყავს: *ღანძელ* “ღანძილი” და *ძეტ* “ზეთი”²; ვ. გუკასიანის ლექსიკონში გვხვდება: *ბირინძ* “ბრინჯი”; *ღანძილ* “ღანძილი”; *ღანძილელულ* “ღანძილიანი ადგილი”; *ძაბური* “ძაბრი”; *ძახ* “მარცხენა”, “მარცხნივ”; *ჭრანძუხ* “საფლავე”, “სასახლე”³.

ც. ცაც “ეკალი”; ცეც “ჩრხილი”; ცილ “თესლი”; ციციკ “ყვავილი”...

წ//ც. წაბულ “წაბლი”; წი “სახელი”; წირიკ “წიწილა”; წეთ “ზეთი”...

შიშინა აფრიკატები

ჯ. ჯანავარ “მგელი”; ჯეჯერ “ბაგე”; ჯოკ “ცალკე”...

ჩ. ჩალი “თევზი”; ჩენ “ფიჭა”; ჩო//ჩო “სახე”; ჩუბუხ “ცოლი”...

ჭ//ჩ. ჭაღაგ “ტყე”; ჭან “კარაქი”; ჭაჭი “შაშვი”; ჭოჭა “წითელი”...

ფარინგალური თანხმოვნები

კ. კაბუნ “ვარსკვლავი”; კად “ღია”; კო “ხუთი”; კოხლა “კვერცხი”...

ყ//კ. ყა “ოცი”; ყი “შიში”; ყომ “ნათესავი”; ყოყ “სახელი”...

¹ ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 13.

² ფანჩვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 27.

³ Гукасян В. Л., Удинско-азербайджанско-русский словарь, Баку, 1974.

სპირანტები

დენტოლაბიალური თანხმოვნები

- ვ. ვახტ “ღრო”; ველ “თხა”; ვიხი “ძმა”; ვიწ “ათი”; ვუდ “ცხრა”...
ფ. ფი “ღვინო”; ფაწრიშტა “ანგელოზი”; ჟაწან “თქვენ”; ჟუ “ჰაერი”...

სისინა სპირანტები

- ზ. ზუ “მე”; ზიდო “რკინა”; ზორ “ძალა”; ზარრა ზამთარ “ბზობა”...
ს. სა “ერთი”; სან “ხმა”; სეფხე “მაზლი”; სედნე “დედამთილი”...

შიშინა სპირანტები

- ქ. ქე “ქვა”; ქომოხ “წისქვილი”; ქოდულ “ზაფხული”...
შ. შავატ “ლამაზი”; შელ “კარგი”; შუმ “პური”; შუე “დათვი”...

უვულარული თანხმოვნები

- ღ. ღი “ღღე”; ბელ “მზე”; ღარ “ვაჟი”, “ბიჭი”; ღოდ “ტყემალი”...
ბ. ბა “ძაღლი”; ბე “წყალი”; ბიბ “სამი”; ბინარ “ქალიშვილი”...

ლარინგალური თანხმოვანი

- ჰ. ჰაზარ “ათასი”; ჰასო “ღრუბელი”; ჰინტ “ინდაური”; ჰვეჭ “კინძი”...

სონორები

- მ. მარალ “ირემი”; მი “სიცვიე”; მოზი “ხბო”; მუხ “ენა”; მულ “რვა”...
ნ. ნანა “დედა”; ნელ “ცრემლი”; ნეშუმ “ყვითელი”; ნიკო “ბურთი”...

რ. რ ბგერა უდიურ ენაში აბსოლუტურ ანლაუტში თითქმის არ გვხვდება (თუ არ ჩავლით რამდენიმე ნასესხებ სიტყვას, მაგ.: რაშ “რაში”), ხოლო ინლაუტსა და აუსლაუტში რ ბგერის პოზიცია მყარია, მაგ.: თურ “ფეხი”; ზორ “ძალა”; ტური “ძაფი”; ფორთბეს “მოთმენა”...

ლ. ღაღ “მუნჯი”; ღაშკო “ქორწილი”; ღიღ “ღამი”; ბულ “თავი”...

ღ. დან “ჩვენ”; ძეზნა “სიზე”; ძუ “რბილი”; ძაყ “გზა”; ძემიშ “ნესვი”...¹

[ჟ]. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, უდიურს მოეპოვება ბილაბიალური სონანტი ჟ. ვლ. ფანჩვიძე მიიჩნევს, რომ ეს ბგერა უ//ო და ა ხმოვანთა შორის ვითარდება და მას შემდეგ სიტყვაფორმებში იმოწმებს: მონო-ჟ-ალ “ისიც” (+ADD); კუჟა “სახლს” (DAT); ზუ-ჟ-ალ “მეც” (+ADD)² ბუნებრივია, ამ ბგერას არ გააჩნია ფონემური ღირებულება.

აბრუპტიულ თანხმოვანთა საკითხი უდიურ ენაში

აბრუპტივთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება გამოითქვა:

ზოგი მკვლევარის აზრით, უდიურს მხოლოდ სამი აბრუპტივი მოეპოვება: ყ, წ, ჭ და სამი პრერუპტივიც: ქ, ფ, თ.³

ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჯეირანიშვილი და ვ. გუკასიანი კი მიიჩნევენ რომ უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ დასტურდება

¹ ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, უდიურში ორი სახის ღ გვხვდება. პირველი თანხმოვანთა პალატალიზაციის შედეგადაა წორმოქმნილი, ხოლო მეორე – ი ხმოვნის დასუსტებითაა მიღებული – ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971.

² ფანჩვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 28; იქვე, გვ. 25; იქვე, გვ. 39.

³ ა. დირი უდიური ენაში ძ, ძ და q ბგერებს აღნიშნავს, რომლთაც ქართულ წ, ჭ, ყ და სომხურ ბ, ძ ასო-ბგერებს უდარებს, ხოლო п, т, к ბგერები რუსულ п, т, к ბგერებთანაა შედარებული, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მკვლევარი უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში სამ აბრუპტივს და სამ პრერუპტივს გამოყოფს – Дирр А. М., Грамматика удинского языка, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа”, XXXIII вып., ч. IV, Тифлис, 1904, გვ. 2.

სამ აბრუპტივს (წ, ჭ, ყ) და სამ პრერუპტივს (ქ, ფ, თ), ან როგორც მკვლევარი უწოდებს – “არაფშვინვიერ ხშულ-მსკლამს”, უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში დ. კარბელაშვილიც აღნიშნავს – Карбелашвили Д. К., К фонетике удинского языка, Язык и Мышление, т. III-IV, Москва-Ленинград, 1935.

პრერუპტივები და მასში მხოლოდ აბრუპტივებია წარმოდგენილი: პ, ტ, კ, ყ, წ, ჭ [ჭჷ]. ამის გარდა ვლ. ფანხვიძე აღნიშნავს, რომ უდიურში დასტურდება ე.წ. ნახევარ-აბრუპტივები (“მეოთხე რიგის ხშულები”; “საშუალი ბგერები” – ყ, კ, პ, ტ), რომლებსაც, ვლ. ფანხვიძის აზრით, “ჯერ არ მიუღიათ ფონემატური ღირებულება”¹. ამასთან ერთად, მკვლევრის მოსაზრებით: “პ, ტ, კ, ყ სმენითი შთაბეჭდილების მიხედვით უდიურში ნაკლებად მკვეთრებია, ვიდრე, მაგალითად, ქართულ-ქართველურში”².

სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი ბ. თალიბოვმა წარმოგვიდგინა. მკვლევრის აზრით, უდიურ ენას საერთოდ არ მოეპოვება აბრუპტივები. ვართაშნულ კილოში, როგორც ბ. თალიბოვი მიიჩნევს, აბრუპტივთა დეგრადაციისა და პრერუპტივებში გადასვლის პროცესი დასრულებულია, ხოლო ნიჯის დიალექტში – დასრულების სტადიაშია.³

მოგვიანებით, ვ. გუკასიანმა გაიზიარა ბ. თალიბოვის მოსაზრება⁴.

ბ. თალიბოვის მოსაზრებას ნაწილობრივ არნ. ჩიქობავამაც იზიარებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ: “საყურადღებოა ბ. თალიბოვის დაკვირვება: მკვეთრებს უდიურში პრერუპტივები ცვლისო. პრერუპტივებს ნიბისმიერ პოზიციაში ვიპოვითო ... (კახეთში – სოფ. ოქტომბერში დასახლებული უდიების მეტყველებას მკვეთრები დაუცავს, ქართული მეტყველება ამას ხელს უწყობდა)”⁵.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას. ჩვენი აზრით, უეჭველია, რომ სოფ. ოქტომბერის უდიურ მეტყველებას შემოუნახავს

¹ ფანხვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 30-31. წარმოდგენილ ბგერათა ტრანსკრიფცია მოცემულია ვლ. ფანხვიძის მიხედვით.

² იქვე, გვ. 15.

³ Талибов Б. Б., К вопросу об абруптивных согласных в удинском языке, Тезисы докладов II региональной научной сессии по историко-сравнительному изучению иберийско-кавказских языков, Тбилиси, 1967; Талибов Б. Б., К вопросу об абруптивных согласных в удинском языке, ЕИКЯ, т. 1, 1974; იხ. აგრეთვე: Талибов Б. Б., Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва, 1980, გვ. 176-180; 186-194.

⁴ Гукасян В. Л., Взаимоотношения азербайджанского и удийского языков, Автореферат докторской диссертации, Баку, 1973; უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ ვ. გუკასიანი უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში ისევ ორ აბრუპტიულ თანხმოვანს (წ, ჭ) იმოწმებს – Гукасян В. Л., Краткий очерк грамматики удинского языка, В кн.: Удинско-азербайджанско-русский словарь, Баку, 1974, გვ. 255.

⁵ ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979, გვ. 70-71.

აბრუპტივები. ჩვენი დაკვირვებით, უფროსი თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში **წ** და **ჭ** აფრიკატები მკვეთრად გამოითქმის (ისევე როგორც ქართულში), ხოლო **ყ**, **კ**, **პ**, და **ტ** ბგერები ზოგიერთ პოზიციაში (ძირითადად – აუსლაუტში) შესუსტებული ჩანს, მაგრამ, არა იმდენად, რომ პრერუპტივებად მივიჩნიოთ. საშუალო და უმცროსი თაობათა მეტყველებაში კი – ყველა აბრუპტივი მკვეთრად გამოითქმის, დაახლოებით ისევე, როგორც ეს არის ქართულში.

ამასთან ერთად, საშუალება მოგვეცა დაკვირვებოდით ქ. ოღუზის (ვართაშენი) და სოფ. ნიჯის მეტყველებას.¹ ჩვენი აზრით, ბ. თალიბოვის მოსაზრება უდავოდ გასაზიარებელია. უფრო მეტიც: ნიჯურში შეინიშნება ტენდენცია ფშვინვიერი–არაფშვინვიერი დაპირისპირების ნეიტრალიზაციის. თუ ერთ სიტყვაში ფშვინვიერიც და პრერუპტივიც გვხვდება, მაშინ ფშვინვიერი ამ უკანასკნელს ემსგავსება, თუმცა ეს დასკვნა, რა საკვირველია, ექსპერემენტალურ დადასტურებას საჭიროებს.

საყურადღებოა, რომ პრერუპტივები ან შემონახული აბრუპტივები უდიურ ენაში, როგორც წესი, საერთო დადესტნურისათვის და (//ან) საერთო ლეზგიურისათვის პოსტულირებულ ინტენსიურ აბრუპტივებს შეესატყვისება, ხოლო საერთო დადესტნურის//საერთო ლეზგიურის მარტივი, არამაგარი აბრუპტივი საერთოდ დაკარგულია (ზოგჯერ აბრუპტივი გადასულია **დ**-ში ან სხვა რომელიმე კონსონანტში).²

ინტენსიურ თანხმოვანთა საკითხი უდიურ ენაში

თითქმის ყველა მკვლევარი უდიურში გამოყოფს მეორე რიგის სიბილანტებს. **ჟ** და **შ** შიშინების კორელატებს უდიურში აღნიშნავს ამ ენის პირველი მკვლევარი ა. შიფნერი. ერთი ასეთი სიბილანტი (**ჩ**) გვხვდება ა. ღირის ნაშრომებში უდიურის შესახებ. ორი მეორე რიგის

¹ ქ. ოღუზისა და სოფ. ნიჯის მეტყველების ნიმუშთა აუდიოჩანაწერები მოგვაწოდა რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ი. ლანდერმა, რისთვისაც მას დიდ მადლობად ვუხდით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სოფ. ოქტომბერში ჩვენი ძირითადი ინფორმანტი იყო ქ. ოღუზში (მაშინ – ქ. ვართაშენი) დაბადებული ქ-ნი ოლღა ტიგიროვა-ქუმსიაშვილი.

² იხ.: ცერცვაძე ილ., მეხუთე ლატერალური თანხმოვნის შესატყვისობისათვის უდიურ ენაში, იკე, XIV, 1964; Талибов Б. Б., Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва, 1980, გვ. 189-194.

შიშინა სპირანტი, ა. შიფნერის მსგავსად, წარმოდგენილია უდიურ ზღაპარში “რუსტამ” და “უდიური ოთხთავის” ტექსტში. ასეთივე ვითარება გვაქვს უდიურ საანბანო წიგნშიც. ხუთი ინტენსიური შიშინა თანხმოვანი (ჟ, შ, ჯ, ჩ, ჭ) პირველად გვხვდება ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ. ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში მათ რიგს უმატებს სისინა წ-ს. ინტენსიურ შიშინებს (ჟ, შ, ჯ, ჩ, ჭ) გამოყოფს უდიურ მასალაში ა. ჰარისი და უდიური ენის ზოგიერთი სხვა თანამედროვე მკვლევარი.

ვლ. ფანჩვიძის, ევგ. ჯეირანიშვილისა და ვ. გუკასიანის აზრით, უდიურს მოეპოვება შიშინა აფრიკატებისა და შიშინა სპირანტების “ინტენსიური” (“მყოვარი”) კორელატები: ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ. ვლ. ფანჩვიძე ამ ბგერებს შემდეგ სიტყვებში აფიქსირებს: *შუმ* “პური”, *ჟე* “ქვა”, *შაღდესუნ* “ადუღება”, *ჭოჭა* “წითელი”...; ვ. გუკასიანი ადასტურებს შემდეგ სიტყვებში: *ქშ* “ვაშლის ხე”, *ოჟულ* “კული”, *კონჯაუხ* “პატრონი”...; ევგ. ჯეირანიშვილთან გვაქვს: *შუ* “ღამე”, *ბაჩ* “ასი”, *აჩი* “დაკარგული” “დამალული”, *ყაჭ* “ტკივილი” *ჭაპ* “გამქრალი”...

უდიურში ინტენსიურების არსებობასთან დაკავშირებით, ბ. გიგინეიშვილმა სამართლიანი შენიშვნა გამოთქვა. მისი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში მჟღერი ინტენსიურების (ჟ, ჯ) პოსტულირება (ასეთი ფონემები არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენებში არ გვხვდება) და ინტენსივობის კორელაცია ერთ ლოკალურ რიგში (შიშინათა) ეჭვქვეშ აყენებს ინტენსიურთა მთელი რიგის კვალიფიკაციას, ხოლო მათი “ინტენსივობა”, ბ. გიგინეიშვილის აზრით, მთელ რიგ შემთხვევაში გამოწვეულია ფარინგალიზებულ ხმოვნებთან მეზობლობით¹.

ბ. გიგინეიშვილი შენიშნავს, რომ სპეციალისტთა ჩანაწერების შედარებისას, ან, მით უფრო, ერთი მკვლევრის მასალებში, თვალშისაცემია ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებულად ჩაწერის ფაქტები: ზოგან ინტენსიურით, ზოგან კი არაინტენსიურით, მაგ., ევგ. ჯეირანიშვილის მონოგრაფიაში “უდიური ენა: გრამატიკა. ქრესტომატია. ლექსიკონი” (1971

¹ Гигенейшвили Б. К., Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси, 1977, გვ. 61-63.

წ.) წარმოდგენილია: *იჷ* (გვ. 22) – *იჷ* (გვ. 208, 249) “თოვლი”; *ჟოლ* (გვ. 214) – *ჟოლ* (გვ. 33, 78) “საცობი”; *უჭ* (გვ. 22) – *უჭა* (გვ. 217, 254) “თაფლი”; *კაჭი* (გვ. 28, 219) – *კაჭი* (გვ. 255) “ბრმა”; *ჭოჭა* (გვ. 220, 258) – *ჭოჭა* (გვ. 32) “წითელი”.

ბ. თალიბოვმა შეამოწმა ის სიტყვები, სადაც მკვლევართა აზრით, ინტენსიურები უნდა გვექნოდა და ვერ დაადასტურა ინტენსიუობის მიხედვით კორელაციის არსებობა უდიურში¹.

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ერთადერთი ცდა, რომ უდიურში ინტენსიურ შიშინა თანხმოვნების ფონემურობა დამტკიცებულიყო. ევგ. ჯეირანიშვილმა ინტენსიურთა დისტინქციური ფუნქციის საილუსტრაციოდ მოიყანა შემდეგი მინიმალური წყვილები: *შუ* “ღამე” – *შუ* “ვინ”; *ბაჩ* “ასი” – *ბაჩ* “ქვევრზე დასაფარებელი ქვა”; *აჩი* “დაკარგული” “დამალული” – *აჩი* “თამაში”; *ყაჭა* “ტკივილი” – *ყაჭ* “ვიწრო”; *ჭაა* “გამქრალი” – *ჭაა* “ვაზი”².

სამეცნიერო მივლინებით რამდენჯერმე ვიმყოფებოდით ყვარლის რაიონში უდიებით დასახლებულ სოფ. ოქტომბერში (ზინობიანი). მივლინებისას გადავამოწმეთ ის სიტყვები, სადაც, მკვლევრები ინტენსიურ თანხმოვნებს იმოწმებდნენ. ჩვენი დაკვირვებით, შიშინა თანხმოვნები გამოითქმის ერთნაირად და არანაირი კორელაცია მათ შორის არ შეინიშნება, ხოლო, უმეტეს შემთხვევაში, ინტენსიურ თანხმოვნებს ვარაუდობენ იმ სიტყვებში, სადაც გვაქვს ფარინგალიზაცია. შევამოწმეთ აგრეთვე ევგ. ჯეირანიშვილის მიერ ინტენსიურების დისტინქციური ფუნქციის საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები და დავიმოწმეთ აღნიშნული ლექსემები შემდეგი ფორმით: *აჩი* “დაკარგული”, “დამალული” – შდრ. ევგ. ჯეირანიშვილის: *აჩი*, *ბაჩ* “ასი” – შდრ.: *ბაჩ*, *ბაჩ* “ქვევრზე დასაფარებელი ქვა” – შდრ.: *ბაჩ*, *ყაჭ* “ტკივილი”, “დაჭლეტვა”, “დაწნეხვა” – შდრ.: *ყაჭა* “ტკივილი”. მაშასადამე, ჩვენი დაკვირვებით, *აჩი* (*აჩი*) “დაკარგული” “დამალული” – *აჩი* “თამაში”, *ყაჭა* (*ყაჭ*) “ტკივილი” – *ყაჭ*

¹ Талибов Б. Б., Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва, 1980, გვ. 181.

² ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 14.

“ვიწრო” ლექსემებში განსხვავება ფარინგალიზაციის პროცესის გამო წარმოიქმნა, ხოლო ბაჩ (ბაჩ) “ასი” – ბაჩ (ბაჩ) “ქვევრზე დასაფარებელი ქვა”, შუ (შუ) “ღამე” – შუ “ვინ” და ჭაა (ჭაა) “გამქრალი” – ჭაა “ვაზი” მაგალითების შემთხვევაში ინფორმატორებისაგან მსგავს განმარტებას ვიღებდით: ეს ერთი და იგივე უღერადობის სიტყვებია, მაგრამ თითოეულს ორი მნიშვნელობა აქვსო, ანუ დღეს უდიურ ენაზე მოლაპარაკეთათვის ეს წყვილები ომონიმებს წარმოადგენენ¹.

საფიქრებელია, რომ უდიურში გავრცელებულ ფარინგალიზაციის პროცესსა და მკლევართა მიერ დამოწმებულ “ინტენსიურებს” შორის კავშირი არსებობს. სპეციალისტთა მასალებში “ინტენსიური” თანხმოვნები, ხშირ შემთხვევაში, გვხვდება ფარინგალიზებული ხმოვნების გვერდით (პოსტპოზიციაში, პრეპოზიციაში ან ინტერვოკალურ პოზიციაში), მაგ.: ეშ “ვაშლი”; იჭ “თოვლი”; იჭენა “ზამთარი”; ჯაღდესუნ “ადულება”; ჯე “ქვა”; უჭბაჭა “ექვსასი”; იჭილ (ვართ.)//იჭულ (ნიჯ.) “კული”...

ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ უდიურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მკლევართა (ევგ. ჯეირანიშვილი, ვლ. ფანჩვიძე და ვ. გუკასიანი) ჩანაწერების შედარებისას ანდა ერთი სპეციალისტის მასალებში ხშირია ფარინგალიზებული ხმოვნებისა და ინტენსიური თანხმოვნების მონაცვლეობის (არაერთგვაროვანი ჩაწერის) შემთხვევები,

¹ ევგ. ჯეირანიშვილი იმავე ნაშრომის რუსულ რეზიუმეში, სადაც წარმოდგენილია ინტენსიურთა მინიმალური წყვილები, აღნიშნავს *“Возникновение омонимов обусловлено главным образом внешним совпадением в результате фонетических изменений слов (в частности в результате упрощения-ослабления артикуляции интенсивных согласных), например: ачи (<ачъи) «потерянный», «утеренный» - ачи «игра», муча (<мучIа) «сладкий» - муча «горсть», чIаnI (<чIъаnI) «угасиий» - чIаnI «лоза», шу (<шъу) «ночь» - шу «кто», шор (<шIор) «творог» - шор «так», «таким образом»* – ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, 310.

ეს დებულება ასევე გვხვდება ევგ. ჯეირანიშვილისა და ვლ. ფანჩვიძის უდიური ენის ერთობრივ მიმოხილვაში: *“Возникновение омонимов обусловлено главным образом внешним совпадением в результате фонетических изменений слов, например: ачи (<ачъи) «потерянный», «утеренный» - ачи «игра», шу (<шъу) «ночь» - шу «кто», чIаnI (<чIъаnI) «угасиий» - чIаnI «лоза»* – Панчвидзе В.Н., Джейранишвили Е.Ф., Удинский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки, Москва, 1967, გვ. 686;

აღსანიშნავია, რომ ეს მაგალითები წარმოდგენილია ევგ. ჯეირანიშვილის მონოგრაფიის 14-ე გვერდზე როგორც მინიმალური წყვილები, მიუხედავად იმისა, რომ იმავე ნაშრომში მკვლევარი მათ ინტენსიურთა მოშლის შედეგად წარმოქმნილ ომონიმებად მიიჩნევს.

ანუ ერთსა და იმავე სიტყვაში ზოგჯერ დამოწმებულია გვერდიგვერდ მყოფი ფარინგალიზებული ხმოვანი და მარტივი შიშინა თანხმოვანი, ზოგჯერ ინტენსიური შიშინა და მარტივი ხმოვანი, ზოგჯერ კი – ინტენსიური შიშინა და ფარინგალიზებული ხმოვანი, მაგ., *იჟ*¹ – *იჭ* – *იჭ*² “თოვლი”; *ჟე*³ – *ჟე*⁴ “ქვა”; *ოჯაიღ* – *ოჟიღ*⁵ – *ოჯიღ*⁶ “კუდი”; *იშა*⁷ – *იშა*⁸ – *იშა*⁹ – *იშა*¹⁰ – *იშა*¹¹ – *იშა*¹² “ახლოს”; *ჩო*¹³ – *ჩო*¹⁴ “სახე”; *ქან*//*ქან*//*ქაშ*¹⁵ – *ქაშ*¹⁶ “ორმო”, “თხრილი” – *ქაშ-კალ*¹⁷ “ორმოს//თხრილის კიდე”...

გვაქვს შემთხვევები, როცა ერთ დიალექტში დაფიქსირებულია ინტენსიური თანხმოვანი, მეორეში კი ფარინგალიზებული ხმოვანი, მაგ.: *ჟუჯათუესუნ* (ნიჯ.) – *ჩუხტესუნ* (ვართ.) “შეყოფა”, “შეტენვა”, “შეჭრა”¹⁸; *ოჟულ* (ნიჯ.) – *ოჟილ* (ვართ.) “კუდი” (12, 182)¹⁹...

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენ გადავამოწმეთ ის სიტყვები, სადაც მკლევართა აზრით “ინტენსიური” თანხმოვნები უნდა გვქონოდა. საყურადღებოა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, სადაც სპეციალისტთა მიერ

¹ ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 22.

² იქვე, გვ. 208, 212; ფანჩვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 19.

³ Гукасян В. Л., Удинско-азербайджанско-русский словарь, Баку, 1974, გვ. 130.

⁴ ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29; ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 206.

⁵ ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 114.

⁶ ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.

⁷ ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 182.

⁸ ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 205.

⁹ ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.

¹⁰ იქვე, გვ. 19.

¹¹ ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 205.

¹² ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 130.

¹³ ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30; ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 242.

¹⁴ ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 203.

¹⁵ ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი.

¹⁶ ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30; ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133.

¹⁷ ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 134.

¹⁸ იქვე, გვ. 115.

¹⁹ იქვე, გვ. 182.

ნავარაუდევია ინტენსიური, ჩვენ დავიმოწმეთ ფარინგალიზაცია, მაგ.: *აწი* “დაკარგული”, “დამალული”; *აწიბესუნ* “დაკარგვა” – შდრ.: *აწი*; *აწიბესუნ*; *ბაწ* “ასი”, “ქვევრზე დასაფარებელი ქვა” – შდრ.: *ბაწ* “ასი”; *ეშ* “ვაშლი” – შდრ. *ეშა*; *იწ* “თოვლი” – შდრ.: *იწ* და *იწა*; *იშა* “ახლოს” – შდრ.: *იშა*⁷ და *იშა*⁸; *იშკესუნ* “ვარცხნა”, “დავარცხნა” – შდრ.: *იშკესუნ*⁹; *კაჭი* “ბრმა” – შდრ.: *კაჭი*¹⁰; *ჭაღდესუნ* “ადუღება” – შდრ.: *შაღდესუნ*¹¹ და *ჭაღდესუნ*¹²; *ჭიკ* “ქნევა”, “რწევა” – შდრ.: *ჭიკ*¹³; *ჭოღ* “საცობი” – შდრ.: *ჭოღ*¹⁴; *ჭომოხ* “პირი” – შდრ.: *ჭომოხ*¹⁵; *ჭოღულ* “ზაფხული” – შდრ.: *ჭოღულ*¹⁶; *ოწაღ* “მიწა”, “ზედაპირი” [დედამიწის], “ნიადაგი” – შდრ.: *ოწაღ*¹⁷; *ოჭი*//*ოჭი* “ტალახი” – შდრ.: *ოჭი*¹⁸; *უჭ* “თაფლი” – შდრ.: *უჭ*¹⁹; *ქაწფესუნ* “ამოთხრა”, “ჩაფვლა” – შდრ.: *ქაწფესუნ* (ნიჯ.)²⁰; *ღაწფესუნ* “შეკვრა”, “შეყოფა” – შდრ.: *ღაწფესუნ*²¹; *ჭაჭ* “ტკივილი”, “დაჭლეტვა”, “დაწნეხვა” – შდრ.: *ჭაჭ* “ტკივილი”²²; *შუმაკ*

1 ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.
2 ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.
3 ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.
4 ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 85.
5 ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 22.
6 ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 131.
7 ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.
8 ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 130.
9 იქვე.
10 ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 28; 219.
11 ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.
12 ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 114.
13 იქვე.
14 ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 214.
15 ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 114.
16 ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.
17 იქვე. გვ. 29.
18 იქვე.
19 ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 217, 254; ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.
20 იქვე. გვ. 30.
21 იქვე. გვ. 29.
22 ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

“დედალი” – შდრ. *შუმაკ*; *ხო//წო* “სახე” – შდრ.: *ხო*; *ჭოჭა* “წითელი” – შდრ.: *ჭოჭა*; *მუჭა* “ტკბილი” – შდრ.: *მუჭა* (9, 310)⁴...

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უდიურში შეინიშნება ფარინგალიზაციის არტიკულაციის შესუსტებისა და [ზოგჯერ] მოშლის პროცესი (ეს ტენდენცია განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებას დაეყოს), საფიქრებელია, რომ ასეთი მაგალითების რიცხვი უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ამის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ “არაფარინგალიზებულ” სიტყვათა რიცხვი, სადაც მკვლევრები ინტენსიურთა არსებობას ვარაუდობდნენ, მცირეა, მაგ.: *შუ* “ღამე”; *ჭაპ* “გამქრალი” და ა.შ. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მკვლევართა მიერ უდიურში ნაგარაუდებ ინტენსიურ თანხმოვნებსა და ფარინგალიზაციის პროცესს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს.

გამოთქმულ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ ინტენსიური შიშინა თანხმოვნებისა და “ფარინგალიზებული” ხმოვნების არტიკულაციის თავისებურებები სპეციალისტებს თითქმის ერთნაირად წარმოუდგენიათ; შდრ.: “*აღნიშნულ [ფარინგალიზებულ] ხმოვანთა წარმოსათქმელად შემართვის მომენტისათვის პირის ღრუს ღიაობა და ენის მდგომარეობა თითქმის ისეთივეა, როგორც მარტივი ხმოვნებისა, ოღონდ ამ ხმოვანთა წარმოთქმის დროს ენა უფრო ჩაზნექილია და უკან გადაწეული, ენის კიდები თითქმის ებჯინებიან გვერდით კბილებს, ენის უკანა ნაწილი ოდნავ აწეულია და უახლოვდება რბილ სასას*”⁵, შდრ. მის “ინტენსიურთა” დახასიათებას: “*წარმოთქმის მომზადების მომენტი თითქმის ისეთივეა, როგორც შესაბამისი “ჩვეულებრივი” ალვეოლარული თანხმოვნებისა – ჯ, ჩ, ჭ აფრიკატებისა და ჟ, შ სპირანტებისა, ოღონდ ამ თავისებურ ბგერათა*

¹ ვ. გუკასიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 250.
² ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.
³ ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 220, 258; ვლ. ფანჩვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.
⁴ ევგ. ჯეირანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 310.
⁵ ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 10.

წარმოთქმის დროს ენა ამოხსნილ მდგომარეობაში უფრო უკან გადაიწევს, მისი შუა ნაწილი თითქმის ებჯინება კბილ-ნუნებს¹.

შდრ., აგრეთვე, ვლ. ფანჩვიძის “ინტენსიური” შიშინა თანხმოვნების დახასიათებას: *“ნუნასთან ხშვას ან ნაპრალს ჰქმნის არა ენის წვერი, არამედ ენის წვერი და შუა ენის ნაწილი, თანაც არტიკულაცია ფართოვდება უკან მაგარ სასაზვც (ენა დაკეცილია, წვერი დაწეულია – ზურგი აწეული)”².*

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი (ტ. მაისაკი, ვ. შულცე), უდიურში არა “ინტენსიურ”, არამედ ველარიზებულ შიშინა თანხმოვნებს აღნიშნავს³.

საყურადღებოდ მიგვაჩნია ს. კოძასოვის მოსაზრება: მკვლევარი ველარიზაციას, რომელიც შიშინა თანხმოვანს განსხვავებულ ტემბრს ანიჭებს, ფარინგალიზაციის თანამდევ პროცესად მიიჩნევს⁴, რაც გასაზიარებელი ჩანს. ჩვენი აზრით, სწორედ შიშინათა ფარინგალიზაციის//ველარიზაციის პროცესმა შეიყვანა შეცდომაში ის მკვლევრები, ვინც უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში ინტენსიურ თანხმოვნებს აღნიშნავს.

უნდა დავასკვნათ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში პოსტულირებულ ინტენსიურ, ანდა ველარიზებულ შიშინა თანხმოვანთა და ფარინგალიზაციას შორის უშუალო კავშირი არსებობს: – იშვიათი გამონაკლისის გარდა, მკვლევრები ინტენსიურ თანხმოვნებს ვარაუდობენ ფარინგალიზებულ სიტყვებში. თვით ველარიზებული და მით უფრო – ინტენსიური (“გემინირებული”, “მაგარი”) ფონემების გამოყოფა უდიურში, ჩვენი აზრით, არამართებულია.

¹ იქვე, გვ. 13.

² ფანჩვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 39.

³ იხ.: Майсак Т.А., Варианты удинской орфографии и транскрипции (краткий обзор), Удинский сборник (грамматика, лексика, история языка), Москва, 2008, გვ. 452.

⁴ Кибрик А. Е., Кодзасов С. В., Сопоставительное изучение дагестанских языков. Имя. Фонетика, Москва, 1990, გვ. 347.

თანხმოვანთა კომპლექსები

უდიური ენა ვერ ეგუება თანხმოვანთა თავმოყრას ერთი მარცვლის ფარგლებში. ვართაშნულ კილოში შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ ორი თანხმოვანისაგან შემდგარი კომპლექსი, ხოლო ნიჯურში იშვიათად სამი თანხმოვანისაგან შემდგარი კომპლექსიც გვხვდება. ეს კომპლექსები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთი მათგანი ხურავს წინა მარცვალს, ხოლო მეორე – იწყებს მომდევნო მარცვალს. აღსანიშნავია ისიც, რომ უდიური ენაში ძირები უმთავრესად ერთი, იშვიათად ორი მარცვლისაგან შედგება. თუ გვხვდება სამ ან მეტმარცვლიანი სიტყვა, ის ან არის ნასესხები, ანდა დერივაციულ აფიქსებს შეიცავს.

თანხმოვანთა თავმოყრა რედუქციის შედეგადაც ვითარდება. რედუქცია ხდება იმ შემთხვევაში, თუ თანხმოვანთა თავმოყრა ასატანია. *ქარზუხ'სა*¹ < *ქარზუხესა* “ცხოვრობ”, მაგრამ: *ქარხესუნ* და არა [*ქარხ'სუნ*] “ცხოვრება”...

ნიჯურ დიალექტში რედუქცია უფრო მეტადაა გავრცელებული: შესაძლებელია ზედიზედ სულაც ორი ხმოვნის ამოღება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ვითარდება თანხმოვანთგასაყარი ე.წ. ირაციონალური ბგერა, მაგ.: *ქარზ'ზ'სა* < *ქარზუხესა* “ცხოვრობ”,² შდრ. ვართ.: *ქარზუხ'სა* < *ქარზუხესა* “id”...

აღსანიშნავია, რომ უდიური ვერ ეგუება თანხმოვანთა გარკვეულ კომპლექსებს:

დენტალურ ხშულ-მსკდომთა რიგი//შიშინა აფრიკატთა რიგი (დ, თ, ტ; ჯ, ჩ, ჭ) + სისინა და შიშინა ყრუ სპირანტები (ს, შ). თუ ეს თანხმოვნები ამ თანმიმდევრობით ხვდება მორფემათა საზღვარზე, ხდება მათი გადასმა: **დს** > **სდ**; **თს** > **სთ**; **ტს** > **სტ** და ა.შ., მაგ.: *ლასტუნ* < *ლადსუნ* < *ლადესუნ* “წასმა”; *ბისტუნ* < *ბიტსუნ* < *ბიტესუნ* “თესვა”; *ენეჭჭა* < *ენე-სჭა* < *ენე-სჩა* < *ენე-ჩსა* < *ენე-ჩესა* “მოაქვს”...

¹ ნიშნით რედუქციის ადგილს აღვნიშნავთ.

² ამ მაგალითში შესაძლებელია მეტატეზასთან გვექონდეს საქმე: *ქარზუხესა* > *ქარზუხ'სა* > *ქარზუხ'სა*, ისევე, როგორც, მაგალითად, *ქაღჭო-უზ* < *ქაღჭო-ზუ* (ვისწავლი) ფორმის შემთხვევაში.

წინაენისმიერი ხშულ-მსკდომი (დ, თ, ტ) + სონორი (ნ, რ, ლ) ვართაშნულ კილოში ვერ ძლებს ერთად. ასევე ვართაშნული ვერ ეგუება სონორთა გარკვეულ კომბინაციებს. ასეთ შემთხვევებში, ხდება სრული ასიმილაცია: დ + ნ//რ//ლ > დდ; თ + ნ//რ//ლ > თთ; ტ + ნ//რ//ლ > ტტ; რ + ნ//ლ > ლლ; ლ + რ//ნ > ლლ...

ნიჯურ კილოში ეს პროცესი, როგორც წესი, არ ვითარდება, შდრ.:
ვართ. *ქარ-რუ-ხსა* < *ქარ-ნუ-ხსა* “ცხოვრობ”;

ნიჯ. *ქარ-ნუ-ხსა* “id”...

ძირითადი ფონეტიკური პროცესები

ხმოვანთა რედუქცია (შეკუმშვა)

რედუქცია უდიურში დაკავშირებულია მახვილთან. მახვილი, როგორც წესი, ფიქსირებულია ბოლო მარცვალზე, თუმცა ზოგჯერ მახვილი თავიკიდურ მარცვალს მოუდის. თუ სიტყვა ორზე მეტმარცვლიანია, ასეთ შემთხვევაში, ორი მახვილი დასტურდება: ძირითადი (ბოლო მარცვალზე) და თანამახვილი (თავიკიდურ მარცვალზე). რედუქცია მოსდის მახვილის წინა ხმოვანს.

ფუძის შიგნით რედუქცია (ფუძის კუმშვა) უდიურში გავრცელებული მოვლენაა. როგორც წესი, იკუმშება ე და უ ხმოვნები, მაგ.: *აქლუხ* < *აქელუხ* “ბავშვები” (*აქელ* “ბავშვი”); *ქოღლა* < *ქოღულა* (*ქოღულ* “ზაფხული”); *კოშნუნ* (ნიჯ.) < *კოშუნუნ* “ჯარის” (*კოშუნ* “ჯარი”)...

რედუქცია სისტემატურად დასტურდება ზმნის ფორმებში: მასდარის მაწარმოებლის (-**ეს**) ე ხმოვანი ხშირად იკუმშება მასზე დაყრდნობით ნაწარმოებ მასდარი II-ს, აწმყოსა და ნამყო-უწყვეტელის (იმპერფექტი) ფორმებში, მაგ.:

უქსუნ < *უქესუნ* “ჭამა”; *უღსუნ* < *უღესუნ* “სმა”...

უნექსა < *უნექესა* “ჭამს”; *უნეღსა* < *უნეღესა* “სვამს”...

უნექსად < *უნექესად* “ჭამდა”; *უნეღსად* < *უნეღესად* “სვამდა”...

რედუქცია სისტემატურად ხდება მრავლობითი რიცხვის წარმოებისას, ირიბ ბრუნვათა ფორმებში, მაგ.:

სახ. *გურატუხ* “პერანგები”; *ვიჩიმუხ* “ძმები”; *ჰასოუხ* “ღრუბლები”;

ერგ. *გურატ'ლონ* < *გურატ'ულონ* < **გურატ'უხენ*; *ვიჩიმ'ლონ* < *ვიჩიმ'ულონ* < **ვიჩიმ'უხენ*; *ჰასო'ლონ* < *ჰასო'ულონ* < **ჰასო'უხენ*;

ნათ. *გურატ'ლო[ფ]* < *გურატ'ულო[ფ]* < **გურატ'უხაო*; *ვიჩიმ'ლო[ფ]* < *ვიჩიმ'ულო[ფ]* < **ვიჩიმ'უხაო*; *ჰასო'ლო[ფ]* < *ჰასო'ულო[ფ]* < **ჰასო'უხაო*;

მიც. *გურატ'ლო[ხ]* < *გურატ'ულო[ხ]* < **გურატ'უხა[ხ]*; *ვიჩიმ'ლო[ხ]* < *ვიჩიმ'ულო[ხ]* < **ვიჩიმ'უხა[ხ]*; *ჰასო'ლო[ხ]* < *ჰასო'ულო[ხ]* < **ჰასო'უხა[ხ]*...

ხმოვანთა შეკვეცა

ხმოვანთა შეკვეცა ძირითადად დაკავშირებულია მორფოლოგიურ მოვლენებთან. ვართაშნულ კილოში, როდესაც ერთმანეთს შეხვდება ორი ხმოვანი – ფუძისეული და ფორმანტისეული, როგორც წესი, ერთ-ერთი ამოიღება, მაგ.:

ფაშნა “გოგრა” – ფაშნ’ინ “გოგრისა” (GEN);

თარნა “თონე” – თარნ’ინ “თონისა” (GEN)...

ხმოვნის შეკვეცა გავრცელებულია აგრეთვე კომპოზიტების წარმოებისას, მაგ.:

ქალ-ნანა < ქალა-ნანა “დიდედა”; ქალ-ბაბა < ქალა-ბაბა “ბაბუა”...

ერთმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებში ხმოვანი არ იკვეცება. ნიჯურში ერთმარცვლიანი სახელის ფუძისა და ფორმანტს შორის ჩნდება ხმოვანთგასაყარი **ჲ**, შდრ.:

ვართაშნული

ნიჯური

სახ. *ბ^ა*

ბ^ა

ერგ. *ბ^ა-ენ*

ბ^ა-ჲ-ენ

მრ. *ბ^ა-ურუხ*

ბ^ა-ჲ-ოხ

ხმოვანთა ასიმილაცია

უდიურში შეინიშნება ხმოვანთა სრული ან ნაწილობრივი ასიმილაცია. დასტურდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული ასიმილაცია.

ხშირია ბაგისმიერი ხმოვნების (**ო**, **უ**) მიერ **ა** და **ე** ხმოვნების რეგრესული ასიმილირება, მაგ.:

ქალა-ო > ქალო-ო > ქალო “დიდი” (+ NA); სა-ო > სო-ო > სო “ერთი” (+ NA);

მენო > მონო “ეს” (+ NA); შენო > შონო “ის” (+ NA)...

ნიჯურში დასტურდება **ე** ხმოვნის ასიმილაცია მომდევნო **ჲ** ბგერასთან. ეს პროცესი ვითარდება, როდესაც უარყოფითი კლიტიკა **-თე** მოხვდება **-ჲან** – I პირის ნიშანთან მრავლობითში, მაგ.:

თე-დან-ბაქე > *თი-დან-ბაქე* “არ ვიყავით”;

თე-დან-ჰაჭო > *თი-დან-ჰაჭო* “არ ვიყიდი”...

პროგრესული ასიმილაცია **უ...ა//უ...ე** > **უ...ო** ჩვეულებრივია მრავლობითი რიცხვის წარმოებისას. ხშირ შემთხვევაში, ასიმილაციის გამომწვევი უ ბგერა შეიძლება რედუცირებული იყოს:

სახ. *ფულმუხ* “თვალები”; *ადამარუხ* “ადამიანები”...

ერგ. *ფულმულონ* < **ფულმუხენ*; *ადამარ'ლონ* < **ადამარუხენ*;

მიც. *ფულმულო[ხ]* < **ფულმუხა[ხ]*; *ადამარ'ლო[ხ]* < **ადამარუხა[ხ]*...

უდიურ ენაში გავრცელებული ა...ა > ა...ა პროგრესული ასიმილაცია:

ხინწრ-ა “ქალიშვილს” (DAT) > *ხინწრ-ა...*

ხმოვანთა შერწყმა

უდიურში ი+ა ა+ი შერწყმის შედეგად ჩვენ ზოგჯერ ვიღებთ ე ბგერას, მაგ.:

სახ. *ვიჩი* “ძმა”;

ნათ. *ვიჩი-აე* > *ვიჩეე*;

მიც. *ვიჩი-ა[ხ]* > *ვიჩე[ხ]*...

ხმოვანთა ჰარმონია

ხმოვანთა ჰარმონია ძალზე გავრცელებულია თურქულ ენებში და კერძოდ – აზერბაიჯანულ ენაში, რომელიც, თავის მხრივ, ძლიერ გავლენას ახდენს უდიურზე. სინგარმონიზმის მოვლენა ძირითადად აზერბაიჯანული ენიდან ნასესხებ ლექსიკაში დასტურდება, მაგ.: *აგაწამ* “თუ”, “თუკი”; *ურუმურუმ* “ბინდ-ბუნდი”...

ხმოვანთა მონაცვლეობა

აღსანიშნავია **ო//უ-სა** და **ე//ი-ს** ხშირი მონაცვლეობა. ეს ხმოვნები ერთსა და იმავე სიტყვაში მოქმელთა მიხედვით ერთმანეთს ენაცვლება, მაგ.:

რმა – *რმა* “მარწვი”; *შოტო* – *შოტუ* “მას”; *ეშყარ* – *იშყარ* “მამაკაცი”, “ვაჟაკი”...

წარმოდგენილ ხმოვანთა მონაცვლეობა უდიური ენის კილოებს შორის დასტურდება: ნიჯურს ახასიათებს ფარტო (ო, ე), ხოლო ვართაშნულს ვიწრო (უ, ი) ხმოვნები, შდრ.:

ვართაშნული	ნიჯური
<i>კუა</i> “სახლს”	<i>ჭოდა</i>
<i>ხაურუხ</i> “ძაღვები”	<i>ხაღოხ</i>
<i>ჯულაბ</i> “პასუხი”	<i>ჯოღაბ</i>
<i>იშყარ</i> “მამაკაცი”	<i>ეშჟარ</i>
<i>იღარუხ</i> “სიცხე”	<i>ეღარუხ</i>

ხმოვანთა ასპირაციული შემართვა (პრეტეზა)

ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია ნიჯური კილოსათვის. ხშირია შემთხვევები, როდესაც აბსოლუტურ ანლაუტში ხმოვნის წინ (ძირითადად ა და ე ხმოვნებისა) ჩნდება ლარინგალური ჰ ბგერა, შდრ.:

ვართაშნული	ნიჯური
<i>არი</i> “მოსული”	<i>ჰარი</i>
<i>აყეს</i> “ადება”, “აყვანა”, “ყიდვა”	<i>ჰაჟეს//ჰეხ^ათეს</i>
<i>აღზეს</i> “ადგომა”	<i>ჰაღზეს</i>
<i>ისუს</i> “იესო”	<i>ჰისუს</i>
<i>ემა?</i> “რამდენი”	<i>ჰემა?</i>
<i>ეკა?</i> “რა”	<i>ჰიჰა?</i>

რამდენიმე ლექსემის შემთხვევაში გვხვდება საპირისპირო ვითარება: ხმოვნის ასრირირებული (ფშეინვიერი) შემართვა დასტურდება ვართაშნული დიალექტის ფორმებში, შდრ.:

ვართაშნული	ნიჯური
<i>ჰასო</i> “ღრუბელი”	<i>ასოდ</i>
<i>ჰახარ</i> “გასაღები”	<i>ახარ</i>
<i>ჰზრეილ</i> “აზრაილი” (სიკვდილის ანგელოზი)...	<i>აზრეილ</i>

დიფტონგიზაცია

ღ შეიძლება გაჩნდეს როგორც ანლაუტში (პრეთეზა), ისე ინლაუტსა (ეპენტეზა) და აუსლაუტში (ეპითეზა). დიფტონგიზაციის პროცესი განსაკუთრებით დამახასიათებელია ნიჯური კილოსათვის, ხოლო ვართაშნულში ამ პროცესს აქვს ეპიზოდური ხასიათი.

ნიჯურში, ვართაშნული დიალექტისაგან განსხვავებით, ზოგჯერ სიტყვას ანლაუტში ხმოვნის წინ მოუდის **ღ**, მაგ.: *ღეჯ* “ხორცი”, შდრ. ვართ.: *ეე* “id”...

ნიჯურ კილოში ხშირია ეპენტეზა. ვართაშნულისაგან განსხვავებით, სადაც გავრცელებულია ხიატუსი, ნიჯურში ორ ხმოვანს შუა ვითარდება **ღ** ბგერა, შდრ.:

ვართაშნული	ნიჯური
<i>შუე</i> “დათვი”	<i>შუდე</i>
<i>ხაღურუხ</i> “ძაღვები”	<i>ხაღოხ, ხაღურუხ</i>
<i>მაა?</i> “სად”	<i>მადა</i>
ბიდას “სადამო”	<i>ბიდას</i>
<i>კუა</i> “სახლში”	<i>ჭოდა</i>

ეპითეზაც დამახასიათებელია ოდენ ნიჯური კილოსათვის: ხმოვანფუძიან სახელებს ნიჯურში ხშირად მოუდის **ღ** ბგერა, შდრ.:

ვართაშნული	ნიჯური
<i>ჰასო</i> “ღრუბელი”	<i>ასოდ</i>
<i>ლაშკო</i> ‘ქორწილი’	<i>ლაშქოდ</i>

ოყალო “დაბალი”
ტალა-მალა “იქეთ-აქეთ”

ოჯალოდ
თაღაღ-მალაღ

ელიზია-კონტამინაცია

უდიურ ენაში დასტურდება ელიზია-კონტამინაციის შემთხვევები (გამოთქმის დაწყვილებულ წევრთა იმგვარი შერწყმა, ინკორპორაცია, რომლის შედეგად ხდება წინამავალი წევრის ბოლოკიდური მარცვლის ან მომდევნო წევრის თავკიდური მარცვლის ამოგდება), მაგ.:

ქა-ქალა (ნიჯ.) < ქალა-ქალა (შდრ. ვართ.: ქალ-ქალა); “დიდი-დიდი”, “დიდრონი”, “მსხვილი” (ქალა “დიდი”); საღ < საკი < სა-კიწი “ცოტა”, “მცირეოდენად”, “ცოტაოდენად” (სა “ერთი” + კიწი “ცოტა”, “მცირე”); ზუზ < ზუზუ < ზუ-ბუზუ “მე ვარ” (ზუ “მე” + ბუზუ “ვარ”; ბუ “ყოფნა”, “ქონა”, “ყოლა”)...

ხმოვანთა პალატალიზაცია

ხმოვანთა პალატალიზაცია უფრო მეტადაა ნუჯური კილოსათვისაა დამახასიათებელი (განსაკუთრებით ა ხმოვნისა). ხშირია შემთხვევები, როდესაც ვართაშნულ კილოში დამოწმებულ მარტივ ხმოვანს ნიჯურში პალატალიზებული ხმოვანი შეესატყვისება, შდრ.:

ვართაშნული

პარსა “ყოველი”

აშ “საქმე”

კაშა “თითი”

ტოშ “გარეთ”

უსინ “მალე”, “ჩქარა”...

ნიჯური

პჳრსა

აშ

ქაშ

ბაშ

უსინ

ხმოვანთა ლაბიალიზაცია

უდიურ ენაში სხვა პროცესიც დასტურდება, რომლის შედეგად პალატალიზებული ხმოვნები წარმოიქმნება. წინა რიგის ხმოვნები (ე, ი) ლაბიალიზაციის შედეგად გადადის ო და უ-ში. ეს პროცესი განსაკუთრებით ვართაშნულში შეინიშნება, შდრ.:¹

ვართაშნული

გაღლ ო “ბევრი”

პაქუმ “ექიმი”

სუფტინ “პირველი”

პრუგ “ჭერამი”...

ნიჯური

გელე

პაქიმ

სიტოინ

პრიგ

ეს პროცესი ზოგჯერ ნიჯურშიც იჩენს თავს: ვართაშნულში დამოწმებული ე ხმოვანი ლაბიალიზაციის შედეგად ნიჯურში გვაძლევს ო-ს, შდრ.: ეჭ (ვართ.) – ოჩ (ნიჯ.) “კალო”...

თამხმოვანთა რედუქცია

უდიურში ძირეული ლექსიკური ფონდის ერთეულთა სტრუქტურა იჩენს მიდრეკილებას გამარტივებისაკენ. ეს ტენდენცია ვლინდება თანხმოვანთა რედუქციით (ძირითადად სონორთა) სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტსა და აუსლაუტში. ეს დასტურდება როგორც თვით უდიური ენის ლექსიკურ ერთეულთა შინაგანი რეკონსტრუქციით, ისე ახლომონათესავე ენების მონაცემთა მოხმობით, შდრ.:

¹ ვლ. ფანხვიძის აზრით, აქ პირიქით პალატალიზებული ხმოვნების გამარტივებასთან უნდა გვეკონდეს საქმე – ფანხვიძე ვლ., უდურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 17-18. შეუძლებელია დავეთანხმეთ ამ მოსაზრებას, მაგ.: უეჭველია, რომ ფორმა პაქიმ “ექიმი” ნიჯურში პირველადი სახითაა შენარჩუნებული, ხოლო ვართაშნული პაქუმ ფონეტიკური ცვლილების (ლაბიალიზაციის) შედეგადაა მიღებული, შდრ. არაბ.: კა (პაქიმ).

უდ. უჭ^წ (< *ნუჭ^წ) – შდრ. ხინ. ნიწ; საკ-დიდ. ნუცო; ბეჟიტ. ნუცო; ხვარშ. ნუცა; ჰინუხ. ნუცე; ჰუნზ. ნუცუ; ლაკ. ნიწ; შდრ. აგრეთვე: ახვახ. უნწი (< ნუწი); ანდ., ბოთლ., კარატ. ჰუნწი; ტინდ., გოდობ. ჰუნცო; ჩამალ. ნუნწ; ბაგვ. ჰუნწ “თაფლი”.

უდ. უკ (< *რუკ) – შდრ. ლეზგ. რიკ; ხუნდ. რაკ; ახვახ., კარატ., ტინდ., ჩამალ., ბაგვ., ბოთლ., გოდობ. რაკუა; ანდ. როკო; საკ-დიდ. როკუ; ჰინუხ. როკე; ჰუნზ. რაკუ; დარგ. ურკი (< *რუკი) “გული”.

უდ. ღ^წოღ (ნიჯ.), ღუ (ვართ.) < *ღურ – შდრ. ლეზგ. ჯ^წურ; თაბ. ჯ^წურ//ღ^წურ; ად. ღ^წურ//ღურ; რუთ. ღ^წირ; კრიწ., ბუღუხ. ყურ; დარგ. ჭ^წარა “კურდღელი”.

უდ. წი (< *წირ) – შდრ. ტუარ; თაბ. წურ//ცურ//ზურ; ად., კრიწ., ბუღუხ. თურ; რუთ. დურ; არჩ. წორ; ხუნდ. წარ; ახვ., კარატ., ბოთლ. წერო; ტინდ. ცურა; ანდ. წერ; ბეჟ. ცარო; ჰუნზ. ცანრუ “სახელი”.

უდ. ხე (< ჰე < *ჰედ) – შდრ. ლეზგ. ძად; თაბ. შად//შარ; ად. ჰედ; წახ. კან; კრიწ., ბუღუხ. ჰად “წყალი”.

ხმოვანთა რედუქცია უფრო მეტად ახასიათებს ნიჯურ კილოს, შდრ.:

ვართაშნული	ნიჯური
ჩუბუხ “ცოლი”, “ქალი”	ჩუუხ
კან ^წ ჩ “ტკივილი” ¹	კან ^წ
ჯიბ ‘ჯიბე’	ჯუ

თანხმოვანთა ასიმილაცია

ვართაშნულ კილოში ძალზე გავრცელებულია **ნ** და **ლ** ბგერების ასიმილაცია: თუ **ნ** ბგერა მოხვდება წინამავალი **რ**, **ლ**, **თ**//**ტ**, **დ**-ს შემდეგ, ის ემსგავსება მათ. ეს პროცესი ჩვეულებრივია პირის ნიშნების, ბრუნვის

¹ ეს ფორმა ოდენ ქ. ოღუზის (ვართაშენის) მეტყველებაში დასტურდება – Талибов Б. Б., Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва, 1980, გვ. 199. ეს ლექსემა ოქტომბერულში ასევე რედუციებული სახით გვხვდება: ჯ^წაჭ.

² ნიჯურში ჩუტუხ და ჩუჭუხ ფორმებიც დასტურდება.

ფორმანტებისა დართვისას და ასევე სიტყვაწარმოებაში. მაგ.: *ქარრეხსა* < *ქარნეხსა* “ცხოვრობს”; *კაღღეხა* < *კაღნეხა* “კითხულობს”; *აღითთეხა* < *აღითნეხა* “ლაპარაკობს”; *ხოდღად* < *ხოდნად* “ხისა”...

აღსანიშნავია, რომ ნიჯურში ეს ფონეტიკური პროცესი არ დასტურდება, შდრ.:

ვართაშნული

არრა ხოდ “მსხლის ხე”
დამპუღლა ხოდ “ქლიავის ხე”
აფთკაღღუ “იტყვი”...

ნიჯური

არნა ხოდ
დამფუღნა ხოდ
აფთქაღნუ

სიტყვაწარმოებისას, ხშირია **ღ** ბგერის ასიმილაცია წინამავალ **რ**, **თ//ტ**, **დ** ბგერებთან, მაგ.: *აზარრუ* < *აზარღუ* “ავადმყოფი”; *ხოდღულ* < *ხოდღულ* “ტყე”, “ბაღი” (*ხოდ* “ხე” + კრებითობის სიტყვაწარმოებითი აფიქსი *ღულ*). **ღ** ბგერის ასიმილაცია წინაენისმიერ ხშულებთან (**დ**, **თ**, **თუ**) ნიჯურშიც დასტურდება.

როგორც მაგალითებიდან ირკვევა, ვართაშნულში ასიმილაციის შედეგად გემინატები წარმოიქმნება: **რნ** > **რრ**; **ღნ** > **ნნ**; **დნ** > **დდ**; **თნ** > **თთ**... **რღ** > **რრ**; **ღღ** > **ღღ**; **თღ** > **თთ**... ამის საპირისპიროდ, ნუჯურში გავრცელებულია **ნ** და **ღ** ბგერების რედუქცია წინამავალ **რ**, **ლ**, **დ**, **თ**, **თუ** ბგერებთან, შდრ.:

ვართაშნული

ტულღუ < *ტულნუ* “ყურძენს”
ქარრეხსა < *ქარნეხსა* “ცხოვრობს”
ჰრჰქთთებესა < *ჰრჰქთნებესა*
 “ცდილობს”, “ფაფხურობს”...

ნიჯური

თუღა
ქარეხსა
ჰრჰქთებესა

თანხმოვანთა გადასმა (მეთათეზა)

უდიური ვერ ეგუება თანხმოვანთა გარკვეულ კომპლექსებს:

თუ დენტალურ ხშულ-მსკდომთა რიგისა ან შიშინა აფრიკატთა რიგის თანხმოვნები (დ, თ, ტ; ჯ, ჩ, ჭ) მორფემათა საზღვარზე შეხვედბა მომდევნო სისინა ან შიშინა ყრუ სპირანტებს (ს, შ), ხდება მათი გადასმა: **დს > სდ; თს > სთ; ტს > სტ** და ა.შ., მაგ.:

ლასტუნ < ლადსუნ < ლადესუნ “წასმა”;

ბისტუნ < ბიტსუნ < ბიტესუნ “თესვა”;

ე-ნე-ჭჭა < ე-ნე-სჭა < ე-ნე-სხა < ე-ნე-ჩხა < ე-ნე-ჩესა “მოაქვს”...

უდიურში ასევე სონორთა მეთათეზა შეინიშნება:

ამდარ (ნიჯ.) – *ადამარ* (ვართ.) “ადამიანი”;

არბუშენ (ვართ.) – *აბრიშუმ* (ნიჯ.) “აბრეშუმი”...

ლაბიალური ხშვის რედუქცია

ვართაშნულ დიალექტში დამოწმებული ბილაბიალური **ბ** ბგერა ნიჯურში ანლაუტსა და ინლაუტში სუსტდება და გადადის კბილბაგისმიერ **ვ** ბგერაში, შდრ.:

ვართაშნული	ნიჯური
აბა ზაკ “ავაზაკი”	ავა ზაჟ
აბა “მცოდნე”	ავა
ბაბა “მამა”	ბავა
ბოჟ “ღორი”	ვოჯ
ხაბარ “ამბავი”	ხავარ

ზოგჯერ **ბ** ბგერის ნაცვლად ნიჯურში **ღ** და **ჰ** ბგერები დასტურდება, მაგ.: *აღუზ* (*//აეუზ*) “მეტი”, “ჭარბი”, “უკეთესი”, შდრ. ვართ. *აბუზ*;

ნიჯ. *ცაცნა ღაღალ* “ზღარბი”, შდრ. ვართ. *ცაცნა ბელაღ*;

ნიჯ. *ჩუჰუხ* (*//ჩუჰუხ, ჩუუხ*) “ცოლი”, “ქალი”, შდრ. ვართ. *ჩუბუხ*;

ნიჯ. *სუჰუქ* “მსუბუქი”, შდრ. ვართ. *სუბუქ*..

ეს ფონეტიკური პროცესი ისტორიულად ვართაშნულისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, მაგ.:

ჰეგე “აბგა”, შდრ. ლეზგ. *ჰებგჟ*

შაგალუტ “წაბლი”, შდრ. ლეზგ. *შაბალუტ*;

ყავარ “კოყრი”, შდრ. აზერბ. *გაბარ*;

თანხმოვანთა დაყრუება

ეს პროცესი განსაკუთრებით ნიჯურ კილოს ახასიათებს. მუდერი თანხმოვანი (ბ, დ) ნიჯურში ნებისმიერ პოზიციაში შეიძლება გადავიდეს ყრუ არაფშვინვიერ თანხმოვანში (ფ, თ), მაგ.:

ვართაშნული

ბაპი “მწიფე”

ბარ “წილი”, “ნაწილი”

ძაბური “ძაბრი”

აშბაზ “მზარეული”

დადი “ბიძა” (დედის მხრიდან)

დახტავ “ფიცარი”

ნიჯური

ფაფი

ფად

ცაფური

აშფაზ

თადი

თახთაქ

თანხმოვანთა გამჟღერება

ეს შეზღუდული ფონეტიკური პროცესია. უდიურ ენაში მხოლოდ **ხ > ღ** დასტურდება და ისიც, მხოლოდ ვართაშნულ კილოში, მაგ.:

ვართაშნული

აჯიდ “რისხვა”, “ბრაზი”

ბოხმოდ “ცხვირი”

დუმბურულ “მუშტი”

ნიჯური

აჯიხ

ბოხმოს

დუმბრუხ

ეს პროცესი სიტყმაწარმოებისას და ბრუნებისას (მრავლობით რიცხვში) ორსავე კილოში იღებს რეგულარულ ხასიათს: როდესაც **ხ** ბგერა აუსლაუტში, რომელიმე აფიქსის დართვის შედეგად (ძირითადად, მრავლობითი რიცხვის ფორმაზე რომელიმე ბრუნვის ნიშნის დართვისას),

აღმოჩნდება ინტერგოკალურ პოზიციაში ან სონორსა და ხმოვანს შორის (ნიჯურში ინტერგოკალურ პოზიციასა და **რ** თანხმოვნის შემდეგ), იგი აუცილებლად გადადის **ღ** ბგერაში,¹ მაგ.: *ადამარუხ* “ადამიანები” > *ადამარღონ* (ERG); *ადამარღო[ღ]* (GEN); *ადამარღო[ხ]* (DAT);

ღარმუხ “ვაჟები” > *ღარმღონ* (ERG); *ღარმღო[ღ]* (GEN); *ღარმღო[ხ]* (DAT)...

ზოგჯერ, **ხ** ბგერის გამჟღერება მრავლობითი რიცხვის აფიქსში შეიძლება განხორციელდეს სხვა არასონორი თანხმოვნის შემდეგ, მაგ.: *გურატუხ* “ადამიანები” > *გურატღონ* (ERG); *გურატღო[ღ]* (GEN); *გურატღო[ხ]* (DAT)...

საყურადღებოა, რომ ანალოგიურ ვითარებაში არ მჟღერდება დატივის მაწარმოებლის კუთვნილი **ხ** თანხმოვანი, შდრ.:

ადამარუხ “ადამიანები” – *ადამარახ* “ადამიანს”;

ადამარღონ “ადამიანებმა” – *ადამარახო* “ადამიანისგან” (ABL)...

თანხმოვანთა პალატალიზაცია (იოტიზაცია)

ნიჯურ კილოში ზოგიერთი თანხმოვნები გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში გადადიან შუაენისმიერ **ღ** ბგერაში:

უკანაენისმიერი **გ, ქ, ჭ** თანხმოვნები პალატალიზებულ ხმოვნებთან კომპლექსში ინლაუტსა და აუსლაუტში გვაძლევს **ღ**-ს, მაგ.:

ვართაშნული	ნიჯური
<i>ჭაღაგ</i> “ტყე”	<i>ჩაღაგ</i>
<i>ბაქ/ბაკ</i> “თავადი”, “ბეგი”	<i>ბაღ</i>
<i>ღაღაგ</i> “ღაღაქი”	<i>ღაღაგ</i>

¹ ვლ. ფანჩვიძე ამ მოვლენას იმით ხსნიდა, რომ: “მჟღერი თანხმოვანი უდიურში სიტყვის ბოლოში ვერ ძლებს და იგი ყრუედება. სამაგიეროდ, როდესაც იგი მოხვედება სიტყვის შიგნით, ხმოვნებს შორის, ისევე გამჟღერდება. ეს პროცესი ... განსაკუთრებით თვალსაჩინოა ... **-უხ** მრავლობითის ნიშანში” – ფანჩვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 44. ანუ, უნდა ვივარაუდოდ, რომ მკვლევარი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელისათვის **ღ** მჟღერს ადადგენდა.

დარვან “ზღვა”

დარვან

გევან “მტრედი”

გივან

ზოგჯერ პალატალიზაცია მარტივ ხმოვნებთანაც ხდება, მაგ.: თოვ (ვართ.) “ფასი” > თოფ (ნიჯ.);

თავ (ვართ.) “ტოტი” > თაფ (ნიჯ.)...

ლ ბგერა ინტერვოკალურ პოზიციაში გადადის ღ-ში, მაგ.: ბალი (ვართ.) “ბალი” > ბაღი (ნიჯ.);

მაღა? (ვართ.) “სად” > მაფა? (ნიჯ.);

ფულინ (ვართ.) “თვალის” > ფუღინ (ნიჯ.)...

დეზაფრიკატიზაცია

ნიჯური კილოსატვის დამახასიათებელია ვართაშნულში დამოწმებული ჯ ბგერის დეზაფრიკატიზაციის (ჟ ბგერაში გადასვლის) პროცესი, მაგ.:

ვართაშნული

ბიხაჯუხ “ღმერთი”

ბორჯ “ვალი”

კოჯ “სახლი”

კეჯე “მუავე”

ყოჯა “მოსუცი”

ხოჯი “ჩრდილი”

ოჯილ “კუდი”

ჯამ “გინება”

ჯეჯერ “ბაგეები”

ნიჯური

ბიხაუუხ

ბორუ

ჭოუ

ჭეუე

ჭოუა

ხოუი

ოუულ

უამ

უეუერ

ჩ, ჩუ ბგერებისა და სისინა აფრიკატების პოზიცია ნიჯურში მყარია, ხოლო ჯ აფრიკატი სულ რამდენიმე სიტყვაში დასტურდება, მაგ.: ჯოღაბ

“პასუხი”, შდრ. ვართ. ჯულაბ; ჟონჯურ “პატრონი”, შდრ. ვართ. კონჯუხ; ჯრბაქსუნ “გაყოფა”, “დაყოფა”, შდრ. ვართ. ჯოქბაქსუნ...

აფრიკატიზაცია

დეზაფრიკატიზაციისაგან განსხვავებით, აფრიკატიზაცია ვართაშნული კილოსთვისაა დამახასიათებელი. ეს შეზღუდული ფონეტიკური პროცესია: აფრიკარიზაციას განიცდის **ს** თანხმოვანი, რომელიც ინლაუტსა და აუსლაუტში **ც** და **წ** ბგერებში გადადის, მაგ.:

ვართაშნული	ნიჯური
ქოლქოც “ბუჩქი”	ქოლქოხ
მეც “ბუდე”	მეხ
თარც “ჯიუტი”	თარხ
ახწიმა “აღდგომა”	ახხიბაძ

იშვიათად, **ზ** ბგერა ინტერვოკალურ პოზიციასა და **რ** თანხმოვანსა და ხმოვანს შორის გადადის **წ** აფრიკატში, შდრ.:

ვართაშნული	ნიჯური
მიწიქ “ხბო” ²	მოზიძ
ქუწ “თვლემა”	ქუზ
ტაწ “ტაშტი”	თაზ ⁴

დეზაბრუპტივიზაცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფ. ოქტომბერის (ზინობიანის) მეტყველების გამოკლებით, უდიურ ენაში აბრუპტიული თანხმოვნები

¹ შდრ. ქართ. *აღვსება*.
² სოფ. ოქტომბერის მეტყველებაში *მოზი* ფორმაც დასტურდება.
³ შდრ. არჩ. *ბიშ*, საკ.-დიდ., გინუხ. *მეში*, ხვარშ. *მიშე*, ჰუნზ., ბეჟ. *ბიშე*, ახვ. *ბუშა*.
⁴ სოფ. ნიჯში ზოგიერთ მთქმელთა მეტყველებაში აფრიკატიზაციის შედეგად მიღებული ფორმებიც შეინიშნება: *ქუც* “თვლემა”; *თაჯ* “ტაშტი” და ა.შ.

გადავიდნენ პრერუპტივებში. აღსანიშნავია, რომ პრერუპტივები ან შემონახული აბრუპტივები უდიურ ენაში, როგორც წესი, საერთო დადესტნურისათვის და (//ან) საერთო ლეზგიურისატვის პოსტულირებულ ინტენსიურ აბრუპტივებს შეესატყვისება, მაგ.:

ოქტ. წი, ვართ., ნიჯ. ცუი “სახელი”, შდრ.: ლეზგ. ტტარ, თაბ. წურ, ცურ, ხუნდ. წარ, წარ, ახვ. წერი, კარატ. წერი, სერი, ტინდ. ცურა, ჩამაღ. სჟ, ბოთღ. წერი, ჰოდობ. ცური, ანდ. წერ;

ოქტ. უჭ, ვართ., ნიჯ. უნჷ “თაფლი”, შდრ.: თაბ. ძიჷ, ად. უთჷ, უთ, ხუნდ. ჰოწო, ანდ., ბოთღ. ჰუნწი, ჩამაღ., ბაგვ. ჰუნწჷ, კარატ. ჰუნწჷ, ახვ. უნწჷ.

საერთო დადესტნურისათვის და (//ან) საერთო ლეზგიურისათვის პოსტულირებული მარტივი, არამავარი აბრუპტივი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული (იღ. ცერცვაძე, ბ. თალიბოვი), საერთოდ დაკარგულია, ნულოვანი რეფლექსაციითაა წარმოდგენილი (ზოგჯერ აბრუპტივი გადასულია *დ*-ში ან სხვა რომელიმე კონსონანტში), მაგ.:

უღ. ეღ < *ეღ “მარილი”, შდრ.: ლეზგ. ეღ, თაბ. ეღ, ად. ეღ, რუთ. ჟაღ, წახ. ეგ, ბუღ. ეღ, კრიწ. ეღ, ხინ. ჟა;

უღ. ინ < *ჭინ < *ჭიდ “რწყილი”, შდრ.: არხ. ჭინ, ლეზგ. ჭუთ, თაბ. ჭუღ, ჭურ, ად. ჭიდ, ჭირ, რუთ. ჭით, წახ. ჭინ, ხინ. ჭუთ, კრიწ. ჭიდ, ბუღ. ჭიდ; შდრ. აგრეთვე: ხუნდ. ჭეტ, ბაგვ., ბოთღ., ჰოდობ. ჭანტ, ანდ. ჭონნი, საკ.-დიღ. ჭიქი, ლაკ. ჭაგა, დარგ. წიქა;

უღ. ინი < *წინი “ახალი”, შდრ.: ლეზგ. წიღი, თაბ. წიღი, ად. წეღი, რუთ. წინდღ, წახ. წეღენ, კრიწ. წიღაღ, არხ. მაწათ; შდრ. აგრეთვე: წიღაბ, კარატ. წინეუბ, ტინდ. წინჷუბ, ჩამაღ. წინუბ, ბოთღ. წინუ, საკ.-დიღ. ეწუნ, ხვარშ. ეწნა;

უღ. ეუღ < *გუჭ “ცხრა”, შდრ.: თაბ. გურჭუგ, ურჭუბ, ად. ეერჭუღ, რუთ. უჭუღ, ჰუჭუღ, ძიჭუღ, წახ. ძუჭუღ, კრიწ. ძიჭიდ, ბუღ. ვიჭიდ, არხ. უჭ; შდრ. აგრეთვე: ხუნდ. იჭგო, ახვ. აბჭაღა, კარატ. ჰაჭუაღა, ტინდ. ჰაჭაღა, ჩამაღ. აჭაღა, ბაგვ. ჰაჭარა, ბოთღ. ჰაჭაღა, ანდ. ჰოჭოჩუ, ბეუ. აჭენა, საკ.-

დიდ. ოჭინო, ხვარშ. უნჭინ, ჰინუს. ჭაჭინო, ჰუნზ. უჩინ, დარგ. ურჭემალ, ლაკ. ურჭა;

უდ. მოლ (*||მქლ*) < *მოქოლ “თაგვი”, შდრ.: ხინ. ნუყურ, არხ. ნოქონ, ლეზგ. ყიფ, ყუშ (ახტ.), ქუხ~ (ფიი.), თაბ. ქილ, აღ. ჭულ, ქულ, რუთ. ყლ, წახ. ქოვ, ბუდ. ყალ, შდრ. აგრეთვე: ბეჟ. ანო, ხვარშ. ანუა, ჰინუს. აყუკ, ჰუნდ. ანუკ, ლაკ. კულუ, ხუნდ. ჰუნკ, ანდ. ჰინკუ, ბოთლ. ჰინკუა, კარატ. ჰერკუა;

უდ. იქენ < *ქიჯენ < *ქიდენ “ზამთარი”, შდრ.: ლეზგ. ქულ, თაბ. ქურდ, აღ. ღურდ, რუთ. ქულ, წახ. ქიდიმ, ბუდ. ქაჯრაჯ, კრიწ. ყულ, ხინ. კინაუ, არხ. ქოტაიჯ...

სახელი

არსებითი სახელი

უდიურ ენაში არსებით სახელს მოეპოვება ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები. ისტორიულად უდიურისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ამჟამად მოშლილი გრამატიკული კლას-კატეგორია. თვალში საცემია ამ კატეგორიის ნაშთი გაქვავებულ კლასიფიკატორთა სახით, მათ შორის არსებით სახელებშიც.

არსებითი სახელი აგებულების მიხედვით. სიტყვაწარმოება

უდიურ ენაში არსებითი სახელი ფუძის აგებულების მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: მარტივფუძიან, ნაწარმოებფუძიან და რთულფუძიან (თხზულფუძიან) სახელებად.

მარტივი ფუძე

ისტორიულად უდიური ენის არსებითი სახელისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ერთმარცვლიანი მარტივი ფუძე VC, CV და CVC (როგორც წესი – CVS ან SVC) სტრუქტურის, მაგ.: წი “სახელი”; პი “სისხლი”; ფი “ქონი”; ტი “ღვინო”; გა “ადგილი”; ღი “ღღე”...

იყ “ნაცარი”; ეყ “ხორცი”; ელ “მარილი”; არ “მსხალი”; ეშ “ვაშლი”...

ქულ “ხელი”; კულ “მიწა”; ბულ “თავი”; ფულ “თვალი”; ტულ “ყურძენი”; ცილ “თესლი”; წილ “ნაკვერჩხალი”; ღარ “ვაჟი”; “შვილი”...

ნეპ “ძილი”; ნელ “ცრემლი”; მუშ “ქარი”; მუზ “ენა”...

გავრცელებულია, აგრეთვე, ორმარცვლიანი (იშვიათად სამმარცვლიანიც) მარტივფუძიანი (სინქრონულ დონეზე) არსებითი სახელი, მაგ.: ნაყელ “მაწონი”; ბუქუნ “მუცელი”; ეზუნ “სნული”; ლაშკო

“ქორწილი”; **ზილო** “რკინა”; **ნიკო** “ბურთი”; **ჰასო** “ღრუბელი”; **ბაჭან** “ზურგი”; **ბაჭანა** “მერცხალი”...

ზოგიერთ მარტივფუძიან არსებით სახელს უნდა გამოეყოს დეტერმინაციული ელემენტები (როგორც წესი – სუფიქსი), მაგ.: **-ელ** – ნაყ-**ელ** “მაწონი”, შდრ.: ნაყ “ღო” ან მუჭა-ნაყ “რძე”; **-ულ** – ბ-**ულ** “თავი”, მაგრამ: ბ-**ინ** “თავმა”, “თავის”, ბ-**ეს** “თავს”, ბ-**ეს-ო** “თავიდან”; ფ-**ულ** “თვალი”, მაგრამ: ფ-**ინ** “თვალმა”, “თვალის”, ფ-**ეს** “თვალს”, ფ-**ეს-ო** “თვალიდან”; ქ-**ულ** “ხელი”, მაგრამ: ქ-**ინ** “ხელმა”, “ხელის”, ქ-**ეს** “ხელს”, ქ-**ეს-ო** “ხელიდან”;

-ლა//ბა – მნიშვნელობით უდრის ქართულ **-იან**, **-იერ**, **-ოვან** სუფიქსებს. **-ლა** სუფიქსი დეტერმინაცივად გვხვდება ზოგიერთ არსებით სახელში, მაგ.: კოკ-**ლა** “კვერცი”; ყოშა-**ლა** “ტყუფი”; მუშა-**ლა** “ჭიდაობა”...

-იკ – აწარმოებს კნინობით სახელებს, მაგრამ ზოგიერთი არსებითი სახელის ძირთან შეზრდილია (თითქმის) უფუნქციოდ, მაგ.: ფოფნ-**იკ** “ქუსლი”; ბიზლ-**იკ** “წვეთიანი”...

-ი და **-ალ** სუფიქსები უდიურში აწარმოებს სრული (**-ი** ფორმანტიანი) და უსრული (**-ალ** ფორმანტიანი) სახის მიმღებებს. ამ სუფიქსების გამოყოფა შესაძლებელია ზოგიერთ არსებით სახელშიც, მაგ.: მოზ-**ი** “ხბო”; ჩნლ-**ი** “თევზი”; ტურ-**ი** “ძაფი”; ვინ-**ი** “ძმა”; ხუნჩ-**ი** “და”... ; ტეკ-**ალ** “კალია”; ჯირჯირკ-**ალ** “ჭრიჭინა”; ცაცბელ-**ალ** “ზღარბი”; კერწ-**ალ** “კაჭკაჭი”...

-უნ – წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია. ეს სუფიქსი ძირთან უნდა იყოს შეზრდილი ისეთ სახელებში, როგორცაა: ბუქ-**უნ** “მუცელი”; ჯაბ-**უნ** “ვარსკვლავი”; დაწ-**უნ** “მხალი”; ქეჯ-**უნ** “ტყლაპი”, შდრ.: ქეჯე “მუავე”...

უდიურს მოეპოვება სახელთა ფუძეების ერთი ჯგუფი, რომელსაც ბოლოში უზის **-ინ//ინ** ელემენტი. ეს ელემენტი შეიძლება დაუკავშირდეს როგორც ნათესაობითი ბრუნვის, ისე ერგატივ-ინსტრუმენტალის ფორმანტს, მაგ.: გოგ-**ინ** “მწვანე”, “მწვანილი”; ბ-**ინ** “რძალი”, “პატარძალი”; ჭბ-**ინ** “ცხიმი”, “ქონი”; კო-**ინ** “ქუდი”; ქო-**ინ** “სახელო”; კუნ-**ინ** “ბოლი”, “კვამლი”...

ასევე, საფიქრებელია, რომ -ო ელემენტი დეტერმინატივად გვევლინება ისეთ სიტყვებში, როგორცაა: ლაშკ-ო “ქორწილი”; ზიდ-ო “რკინა”; ნიკ-ო “ბურთი”; ჰას-ო “ღრუბელი”; შდრ. უდიურისათვის დამახასიათებელ მასუბსტანტივებელ -ო სუფიქსს.

გაქვავებულ კლასის ექსპონატთა საკითხი არსებით სახელში

უდიურში გავრცელებულია ბ- თავკიდურიანი არსებითი სახელები. ეს ელემენტი (ბ- ან ხშირად ბV-: ბა- ბე-, ბი-, ბო-, ბო-, ბო-, ბუ-, ბუ-...) ნივთის კლასის გაქვავებული ექსპონენტი უნდა იყოს, მაგ.: ბ-ერ “ბალიში”; ბ-ელ “მზე”; ბ-ოყ “ღორი”; ბუ-ქუნ “მუცელი”; ბა-ჭან “ზურგი”; ბ-აჭ “ქვევრზე დასაფარებელი ქვა”; ბო-ყო “ცომი”...

ზოგიერთ არსებით სახელში ხერხდება ვ- (მამაკაცის კლასის აღმნიშვნელი ექსპონენტი) ან დ- პრეფიქსის (ქალის კლასის აღმნიშვნელი ექსპონენტი) გამოყოფა, მაგ.: ვი-ჩი “ძმა”; შდრ.: ჰუნ-ჩი “და”; სე-ვ-ჩე “მაზლი”... ; სე-დ-ნე “დედამთილი”... ნათესაობის აღმნიშვნელ სახელთა ამდაგვარი წარმოება დასტურდება უდიურის მონათესავე ენებში, შდრ., მაგალითად, ხუნძ.: ვ-აცა “ძმა”//დ-აცა “და”; ვ-ატაად “მამამთილი”//დ-ატაად “დედამთილი”...

ნაწარმოები ფუძე. დერივაციული სუფიქსები

საკუთარი მაწარმოებლები

-იკ – აწარმოებს კნინობით სახელებს, მაგ.: ფუქთლ-იკ “ბუთხუზა”; ფოთ-იკ “გოჭი”; მიწ-იკ “პატარა”, “პაწაწინა”; ხუნჩ-იკ “დაიკო”; ბინ-იკ “თოჯინა” (ბინ “პატარძალი”)...

-ნუთ – უარყოფის ბოლოსართოვანი ნაწილაკია, მნიშვნელობით უდრის ქართულ უ- ... -ო ცირკუმფიქსს, მაგ.: ბულ-ნუთ “უთავო”; ქულ-ნუთ “უსელო”; კონჯუხ-ნუთ “უპატრონო”; კოჯ-მეც-ნუთ “უსახლკარო”...

-ლა//ბა – მნიშვნელობით უდრის ქართულ -იან, -იერ, -ოვან სუფიქსებს, მაგ.: ფოფ-ლა “თმიანი” (ფოფ “თმა”); ეყ-ლა//ეყ-ბა “ხორციანი”

(**ეე** “ხორცი”); **იე-ლა//იე-ბა** “ნაცრიანი” (**იე** “ნაცარი”); **წი-ლა** “სახელოვანი” (**წი** “სახელი”); **უე-ლა** “გულიანი” (**უე** “გული”)...

-ო – დაერთვის სხვადასხვა მეტყველების ნაწილს და ახდენს მათ გასუბსტანტივებას, მაგ.: ქალა ადამარ არენე “უფროსი ადამიანი მოვიდა”, შდრ.: ქალო-ო (< ქალა-ო) არენე “უფროსი მოვიდა”...

უდიურში დერივანტის ფუნქციით ხშირად გამოიყენება აგრეთვე ბრუნვის ნიშნები, სახელდობრ:

-ენ (ერგატივ-ინსტრუმენტალისი): **პა^ა-ელმუდ-ონ** < ***პა^ა-ელმუხ-ენ** “ორსული” (**პა^ა** “ორი” + **ელმუხ** [pl. tantum] “სული”); **იჟ^ა-ენ** “ზამთარი”, შდრ.: **იჟ^ა** “თოვლი”; **იყ-ენ** “ნაცრიანი” (**იყ** “ნაცარი”), შდრ.: **იყ-ლა** “ნაცრიანი”...

-უნ (ნათესაობითი ბრუნვა): დაერთვის ზმნისართებსა და ზმნურ ფუძეებს და აწარმოებს ზედსართავ და არსებით სახელებს, მაგ.: **მიდა-უნ** “აქაური” (**მიდა** “აქ”); **ტიდა-უნ** “იქაური” (**ტიდა** “იქ”); **ბიტ-უნ** “ნათესი” (**ბიტ-ესუნ** “თესვა”); **კაჭკ-უნ** “კევი” (**კაჭკ-ფ-ესუნ** “ღეჭვა”, **კაჭკ-ალ** “მღეჭავი”); **ყაყ^აფ-უნ** “ერბო-კვერცხი” (**ყაყ^აფ-სუნ** “ხრჩობა”, “გუდვა” ?); **ჭეფ-უნ** “გამონაყარი”, “მუწუკი” (**ჭეფ-სუნ** “გამოყრა”)...

-ახ (მიცემითი ბრუნვა): **აპინ-ახ** “ოფლიანი” (**აპ** “ოფლი”); **ჭჷან-ახ** “ცხიმიანი” (**ჭჷან** “ცხიმი”, “ქონი”)...

-ახ-ო (აბლატივი): **ელ-ახ-ო** “მლაშე” (**ელ** “მარილი”)...

ნახესხები მაწარმოებლები (აზერბაიჯანულიდან)

-ლუ – მნიშვნელობით უდრის ქართულ **-იან**, **-იერ**, **-ოვან** სუფიქსებს (შდრ. იგივე ფუნქციით უდიურ ენაში **-ლა//ბა** სუფიქსს) და აგრეთვე იხმარება სადაურობის აღმნიშვნელი ფორმანტის ფუნქციით, მაგ.: **ჷფ-ლუ** “სოფლელი” (**ჷფ** “სოფელი”); **შჷჷრ-ლუ** “ქალაქელი” (**შჷჷრ** “ქალაქი”); **ბორშ-ლუ** < ***ბორჯ-ლუ** “მოვალე” (**ბორჯ** “ვალი”)...

-ჩი – ძირითადად აწარმოებს ხელობის, პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვებს, მაგ.: **ნახირ-ჩი//ნახერ-ჩი** “მენახირე” (**ნახირ//ნახერ** “ნახირი”); **ყორუხ-ჩი** “მეველე” (**ყორუხ** “მინდორი”, “ველი”); **ყარაულ-ჩი** “დარაჯი”; **ჩობან//ჩობან-ჩი** “მწყემსი”; **ჷრზჷ-ჩი** “მომჩივანი”...

-ლულ//ლუს – აწარმოებს განყენებულ სახელებს და გამოხატავს ვისამე ან რისამე შენაცვლებას, მაგივრობას, მაგ.: ვიჩი-ლულ “ძმობა”, “ძმის მაგივრობა”, “გერი ძმა” (ვიჩი “ძმა”); ნანა-ლულ “დედობა”, “დედინაცვალი” (ნანა “დედა”); დოსტ-ლულ “მეგობრობა” (დოსტ “მეგობარი”); ყონახ-ლულ “სტუმრობა”, “სტუმართმასპინძლობა”, “წვეულება” (ყონახ “სტუმარი”); შელ-ლულ//შელ-ლუს “სიკეთე” (შელ “კარგი”); აგრეთვე აღნიშნავს კრებითობას, ერთგან თავმოყრას, მაგ.: ცაც-ლულ “ეკლნარი” (ცაც “ეკალი”); მაჯმაჯ-ლულ “მუხნარი” (მაჯ “მუხა”, “რქო”); გვრწმზ-ლულ “სასაფლაო” (გვრწმზ “სამარე”)...

-სუს//სუს – თითქმის ისეთივე მნიშვნელობის მაწარმოებელია, როგორც ზემოთ დასახელებული უდიური -ნუთ ნაწილაკი, მაგ.: ბულ-სუს//ბულ-სუს “უთავო” (ბულ “თავი”); ქულ-სუს “უხელო” (ქულ “ხელი”); ნამუს-სუს “უნამუსო” (ნამუს “ნამუსი”)...

რთული (თხზული) ფუძეები

ერთცნებიანი კომპოზიციები

რედუქლიკაცია: ყუმ-ყუმ “ლოკოკინა”; დამ-დამ “დილა”; ხა-ხა “გატეხილი”; ბი-ბი “ხიდი”; კოწ-კოწ “მოხრილი”; ხური-ხური “წვრილ-წვრილი” (ხური “წვრილი”)...

ზოგჯერ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიციებში შემაერთებულ ნაწილაკად გვხვდება -ბა- ელემენტი, მაგ.: შაჰარ-ბა-შაჰარ “ქალაქ-ქალაქ” (შაჰარ “ქალაქი”); ჩო-ბა-ჩო “პირისპირ” (ჩო//ჩო “პირი”); უსენ-ბა-უსენ “წლითიწლად” (უსენ “წელიწადი”); ხაშ-ბა-ხაშ “თვეობით” (ხაშ “თვე”)...

რედუქლიკაცია ფონეტიკური ცვლილებებით: ქა-ქალა (ნიჯ.)//ქალ-ქალა (ვართ.) < *ქალა-ქალა “დიდ-დიდი”, “დიდრონი”, “მსხვილი” (ქალა “დიდი”); კიწ-კიწი < *კიწი-კიწი “ცოტ-ცოტა”, “მცირედი” (კიწი “ცოტა”); კორი-მორი < *კორი-კორი “მიხვეულ-მოხვეული” (კორი “მრუდე”)...

ორი ან სამი არსებითი სახელის ფუძისაგან თხზული კომპოზიციები: ხაშ-ბაბა “ნათლია” (ხაშ “ნათელი”, “სინათლე” + ბაბა “მამა”); ხაშ-ბაბა-ჩუბუს “ნათლიდედა” (სინონიმი: ხაშ-ნანა – ნანა “დედა”),

“ნათლიის ცოლი” (ხაშ-ბაბა + ჩუბუხ “ცოლი”, “დედაკაცი”)... სამი არსებითი სახელის ფუძისაგან შემდგარი კომპოზიციები უდიურ ენაში იშვიათად გვხვდება.

კომპოზიციები, რომელთა პირველი წევრი არსებითი სახელის ფუძეა, ხოლო მეორე – მსაზღვრელი სიტყვა: აჯ-მაწი “გულთეთრა”, “თრითინა” (აჯ “მკერდი” + მაწი “თეთრი”); ბულ-ზაპკალ “მეთაური”, “მოთავე”, “თაემჯდომარე” (ბულ “თავე” + ზაპკალ “გამწევი”); უკ-ჯად “გულდია”, “გულახდილი” (უკ “გული” + ჯად “ღია”)...

კომპოზიციები, რომელთა პირველი წევრი მსაზღვრელი სიტყვაა, ხოლო მეორე – არსებითი სახელის ფუძე: მუჭა-ნაყ “რძე” (მუჭა “ტკბილი” + ნაყ “ღო”); ხეპაქი-ჭან “ერბო” (ხეპაქი “დამდნარი” + ჭან “ცხიმი”, “ქონი”); ქალ-ნანა “ბეპია”, ქალ-ბაბა//ქალ-პაპა “ბაბუა” (ქალ < ქალა “დიდი” + ნანა “დედა”; ბაბა//პაპა “მამა”)...

კომპოზიციები, რომელთა პირველი წევრი ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია, ხოლო მეორე – მარტივფუძიანი არსებითი სახელი: ნეპნა-ტიკ “ძილის გუდა” (ნეპ-ნა[მ] “ძილის” + ტიკ “გუდა”); ბაბა-კოჯ “მამის სახლი” (ბაბა-[მ] “მამის” + კოჯ “სახლი”); მუჭანაყნა-ჩო “ნადები” (მუჭანაყ-ნა[მ] + ჩო/ჩო “პირი”); ჟენე-ელ “ქვამარილი” (ჟენ-ნე[მ] “ქვის” + ელ “მარილი”); უყნა-ხოდ “ნიგვზის ხე” (უყ-ნა[მ] “ნიგვზის” + ხოდ “ხე”); ჭანა-ხუპ “ერბოს ფლავი” (ჭან-ა[მ] “ერბოს”, “ცხიმის” + ხუპ “ფლავი”)...

კომპოზიციები, რომელთა პირველ წევრად იხმარება ატრიბუტული სიტყვა, ხოლო მეორე წევრად – არსებითი სახელიდან ნაწარმოები ზედსართავი სახელი: ქალა-უკლა “დიდგულა”, (ქალა “დიდი” + უკლა “გულიანი”); ქალა-ბოს’ბოს’ლა (ქალა “დიდი” + ბოს’ბოს’ლა “ცხვირიანი”); პა-ჩოლლა “ორპირა” (პა “ორი”, ჩოლლა “პირიანი”)...

ორცნებიანი კომპოზიციები

ორი არსებითი სახელის ფუძისაგან შედგენილნი: ნანა-ბაბა “დედ-მამა”, “მშობლები”; იშუ-ჩუბუხ “ცოლ-ქმარი”; ხუნჩი-ვიჩი “და-ძმა”;

კოჯ-მეც “სახლ-კარი” (ზედმიწ. “სახლ-ბუდე”); დორღან-დრშაგ “საბან-
ლები”...

არსებითი სახელის ფუძისა და მსაზღვრელი სიტყვისაგან
შედგენილნი: ხე-ზაპკალო “წელის მზიდველი”, “მეთულუხე”; ხორაგ-
ბოსალო “მზარეული” (ზედმიწ. “საჭმლის მზარშველი”); ჟომოს-ბერხალო
“მეწისქვილე” (ზედმიწ. “წისქვილის მფქველი”)...

მსაზღვრელი სახელისა და არსებითი სახელისაგან
შედგენილნი: ცამფი ალალა “უუუნა წვიმა” (ზედმიწ. “ჭრელი წვიმა”);
ცამფი დადალ “ჭრელი მამალი”...

საკუთარი სახელისაგან და საზოგადო არსებითი
სახელისაგან შედგენილნი: მარიამ-ნანა//მარჲამ-ნანა “მარიამ-დედა”,
“ღვთისმშობელი”...

ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელისა და
მარტივფუძიანი არსებითი სახელისაგან შედგენილნი: კოკოწუნ-
კოჯ “საქათმე” (ზედმიწ. “ქათმის სახლი”); ხალიკუნ-ღარ “ბიძაშვილი”
[დედის მხრიდან]; თურინ-ლეკერ “ფეხსაცმელი” (ზედმიწ. “ფეხის
ჭურჭელი”)...

ორი მიმღეობისაგან შედგენილნი: ეღალ-თაღალო “მომსველელ-
წამსველი”; ბოხი-ჩოჩალო “მზარშველ-გამომტანი”, “მსახური”...

არსებითი სახელის ბრუნება

უდიური ენის ბრუნების სისტემის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ
შემდეგი ძირითადი პრინციპები:

ბრუნვები და მრავლობითი რიცხვი იწარმოება აგლუტინაციურად.
მრავლობითში დასტურდება იგივე ბრუნვის ნიშნები, გარკვეულ
ფონეტიკურ ცვლილებებს თუ არ ჩავთვლით, რაც მხოლოდობითში
გამოიყოფა: ბრუნვის ნიშნები დაერთვის გაუფორმებელ ფუძეს (ნომინატივის
ემთხვევა) ან მრავლობითი რიცხვის ფორმანტით გართულებულ ფუძეს.
ბრუნებისას, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, მრავლობითის
სუფიქსი ყოველთვის წინ უსწრებს ბრუნვის ნიშანს.

უდიურ ენაში გამოიყოფა ძირითადი (უთანდებულო – სახელობითი, ერგატივი, ნათესაობითი და მიცემითი) და მეორეული (თანდებულიანი – აბლატივი, კომიტატივი, ადესივი, ალატივი, სუპერისივი და ბენეფაქტივი) ბრუნვები. მეორეულ (თანდებულიან) ბრუნვებში მაწარმოებელი თანდებულები იმგვარადაა შერწყმული ბრუნვის ფორმასთან, რომ მათი გამოყოფა ზოგჯერ ვერ ხერხდება.

ბრუნების სისტემა ერთგვარადაა წარმოდგენილი უდიურის ორსავე დიალექტში (ვართაშნულსა და ნიჯურში), თუმცა დასტურდება განსვავებებიც.

ბრუნების სისტემა უდიურ ენაში რთულია. შეინიშნება ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნება, რომელიც ვერ აიხსნება მხოლოდ ფონეტიკური პროცესებით: ზოგიერთი მკვლევრის აზრით (ვლ. ფანჩიძე, ევგ. ჯეირანიშვილი, ვ. გუკასიანი...), უდიურში დასტურდება მხოლოდ ერთი ბრუნვის ტიპი, ხოლო ფორმანტთა ნაირსახეობა აიხსნება ოდენ ფონეტიკური ცვლილებებით. სამართლიანი ჩანს მოსაზრება (ა. შიფნერი, ა. დირი, ტ. სიხარულიძე), რომლის თანახმად უდიური ენაში არსებითი სახელი ბრუნების თავისებურებათა მიხედვით იყოფა ხუთ ჯგუფად, ესენია:

- 1) ერთმარცვლიანი ხმოვანფუძიანი სახელები;
- 2) ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი სახელები;
- 3) ორ ან მეტმარცვლიანი ხმოვანფუძიანი სახელები;
- 4) ორ ან მეტმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი სახელები;
- 5) “*pluralia tantum*” სახელები.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს სქემა ყოვლისმომცველი არ არის: გვრჩება სახელები, ან სახელთა ჯგუფები, რომლებიც ძნელია მივაკუთვნოთ ამ ზემოჩამოთვლილთაგან რომელიმე ბრუნვის ტიპს.

ჯამში, ჩვენ ვიღებთ ფორმანტთა განაწილების ძალზე რთულ სისტემას, რომელზეც მოქმედებს როგორც საბრუნებელი სახელის ფუძის აგებულება: თანხმოვანფუძიანია თუ ხმოვანფუძიანი; რამდენმარცვლიანია ფუძე – ერთმარცვლიან სახელებს ახასიათებს, როგორც წესი, ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის თანხმოვნური ჩანართების გაჩენა (ირიბი ფუძე), ძირითადად, -ნ- ელემენტისა; ისე სხვადასხვა ფონეტიკური პროცესი, მაგ.:

რ, ლ, დ//ტ ბგერებზე დაბოლოებული სახელთა ფუძეების დასახელებული ბოლოკიდურიანი თანხმონები რეგულარულად იმსგავსებს მომდევნო -ნ- ჩანართს: *...რ-ნ-... > ...რ-რ-...; *...ლ-ნ-... > ...ლ-ლ-...; *...დ-ნ-...//...ტ-ნ-... > ...დ-დ-...). ამის გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა საფუძვლიანი მოსაზრება, რომ უდიურში სახელის ბრუნებაზე მოქმედებს აწ უკვე მოშლილი გრამატიკული კლას-კატეგორიაც (ტ. სიხარულიძე).

ამას თვალნათლივ დავინახავთ **ხალა** “დეიდა” და **ხალა** “ჩანგალი” სიტყვების მაგალითზე: ორსავე სახელს სახელობითში ერთი ფორმა აქვს (მაშასადამე – ერთი ფუძეც), ხოლო ბრუნებისას ვლინდება თავისებურებები, შდრ.:

სახ. ხალა “დეიდა”	სახ. ხალა “ჩანგალი”
ერგ. ხალა-ნ	ერგ. ხალ-ინ-ენ
ნათ. ხალა-ა	ნათ. ხალ-ინ
მიც. ხალა-ხ	მიც. ხალ-ინ-ახ
აბლ. ხალა-ხ-ო...	აბლ. ხალ-ინ-ახ-ო...

პირველი ტიპის (**ხალა** “დეიდა”) მიხედვით იბრუნვის ა//წ ხმოვანზე დაბოლოებული ორმარცვლიანი სახელები, რომლებიც ადამიანს აღნიშნავენ, ანუ ეს სიტყვები ისტორიულად მამაკაცისა და ქალის კლასებში შემაგალი სახელებია: **ბაბა** “მამა”; **ნანა** “დედა”; **კადა** “უფროსი ძმა”; **ეზნა** “სიძე”; **უსტა** “ხელოსანი”, “ოსტატი”. ამ პრინციპით იბრუნვის აგრეთვე ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელები: **სედე** “მამამთილი”; **სედნე** “დედამთილი”; **სეჟე** “მაზლი” (აქ საფიქრებელია: ე < ა < *ა; შდრ. ნიჯის დიალექტში დადასტურებულს: **სედან** “მამამთილი”; **სედან** “დედამთილი”; **სეჟან** “მაზლი”)...

მეორე ტიპის (**ხალა** “ჩანგალი”) მიხედვით იბრუნვის ზუსტად ასეთივე სტრუქტურის (ა//წ ხმოვანზე დაბოლოებული ორმარცვლიანი სახელები) ნივთის აღმნიშვნელი სახელები (ე.ი., ისტორიულად ნივთის კლასში თუ კლასებში შემაგალი ლექსემები): **თოყა** “ქამარი”, **კოკლა** “კვერცხი”, **ომა** “მარწყვი”, **მუჭა** “მუჭა”...

ეს ვითარება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ისტორიულად უდიურ ენაში სახელები ბრუნების დროს თავისებურებებს ავლენდნენ მათი კლასოვანი კუთვნილების მიხედვით.

ბრუნვათა ფუნქციები

ძირითადი ბრუნვები

სახელობითი ბრუნვა. ∅ (უნიშნო) – აღნიშნავს სუბიექტს გარდაუვალ ზმნასთან, მაგ.:

ჩობან ონებბსინ ენესა კუა “**მწყემსი** ტირილით მოღის შინ [სახლში]”...
ნომინატივი გვევლინება რეალურ ობიექტად როგორც გარდამავალ ზმნებთან, ისე მიცემით-სუბიექტიან და ნათესაობით-სუბიექტიან ზმნებთანაც, მაგ.:

ელახუნ კიწკე დოლდაშენ თანედე ხიბ თოგის-ლუ **ჟე** “წასვლისას პატარა ამხანაგმა მისცა სამი ძვირფასი **ქვა**” [გარდამავალი ზმნა];

ზა აზაკსა შელ, ლწზთლუ **ფაქ** “მე (მიც.) ვხედავ კარგ, ლამაზ **ბაღს** (სახ.)” [მიცემით-სუბიექტიანი ზმნა];

კუა ნანად ბოხეცი **დადალ-ტა-ბაქსა** “სახლში დედას მოხარშული **მამალი** აქვს” [ნათესაობით-სუბიექტიანი ზმნა].

ერგატივი. ფორმანტებია **-ენ, -ინ, -ონ:** გამოიყენება ორი ბრუნვის მოთხრობითისა და მოქმედებითის (ინსტრუმენტალისი) ფუნქციით. ასრულებს რეალური სუბიექტის როლს გარდამავალ ზმნასთან და თანაბრად იხმარება ყველა დრო-კილოს ფორმასთან (ქართულ თარგმანში მას შეესატყვისება ხან მოთხრობითი, ხან სახელობითი, ზოგჯერ კი – მიცემითი), მაგ.:

ვა^წ ფინე **ისუს-ენ** ბაჩნა კალატუ “და უთხრა **იესომ** ასეულის უფროსს” (მთ. 8, 13);

შეთაბახტინ-თე ჰარ სო **ბესალ-ტ-ინ** ანეყსა “რადგანაც ყოველი **მთხოვნელი** (ერგ.) მიიღებს” (მთ. 7, 8)...

ერგატივის ფორმა ხშირად გვევლინება რეალურ სუბიექტად მიცემით-სუბიექტიან ზმნასთან. ეს პროცესი მეორეულია და დამთავრებული არ არის: ფაკულტატურად გვხვდება ორივე ბრუნვის ფორმა (მიცემითისა და ერგატივის), ოღონდ ტენდენცია მიუთითებს

ერგატივის გაბატონებაზე, მაგ.:

ჩუბლ-ონ ეკათე იტუბაქსა, ეხნე იშეხ **“ცოლს (ერგ.) რაც ესმის, ეუბნება ქმარს”**...

როგორც ზემოთ აღინიშნა, უდიური ერგატივი ინსტრუმენტალისის ფუნქციით არის აღჭურვილი, მაგ.:

ზუ ხაჩზუდე ეჭან **ხე-ნ-ენ** “მე მოგნათლეთ თქვენ **წყლით (ერგ.)**” (მრკ. 1, 4)...

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებია -ი, -ინ, -ნ-ინ, -უნ, -ნ-უნ, -ა[დ], -ნ-ა[დ], -ე[დ], -ნ-ე[დ], -ო[დ], -ნ-უ[დ]: “ქონა”-“ყოლის” ზმნასთან გადმოსცემს რეალურ სუბიექტს, მაგ.:

ზინოე-ინ ბუტად სა ღარ ყა სა ხინწრ **“ზინობის (ნათ.) ჰყავდა ერთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი”**...

ნათესაობითი ბრუნვა გამოხატავს კუთვნილება-განსაზღვრას, ანუ აღჭურვილია პოსესიური ფუნქციით, მაგ.:

შონო ბადნეცი გუნწჰქწრ **ადამარ-ი** ტოლოლ “და შევიდა ცოდვილი **კაცის** სახლში” (ლკ. 19, 7);

ზორრუეყუნბესად შოტხო ჯუღაბუხ **გრლრთ-ა** ბახტინ “ძალით ითხოვდნენ მისგან პასუხს **ბევრის** გამო” (ლკ. 11, 53)...

მიცემითი ბრუნვის ფორმანტებია -ა[ხ], -ე[ხ], -უ[ხ], -ო[ხ], -ი[ხ], -ნ-ა[ხ], -ნ-ე[ხ], -ნ-უ[ხ]: მიცემითი ბრუნვის ფორმა, მიცემით-სუბიექტიან ზმნებთან (verba sentiendi) შეიძლება სუბიექტი გადმოგვცეს, თუმცა, არსანიშნავია, რომ ამჟამად ეს იშვიათი მოვლენაა, მაგ.:

მე **ადამარ-ა** ბუტყესა ჩუბუხ “ამ **ადამიანს** უყვარს ცოლი”...

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიცემითი ბრუნვის ფორმით, ნომინატივთან პარალელურად, პირდაპირი ობიექტი გადმოიცემა ყველა დრო-კილოს ფორმასთან, მაგ.:

ზუ თასსა ძურუფსან **ბელ-ნ-უხ** ყა **ხაშ-ნ-უხ** “მე მივდივარ საძებნელად **მზისა და მთვარისა**”...

ასევე, მიცემითი ბრუნვით ირიბი ობიექტი აღინიშნება, მაგ.:

ჩობანღონ არზყუნბესა ტე **ჩობან-ა** “მწყესები საჩივარს მიართმევენ ამ **მწყემსს**”...

მიცემითი ხშირად გამოყენებულია გარემოების (ლოკატივის)

ფუნქციით თანდებულის დაურთველად, მაგ.:

ბელსანე, ფასჭადუნ ქტა ლაშკონე-ბუ “ხედავს, მეფის სახლში (მიც.)
ქორწილია

თანდებულიანი (მეორეული) ბრუნვები

აბლატივი (დაშორებით). ეს ბრუნვა მიცემითზე დაყრდნობით იწარმოება და მისი ფორმანტებია **-ახ-ო//ოხ-ო** (ზოგჯერ ფონეტიკური ცვლილებებით; პირველი კომპონენტი **(-ახ//ოხ)** იცვლება მიცემითი ბრუნვის მიხედვით). აბლატივს ქართული **-გან** თანდებულის მსგავსი ფუნქცია აქვს, მაგ.:

თე უნ ჭაპნებუ მეტუხ აბატუდ-ოხ-ო ვა^ა ჰაყულლუტუდ-ოხ-ო “რომ შენ დამალე ეს ბრძენთაგან და გონიერთაგან” (ლკ. 6, 45)...

უდიურში აბლატივი შედარებით ხარისხსაც გამოხატავს, მაგ.:

მე ხოდ ტე ხოდ-ახ-ო ქალანე “ეს ხე იმ ხეზე (აბლ.; ზედმიწ. ხისგან) დიდია”...

კომიტატივი (თანაობითი). ძირითადი ფორმანტებია **-ახ-ალ[ან]//ოხ-ოლ[ან]** (პირველი კომპონენტი **-ახ//ოხ** იცვლება მიცემითი ბრუნვის მიხედვით, ანუ კომიტატივი მიცემითის ფორმას ეყრდნობა). უდიური კომიტატივი უდრის ქართულ **-თან** თანდებულს ისეთ ფრაზებში, როგორცაა: “ხესთან დგას”... ან კაცთან ერთად მიდის” და ა.შ., ანუ კომიტატივი გამოხატავს საგნის მყოფობას პირთან ან საგანთან და საგნის მოძრაობას სხვა პირთან ან საგანთან ერთად, მაგ.:

თანესა იწ ნანა-ხ-ოლ “დჭრუსლულონ” ფესან “მიდის თავის დედასთან “მშვიდობით” სათქმელად” (რუსტ.)...

ადესივი (თანამყოფობითი). ფორმანტებია **-ა-ს-ტა//ო-ს-ტა** (ზოგჯერ ფონეტიკური ცვლილებებით). ადესივი მიცემითზე დაყრდნობით იწარმოება, თუმცა **-ს-** ელემენტის წარმოშობა ნათელი არაა. ევგ. ჯეირანიშვილის ვარაუდით: ***ხ** (დატივის ფორმანტი) > **ს**. ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას: სავარაუდოდ, **-ს-** ელემენტი უშუალოდ თანდებულს უნდა მივაკუთვნოთ (**-სტა**), ანდა შესაძლებელია ეს ელემენტი კავკასიის ალბანურ ენაში მიცემითი ბრუნვის დამოწმებულ ფორმანტთა ერთ-ერთი სერიისაგან მომდინარეობდეს. ადესივი გამოხატავს მოძრაობას

ობიექტისაკენ, გარკვეული პუნქტის მახლობლად მიღწევას, აგრეთვე მყოფობას ობიექტთან და გადმოგვცემს ქართული **-თან** თანდებულის შინაარს იმის მსგავსად, როგორცაა ფრაზებში “ხესთან მივიდა”, “ხესთან დგას” და ა.შ., მაგ.:

ეთჳრ ცამნე **ფესამბარდ-ოს-ტა** “როგორც წერია **მოციქულებთან**” (მრკ. 1, 2)...

ალატივი (მიმართულებითი). ფორმანტებია **-ა-ჭ//ო-ჭ** (პირველი კომპონენტი **-ა//ო** იცვლება მიცემითი ბრუნვის მიხედვით, ანუ ალატივი მიცემითზე დაყრდნობით იწარმოება). გამოიყენება ქართული **-კენ** და **-მდე** თანდებულების ფუნქციით, მაგ.:

ვა¹ თანეცი შჳჳრღონ ვა¹ ჳჳურღონ, ზომბესინ ვა¹ დაყ აკესტესინ **ერუსალიმ-ა-ჭ** “და წავიდა ქალაქებითა და სოფლებით, სწავლებითა და გზის ჩვენებით **იერუსალიმისაკენ [იერუსალიმამდე]**” (ლკ. 13, 22)...

სუპერასივი (ტერმინტატივი; ზედობითი). ფორმანტებია **-ა-ლ//ო-ლ** (პირველი კომპონენტი **-ა//ო** იცვლება მიცემითი ბრუნვის მიხედვით, ანუ სუპერასივი დატივის ფორმას ეყრდნობა). ეს ბრუნვა გადმოგვცემს ქართული **-ზე** თანდებულის შინაარსს, მაგ.:

ლაჩაყტა ვი **ტურ-ელ** “ჩაიცვი შენ **ფესზე!**”...

ბენეფაქტივი (კაუზატივი¹; განკუთვნიებითი). ფორმანტებია **-ენ-კ[ენა]//ონ-კ[ენა]** (ზოგჯერ ფონეტიკური ცვლილებებით). ვართაშნულში ეს ბრუნვა, როგორც ჩანს, ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფორმას ეყრდნობა, ხოლო ნიჯის დიალექტის ფორმის **-ანაჭ//ონაჭ** სარყდენი ბრუნვა ნათელი არაა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ნიჯურ კილოში ბენეფაქტივის ფორმა მიცემითზე დაყრდნობით იწარმოება (ვლ. ფანჩიძე; ევგ. ჯეირანიშვილი), თუმცა ეჭვი გვეპარება აღნიშნული მოსაზრების მართებულობაში. გამოიყენება ქართული **-თვის** თანდებულის ფუნქციით, მაგ.:

ძუღან ჭჳლჳგი უნ გჳრჳგ **უმ-ენ-კ** თაღან “ამა და ამ ტყეში შენ უნდა **შეშისათვის** წახვიდე”...

¹ ამ ბრუნვის აღსანიშნავად ეს ტერმინი გამოყენებული აქვს ა. შიფნერს, ა. დირს და ევგ. ჯეირანიშვილს.

ბრუნვის ნიშნები მხოლოდობითში

		ბრუნვები	ვართაშნული	ნიჯური
ძირითადი	1	სახელობითი	∅ (არამარკირებულია)	∅ (არამარკირებულია)
	2	ერგატივი	-ენ, -ინ, -ონ	იგივე და -ენ
	3	ნათესაობითი	-ი, -ინ, -ნ-ინ, -უნ, -ნ-უნ, -ა[ფ], -ნ-ა[ფ], -ე[ფ], -ნ-ე[ფ], -ო[ფ], -ნ-უ[ფ]	იგივე და -ენ, -ნ-ენ
	4	მიცემითი	-ა[ხ], -ე[ხ], -უ[ხ], -ო[ხ], -ი[ხ], -ნ-ა[ხ], -ნ-ე[ხ], -ნ-უ[ხ]	იგივე, იმ განსხვავებით, რომ -[ხ] ელემენტი თითქმის არ იხმარება
თანდებულებიანი	5	აბლატივი	-ახ-ო	-ახ-უნ
	6	კომიტატივი	-ახ-ოლ[ან]	-ახ-უნ[ან]
	7	ადესივი	-ა-სტა	-ა-სთა
	8	ალატივი	-ა-ჭ	-ა-ჩ
	9	სუპერისივი	-ა-ლ	იგივე
	10	ბენეფაქტივი	-ენ-კ[ენა]	-აენაქ, -ეენაქ

ბრუნვის ნიშნები მრავლობითში

		ბრუნვები	ვართაშნული	ნიჯური
ძირითადი	1	სახელობითი	-უხ, -ურ, -ურ-უხ, -მ-უხ, -ურ-მ-უხ, -ორ	-უხ//ხო, -ურ, -ურ-უხ// -ურ-ხო, -მ-უხ, -ურ-მ-უხ
	2	ერგატივი	-ლ//ოლ, -მ-ულ, -ურ-მ-ულ -ურ-ულ//ურ-ლ, + ბრუნვის -ონ	-ლ//-ხ, -ოხ, -ურ-უხ//ურ-ხ, -მ-უხ, -ურ-მ-უხ + ბრუნვის -ონ
	3	ნათესაობითი	იგივე, რაც ერგატივში + -ო[ფ]	იგივე, რაც ერგატივში + -ო[ფ]
	4	მიცემითი	იგივე + -ო[ხ]	იგივე + -ო[ხ]
თანდებულებიანი	5	აბლატივი	იგივე + -ოხ-ო	იგივე + -ახ-უნ
	6	კომიტატივი	იგივე + -ოხ-ოლ[ან]	იგივე + -ახ-უნ[ან]
	7	ადესივი	იგივე + -ო-სტა	იგივე + -ოხ-თა
	8	ალატივი	იგივე + -ო-ჭ	იგივე + -ო-ჩ
	9	სუპერისივი	იგივე + -ო-ლ	იგივე + -ო-ლ
	10	ბენეფაქტივი	იგივე + -ონ-კ[ენა]	იგივე + -ოენაქ

არსებით სახელთა ბრუნების პარადიგმები:
(ვართაშნული დიალექტისა)

ერთმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება

მხ.	მრ.
სახ. ჩო//ჩ'ო “სახე”, “ზედაპირი”, “მხარე”	სახ. ჩო-რ-ხოხ
ერგ. ჩო-ენ	ერგ. ჩო-რ-ხონ
ნათ. ჩო-ე[ფ]	ნათ. ჩო-რ-ხო[ფ]
მიც. ჩო-ე[ხ]	მიც. ჩო-რ-ხო[ხ]
აბლ. ჩო-ეხ-ო	აბლ. ჩო-რ-ხოხ-ო
კომიტ. ჩო-ეხ-ოლ[ან]	კომიტ. ჩო-რ-ხოხ-ოლ[ან]
ადეს. ჩო-ესტა	ადეს. ჩო-რ-ხოხ-ესტა
ალატ. ჩო-ეჭ	ალატ. ჩო-რ-ხოხ-ჭ
სუპერ. ჩო-ელ	სუპერ. ჩო-რ-ხოხ-ლ
ბენეფაქტ. ჩო-ენ-კ[ენა]	ბენეფაქტ. ჩო-რ-ხოხ-ონ-კ[ენა]

ეგრევე იბრუნვის: ხა “მატყელი”, ჭა “მატყელის საბელი”, ხო “თრთვილი”, მუ “ქერი”, ჩუ “პალო”, “სოლი”, ძუ “ამონასუნთქვი”, “ამონაბერი”, კა “ჭირხლი”, მა “ტვინი”, ხ'ო “ცური”... სახელი ო “ბალახი”, რომელიც ამ პრინციპით იბრუნვის ორგვარად აწარმოებს მიცემით ბრუნვას – ო-ე[ხ]//ო-ა[ხ]. შესაბამისად, თანდებულიან ბრუნვებში (ბენეფაქტივის გარდა) ორ-ორი ვარიანტი გვაქვს: ო-ეხ-ო//ო-ახ-ო (აბლ.), ო-ეს-ტა//ო-ახ-ტა (ადეს.), ო-ეჭ//ო-აჭ (ალატ.), ო-ელ//ო-ალ (სუპერ.). თავისებურებურებას იჩენს ამ სახელის კომიტატივის ფორმა სადაც გვაქვს ო-ეხ-ოლ[ან]//ო-იხ-ოლ[ან].

მხ.

სახ. ხა “ძაღლი”
 ერგ. ხე-ენ
 ნათ. ხე-ე
 მიც. ხა
 აბლ. ხა-ხ-ო
 კომიტ. ხა-ხ-ოლ[ან]
 ადეს. ხა-ხ-ო-სტა
 ალატ. ხა-ჰ
 სუპერ. ხა-ლ
 ბენეფაქტ. ხა-ენ-კ[ენა]

მხ.

სახ. გა “ადგილი”
 ერგ. გან-ენ//გა-ლ-ენ
 ნათ. გან-ე[ე]//გა-ლ-ა[ე]
 მიც. გან-უ[ხ]//გა-ლ-ა[ხ]
 აბლ. გან-უხ-ო//გა-ლ-ახ-ო
 კომიტ. გან-უხ-ოლ[ან]//გა-ლ-ახ-ოლ[ან]
 ადეს. გან-უ-სტა//გა-ლ-ა-სტა
 ალატ. გან-უ-ჰ//გა-ლ-ა-ჰ
 სუპერ. გან-უ-ლ//გა-ლ-ა-ლ
 ბენეფაქტ. გან-ენ-კ[ენა]//გა-ლ-ენ-კ[ენა]

მრ.

სახ. ხა-რ-ხ-ოხ
 ერგ. ხა-რ-ხ-ონ
 ნათ. ხა-რ-ხ-ო[ე]
 მიც. ხა-რ-ხ-ო[ხ]
 აბლ. ხა-რ-ხ-ოხ-ო
 კომიტ. ხა-რ-ხ-ოხ-ოლ[ან]
 ადეს. ხა-რ-ხ-ოხ-ო-სტა
 ალატ. ხა-რ-ხ-ო-ჰ
 სუპერ. ხა-რ-ხ-ო-ლ
 ბენეფაქტ. ხა-რ-ხ-ონ-კ[ენა]

მრ.

სახ. გამ-ხ-ოხ//გარ-ხ-ოხ
 ერგ. გამ-ხ-ონ//გარ-ხ-ონ
 ნათ. გამ-ხ-ო[ე]//გარ-ხ-ო[ე]
 მიც. გამ-ხ-ო[ხ]//გარ-ხ-ო[ხ]
 აბლ. გამ-ხ-ოხ-ო//გარ-ხ-ოხ-ო
 კომიტ. გამ-ხ-ოხ-ოლ[ან]//გარ-ხ-ოხ-ოლ[ან]
 ადეს. გამ-ხ-ოხ-ო-სტა//გარ-ხ-ოხ-ო-სტა
 ალატ. გამ-ხ-ო-ჰ//გარ-ხ-ო-ჰ
 სუპერ. გამ-ხ-ო-ლ//გარ-ხ-ო-ლ
 ბენეფაქტ. გამ-ხ-ონ-კ[ენა]//გარ-ხ-ონ-კ[ენა]

მხ.

მრ.

სახ. მე “დანა”
 ერგ. მე-ნ-ენ
 ნათ. მე-ნ-ე[ფ]
 მიც. მე-ნ-ა[ხ]/მე-ნ-ე[ხ]
 აბლ. მე-ნ-ახ-ო
 კომიტ. მე-ნ-ახ-ოლ[ან]
 ადეს. მე-ნ-ა-სტა
 ალატ. მე-ნ-ა-ჭ
 სუპერ. მე-ნ-ა-ლ
 ბენეფაქტ. მე-ნ-ენ-კ[ენა]

სახ. მე-რ-ხ-ოხ
 ერგ. მე-რ-ხ-ონ
 ნათ. მე-რ-ხ-ო[ფ]
 მიც. მე-რ-ხ-ო[ხ]
 აბლ. მე-რ-ხ-ოხ-ო
 კომიტ. მე-რ-ხ-ოხ-ოლ[ან]
 ადეს. მე-რ-ხ-ო-სტა
 ალატ. მე-რ-ხ-ო-ჭ
 სუპერ. მე-რ-ხ-ო-ლ
 ბენეფაქტ. მე-რ-ხო-ენ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის: **ჟე** “ქვა”, **ტე** “წილი”, **ხე** “წყალი”... ამ ტიპს მიეკუთვნება სიტყვა **პი** “სისხლი”, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ მიცემითსა და აბლატივში ეს სიტყვა პარალელურ ფორმებს აწარმოებს: **პი-ნ-ა[ხ]/პი-ნ-ე[ხ]** (მიც.); **პი-ნ-ახ-ო//პი-ნ-ეხ-ო** (აბლ.).

მხ.

მრ.

სახ. წი “სახელი”
 ერგ. წი-მ-ენ
 ნათ. წი-მ-ე[ფ]
 მიც. წი-მ-ე[ხ]/წი-ა[ხ]
 აბლ. წი-მ-ეხ-ო//წი-ახ-ო
 კომიტ. წი-მ-ეხ-ოლ[ან]/წი-ახ-ოლ[ან]
 ადეს. წი-მ-ე-სტა//წი-ა-სტა
 ალატ. წი-მ-ე-ჭ//წი-ა-ჭ
 სუპერ. წი-მ-ე-ლ//წი-ა-ლ
 ბენეფაქტ. წი-მ-ენ-კ[ენა]/წი-ენ-კ[ენა]

სახ. წი-რ-ხ-ოხ//წი-მ-ხ-ოხ
 ერგ. წი-რ-ხ-ონ//წი-მ-ხ-ონ
 ნათ. წი-რ-ხ-ო[ფ]
 მიც. წი-რ-ხ-ო[ხ]
 აბლ. წი-რ-ხ-ოხ-ო//წი-მ-ხ-ოხ-ო
 კომიტ. წი-რ-ხ-ოხ-ოლ[ან]
 ადეს. წი-რ-ხ-ო-სტა
 ალატ. წი-რ-ხ-ო-ჭ
 სუპერ. წი-რ-ხ-ო-ლ
 ბენეფაქტ. წი-რ-ხო-ენ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის: **მი** “სიცივე”, **ყი** “შიში”...

მხ.

სახ. ღი “ღღე”
 ერგ. ღე-ნ-ენ
 ნათ. ღე-ნ-ე[ღ]
 მიც. ღე-ნ-ა[ხ]
 აბლ. ღე-ნ-ახ-ო
 კომიტ. ღე-ნ-ახ-ოლ[ან]
 ადეს. ღე-ნ-ა-სტა
 ალატ. ღე-ნ-ა-ჭ
 სუპერ. ღე-ნ-ა-ლ
 ბენეფაქტ. ღე-ნ-ენ-კ[ენა]

მრ.

სახ. ღი-მ-ხ-ოხ//ღი-რ-ხ-ოხ
 ერგ. ღი-მ-ხ-ოხ//ღი-რ-ხ-ოხ
 ნათ. ღი-მ-ხ-ო[ღ]
 მიც. ღი-მ-ხ-ო[ხ]
 აბლ. ღი-მ-ხ-ოხ-ო
 კომიტ. ღი-მ-ხ-ოხ-ოლ[ან]
 ადეს. ღი-მ-ხ-ო-სტა
 ალატ. ღი-მ-ხ-ო-ჭ
 სუპერ. ღი-მ-ხ-ო-ლ
 ბენეფაქტ. ღი-მ-ხ-ონ-კ[ენა]

ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება

მხ.

სახ. მეს “ნამგალი”
 ერგ. მეს-ენ
 ნათ. მეს-ნ-ა[ღ]
 მიც. მეს-ნ-უ[ხ]
 აბლ. მეს-ნ-უხ-ო
 კომიტ. მეს-ნ-უხ-ოლ[ან]
 ადეს. მეს-ნ-უხ-ტა
 ალატ. მეს-ნ-უ-ჭ
 სუპერ. მეს-ნ-უ-ლ
 ბენეფაქტ. მეს-ენ-კ[ენა]

მრ.

სახ. მეს-რ-უხ
 ერგ. მეს-რ-უღ-ონ
 ნათ. მეს-რ-უღ-ო[ღ]
 მიც. მეს-რ-უღ-ო[ხ]
 აბლ. მეს-რ-უღ-ოხ-ო
 კომიტ. მეს-რ-უღ-ოხ-ოლ[ან]
 ადეს. მეს-რ-უღ-ოხ-ტა
 ალატ. მეს-რ-უღ-ო-ჭ
 სუპერ. მეს-რ-უღ-ო-ლ
 ბენეფაქტ. მეს-რ-უღ-ონ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა უმრავლესობა.

მხ.

მრ.

სახ. ტულ “ყურძენი”

სახ. ტულ-რ-უხ

ერგ. ტულ-ენ

ერგ. ტულ-რ-უდ-ონ

ნათ. ტულ-ლ-ა[ფ]

ნათ. ტულ-რ-უდ-ო[ფ]

მიც. ტულ-ლ-უ[ხ]

მიც. ტულ-რ-უდ-ო[ხ]

აბლ. ტულ-ლ-უხ-ო

აბლ. ტულ-რ-უდ-ოხ-ო

კომიტ. ტულ-ლ-უხ-ოლ[ან]

კომიტ. ტულ-რ-უდ-ოხ-ოლ[ან]

ადეს. ტულ-ლ-უ-სტა

ადეს. ტულ-რ-უდ-ო-სტა

ალატ. ტულ-ლ-უ-ჭ

ალატ. ტულ-რ-უდ-ო-ჭ

სუპერ. ტულ-ლ-უ-ლ

სუპერ. ტულ-რ-უდ-ო-ლ

ბენეფაქტ. ტულ-ენ-კ[ენა]

ბენეფაქტ. ტულ-რ-უდ-ო-ენ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის: **კულ** “მიწა”, **გულ** “საცერი”, **ცილ** “თესლი”, **წილ** “ნაკვერჩხალი”, **ჩილ** “მძივი”, **ქოლ** “ბუჩქი”, **ღოლ** “გუბე”, **ჩაღ** “ღობე”, **მაღ** “საქონელი, ქონება”, **შაღ** “შალი”, **ხეღ** “ტვირთი”, “ბარგი”, **ქოღ** “საცობი” და სხვა ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი ლ ასო-ბგერაზე დაბოლოებული სახელები.

მხ.

მრ.

სახ. გორ “სარი”

სახ. გორ-რ-უხ

ერგ. გორ-ენ

ერგ. გორ-რ-უდ-ონ

ნათ. გორ-რ-ა

ნათ. გორ-რ-უდ-ო[ფ]

მიც. გორ-რ-უ[ხ]

მიც. გორ-რ-უდ-ო[ხ]

აბლ. გორ-რ-უხ-ო

აბლ. გორ-რ-უდ-ოხ-ო

კომიტ. გორ-რ-უხ-ოლ[ან]

კომიტ. გორ-რ-უდ-ოხ-ოლ[ან]

ადეს. გორ-რ-უ-სტა

ადეს. გორ-რ-უდ-ო-სტა

ალატ. გორ-რ-უჭ
სუპერ. გორ-რ-უ-ლ
ბენეფაქტ. გორ-ენ-კ[ენა]

ალატ. გორ-რ-უღ-ო-ჭ
სუპერ. გორ-რ-უღ-ო-ლ
ბენეფაქტ. გორ-რ-უღ-ონ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის სხვა ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან რ ასო-ბგერაზე დაბოლოებულ სახელთა უმეტესობა.

მხ.

მრ.

სახ. ხოდ “ხე”
ერგ. ხოდ-ენ
ნათ. ხოდ-დ-ა[ღ]
მიც. ხოდ-დ-უ[ხ]//ხოდ-დ-ა[ხ]
აბლ. ხოდ-დ-უხ-ო
კომიტ. ხოდ-დ-უხ-ოლ[ან]
ადეს. ხოდ-დ-უ-სტა
ალატ. ხოდ-დ-უ-ჭ
სუპერ. ხოდ-დ-უ-ლ//ხოდ-დ-ალ
ბენეფაქტ. ხოდ-ენ-კ[ენა]

სახ. ხოდ-რ-უხ
ერგ. ხოდ-რ-ოდ-ონ
ნათ. ხოდ-რ-ოდ-ო[ღ]
მიც. ხოდ-რ-ოდ-ო[ხ]
აბლ. ხოდ-რ-ოდ-ოხ-ო
კომიტ. ხოდ-რ-ოდ-ოხ-ოლ[ან]
ადეს. ხოდ-რ-ოდ-ო-სტა
ალატ. ხოდ-რ-ოდ-ო-ჭ
სუპერ. ხოდ-რ-ოდ-ო-ლ
ბენეფაქტ. ხოდ-რ-ოდ-ონ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის სხვა ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი დ//ტ ასო-ბგერებზე დაბოლოებული სახელების უმეტესობა.

მხ.

მრ.

სახ. დარ “ვაჟი”, “ბიჭი”
ერგ. დარ-ენ
ნათ. დარ-ი
მიც. დარ-ა[ხ]
აბლ. დარ-ახ-ო
კომიტ. დარ-ახ-ოლ[ან]
ადეს. დარ-ა-სტა
ალატ. დარ-ა-ჭ

სახ. დარ-მ-უხ
ერგ. დარ-მ-ოდ-ონ
ნათ. დარ-მ-ოდ-ო[ღ]
მიც. დარ-მ-ოდ-ო[ხ]
აბლ. დარ-მ-ოდ-ოხ-ო
კომიტ. დარ-მ-ოდ-ოხ-ოლ[ან]
ადეს. დარ-მ-ოდ-ო-სტა
ალატ. დარ-მ-ოდ-ო-ჭ

სუპერ. ღარ-ა-ღ
ბენეფაქტ. ღარ-ენ-კ[ენა]

სუპერ. ღარ-მ-ოდ-ო-ღ
ბენეფაქტ. ღარ-მ-ოდ-ონ-კ[ენა]

მრავლობითში აგრეთვე იხმარება შემდეგი ფორმები: ღარ-მ-უღ-ონ (ერგ.), ღარ-მ-უღ-ო[ღ] (ნათ.), ღარ-მ-უღ-ო[ხ] (მიც.), ღარ-მ-უღ-ოხ-ო (აბღ.), ღარ-მ-უღ-ოხ-ოღ[ან] (კომიტ.) და ა.შ.

მხ.

მრ.

სახ. ვიზ “სოფელი”
ერგ. ვიზ-ენ
ნათ. ვიზ-უნ
მიც. ვიზ-ი[ხ]
აბღ. ვიზ-იხ-ო
კომიტ. ვიზ-იხ-ოღ[ან]
ადეს. ვიზ-ი-სტა
აღაღტ. ვიზ-ი-ჭ
სუპერ. ვიზ-ი-ღ
ბენეფაქტ. ვიზ-ენ-კ[ენა]

სახ. ვიზ-რ-უხ
ერგ. ვიზ-რ-უღ-ონ
ნათ. ვიზ-რ-უღ-ო[ღ]
მიც. ვიზ-რ-უღ-ო[ხ]
აბღ. ვიზ-რ-ოხ-ო
კომიტ. ვიზ-რ-ოდ-ოხ-ოღ[ან]
ადეს. ვიზ-რ-ოდ-ო-სტა
აღაღტ. ვიზ-რ-ოდ-ო-ჭ
სუპერ. ვიზ-რ-ოდ-ო-ღ
ბენეფაქტ. ვიზ-რ-ოდ-ონ-კ[ენა]

მხ.

მრ.

სახ. კოჯ “სახლი”
ერგ. კოჯ-ენ
ნათ. კოჯ-ინ
მიც. კუა[ხ]
აბღ. კუა-ხ-ო
კომიტ. კუა-ხ-ოღ[ან]
ადეს. კუა-სტა
აღაღტ. კუა-ჭ

სახ. კოჯ-რ-უხ
ერგ. კოჯ-რ-ოდ-ონ
ნათ. კოჯ-რ-ოდ-ონ
მიც. კოჯ-რ-ოდ-ო[ხ]
აბღ. კოჯ-რ-ოდ-ოხ-ო
კომიტ. კოჯ-რ-უღ-ოხ-ოღ[ან]
ადეს. კოჯ-რ-უღ-ო-სტა

სუპერ. კუა-ლ
ბენეფაქტ. კოჯ-ენ-კ[ენა]

ალატ. კოჯ-რ-ულ-ო-ჭ
სუპერ. კოჯ-რ-ულ-ო-ლ
ბენეფაქტ. კოჯ-რ-ულ-ო-ენ-კ[ენა]

ეგრევე იბრუნვის: ბაბაკოჯ “მამის სახლი”; ბურლოკოჯ “გომური”;
კოკოწუნკოჯ “საქათმე”...

მხ.

მრ.

სახ. კოდ “ქვევრი”
ერგ. კოდ-ენ//კოდ-ნ-ენ
ნათ. კოდ-ე[დ]//კოდ-ნ-ა[დ]//კოდ-ნ-უნ
მიც. კოდ-ა[ხ]//კოდ-ეხ//კოდ-ნ-უხ
აბლ. კოდ-ახ-ო//კოდ-ნ-უხ-ო
კომიტ. კოდ-ა-ხ-ოლ[ან]
ადეს. კოდ-ა-სტა
ალატ. კოდ-ა-ჭ
სუპერ. კოდ-ა-ლ
ბენეფაქტ. კოდ-ენ-კ[ენა]

სახ. კოდ-მ-უხ//კოდ-რ-უხ
ერგ. კოდ-მ-ულ-ონ//კოდ-რ-ოლ-ონ
ნათ. კოდ-მ-ულ-ო[დ]
მიც. კოდ-მ-ულ-ო[ხ]
აბლ. კოდ-მ-ულ-ოხ-ო//კოდ-რ-ოლ-ოხ-ო
კომიტ. კოდ-მ-ულ-ოხ-ოლ[ან]
ადეს. კოდ-მ-ულ-ო-სტა
ალატ. კოდ-მ-ულ-ო-ჭ
სუპერ. კოდ-მ-ულ-ო-ლ
ბენეფაქტ. კოდ-მ-ულ-ონ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის: კოდ[ნ] “სახელო”, ბოდ “სიმაღლე” [ადამიანის]..

მხ.

მრ.

სახ. შედ “რამე”, “ნიეთი”
ერგ. შედ-ენ
ნათ. შედ-ნა
მიც. შედ-ნ-უხ
აბლ. შედ-ნ-უხ-ო
კომიტ. შედ-ნ-იეხ-ოლ[ან]
ადეს. შედ-ა-სტა
ალატ. შედ-ნ-უხ-ოლ-ა-ჭ

სახ. შედ-რ-უხ
ერგ. შედ-რ-ულ-ონ
ნათ. შედ-რ-ულ-ო
მიც. შედ-რ-ულ-ოხ
აბლ. შედ-რ-ულ-ოხ-ო
კომიტ. შედ-რ-ულ-ოხ-ოლ[ან]
ადეს. შედ-რ-ულ-ო-სტა
ალატ. შედ-რ-ულ-ო-ჭ

სუპერ. შედ-ნ-უ-ლ
ბენეფაქტ. შედ-ენ-ენ-კ[ენა]

სუპერ. შედ-რ-უდ-ო-ლ
ბენეფაქტ. შედ-რ-უდ-ონ-კ[ენა]

ეგრევე იბრუნვის: **ბად** “ბალი”, **შაბ** “შაური”...

მხ.

მრ.

სახ. ფულ “თვალი”
ერგ. ფ-ინ
ნათ. ფ-ინ
მიც. ფ-ე[ხ]
აბლ. ფ-ეხ-ო
კომიტ. ფ-ეხ-ოლ[ან]
ადეს. ფ-ე-სტა
ალატ. ფ-ე-ჭ
სუპერ. ფ-ელ
ბენეფაქტ. ფ-ენ-კ[ენა]

სახ. ფულ-მ-უხ
ერგ. ფულ-მ-უდ-ონ
ნათ. ფულ-მ-უდ-ო[დ]
მიც. ფულ-მ-უდ-ო[ხ]
აბლ. ფულ-მ-უდ-ოხ-ო
კომიტ. ფულ-მ-უდ-ოხ-ოლ[ან]
ადეს. ფულ-მ-უდ-ო-სტა
ალატ. ფულ-მ-უდ-ო-ჭ
სუპერ. ფულ-მ-უდ-ო-ლ
ბენეფაქტ. ფულ-მ-უდ-ონ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის: **ბულ** “თავი” და **ქულ** “ხელი”.

მხ.

მრ.

სახ. თურ “პერანგი”
ერგ. თურ-ენ//თურ-ინ
ნათ. თურ-ე[დ]//თურ-ინ
მიც. თურ-ა[ხ]//თურ-ე[ხ]//თურ-რ-უხ
აბლ. თურ-ახ-ო//თურ-ეხ-ო
კომიტ. თურ-ეხ-ოლ[ან]
ადეს. თურ-ე-სტა

სახ. თურ-მ-უხ
ერგ. თურ-მ-უდ-ონ
ნათ. თურ-მ-უდ-ო[დ]
მიც. თურ-მ-უდ-ო[ხ]
აბლ. თურ-მ-უდ-ოხ-ო
კომიტ. თურ-მ-უდ-ოხ-ოლ[ან]
ადეს. თურ-მ-უდ-ო-სტა

აღაღ. თურ-ე-ჭ
სუპერ. თურ-ე-ღ
ბენეფაქტ. თურ-ენ-კ[ენა]

აღაღ. თურ-მ-უღ-ო-ჭ
სუპერ. თურ-მ-უღ-ო-ღ
ბენეფაქტ. თურ-მ-ეღ-ონ-კ[ენა]

მხ.

მრ.

სახ. ჩურ “ფური”, “ძროხა”
ერგ. ჩურ-ენ
ნათ. ჩურ-ე[ღ]/ჩურ-ა[ღ]
მიც. ჩურ-ა[ხ]/ჩურ-ე[ხ]/ჩურ-რ-უ[ხ]
აბღ. ჩურ-ახ-ო//ჩურ-ეხ-ო//ჩურ-რ-უხ-ო
კომიტ. ჩურ-ახ-ოღ[ან]/ჩურ-ეხ-ღ[ან]
//ჩურ-რ-უხ-ოღ[ან]
ადეს. ჩურ-ა-სტა//ჩურ-ე-სტა//ჩურ-რ-უ-
სტა
აღაღ. ჩურ-ა-ჭ//ჩურ-ე-ჭ//ჩურ-რ-უ-ჭ
სუპერ. ჩურ-ა-ღ//ჩურ-ე-ღ//ჩურ-რ-უ-ღ
ბენეფაქტ. ჩურ-ენ-კ[ენა]

სახ. ჩურ-უხ//ჩურ-ხ-ოხ
ერგ. ჩურ-ღ-ონ
ნათ. ჩურ-ღ-ო[ღ]
მიც. ჩურ-ღ-ო[ხ]
აბღ. ჩურ-ღ-ოხ-ო
კომიტ. ჩურ-ღ-ოხ-ოღ[ან]
ადეს. ჩურ-ღ-ო-სტა
აღაღ. ჩურ-ღ-ო-ჭ
სუპერ. ჩურ-ღ-ო-ღ
ბენეფაქტ. ჩურ-ღ-ონ-კ[ენა]

მხ.

მრ.

სახ. აშ “საქმე”
ერგ. აშ-ენ//აშ-ღ-ენ
ნათ. აშ-ნ-ა[ღ]
მიც. აშ-ღ-ა[ხ]/აშ-ნ-უ[ხ]
აბღ. აშ-ღ-ახ-ო//აშ-ნ-უხ-ო
კომიტ. აშ-ღ-ახ-ოღ[ან]/აშ-ნ-უხ-
ოღ[ან]
ადეს. აშ-ღ-ა-სტა//აშ-ნ-უ-სტა

სახ. აშ-რ-უხ//აშ-მ-უხ
ერგ. აშ-რ-უღ-ონ
ნათ. აშ-რ-უღ-ო[ღ]
მიც. აშ-რ-უღ-ო[ხ]
აბღ. აშ-რ-უღ-ოხ-ო
კომიტ. აშ-რ-უღ-ოხ-ოღ[ან]
ადეს. აშ-რ-უღ-ო-სტა

აღაღტ. აშ-ღ-ა-ჭ//აშ-ნ-უ-ჭ	აღაღტ. აშ-რ-უღ-ო-ჭ
სუპერ. აშ-ღ-ა-ღ//აშ-ნ-უ-ღ	სუპერ. აშ-რ-უღ-ო-ღ
ბენეფაქტ. აშ-ღ-ენ-კ[ენა]/აშ-ენ-კ[ენა]	ბენეფაქტ. აშ-რ-უღ-ონ-კ[ენა]

ორ ან მეტმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება

მხ.	მრ.
სახ. ფაშნა “გოგრა”	სახ. ფაშნ-ი-[ღ]-უხ
ერგ. ფაშნ-ინ-ენ	ერგ. ფაშნ-ი-[ღ]-უღ-ონ
ნათ. ფაშნ-ინ	ნათ. ფაშნ-ი-[ღ]-უღ-ო[ღ]
მიც. ფაშნ-ინ-ა[ხ]	მიც. ფაშნ-ი-[ღ]-უღ-ო[ხ]
აბღ. ფაშნ-ინ-ახ-ო	აბღ. ფაშნ-ი-[ღ]-უღ-ოხ-ო
კომიტ. ფაშნ-ინ-ახ-ოღ[ან]	კომიტ. ფაშნ-ი-[ღ]-უღ-ოხ-ოღ[ან]
ადეს. ფაშნ-ინ-ა-სტა	ადეს. ფაშნ-ი-[ღ]-უღ-ო-სტა
აღაღტ. ფაშნ-ინ-ა-ჭ	აღაღტ. ფაშნ-ი-[ღ]-უღ-ო-ჭ
სუპერ. ფაშნ-ინ-ა-ღ	სუპერ. ფაშნ-ი-[ღ]-უღ-ო-ღ
ბენეფაქტ. ფაშნ-ინ-ენ-კ[ენა]	ბენეფაქტ. ფაშნ-ი-[ღ]-უღ-ონ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის სხვა ორ და მეტმარცვლიან ხმოვანფუძიან ა//ჲ და ი ასო-ბგერებზე დაბოლოებულ სახელთა უმეტესობა, რომელიც ისტორიულად ნივთის კლასის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

მხ.	მრ.
სახ. ნანა “ღეღა”	სახ. ნანა-უხ
ერგ. ნანა-ნ	ერგ. ნანა-ღ-ონ
ნათ. ნანა-[ღ]	ნათ. ნანა-ღ-ო[ღ]
მიც. ნანა-[ხ]	მიც. ნანა-ღ-ო[ხ]
აბღ. ნანა-ხ-ო	აბღ. ნანა-ღ-ოხ-ო

კომიტ. ნანა-ხ-ოლ[ან]
ადეს. ნანა-სტა
ალატ. ნანა-ჭ
სუპერ. ნანა-ლ
ბენეფაქტ. ნანე-ნ-კ[ენა]

კომიტ. ნანა-ღ-ოხ-ოლ[ან]
ადეს. ნანა-ღ-ო-სტა
ალატ. ნანა-ღ-ო-ჭ
სუპერ. ნანა-ღ-ო-ლ
ბენეფაქტ. ნანა-ღ-ონ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის: ბაბა “მამა”, ხალა “დეიდა”, დედნ “მამიდა”, კადა “უფროსი ძმა”, დეზნა “სიძე”, უსტა “ოსტატი”, “ხელოსანი”... სეფნე “მაზლი”, სეფნე “დედამთილი”, სეფდე “მამამთილი”... და სხვა ორ და მეტმარცვლიანი ხმოვანფუძიანი ა//წ და ე ასო-ბგერებზე დაბოლოებული სახელების უმეტესობა, რომელიც ისტორიულად მამაკაცისა და ქალის (ან ადამიანის) კლასების კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

მხ.

მრ.

სახ. ვაღნ “ღრო”
ერგ. ვაღნ-ინ-ენ
ნათ. ვაღნ-ინ
მიც. ვაღნ-ინ-ა[ხ]
აბლ. ვაღნ-ინ-ახ-ო
კომიტ. ვაღნ-ინ-ახ-ოლ[ან]
ადეს. ვაღნ-ინ-ა-სტა
ალატ. ვაღნ-ინ-ა-ჭ
სუპერ. ვაღნ-ინ-ა-ლ
ბენეფაქტ. ვაღნ-ინ-ენ-კ[ენა]

სახ. ვაღ-ი-უხ//ვაღ-ი-მ-უხ
ერგ. ვაღ-ი-ღ-ონ//ვაღ-ი-მ-ღ-ონ
ნათ. ვაღ-ი-ღ-ო[ღ]//ვაღ-ი-მ-ღ-ო[ღ]
მიც. ვაღ-ი-ღ-ო[ხ]//ვაღ-ი-მ-ღ-ო[ხ]
აბლ. ვაღ-ი-ღ-ოხ-ო//ვაღ-ი-მ-ღ-ოხ-ო
კომიტ. ვაღ-ი-ღ-ოხ-ალ[ან]//ვაღ-ი-მ-ღ-ოხ-ოლ[ან]
ადეს. ვაღ-ი-ღ-ო-სტა//ვაღ-ი-მ-ღ-ო-სტა
ალატ. ვაღ-ი-ღ-ო-ჭ//ვაღ-ი-მ-ღ-ო-ჭ
სუპერ. ვაღ-ი-ღ-ო-ლ//ვაღ-ი-მ-ღ-ო-ლ
ბენეფაქტ. ვაღ-ი-ღ-ონ-კ[ენა]//ვაღ-ი-მ-ღ-ონ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის: კაშა “თითი”, თაქნ “ჯიხვი”...

მხ.

სახ. ბელე “პირუტყვი”, “საქონელი”

ერგ. ბელე-ნ-ენ

ნათ. ბელე-ნ-უნ

მიც. ბელე-ნ-ა[ხ]

აბლ. ბელე-ნ-ახ-ო

კომიტ. ბელე-ნ-ახ-ოლ[ან]

ადეს. ბელე-ნ-ა-სტა

ალატ. ბელე-ნ-ა-ჭ

სუპერ. ბელე-ნ-ა-ლ

ბენეფაქტ. ბელე-ნ-ენ-კ[ენა]

მრ.

სახ. ბელე-უხ

ერგ. ბელე-დ-ონ//ბერ-რ-ონ

ნათ. ბელე-დ-ო[დ]//ბერ-დ-ო[დ]

მიც. ბელე-დ-ო[ხ]//ბერ-დ-ო[ხ]

აბლ. ბელე-დ-ოხ-ო//ბერ-დ-ოხ-ო

კომიტ. ბელე-დ-ოხ-ოლ[ან]//ბერ-დ-ოხ-

ოლ[ან]

ადეს. ბელე-დ-ო-სტა//ბერ-დ-ო-სტა

ალატ. ბელე-დ-ო-ჭ//ბერ-დ-ო-ჭ

სუპერ. ბელე-დ-ო-ლ//ბერ-დ-ო-ლ

ბენეფაქტ. ბელე-დ-ონ-კ[ენა]//ბერ-დ-

ონ-კ[ენა]

მხ.

სახ. ვიხი “ძმა”

ერგ. ვიხ-ენ

ნათ. ვიხ-ე[დ]

მიც. ვიხ-ე[ხ]

აბლ. ვიხ-ეხ-ო

კომიტ. ვიხ-ეხ-ოლ[ან]

ადეს. ვიხ-ე-სტა

ალატ. ვიხ-ე-ჭ

სუპერ. ვიხ-ე-ლ

ბენეფაქტ. ვიხ-ენ-კ[ენა]

მრ.

სახ. ვიხი-მ-უხ

ერგ. ვიხი-მ-დ-ონ

ნათ. ვიხი-მ-დ-ო[დ]

მიც. ვიხი-მ-დ-ო[ხ]

აბლ. ვიხი-მ-დ-ოხ-ო

კომიტ. ვიხი-მ-დ-ოხ-ოლ[ან]

ადეს. ვიხი-მ-დ-ო-სტა

ალატ. ვიხი-მ-დ-ო-ჭ

სუპერ. ვიხი-მ-დ-ო-ლ

ბენეფაქტ. ვიხი-მ-დ-ონ-კ[ენა]

ასევე იბრუნვის: ჰუნხი “და”

მხ.

მრ.

სახ. ჰასო “ღრუბელი”

სახ. ჰასო-უხ

ერგ. ჰასო-ნ-ენ

ერგ. ჰასო-ღ-ონ

ნათ. ჰასო-ნ-უნ

ნათ. ჰასო-ღ-ო[ღ]

მიც. ჰასო-ნ-ა[ხ]

მიც. ჰასო-ღ-ო[ხ]

აბლ. ჰასო-ნ-ახ-ო

აბლ. ჰასო-ღ-ოხ-ო

კომიტ. ჰასო-ნ-ახ-ოლ[ან]

კომიტ. ჰასო-ღ-ოხ-ოლ[ან]

ადეს. ჰასო-ნ-ა-სტა

ადეს. ჰასო-ღ-ო-სტა

ალატ. ჰასო-ნ-ა-ჭ

ალატ. ჰასო-ღ-ო-ჭ

სუპერ. ჰასო-ნ-ა-ლ

სუპერ. ჰასო-ღ-ო-ლ

ბენეფაქტ. ჰასო-ნ-ენ-კ[ენა]

ბენეფაქტ. ჰასო-ღ-ენ-კ[ენა]

ეგრევე იბრუნვის: ბოყო “ცომი”, ოყო “მმარი”, კირო “წაღდი”, ნიკო “ბურთი”, პალტო “პალტო”, ჰინო “ინა”... ბორზუ “მოსავალი”, ბარუ “კედელი”, შეუ “დათვი”...

ორ ან მეტმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება

მხ.

მრ.

სახ. გურატ “პერანგი”

სახ. გურატ-უხ

ერგ. გურატ-ენ

ერგ. გურატ-ღ-ონ

ნათ. გურატ-უნ

ნათ. გურატ-ღ-ო[ღ]

მიც. გურატ-ა[ხ]

მიც. გურატ-ღ-ო[ხ]

აბლ. გურატ-ახ-ო

აბლ. გურატ-ღ-ოხ-ო

კომიტ. გურატ-ახ-ოლ[ან]

კომიტ. გურატ-ღ-ოხ-ოლ[ან]

ადეს. გურატ-ა-სტა

ადეს. გურატ-ღ-ო-სტა

ალატ. გურატ-ა-ჭ

ალატ. გურატ-ღ-ო-ჭ

სუპერ. გურატ-ა-ლ

სუპერ. გურატ-ღ-ო-ლ

ბენეფაქტ. გურატ-ენ-კ[ენა]

ბენეფაქტ. გურატ-ღ-ონ-კ[ენა]

ეგრევე იბრუნვის ორ ან მეტმარცვლიან თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა უმეტესობა.

მხ.

მრ.

სახ. ადამარ “ადამიანი”

სახ. ადამარ-უხ

ერგ. ადამარ-ენ

ერგ. ადამარ-ღ-ონ

ნათ. ადამარ-ი

ნათ. ადამარ-ღ-ო[ღ]

მიც. ადამარ-ა[ხ]

მიც. ადამარ-ღ-ო[ხ]

აბლ. ადამარ-ახ-ო

აბლ. ადამარ-ღ-ოხ-ო

კომიტ. ადამარ-ახ-ოლ[ან]

კომიტ. ადამარ-ღ-ოხ-ოლ[ან]

ადეს. ადამარ-ა-სტა

ადეს. ადამარ-ღ-ო-სტა

ალატ. ადამარ-ა-ჭ

ალატ. ადამარ-ღ-ო-ჭ

სუპერ. ადამარ-ა-ლ

სუპერ. ადამარ-ღ-ო-ლ

ბენეფაქტ. ადამარ-ენ-კ[ენა]

ბენეფაქტ. ადამარ-ღ-ონ-კ[ენა]

ეგრევე იბრუნვის: ხინზრ “გოგო”, “ქალიშვილი” და ქართული ენიდან ან ქართულის შუამავლობით ნასესხები ორმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები – თამარ, ომარ, თამაზ, ნოდარ...

მხ.

მრ.

სახ. ყავან “მინდორი”

სახ. ყავან-უხ

ერგ. ყავან-ენ

ერგ. ყავან-ღ-ონ

ნათ. ყავან-უნ

ნათ. ყავან-ღ-ო[ღ]

მიც. ყავან-ე[ხ]

მიც. ყავან-ღ-ო[ხ]

აბლ. ყავან-ეხ-ო

აბლ. ყავან-ღ-ოხ-ო

კომიტ. ყავან-ეხ-ოლ[ან]

კომიტ. ყავან-ღ-ოხ-ოლ[ან]

ადეს. ყავან-ე-სტა

ადეს. ყავან-ღ-ო-სტა

ალატ. ყავან-ე-ჭ

ალატ. ყავან-ღ-ო-ჭ

სუპერ. ყავან-ე-ლ

სუპერ. ყავან-ღ-ო-ლ

ბენეფაქტ. ყავან-ენ-კ[ენა]

ბენეფაქტ. ყავან-ღ-ონ-კ[ენა]

“pluralia tantum” სახელთა ბრუნება

მს.

მრ.

სახ. უღუხ “კბილი”

სახ. უღ-ხო

ერგ. უღ-ღ-ონ

ერგ. უღ-ხ-ონ//უღ-ხ-ოდ-ონ

ნათ. უღ-ღ-ო[ღ]

ნათ. უღ-ხ-ო[ღ]

მიც. უღ-ღ-ო[ხ]

მიც. უღ-ხ-ო[ხ]

აბლ. უღ-ღ-ოხ-ო

აბლ. უღ-ხ-ოხ-ო

კომიტ. უღ-ღ-ოხ-ოდ[ან]

კომიტ. უღ-ხ-ოხ-ოდ[ან]

ადეს. უღ-ღ-ო-სტა

ადეს. უღ-ხ-ო-სტა//უღ-ხ-ოდ-ო-სტა

ალატ. უღ-ღ-ო-ჭ

ალატ. უღ-ხ-ო-ჭ

სუპერ. უღ-ღ-ო-ღ

სუპერ. უღ-ხ-ო-ღ

ბენეფაქტ. უღ-ღ-ონ-კ[ენა]

ბენეფაქტ. უღ-ხ-ონ-კ[ენა]//უღ-ხ-ოდ-
ონ-კ[ენა]

შენიშვნა: სიტყვები **ბიხაჯუღ//ბიხოდ** “ღმერთი” და **ელმუხ** “სული” ჩვეულებრივ მრავლობითში არ იხმარება. თავისებურად იბრუნვის სიტყვა **ჩუბუხ** “ცოლი”, რომელსაც მრავლობითში დაერთვის **-ყოხ//ყოდ** სუფიქსი: **ჩუბ-ყოხ** “ცოლები”, **ჩუბ-ყოდ-ონ** (ერგ.), **ჩუბ-ყოდ-ო[ღ]** (ნათ.), **ჩუბ-ყოდ-ო[ხ]** (მიც.), **ჩუბ-ყოდ-ოხ-ო** (აბლ.) და ა.შ.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას – მსაზღვრელი უცვლელია, ხოლო საზღვრული იბრუნვის ჩვეულებრივ, მაგ.:

მხ.

მრ.

სახ. შელ ადამარ “კარგი ადამიანი”

სახ. შელ ადამარ-უხ

ერგ. შელ ადამარ-ენ

ერგ. შელ ადამარ-ღ-ონ

ნათ. შელ ადამარ-ი

ნათ. შელ ადამარ-ღ-ო[ღ]

მიც. შელ ადამარ-ა[ხ]

მიც. შელ ადამარ-ღ-ო[ხ]

აბლ. შელ ადამარ-ახ-ო

აბლ. შელ ადამარ-ღ-ოხ-ო

კომიტ. შელ ადამარ-ახ-ოლ[ან]

კომიტ. შელ ადამარ-ღ-ოხ-ოლ[ან]

ადეს. შელ ადამარ-ა-სტა

ადეს. შელ ადამარ-ღ-ო-სტა

ალატ. შელ ადამარ-ა-ჭ

ალატ. შელ ადამარ-ღ-ო-ჭ

სუპერ. შელ ადამარ-ა-ლ

სუპერ. შელ ადამარ-ღ-ო-ლ

ბენეფაქტ. შელ ადამარ-ენ-კ[ენა]

ბენეფაქტ. შელ ადამარ-ღ-ონ-კ[ენა]

ზედსართავი სახელი

უდიურ ენაში ზედსართავი სახელის ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფის საფუძველი არც გვექნებოდა, მისთვის დამახასიათებელი რომ არ ყოფილიყო თავისებური, არსებითი სახელისაგან განსხვავებული ბრუნების ტიპი, რომელიც, მეორეს მხრივ, მას ნაცვალსახელსა და რიცხვით სახელთან აახლოვებს.

არსებით და ზედსართავ სახელებს შორის ზღვარის დადება ძნელდება: ზედსართავ სახელს არ მოეპოვება რაიმე მაწარმოებელი აფიქსი; არსებითი და ზედსართავი სახელების სიტყვაწარმოება მსგავსია – გამოიყენება ერთი და იგივე სიტყვაწარმოებითი აფიქსები (-ენ, -უნ, -ლუ...); ერთი და იგივე სახელი ზოგჯერ გამოიყენება ატრიბუტივის და სუბსტანტივის მნიშვნელობით, მაგ., შდრ.: *კოვინ* “მწვანე” და *კოვინ* “მწვანილი”...

ზოგიერთი ზედსართავი სახელისა და ზმნისართის ფორმა იდენტურია, მაგ.: *შელ ღარ* “კარგი ვაჟი” – *შელ ბესანე* “კარგად აკეთებს”...

მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელი არ იბრუნვის, ხოლო სუბსტანტივად გამოყენებული, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისდევს ნაცვალსახელისათვის და რიცხვითი სახელისათვის დამახასიათებელ ბრუნებას.

ზედსართავი სახელი ერთნაირად არის წარმოდგენილი უდიური ენის ორივე კილოში. ნიჯურ კილოში ზედსართავი სახელის გაუფორმებელ ფუძეს ზოგჯერ დაერთვის -ჯა ელემენტი, რომელიც რიცხვით სახელებში გვხვდება. ამასთან, ნიჯურში შეინიშნება ზოგიერთი ფონეტიკური ხასიათის თავისებურება.

ზედსართავი სახელი აგებულების მიხედვით

აგებულების მიხედვით უდიურში მარტივი, ნაწარმოები და რთულფუძიანი ზედსართავი სახელები გვხვდება.

მარტივფუძიანი ზედსართავი სახელი. ერთმარცვლიანი: *შელ* “კარგი”; *ფის* “ცუდი”; *ბიყ* “მუქი”; *კამ* “ღია”, “ბაცი”...

ერთზე მეტ-მარცვლიანი: *გწლწ* “ბევრი”; *ქაღა* “დიდი”; *მუჭა* “ტკბილი”; *მაწი* “თეთრი”; *ჭოჭა* “წითელი”; *ნეწუმ* “ყვითელი”; *გოვინ* “მწვანე”; *მაძნ* “შავი”...

ნაწარმოებ-ფუძიანი ზედსართავი სახელი. -ენ მაწარმოებლიანი (წარმოშობით ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფორმანტი): *ტაშენ* “გემრიელი”; *ჭემენ* “ჭუჭყიანი”...

-უნ მაწარმოებლიანი (წარმოშობით გენტივის ნიშანი): *მიძა-უნ* “აქაური”; *ტიძა-უნ* “იქაური”...

-ახ მაწარმოებლიანი (წარმოშობით მიცემითის ნიშანი): *აპინ-ახ* “ოფლიანი”, “გაოფლიანებული”; *ჭაძნ-ახ* “ცხიმიანი”, “ცხიმოვანი”...

-ახო მაწარმოებლიანი (წარმოშობით აბლატივის ფორმანტი): *ელ-ახო* “მლაშე”...

-ლა მაწარმოებლიანი: *უკ-ლა* “გულიანი”; *ფოფ-ლა* “თმიანი”; *წი-ლა* “სახელოვანი”...

-ბა (//-ლა) მაწარმოებლიანი: *ეყ-ბა* (//*ეყ-ლა*) “ხორციანი”; *იყ-ბა* (//*იყ-ლა*) “ნაცრიანი”...

-ლუ მაწარმოებლიანი: *აღა-ლუ* “მაღალი”; *ოყა-ლუ* “დაბალი”; *ჰბ-ლუ* “სოფელი”; *შჰჰრ-ლუ* “ქალაქელი”...

-მიშ (ვართ.)//**-ძინშ** (ნიჯ.) მაწარმოებლიანი: *აზარა-მიშ* “დაავადებული”; *ყოჯალ-მიშ* “დაბერებული”... განსაკუთრებით გავრცელებულია ნიჯურ კილოში.

-ამა//**-ომა** მაწარმოებლიანი: *უმულ-ომა* (< **უმუხ-ამა*) “ყურისოდენა”...

-კენა მაწარმოებლიანი: *პური-კენა* “მკვდრისებრი”; *ფალაზ-კენა* “ჩვარისებრი”...

-გარ მაწარმოებლიანი: *კიწი-გარ* “ცოტაოდენი”...

-ჯა მაწარმოებლიანი: *ჭიბა-ჯა* “მშიშარა”, “შიშიანი”; *ბაკი-ჯა* “თხელი”...

-**ნუთ** მაწარმოებლიანი: *ხე-ნუთ* “უწყლო”; *შენ-ნუთ* “უპურო”; *კონჯუხ-ნუთ* “უპატრონო”...

-**სუს//სუზ** მაწარმოებლიანი: *ნამუს-სუს* “უნამუსო”, *ბულ-სუზ//ბულ-სუს* “უთავო”; *ქულ-სუს* “უხელო”...

ქამ//ქამ მაწარმოებლიანი: *ქამ-ბახთ* “უბედო”, “უბედური”... ნიჯურში უფრო გავრცელებულია **ქამ** ფორმა.

რთულფუძიანი ზედსართავი სახელი. რედუპლიკაციით მიღებული: *ხა-ხა* “გატეხილი”; *კოწ-კოწ* “მოხრილი”; *ქალ-ქალა* (ვართ.)//*ქა-ქალა* (ნიჯ.) “დიდ-დიდი”, “მსხვილი”...

არსებითი და ზედსართავი სახელისაგან (მსაზღვრელი სიტყვისაგან) შემდგარი კომპოზიტები: *უკ-კად* “გულდია” (*უკ* “გული” + *კად* “დია”); *ბულ-კოწ* “თავმოხრილი” (*ბულ* “თავი” + *კოწ* “მოხრილი”); *აჭ-მაწი* “გულთეთრა” (*აჭ* “მკერდი” + *მაწი* “თეთრი”)...

ორი ზედსართავი სახელისაგან (მსაზღვრელი სიტყვისაგან) შედგენილი კომპოზიტები: *ქალა-უკლა* “დიდგულა” (*ქალა* “დიდი” + *უკლა* “გულიანი”); *კად-უკლა* “გულდია”, “გულგახსნილი” (*კად* “დია” + *უკლა* “გულიანი”); *პა-ხოლლა* “ორპირა” (*პა* “ორი” + *ხოლლა* “პირიანი”)...

ორი არსებითი სახელისაგან შედგენილი კომპოზიტები: *ფულ-დეშიკ* “გაუმაძღარი”, “ხარბი” (*ფულ* “თვალი” + *დეშიკ* “ნახვრეტი”)...

ზედსართავი სახელი მსაზღვრელად

ზედსართავი სახელი მსაზღვრელის ფუნქციით, როგორც წესი, საზღვრულის წინ დაისმის, თუმცა საზღვრულის შემდეგაც ხვდება. ბრუნებისას მსაზღვრელი ზედსართავი არ იცვლება არც ბრუნვისა და არც რიცხვის მიხედვით:

მხ. რიცხვი

სახ. *ნეშუმ გურატ*

“ყვითელი პერანგი”

ერგ. *ნეშუმ გურატ-ენ*

მრ. რიცხვი

სახ. *ნეშუმ გურატ-უხ*

ერგ. *ნეშუმ გურატ-ღონ*

ნათ. ნეშუმ გურატ-უნ
 მიც. ნეშუმ გურატ-ა[ხ]
 აბლ. ნეშუმ გურატ-ახ-ო
 კომიტ. ნეშუმ გურატ-ახ-ოლ[ან]
 ადეს. ნეშუმ გურატ-ა-სტა
 ალატ. ნეშუმ გურატ-ა-ჭ
 სუპერ. ნეშუმ გურატ-ა-ლ
 ბენეფაქტ. ნეშუმ გურატ-ენ-კ[ენა]

ნათ. ნეშუმ გურატ-ღ-ო[ღ]
 მიც. ნეშუმ გურატ-ღ-ო[ხ]
 აბლ. ნეშუმ გურატ-ღ-ოხ-ო
 კომიტ. ნეშუმ გურატ-ღ-ოხ-ოლ[ან]
 ადეს. ნეშუმ გურატ-ღ-ო-სტა
 ალატ. ნეშუმ გურატ-ღ-ო-ჭ
 სუპერ. ნეშუმ გურატ-ღ-ო-ლ
 ბენეფაქტ. ნეშუმ გურატ-ღ-ონ-კ[ენა]

ზედსართავი სახელი სუბსტანტივის ფუნქციით

სუბსტანტივის ფუნქციით გამოყენებული ზედსართავი სახელი ნაცვალსახელებისა და რიცხვითი სახელების მსგავსად იბრუნვის. გასუბსტანტივებულ ზედსართავ სახელს -ო მასუბსტანტივებელი ელემენტი ერთვის ბოლოკიდურად, ხოლო ირიბ ბრუნვათა ფორმებში, ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ჩნდება დეტერმინატი -ტ, რომელიც, შესაძლებელია, წარმოშობით პალეოერგატივის ნიშანი იყოს,¹ ანდა ტე ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან მომდინარეობდეს.² მასუბსტანტივებელი -ო სუფიქსი ზედსართავ სახელში ფუძეს ერწყმის და გადაყვება მას ირიბ ბრუნვებში -ტ ელემენტის წინ, მათ შორის მრავლობით რიცხვშიც.

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახ.	შელ-ო “კარგი”	შელ-ო-რ
ერგ.	შელ-ო-ტ-ინ	შელ-ო-ტ-ღ-ონ
ნათ.	შელ-ო-ტ-ა[ღ]	შელ-ო-ტ-ღ-ო[ღ]
მიც.	შელ-ო-ტ-უ[ხ]	შელ-ო-ტ-ღ-ო[ხ]
აბლ.	შელ-ო-ტ-უხო	შელ-ო-ტ-ღ-ოხო
კომიტ.	შელ-ო-ტ-უხოლ[ან]	შელ-ო-ტ-ღ-ოხოლ[ან]
ადეს.	შელ-ო-ტ-უსტა	შელ-ო-ტ-ღ-ოსტა

¹ ფანჩვიძე ვლ., უდურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 89.
² ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 69-70.

ალატ.	<i>შელ-ო-ტ-უჭ</i>	<i>შელ-ო-ტ-ღ-ოჭ</i>
სუპერ.	<i>შელ-ო-ტ-ულ</i>	<i>შელ-ო-ტ-ღ-ოლ</i>
ბენ.	<i>შელ-ო-ტ-ენკ[ენა]</i>	<i>შელ-ო-ტ-ღ-ონკ[ენა]</i>

-ტ ელემენტის პოზიცია ვართაშნულში მყარია, ხოლო ნიჯურში არნიშნული ელემენტი ზოგჯერ იკარგება.

ზედსართავი სახელის ხარისხის წარმოება

ზედსართავი ხარისხების საწარმოებლად უდიურში სპეციალური ფორმანტი არ დასტურდება. ხარისხების საწარმოებლად გამოყენებული აბლატივის ფორმა: შესადარებელ სახელთაგან ერთი დაისმის სახელობითში, მეორე აბლატივში, ხოლო ზედსართავი უცვლელია, მაგ.:

მე ხოდ ტე ხოდ-ახო ქაღა-ნე “ეს ხე იმ ხეზე (ხისგან) დიდია”...

აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად გამოყენებულია დამხმარე სიტყვა **ლაფ** “მთლად”, “ყველზე”, მაგ.:

მე ხოდ ლაფ ალაღუ ხოდ-დე “ეს ხე ყველაზე მაღალი ხეა”...

შედარებითი ხარისხი ზოგჯერ იწარმოება -გვრ სუფიქსის მეშვეობით, მაგ.: *გრლო-გვრ* “მობევრო”; *ჭოჭა-გვრ* “მოწითალო”...

ნაცვალსახელი

პირის ნაცვალსახელი

უდიურში დასტურდება I და II პირის ნაცვალსახელები: ზუ “მე”; უნ (ვართ.)//ჰუნ (ნიჯ.) “შენ”; დან “ხვენ”; ვან “თქვენ”.

	I პირის		II პირის	
	მხოლოდობითი	მრავლობითი	მხოლოდობითი	მრავლობითი
სახელობითი	ზუ	დან	უნ*/ჰუნ** (ნ.)	ვან//ვან
ერგატივი	–	–	–	ვან
ნათესაობითი	ბეზი	ბეში	ვი	ვჭი*/ვჭი**
მიცემითი	ზა//ზახ*	და//დახ	ვა//ვახ*	ვან//ვან
აბლატივი	ზახო**// ზახუნ**	დახო**// დახუნ**	ვახო**// ვახუნ**	ვანო**// ვანუნ**
კომიტატივი	ზახოლ[ან]*// ზახუნ**	დახოლ[ან]*// დახუნ**	ვახოლ[ან]*// ვახუნ**	ვანოლ[ან]*// ვანუნ**
ადესივი	ზასტა**// ზასთა**	დასტა**// დასთა**	ვასტა**// ვასთა**	ვანსტა**// ვანსთა**
ალატივი	ზაჭ*//ზაჩ**	დაჭ*//დაჩ**	ვაჭ*//ვაჩ**	ვანჭ*//ვანჩ**
სუპერასივი	ზაღ	დაღ	ვაღ	ვანღ
ბენეფაქტივი	ზენკენა]*// ზადნაქ**	დენკენა]*// დადნაქ**	ვენკენა]*// ვადნაქ**	ვანკენა]*// ვანდნაქ**// ვჭადნაქ**

შენიშვნა:

* წარმოდგენილი ფორმები მხოლოდ ვართაშნულ კილოში გვხვდება;

** აღნიშნული ფორმები მხოლოდ ნიჯურ კილოში გვხვდება.

უდიურ ენას არ მოეპოვება III პირის ნაცვალსახელები: ამ ფუნქციით უდიურში ჩვენებითი ნაცვალსახელები გამოიყენება.

პირის ნაცვალსახელთა სახელობითი და ერგატიული ბრუნვა არ არის დიფერენცირებული, მაგ.:

ზე ისა ლაღზულო “მე (NOM) ახლა ავალ”;

ზე ბესა ზუ აშ “მე (ERG) ვაკეთებ საქმეს”...

აღსანიშნავია, რომ მრავლობითი რიცხვის I პირის ნაცვალსახელი არ განირჩევა ინკლუზიურობისა და ექსკლუზიურობის თვალსაზრისით.

ჩვენებითი ნაცვალსახელი

უდიურ ენაში მოგვეპოვება ჩვენებით ნაცვალსახელთა სამი სახეობა, რომელიც იმის მიხედვით განსხვავდება, თუ რომელ პირზე მიგვითითებს: პირველ პირთან გვაქვს *მე*; მეორე პირთან *ქა*; მესამე პირთან *ტე*. ეს ჩვენებითი ნაცვალსახელები იბრუნვის სხვა ატრიბუტიულ სიტყვათა მსგავსად, ანუ დასახელებული ნაცვალსახელები ყოველთვის საზღვრულის წინ დგას და არ იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, მაგ.:

სახელობითი	<i>მე ადამარ</i>	<i>ქა ადამარ</i>	<i>ტე ადამარ</i>
	“ეს ადამიანი”	“ეგ ადამიანი”	“ეს ადამიანი”
ერგატივი	<i>მე ადამარ-ენ</i>	<i>ქა ადამარ-ენ</i>	<i>ტე ადამარ-ენ</i>
ნათესაობითი	<i>მე ადამარ-ი</i>	<i>ქა ადამარ-ი</i>	<i>ტე ადამარ-ი</i>
მიცემითი	<i>მე ადამარ-ა[ხ]</i>	<i>ქა ადამარ-ა[ხ]</i>	<i>ტე ადამარ-ა[ხ]</i>
აბლატივი	<i>მე ადამარ-ახ-ო</i>	<i>ქა ადამარ-ახ-ო</i>	<i>ტე ადამარ-ახ-ო</i>
მრ. რიცხვი	<i>მე ადამარ-უხ</i>	<i>ქა ადამარ-უხ</i>	<i>ტე ადამარ-უხ</i>

როდესაც ჩვენებითი ნაცვალსახელი გამოყენებულია სუბსტანტივის ფუნქციით, მაშინ სახელობით ბრუნვაში მის ფორმას დაერთვის ორი ელემენტი: **-ნ** დეტერმინატი¹ და **-ო** მასუბსტანტივებელი სუფიქსი. ასეთ

¹ ეს დეტერმინატი, საფიქრებელია, რომ პირის ნაცვალსახელთა ფორმაშიც გვხვდება: *უ-ნ* (< **ეუ-ნ*) “შენ”, *ა-ნ* “ჩვენ”, *გა-ნ*, *ქა-ნ* “თქვენ”; შდრ.: *ვა[ხ]* “შენს”, *ვი* “შენის”; *ა[ხ]* “ჩვენს”; *გა[ხ]* “თქვენს”, *ქა* “თქვენის”.

შემთხვევაში, ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითი სახელის მსგავსად იბრუნვის იმ განსხვავებით, რომ ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის, ყველა ირიბ ბრუნვასთან თავს იჩენს ტ- ელემენტი (იხ. ზედსართავი სახელი).

	მხოლ. რიცხვი			მრავლ. რიცხვი		
სახ.	<i>მონო</i> “ეს”	<i>ქანო</i> “ეგ”	<i>შონო</i> “ის”	<i>მონორ</i>	<i>ქანორ</i>	<i>შონორ</i>
ერგ.	<i>მე-ტ-ინ</i>	<i>ქა-ტ-ინ</i>	<i>შე-ტ-ინ</i>	<i>მე-ტ-ღ-ონ</i>	<i>ქა-ტ-ღ-ონ</i>	<i>შე-ტ-ღ-ონ</i>
ნათ.	<i>მე-ტ-აჲ</i>	<i>ქა-ტ-აჲ</i>	<i>შე-ტ-აჲ</i>	<i>მე-ტ-ღ-ოჲ</i>	<i>ქა-ტ-ღ-ოჲ</i>	<i>შე-ტ-ღ-ოჲ</i>
მიც.	<i>მე-ტ-უ[ხ]</i>	<i>ქა-ტ-უ[ხ]</i>	<i>შე-ტ-უ[ხ]</i>	<i>მე-ტ-ღ-ო[ხ]</i>	<i>ქა-ტ-ღ-ო[ხ]</i>	<i>შე-ტ-ღ-ო[ხ]</i>
აბლ.	<i>მე-ტ-უხ-ო</i>	<i>ქა-ტ-უხ-ო</i>	<i>შე-ტ-უხ-ო</i>	<i>მე-ტ-ღ-ოხ-ო</i>	<i>ქა-ტ-ღ-ოხ-ო</i>	<i>შე-ტ-ღ-ოხ-ო</i>
კომ.	<i>მე-ტ-უხ-ოღ</i>	<i>ქა-ტ-უხ-ოღ</i>	<i>შე-ტ-უხ-ოღ</i>	<i>მე-ტ-ღ-ოხ-ოღ</i>	<i>ქა-ტ-ღ-ოხ-ოღ</i>	<i>შე-ტ-ღ-ოხ-ოღ</i>
ადეს.	<i>მე-ტ-უხ-სტა</i>	<i>ქა-ტ-უხ-სტა</i>	<i>შე-ტ-უხ-სტა</i>	<i>მე-ტ-ღ-ოხ-სტა</i>	<i>ქა-ტ-ღ-ოხ-სტა</i>	<i>შე-ტ-ღ-ოხ-სტა</i>
აღაღ.	<i>მე-ტ-უჟ</i>	<i>ქა-ტ-უჟ</i>	<i>შე-ტ-უჟ</i>	<i>მე-ტ-ღ-ოჟ</i>	<i>ქა-ტ-ღ-ოჟ</i>	<i>შე-ტ-ღ-ოჟ</i>
სუპ.	<i>მე-ტ-უღ</i>	<i>ქა-ტ-უღ</i>	<i>შე-ტ-უღ</i>	<i>მე-ტ-ღ-ოღ</i>	<i>ქა-ტ-ღ-ოღ</i>	<i>შე-ტ-ღ-ოღ</i>
ბენ.	<i>მე-ტ-ენკ</i>	<i>ქა-ტ-ენკ</i>	<i>შე-ტ-ენკ</i>	<i>მე-ტ-ღ-ონკ</i>	<i>ქა-ტ-ღ-ონკ</i>	<i>შე-ტ-ღ-ონკ</i>

ნიჯურ კილოში ზოგიერთი მოვლენა თავისებურადაა წარმოდგენილი: ნიჯურში, ვართაშნულისაგან განსხვავებით, დასტურდება ორგვარი ჩვენებითი ნაცვალსახელები – *მე//მო* “ეს”; *ქე//ქო* “ეგ”; *ტე//შო* “ის”. აღსანიშნავია, რომ ნიჯურს მოეპოვება ფორმები *ქონო* და *ქენო*, რომელიც არ დასტურდება ვართაშნულში.

განსხვავებული ვითარება შედგენდება ჩვენებითი ნაცვალსახელების მრავლობითი რიცხვის წარმოებისას: ნიჯ. *მო-რ-ოხ* < *მო-რ-უხ* “ესენი”; *ქო-რ-ოხ* < *ქო-რ-უხ* “ეგენი”; *შო-რ-ოხ* < *შო-რ-უხ* “ისინი”, შდრ. ვართ. *მო-ნ-ორ* < *მე-ნ-ორ* “ესენი”; *ქა-ნ-ორ* “ეგენი”; *შო-ნ-ორ* < *შე-ნ-ორ* “ისინი”. აღსანიშნავია, რომ ვართაშნულში მასუბსტანტივებელი -ო სუფიქსი ყოველთვის დაერთვის -ნ ელემენტით გარტულეულ ფუძეს, ხოლო ნიჯურში, მრავლობითი რიცხვის წარმოებისას, ეს -ნ ელემენტი იკარგება.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი

უდიურ ენაში მოგვეპოვება სამივე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები: *ბეზი* “ჩემი”; *ვი* “შენი”; *შეტა* < *შეტად* “მისი”, “იმისი”; *ბეში* “ჩვენი”; *ქჭი* “თქვენი”; *შეტლო* < *შეტლოდ* “მათი”, “იმათი”. სხვა ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით, კუთვნილებითი ნაცვალსახელები, როდესაც გამოყენებულია მსაზღვრელ სიტყვათ, როგორც წესი, ეკვეცებათ ბოლოკიდური **-ი** ან **-ი** (**ვი** ნაცვალსახელის გამოკლებით), მაგ.:

- ბეზ* (< *ბეზი*) *კოჯ* “ჩემი სახლი”;
- შეტა* (< *შეტად*) *იშუ* “მისი ქმარი”;
- ბეშ* (< *ბეში*) *მუზ* “ჩვენი ენა”;
- ქჭ* (< *ქჭი*) *ჰელ* “თქვენი ბავშვი”;
- შოტლო* (< *შოტლოდ*) *ფაქ* “მათი ბაღი”...

მსაზღვრელად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი, საერთო წესისამებრ – უცვლელია, ხოლო სუბსტანტივად გამოყენებული – სხვა ატრიბუტიულ სახელთა მსგავსად იბრუნვის:

სახ.	<i>ბეზი-ო</i> “ჩემი”	<i>ბეში-ო</i> “ჩვენი”	<i>ვი-ო</i> “შენი”	<i>ქჭი-ო</i> “თქვენი”
ერგ.	<i>ბეზი-ო-ტ-ინ</i>	<i>ბეში-ო-ტ-ინ</i>	<i>ვი-ო-ტ-ინ</i>	<i>ქჭი-ო-ტ-ინ</i>
ნათ.	<i>ბეზი-ო-ტ-ა[დ]</i>	<i>ბეში-ო-ტ-ა[დ]</i>	<i>ვი-ო-ტ-ა[დ]</i>	<i>ქჭი-ო-ტ-ა[დ]</i>
მიც.	<i>ბეზი-ო-ტ-უ[ხ]</i>	<i>ბეში-ო-ტ-უ[ხ]</i>	<i>ვი-ო-ტ-უ[ხ]</i>	<i>ქჭი-ო-ტ-უ[ხ]</i>
აბლ.	<i>ბეზი-ო-ტ-უხ-ო</i>	<i>ბეში-ო-ტ-უხ-ო</i>	<i>ვი-ო-ტ-უხ-ო</i>	<i>ქჭი-ო-ტ-უხ-ო</i>
კომ.	<i>ბეზი-ო-ტ-უხ-ოლ</i>	<i>ბეში-ო-ტ-უხ-ოლ</i>	<i>ვი-ო-ტ-უხ-ოლ</i>	<i>ქჭი-ო-ტ-უხ-ოლ</i>
ადეს.	<i>ბეზი-ო-ტ-უ-სტა</i>	<i>ბეში-ო-ტ-უ-სტა</i>	<i>ვი-ო-ტ-უ-სტა</i>	<i>ქჭი-ო-ტ-უ-სტა</i>
ადატ.	<i>ბეზი-ო-ტ-უჭ</i>	<i>ბეში-ო-ტ-უჭ</i>	<i>ვი-ო-ტ-უჭ</i>	<i>ქჭი-ო-ტ-უჭ</i>
სუპ.	<i>ბეზი-ო-ტ-უ-ლ</i>	<i>ბეში-ო-ტ-უ-ლ</i>	<i>ვი-ო-ტ-უ-ლ</i>	<i>ქჭი-ო-ტ-უ-ლ</i>

¹ *ბეზი-ო-ტ-უხ-ოლან*, *ბეში-ო-ტ-უხ-ოლან*, *ვი-ო-ტ-უხ-ოლან*, *ქჭი-ო-ტ-უხ-ოლან* ფორმებიც გვხვდება.

ბენ. ბეზი-ო-ტ-ენკ ბეში-ო-ტ-ენკ ვი-ო-ტ-ენკ ჯჭი-ო-ტ-ენკ¹

იხ. აგრეთვე სხვა კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება:

სახ.	<i>იხი</i>	<i>იხიორ</i>	<i>იხულო</i>
	“მისი”, “თავისი”	“მისნი”	“თავიანთი”
ერგ.	<i>იხი-ტ-ინ//</i> <i>იხი-ო-ტ-ინ</i>	<i>იხიორ-ტ-ღ-ონ</i>	<i>იხულო-ტ-ინ//</i> <i>იხულო-ო-ტ-ინ</i>
ნათ.	<i>იხი-ტ-ა[ღ]//</i> <i>იხი-ო-ტ-ა[ღ]</i>	<i>იხიორ-ტ-ღ-ო[ღ]</i>	<i>იხულო-ტ-ა[ღ]//</i> <i>იხულო-ო-ტ-ა[ღ]</i>
მიც.	<i>იხი-ტ-უ[ხ]//</i> <i>იხი-ო-ტ-უ[ხ]</i>	<i>იხიორ-ტ-ღ-ო[ხ]</i>	<i>იხულო-ტ-უ[ხ]//</i> <i>იხულო-ო-ტ-უ[ხ]</i>

სახ.	<i>შეტად-ო</i> “მისი”	<i>შოტლოდ-ო</i> “მათი”
ერგ.	<i>შეტად-ტ-ინ//შეტად-ო-ტ-ინ</i>	<i>შეტოლოდ-ტ-ინ//შეტოლოდ-ო-ტ-ინ</i>
ნათ.	<i>შეტად-ტ-ო[ღ]//შეტად-ო-ტ-ო[ღ]</i>	<i>შეტოლოდ-ტ-ო[ღ]//შეტოლოდ-ო-ტ-ო[ღ]</i>
მიც.	<i>შეტად-ტ-უ[ხ]//შეტად-ო-ტ-უ[ხ]</i>	<i>შეტოლოდ-ტ-უ[ხ]//შეტოლოდ-ო-ტ-უ[ხ]</i>

ნიჯურ კილოში დასტურდება იგივე კუთვნილებითი ნაცვალსახელები, რაც ვართაშნულში, თუ შოთაჲ (“მისი”) ფორმას არ მივიღებთ მხედველობაში, შდრ. ვართ. *შეტად*. აღსანიშნავია, რომ თუ ვართაშნულში მსაზღვრელად გამოყენების დროს *შეტად* “მისი” და *შეტლოდ//შოტლოდ* “მათი” ნაცვალსახელებს ბოლოკიდური **ღ** თანხმოვანი ხშირად ეკვეცება, ნიჯურში კი, როგორც წესი, უცვლელად რჩება, მაგ.:

შეტა (< *შეტად*) *ჩუბუხ* (ვართ.) – *შოთაჲ ჩუუხ* (ნიჯ.) “მისი ცოლი”;
შოტლო (< *შოტლოდ*) *კოჯ* (ვართ.) – *შოთოლოდ ჟოუ* (ნიჯ.) “მათი სახლი”...

¹ ბეზი-ო-ტ-ენკენა, ბეში-ო-ტ-ენკენა, ვი-ო-ტ-ენკენა, ჯჭი-ო-ტ-ენკენა ფორმებიც გვხვდება.

კითხვითი ნაცვალსახელი

უდიურში დასტურდება შემდეგი კითხვითი ნაცვალსახელები და ამ ფუნქციით გამოყენებული სიტყვები: *შუ?* “ვინ?”; *ეა?* (ვართ.)//*პიჯა?* “რა?”; *მანო?* (ვართ.)//*მანუ?* (ნიჯ.) “რომელი?”; *ემა?*//*ემო?* (ვართ.), *პემა?*//*პემო?* (ნიჯ.) “რამდენი?”; *ეყარა?*//*ეყარო?* (ვართ.), *პეჯარა?* (ნიჯ.) “რამდენი?”; *ეჯურა?*//*ეჯურაო?*//*ეჯურო?* (ვართ.), *პეჯურა?* (ნიჯ.) “როგორი?”; *ევახტუნ?*//*ევახტუნო?* (ვართ.), *პევახტუნო?* (ნიჯ.) “როდინდელი?”, *შია?*//*შიაო?* “ვისი?”, *ეტაა?*//*ეტააო?* “რისი?”, *მატაა?*//*მატააო?* “რომლის?”...

კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნება არ განსხვავდება სხვა ნაცვალსახელთა ბრუნებისაგან. თავისებური ბრუნება ახასიათებს *შუ?* “ვინ?” ნაცვალსახელს, რომელიც -ო მასუბსტანტივებულ სუფიქსს არ ირთავს:

სახ. *შუ* “ვინ?”

ერგ. *შინ*

ნათ. *ში*

მიც. *შუ[ხ]*

აბლ. *შუხო*

კომიტ. *შუხოლ[ან]*

ადეს. *შუსტა*

ალატ. *შუჭ*

სუპერ. *შულ*

ბენეფაქტ. *შინკ[ენა]*

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია,¹ რომ ძირისეულ ელემენტად *შუ?* ფორმაში უნდა გამოიყოს შ- თანხმოვანი, შდრ.: *შ-ინ* (ERG); *შ-ი* (GEN) და *შ-ინკ[ენა]* (BEN).

¹ ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 43; ფანჩვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 90.

შუ? ნაცვალსახელი მრავლობითში თითქმის არ იხმარება და ხშირად -ა კითხვით ნაწილაკს ირთავს, მაგ.: მე ადამარ შუ-ა? “ეს ადამიანი ვინ არის?”...

ეკა? (ვართ.)//პიჭჷ? “რა?” ნაცვალსახელის ფუძე უნდა დაიშალოს შემდეგნაირად: ე? (ვართ.)//პი < პე (ნიჯ.) “რა?” + კა (ვართ.)//ჭჷ (ნიჯ.) “ერთი”. ირიბ ბრუნვათა ფორმებში ვლინდება ტ-//თ- დეტერმინატივი. სახელობითში მოსალოდნელი იყო -ო მასუბსტანტივებელი ელემენტი, მაგრამ ის არ დასტურდება:

	<i>ვართაშნული</i>	<i>ნიჯური</i>
სახ.	ე-კა “რა?”	პი-ჭჷ “id”
ერგ.	ე-ტ-ინ	პე-თ-ინ
ნათ.	ე-ტ-ა[ღ]	პე-თ-ა[ღ]
მიც.	ე-ტ-უ[ხ]	პე-თ-უ[ხ]
აბლ.	ე-ტ-უხო	პე-თ-უხუნ
კომიტ.	ე-ტ-უხოლ[ან]	პე-თ-უხუნ
ადეს.	ე-ტ-უხტა	პე-თ-უხთა
ალატ.	ე-ტ-უჭ	პე-თ-უჩ
სუპერ.	ე-ტ-ულ	პე-თ-ულ
ბენ.	ე-ტ-ენკ[ენა]	პე-თ-აენაჭ

მრავლობითი რიცხვი ეკა?//პიჭჷ? ნაცვალსახელისათვის არ დასტურდება. ნიჯურში მოწმდება პიჭჷ? ნაცვალსახელის გამარტივებული ჭჷ ფორმა, მაგ.: ჭჷ-ნ-ჰაჰსა? “რას ყიდულობ?”; ჭჷ-ნ-ჩურესა? “რა გსურს?”...

ნაცვალსახელი მანო? “რომელი” (ნიჯ. მანუ) უნდა დაიშალოს შემდეგნაირად – მა-ნ-ო, რის შესახებაც ირიბ ბრუნვათა ფორმები მეტყველებს: მა-ტ-ინ (ERG); მა-ტ-ა[ღ] (GEN) და ა.შ. მანო? ფორმა იბრუნვის სხვა ნაცვალსახელთა მსგავსად:

	<i>მხ. რიცხვი</i>	<i>მრ. რიცხვი</i>
სახ.	<i>მა-ნ-ო</i> “რომელი?”	<i>მა-ნ-ო-რ</i>
ერგ.	<i>მა-ტ-ინ</i>	<i>მა-ტ-ღ-ონ</i>
ნათ.	<i>მა-ტ-ა[ღ]</i>	<i>მა-ტ-ღ-ო[ღ]</i>
მიც.	<i>მა-ტ-უ[ხ]</i>	<i>მა-ტ-ღ-ო[ხ]</i>
აბლ.	<i>მა-ტ-უხო</i>	<i>მა-ტ-ღ-ოხო</i>
კომიტ.	<i>მა-ტ-უხოლ[ან]</i>	<i>მა-ტ-ღ-ოხოლ[ან]</i>
ადეს.	<i>მა-ტ-უსტა</i>	<i>მა-ტ-ღ-ოსტა</i>
ალატ.	<i>მა-ტ-უჭ</i>	<i>მა-ტ-ღ-ოჭ</i>
სუპერ.	<i>მა-ტ-ულ</i>	<i>მა-ტ-ღ-ოლ</i>
ბენ.	<i>მა-ტ-ენკ[ენა]</i>	<i>მა-ტ-ღ-ონკ[ენა]</i>

მანო? ნაცვალსახელი დამოუკიდებლად იშვიათად გვხვდება. ჩვეულებრივ მას დაერთვის *თე* “რომ” მაქვემდებარებელი კავშირი, ხოლო ფორმა *მანო-თე* გამოიყენება როგორც მიმართებითი ნაცვალსახელის, ისე მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციითაც. არსანიშნავია, რომ ზოგჯერ ფორმა *მანო* მიმართებითი ნაცვალსახელად გვხვდება.

მანო?//მანუ? და *ეკა?//ჰიჭა?* ნაცვალსახელთა მსგავსად სხვა კითხვითი ნაცვალსახელებიც იბრუნვის: *ყველა მათგანი (ემა?//ემო? (ვართ), ჰემა?//ჰემო? (ნიჯ.) “რამდენი?; ყვარა?//ყვარო? (ვართ), ჰეჯარა? (ნიჯ.) “რამდენი?; ეჯურა?//ეჯურაო?//ეჯურო? (ვართ), ჰეჯურა? (ნიჯ.) “როგორი?; ევახტუნ?//ევახტუნო? (ვართ), ჰევახტუნო? (ნიჯ.) “როდინდელი?; შიდა?//შიდო? “ვისი?”, ეტადა?//ეტადაო? “რისი?”, მატადა?//მატადაო? “რომლის?”) მრავლობითი რიცხვის ფორმებს აწარმოებს. ეჯურა?//ეჯურაო?//ეჯურო? “როგორი?”, შიდა?//შიდო? “ვისი?”, ეტადა?//ეტადაო “რისი?”, მატადა?//მატადაო “რომლის” ნაცვალსახელები ირიბ ბრუნვებში ორ-ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი, მაგ.:*

სახ. *ეჯურა?//ეჯურაო?//ეჯურო? შიდა?//შიდო? ეტადა?//ეტადაო მატადა?//მატადაო*

ერგ. ეჭურა-ტ-ინ,	შიდ-ტ-ინ,	ეტად-ტ-ინ,	მატად-ტ-ინ,
ეჭურო-ტ-ინ	შიდ-ო-ტ-ინ	ეტად-ო-ტ-ინ	მატად-ო-ტ-ინ
ნათ. ეჭურა-ტ-ა[ღ],	შიდ-ტ-ა[ღ],	ეტად-ტ-ა[ღ],	მატად-ტ-ა[ღ],
ეჭურო-ტ-ა[ღ]	შიდ-ო-ტ-ა[ღ]	ეტად-ო-ტ-ა[ღ]	მატად-ო-ტ-ა[ღ]
მიც. ეჭურა-ტ-უ[ხ],	შიდ-ტ-უ[ხ],	ეტად-ტ-უ[ხ],	მატად-ტ-უ[ხ],
ეჭურო-ტ-უ[ხ]	შიდ-ო-ტ-უ[ხ]	ეტად-ო-ტ-უ[ხ]	მატად-ო-ტ-უ[ხ]

ემა?//ემო? (“რამდენი?”) ნაცვალსახელი ბრუნებისას მხოლოდობითში ორ ფუძეს ეყრდნობა, ხოლო მრავლობითში – ერთს:

სახ. ემა?//ემო?	ემო-რ
ერგ. ემა-ტ-ინ, ემო-ტ-ინ	ემო-ტ-ღ-ონ
ნათ. ემა-ტ-ა[ღ], ემო-ტ-ა[ღ]	ემო-ტ-ღ-ო[ღ]
მიც. ემა-ტ-უ[ხ], ემო-ტ-უ[ხ]	ემო-ტ-ღ-ო[ხ]

ეყარა?//ეყარო? და ევახტუნ?//ევახტუნო? ნაცვალსახელთა ირიბ ბრუნვათა ფორმა უნიფიცირებულია:

სახ. ეყარა?//ეყარო?	ევახტუნ?//ევახტუნო?
ერგ. ეყარო-ტ-ინ	ევახტუნ-ტ-ინ
ნათ. ეყარო-ტ-ა[ღ]	ევახტუნ-ტ-ა[ღ]
მიც. ეყარო-ტ-უ[ხ]	ევახტუნ-ტ-უ[ხ]

მიმართებითი ნაცვალსახელი

მიმართებითი ნაცვალსახელი, როგორც წესი, იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელისაგან თე (“რომ”) კავშირისა ანდა -აღ კლიტიკის (ქართულში -ც ნაწილაკს უდრის) მეშვეობით: შუ-თე, შუ-აღ “ვინც”; ეკა-თე, ეკაღ (< ეკა-აღ) “რაც”; მანო-თე, მანო-აღ “რომელიც”, მაგ.:

მატინ-თე ნანქულაყო ბუთუნტხო, ეკა-თე ბუტაჲ, თეტუბაქო ბაქეს

ბეზ შვირდ “რომელმაც ხელი არ აიღოს ყველაფერზე, რაც აქვს, ვერ შესძლებს ჩემს მოწაფეობას” (ლკ. 14, 33)...

ფორმა *მანო* (ნიჯ. *მანუ*), კითხვითი ნაცვალსახელის გარდა, ზოგჯერ მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც გვხვდება.

მიმართებითი ნაცვალსახელების ბრუნებისას მთლიანად გამეორებულია კითხვით ნაცვალსახელთა ფორმები:

სახ. <i>შუ-თე</i> “ვინც”	<i>ეკა-თე</i> “რაც”	<i>მანო-ალ</i> “რომელიც”
ერგ. <i>შინ-თე</i>	<i>ეტინ-თე</i>	<i>მატინ-ალ</i>
ნათ. <i>ში-თე</i>	<i>ეტაჲ-თე</i>	<i>მატაჲ-ალ</i>
მიც. <i>შუ[ხ]-თე</i>	<i>ეტ[ხ]-თე</i>	<i>მატ[ხ]-ალ</i>

უარყოფითი ნაცვალსახელი

უარყოფითი ნაცვალსახელები იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელებისაგან *კალ* ელემენტის მეშვეობით: *შუ-კალ* “არავინ”; *ეკალ//ეკალ* (< **ეკა-კალ*) “არაფერი”; *მანო-კალ* “არც რომელი”; *ემა-კალ* “არც რამდენი”... სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ *კალ* ელემენტი ზმნა *ფეს* “თქმა”, “ლაპარაკი” აწმყო-მყოფადის (უსრული სახის) მიმდებარე უნდა წარმოსდგენდეს (“სათქმელი”).¹

უარყოფითი ნაცვალსახელის გამოყენებისას, წინადადებაში აუცილებელია უარყოფის კლიტიკა (*თე-*, *ნუთ-* “არა”), მაგ.:

შუ-კალ ირჷკლუ თე-ნე, თჷქსჷ სა ბიხაჯულ “არავინ სახიერი (ზედმიწ. უცოდველი) *არ* არის, გარდა ერთი ღმერთისა (მხოლოდ ერთი ღმერთი)” (ლკ. 18, 19)...

მასუბსტანტივებელი სუფიქსი *-ო* ამ ნაცვალსახელებს ზოგჯერ დაერთვის, ზოგჯერ კი – არა. ამის მიხედვით, უარყოფით ნაცვალსახელებს ახასიათებს ბრუნების ორგვარი ტიპი: სახელური და ნაცვალსახელური, შდრ.:

¹ ფანჩვიძე ვლ., უღურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 101.

სახ.	შუკალ	შუკალ-ო	ეკალ	ეკალ-ო
	“არავინ”	“id”	“არაფერი”	“id”
ერგ.	შუკალ-ენ	შუკალ-ტ-ინ	ეკალ-ენ	ეკალ-ტ-ინ
ნათ.	შუკალ-ი	შუკალ-ტ-ა[დ]	ეკალ-უნ	ეკალ-ტ-ა[დ]
მიც.	შუკალ-ა[ხ]	შუკალ-ტ-უ[ხ]	ეკალ-ა[ხ]	ეკალ-ტ-უ[ხ]

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი

განსაზღვრებითი ნაცვალსახელების ფუნქციით უდიურში მოგვეპოვება: *პარ-ო* “ყოველი”; *პარსა//პარსო* “ყოველი” (ნიჯ. *პარსა*); *ბუთუნ//ბუთუნ-ო* “ყველა”. *პარსა//პარსო* ფორმა შედგენილია: *პარ* “ყოველი” + *სა* “ერთი”//*სა-ო* > *სო*.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები სხვა ნაცვალსახელთა მსგავსად იბრუნვის:

სახ.	<i>პარ-ო</i>	<i>პარსა//პარსო</i>	<i>ბუთუნ//ბუთუნო</i>
	“ყოველი”	“id”	“ყველა”
ერგ.	<i>პარ-ო-ტ-ინ</i>	<i>პარსა-ტ-ინ</i>	<i>ბუთუნ-ტ-ინ</i>
	<i>პარ-ტ-ინ</i>	<i>პარსო-ტ-ინ</i>	
ნათ.	<i>პარ-ო-ტ-ა[დ]</i>	<i>პარსა-ტ-ა[დ]</i>	<i>ბუთუნ-ტ-ა[დ]</i>
	<i>პარ-ტ-ა[დ]</i>	<i>პარსო-ტ-ა[დ]</i>	
მიც.	<i>პარ-ო-ტ-უ[ხ]</i>	<i>პარსა-ტ-უ[ხ]</i>	<i>ბუთუნ-ტ-უ[ხ]</i>
	<i>პარ-ტ-უ[ხ]</i>	<i>პარსო-ტ-უ[ხ]</i>	

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციით ძირითადად გამოყენებულია რიცხვითი სახელი *სა* “ერთი” და მისგან ნაწარმოები ფორმები. უდიურში მოგვეპოვება შემდეგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: *სა//სო* < *სა-ო* “ვინმე”, “ვიღაც”, “რამე”, “რაღაც”; *სუნ* <

*სა-უნ//სუნო “ვინმე”, “ვიღაც”; სა-ემო “რომელიმე”, “რომელიღაც”, “ზოგი”; ტესუნ < *ტე-სა-უნ “სხვა [ვინმე, ვიღაც]”.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები სხვა ნაცვალსახელთა მსგავსად იბრუნვის:

სახ.	<i>სო < სა-ო</i>	<i>სუნ//სუნო</i>	<i>საემო</i>
ერგ.	<i>სო-ტ-ინ</i>	<i>სუნ-ტ-ინ</i>	<i>საემო-ტ-ინ</i>
ნათ.	<i>სო-ტ-ა[ღ]</i>	<i>სუნ-ტ-ა[ღ]</i>	<i>საემო-ტ-ა[ღ]</i>
მიც.	<i>სო-ტ-უ[ხ]</i>	<i>სუნ-ტ-უ[ხ]</i>	<i>საემო-ტ-უ[ხ]</i>

უკუკცევითი ნაცვალსახელი

უდიურში ამგვარი ფუნქციით დასტურდება ნაცვალსახელი *იწ* “თვით”, “თვითონ”. *იწ* ნაცვალსახელი სუბსტანტივის მნიშვნელობით გამოიყენება და არსებითი სახელების მსგავსად იბრუნვის. საყურადღებოა, რომ ქართულისაგან განსხვავებით, ამ ნაცვალსახელს აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა. აღსანიშნავია, რომ მრავლობითში არ არის გარჩეული სახელობითისა და ერგატივის ფორმები:

	<i>მხ. რიცხვი</i>	<i>მრ. რიცხვი</i>
სახ.	<i>იწ “თვითონ”</i>	<i>იწ-ღ-ონ</i>
ერგ.	<i>იწ-ენ//იწ-ინ</i>	<i>იწ-ღ-ონ</i>
ნათ.	<i>იწ-ი</i>	<i>იწ-ღ-ო[ღ]</i>
მიც.	<i>იწ-უ[ხ]</i>	<i>იწ-ღ-ო[ხ]</i>
აბლ.	<i>იწ-უხო</i>	<i>იწ-ღ-ოხო</i>
კომიტ.	<i>იწ-უხოლ[ან]</i>	<i>იწ-ღ-ოხოლ[ან]</i>
ადეს.	<i>იწ-უსტა</i>	<i>იწ-ღ-ოსტა</i>
აღატ.	<i>იწ-უჭ</i>	<i>იწ-ღ-ოჭ</i>
სუპერ.	<i>იწ-ულ</i>	<i>იწ-ღ-ოლ</i>
ბენ.	<i>იწ-ენკ[ენა]</i>	<i>იწ-ღ-ონკ[ენა]</i>

იხ ნაცვალსახელი მხოლოდ III პირის აღმნიშვნელია, ხოლო I და II პირს ვერ იგუებს. უდიურში არ გვხვდება “მე თვითონ”, “თვით მე”, “შენ თვითონ”, “თვით შენ” სინტაგმები.

მსაზღვრელ სიტყვად გამოყენებული *იხ* (< *იხი*) ნაცვალსახელი გვევლინება კუთვნილებით ნაცვალსახელად, შდრ.: *იხ ბუ-ნე* “თვითონ არის” და *იხ ნანა* “თავისი [მისი] დედა”... *იხი* კუთვნილებითი ნაცვალსახელი სუბსტანტივის მნიშვნელობითაც გვხვდება (იხ. კუთვნილებითი ნაცვალსახელი).

ვლ. ფანჩვიძეს *იხ* ნაცვალსახელი განსაზღვრებით ნაცვალსახელებში შეჰყავს, თუმცა აღნიშნავს, რომ “ზოგ შემთხვევაში მას შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობაც”.¹

საურთიერთო ნაცვალსახელი

ამ ფუნქციით უდიურში გვევლინება *სუნ-სუნ//სუნ-სუნ-ო* “ერთმანეთი”. ეს რთული შედგენილობის ფუძეა, რომელიც რედუქციის შედეგად მიღებულ *-უნ* სუფიქსით გართულებულ *სა* “ერთი” რიცხვით სახელს წარმოადგენს (*სუნ-სუნ* < **სა-უნ-სა-უნ*). ბრუნებისას, ეს ნაცვალსახელი მხოლოდ მიცემითის, აბლატივის, კომიტატივის, ალატივის, სუპერასივისა და ბენეფაქტივის ფორმებს აწარმოებს. ამ ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა არ დასტურდება:

	<i>ვართ.</i>	<i>ნიჯ.</i>
სახ.	<i>სუნ-სუნ//სუნ-სუნ-ო</i> “თვითონ”	<i>სუნ-სუნ//სუნ-სუნ-ო</i> “id”
მიც.	<i>სუნსუნ-ა[ხ]</i>	<i>სუნსუნ-ა</i>
აბლ.	<i>სუნსუნ-ახო</i>	<i>სუნსუნ-ახუნ</i>
კომიტ.	<i>სუნსუნ-ახოლ[ან]</i>	<i>სუნსუნ-ახუნ</i>
ალატ.	<i>სუნსუნ-აჟ</i>	<i>სუნსუნ-აჩ</i>

¹ ფანჩვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 99.

სუპერ. *სუნსუნ-აღ*

სუნსუნ-აღ

ბენ. *სუნსუნ-ენკ[ენა]*

სუნსუნ-ადნაქ

ვლ. ფანჩვიქსთან აღნიშნულია ერგატივისა და ნათესაობითის ფორმები *სუნსუნ-ენ* “ერთმანეთმა” და *სუნსუნ-ად* “ერთმანეთისა”,¹ თუმცა ჩვენ ეს ფორმები უდიურში ვერ დავიმოწმეთ.

¹ ფანჩვიქე ვლ., უღურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 102.

რიცხვითი სახელი

ვართაშნულ კილოში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, თვლის სისტემა ოცობითია. ნიჯურში კი, რომელმაც ათეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები (30-დან 90-ის ჩათვლით) აზერბაიჯანილიდან ისესხა, ათობითი თვლის სისტემა დაიმკვიდრა. აღსანიშნავია, რომ ათეულების აღსანიშნავად ნიჯურში საკუთარი ლექსიკური ერთეულებიც გამოიყენება.

როდესაც რიცხვითი სახელი მსაზღვრელ სიტყვადაა გამოყენებული, იგი, წესისამებრ, არ იცვლება, ხოლო სუბსტანტივს გატოლებული რიცხვითი სახელი ზედსართავი სახელისა და ნაცვალსახელის მსგავსად იბრუნვის.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი

უდიურში დასტურდება როგორც მარტივი, ისე რთული (თხზული) რაოდენობითი რიცხვითი სახელი. მარტივ რიცხვით სახელებს მიეკუთვნება: *სა* “ერთი”; *პა* “ორი”; *ხიბ* “სამი”; *ბიპ* “ოთხი”; *კო* “ხუთი”; *უჭ* “ექვსი”; *ვულ* “შვიდი”; *მულ* “რვა”; *ეუდ* “ცხრა”; *ვიწ* “ათი”; *ბაწ* “ასი”; *პაზარ* “ათასი”; *მილიონ* “მილიონი”; *მილიარდ* “მილიარდი”. დანარჩენი რაოდენობითი რიცხვითი სახელები ორი, სამი ან ოთხი მარტივი ფუძისაგან შემდგარ სიტყვებს წარმოადგენენ:

	ვართაშნული	ნიჯური
1	<i>სა</i>	<i>სა</i>
2	<i>პა</i>	<i>ფა</i>
3	<i>ხიბ</i>	<i>ხიბ</i>
4	<i>ბიპ</i>	<i>ბიფ</i>
5	<i>კო</i>	<i>კო</i>
6	<i>უჭ</i>	<i>უჭ//უჭ</i>
7	<i>ვულ</i>	<i>ვულ</i>

8	მულ	მულ
9	ვუდ	ვუდ
10	ვიწ	ვიც
11	საწწე	საცცე
12	პაწწე	ფაწცე
13	ხიბეწწე	ხიბეცცე
14	ბიპეწწე	ბიფეცცე
15	კოწწე	კოცცე
16	უჭეწწე	უჭეცცე
17	ვულეწწე	ვულეცცე
18	მულეწწე	მულეცცე
19	ვუდეწწე	ვუდეცცე
20	ყა	ყა//იდირმი
30	საყოვიწ	ოთუზ//ხიბვიც
40	პაყო	ფერხ//ბიფუვიც//ფაჭა
50	პაყოვიწ	ჰლლი//კოვიც
60	ხიბყო	ალთმიშ//უჭვიც
70	ხიბყოვიწ	ედთმიშ//ვულვიც
80	ბიპყო	სქსან//მულვიც
90	ბიპყოვიწ	დოხსან//ვუდევიც
100	საბაწ//ბაწ	საბაწ//ბაწ//ვიცაოვიც
101	საბაწსა	საბაწსა
110	საბაწვიწ	საბაწვიც
111	საბაწსაწწე	საბაწსაცცე
200	პაბაწ	ფაბაწ
300	ხიბბაწ	ხიბბაწ
1000	სა ჰაზარ//ჰაზარ	სა ჰაზარ//ჰაზარ
1001	საჰაზარსა	საჰაზარსა
10 000	ვიწ ჰაზარ	ვიც ჰაზარ
100 000	ბაწ ჰაზარ	ბაწ ჰაზარ

თერთმეტიდან ცხრამეტის ჩათვლით რიცხვითი სახელები მიღებულია ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. ეს სახელები შედგენილია ამდაგვარად: წინ ერთვის ერთეულების აღმნიშვნელი სახელები, შემდეგ *ვიწ* “ათი” და **სა* > *სე* “ერთი”:

**სა-ვიწ-სა* > **სა-ვიწ-სე* > *სა-წ-სე* > *სა-წ-წე* “თერთმეტი”;

**პა-ვიწ-სა* > **პა-ვიწ-სე* > *პა-წ-სე* > *პა-წ-წე* “თორმეტი”;

**ხიბ-ვიწ-სა* > **ხიბ-ვიწ-სე* > *ხიბ-ეწ-სე* > *ხიბ-ეწ-წე* “ცამეტი”...

აღსანიშნავია, რომ ა. დირს უდიურში დადასტურებული აქვს შემდეგი ფორმები: *საწსე* “თერთმეტი”; *პაწსე* “თორმეტი”; *ხიბეწსე* “ცამეტი”; *ბიბეწსე* “თოთხმეტი” და ა.შ.¹

ოცეულებისა და ათეულების წარმოების თვალსაზრისით კილოების მიხედვით დასტურდება სხვადასხვაგვარი ვითარება: ვართაშნულში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, ოცეულების აღსანიშნავად გამოყენებულია სათანადო რიცხვითი სახელი და სიტყვა *ყა/ყო* “ოცი” – *პა-ყო* “ორმოცი” (“ორი” + “ოცი”); *ხიბ-ყო* “სამოცი” (“სამი” + “ოცი”); *ბიბ-ყო* “ოთხმოცი” (“ოთხი” + “ოცი”); 30, 50, 70 და 90 ლექსემების აღსანიშნავად გამოყენებულია სათანადო ოცეულები და სიტყვა *ვიწ* “ათი”: *სა-ყო-ვიწ* “ოცდაათი” (“ერთი ოცი” + “ათი”); *პა-ყო-ვიწ* “ორმოცდაათი” (“ორი ოცი” + “ათი”); *ხიბ-ყო-ვიწ* “სამოცდაათი” (“სამი ოცი” + “ათი”); *ბიბ-ყო-ვიწ* “ოთხმოცდაათი” (“ოთხი ოცი” + “ათი”).

ნიჯურ კილოში, როგორც ზემოთ აღინიშნა, თვლის ოცობითი სისტემა მოშლილია. ათეულების აღსანიშნავად გამოყენებულია აზერბაიჯანულიდან ნასესხები რიცხვითი სახელები: *იიირმი* “ოცი”; *ოთუზ* “ოცდაათი”; *ყურხ* “ორმოცი”; *ჟლლი* “ორმოცდაათი”; *ალთმიშ* “სამოცი”; *ედთმიშ* “სამოცდაათი”; *საქსან* “ოთხმოცი”; *დოხსან* “ოთხმოცდაათი”. გარდა ამისა, ნიჯურში დასტურდება საკუთარი წარმოების ათეულების აღსანიშნავი სახელები: *ხიბ-ვიც* “ოცდაათი” (“სამი” + “ათი”); *ბიფუ-ვიც* “ორმოცი” (“ოთხი” + “ათი”); *კო-ვიც* “ორმოცდაათი” (“ხუთი” + “ათი”);

¹ Дирр А. М., Грамматика удинского языка, Тифлис, 1903, გვ. 29.

უჭ-ვიც^ა “სამოცი” (“ექესი” + “ათი”); ვუღ-ვიც^ა “სამოცდაათი” (“შვიდი” + “ათი”); მუღ-ვიც^ა “ოთხმოცი” (“რვა” + “ათი”); ვუღ-ვიც^ა “ოთხმოცდაათი” (“ცხრა” + “ათი”). ერთადერთი რიცხვითი სახელი, რომელიც თვლის ოცობითი სისტემის უქონლობის პირობებში ნიჯურს ნაშტად შემორჩა – არის პა-ყა “ორმოცი” (“ორი” + “ოცი”).

ასეულებისა და შემდგომი რაოდენობითი რიცხვითი სახელების წარმოება ერთგვარადაა წარმოდგენილი უდიური ენის ორივე კილოში.

მსაზღვრელად გამოყენებული რიცხვითი სახელი არ იცვლის ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, საზღვრული არ ეთანხმება რიცხვით სახელს რიცხვში:

სახელობითი	სა ადამარ	პა ადამარ	ვიწ ადამარ
	“ერთი ადამიანი”	“ორი ადამიანი”	“ათი ადამიანი”
ერგატივი	სა ადამარ-ენ	პა ადამარ-ენ	ვიწ ადამარ-ენ
ნათესაობითი	სა ადამარ-ი	პა ადამარ-ი	ვიწ ადამარ-ი
მიცემითი	სა ადამარ-ა[ხ]	პა ადამარ-ა[ხ]	ვიწ ადამარ-ა[ხ]

ზოგჯერ რიცხვითი სახელი ითანხმებს მსაზღვრულს [მრავლობით] რიცხვში, მაგ.:

ტელან ტე წო თაცი, ატუკი შოტუ ყეფრი პა ვინიმუღოს “იქიდან იქით მხარეს წავიდა რა, დაინახა მან სხვა ორი ძმა (ძმები)” (მთ. 4, 21)...

სუბსტანტივად გამოყენებულ რიცხვით სახელს დაერთვის -ო სუფიქსი: სო < სო-ო < სა-ო “ერთი”; პო^ა < პო^ა-ო < პა^ა-ო “ორი”; ხიბ-ო “სამი”, ბიპ-ო “ოთხი” და ა.შ.

ვართაშნულში, ამასთან, რიცხვითი სახელისათვის “ერთი” გავრცელებულია ფორმა სუნ < *სა-უნ. ნიჯურში სახელობითში რიცხვითი სახელის ფუძეს ზოგჯერ დაერთვის -ჯა ან -ლო სუფიქსები: სა-ჯა, სო-ლო < სა-ლო “ერთი”; პა^ა-ჯა, პო^ა-ლო < პა^ა-ლო “ორი”...

რიცხვითი სახელი ნაცვალსახელისა და ზედსართავი სახელის მსგავსად იბრუნვის:

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახ.	სო-ო “ერთი”	სო-ო-რ	ხიბ-ო “სამი”	ხიბ-ო-რ
ერგ.	სოო-ტ-ინ	სოო-ტ-ღ-ონ	ხიბო-ტ-ინ	ხიბო-ტ-ღ-ონ
ნათ.	სოო-ტ-ა[ღ]	სოო-ტ-ღ-ო[ღ]	ხიბო-ტ-ა[ღ]	ხიბო-ტ-ღ-ო[ღ]
მიც.	სოო-ტ-უ[ხ]	სოო-ტ-ღ-ო[ხ]	ხიბო-ტ-უ[ხ]	ხიბო-ტ-ღ-ო[ხ]
აბღ.	სოო-ტ-უხო	სოო-ტ-ღ-ოხო	ხიბო-ტ-უხო	ხიბო-ტ-ღ-ოხო
კომიტ.	სოო-ტ-უხოლ[ან]	სოო-ტ-ღ-ოხოლ[ან]	ხიბო-ტ-უხოლ[ან]	ხიბო-ტ-ღ-ოხოლ[ან]
ადეს.	სოო-ტ-უსტა	სოო-ტ-ღ-ოსტა	ხიბო-ტ-უსტა	ხიბო-ტ-ღ-ოსტა
აღაღ.	სოო-ტ-უჭ	სოო-ტ-ღ-ოჭ	ხიბო-ტ-უჭ	ხიბო-ტ-ღ-ოჭ
სუპერ.	სოო-ტ-ულ	სოო-ტ-ღ-ოლ	ხიბო-ტ-ულ	ხიბო-ტ-ღ-ოლ
ბენ.	სოო-ტ-ენკ[ენა]	სოო-ტ-ღ-ონკ[ენა]	ხიბო-ტ-ენკ[ენა]	ხიბო-ტ-ღ-ონკ[ენა]

რიგობითი რიცხვითი სახელი

რიგობითი რიცხვითი სახელები უდიური ენის ვართაშნულ კილოში იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის გაუფორმებელ ფუძეზე აზერბაიჯანულიდან ნასესხები -მ-ჯი, -უმ-ჯი, -უნ-ჯი სუფიქსებისა,¹ ან ზოგჯერ -უნ, -უმ სუფიქსების დართვით.² აღინიშნება ამ მაწარმოებელთა პარალელური ხმარებაც, მაგ.:

სა-მ-ჯი < სა-უმ-ჯი < სა-უნ-ჯი; სა-უმ < სა-უნ...

ნიჯურ კილოში რიგობითი რიცხვითი სახელი, როგორც წესი, პირველი ჯგუფის (რთულ) სუფიქსთა მეშვეობით იწარმოება, ოღონდ შეინიშნება ფონეტიკური ხასიათის თავისებურებები, შდრ.:

ვართ.

ნიჯ.

“პირველი” სა-მჯი; სუჭტა-უნჯი;

საღ-უმჯი; საღ-იმჯი; სუჭტ-ინ

¹ შესაძლებელია, რომ აზერბაიჯანულიდან ამ სუფიქსთა ოდენ მეორე ნაწილი იყოს ნასესხები (-ჯი ელემენტი), ხოლო პირველი წარმოშობით გენიტივის ნიშანი იყოს.

² -უნ სუფიქსი წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი უნდა იყოს. ამ სუფიქსის გამოყენება რიგობითი რიცხვითი სახელებისათვის ჯერ კიდევ კავკასიის ალბანურისათვის იყო დამახასიათებელი.

სუფტტ-უმჯი; სუფტტ-უნ-ო

“მეორე”	<i>პა-უნჯი; პა-უმჯი; პა-უნ-ო</i>	<i>ფა-იმჯი</i>
“მესამე”	<i>ხიბ-უნჯი; ხიბ-უმჯი; ხიბ-უნ-ო</i>	<i>ხიბ-იმჯი</i>
“მეოთხე”	<i>ბიპ-უნჯი; ბიპ-უმჯი; ბიპ-უნ-ო</i>	<i>ბიფ-იმჯი</i>
“მეხუთე”	<i>კო-უნჯი; კო-უმჯი; კო-უნ-ო</i>	<i>კო-იმჯი; კო-მჯი</i>
“მეათე”	<i>ვიწ-უნჯი; ვიწ-უმჯი; ვიწ-უნ-ო</i>	<i>ვიც-იმჯი</i>
“მეასე”	<i>ბაწ-უნჯი; ბაწ-უმჯი; ბაწ-უნ-ო</i>	<i>ბაწ-უმჯი; ბაწ-ჯმჯი</i>

რიგობითი რიცხვითი სახელის მსაზღვრელ სიტყვად გამოყენებისას, იგი, წესისამებრ, არ იცვლება:

სახ. <i>სა-მჯი ადამარ</i>	<i>პა-უმჯი ადამარ</i>	<i>ვიწ-უმჯი ადამარ</i>
“პირველი ადამიანი”	“მეორე ადამიანი”	“მეათე ადამიანი”
ერგ. <i>სა-მჯი ადამარ-ენ</i>	<i>პა-უმჯი ადამარ-ენ</i>	<i>ვიწ-უმჯი ადამარ-ენ</i>
ნათ. <i>სა-მჯი ადამარ-ი</i>	<i>პა-უმჯი ადამარ-ი</i>	<i>ვიწ-უმჯი ადამარ-ი</i>
მიც. <i>სა-მჯი ადამარ-ა[ხ]</i>	<i>პა-უმჯი ადამარ-ა[ხ]</i>	<i>ვიწ-უმჯი ადამარ-ა[ხ]</i>

ხოლო რიგობითი რიცხვითი სახელი სუბსტანტივის ფუნქციით ზედსართავი სახელისა და ნაცვალსახელის მსგავსად იბრუნვის. სუბსტანტივად გამოყენებულ რიგობით რიცხვით სახელებში **-უნ** სუფიქსიანი წარმოება ჭარბობს.

სახ. <i>პა-უნ-ო, პა-უმჯი-ო</i>	<i>ხიბ-უნ-ო, ხიბ-უმჯი-ო</i>
“მეორე”	“მესამე”

ერგ.	პა ^ნ -უნ-ტ-ინ, პა ^ნ -უმჯო-ტ-ინ, პა ^ნ -უმჯო-ო-ტ-ინ	ხიბ-უნ-ტ-ინ, ხიბ-უმჯო-ტ-ინ, ხიბ-უმჯო-ო-ტ-ინ
ნათ.	პა ^ნ -უნ-ტ-ა[ღ], პა ^ნ -უმჯო-ტ-ა[ღ], პა ^ნ -უმჯო-ო-ტ-ა[ღ]	ხიბ-უნ-ტ-ა[ღ], ხიბ-უმჯო-ტ-ა[ღ], ხიბ-უმჯო-ო-ტ-ა[ღ]
მიც.	პა ^ნ -უნ-ტ-უ[ხ], პა ^ნ -უმჯო-ტ-უ[ხ], პა ^ნ -უმჯო-ო-ტ-უ[ხ]	ხიბ-უნ-ტ-უ[ხ], ხიბ-უმჯო-ტ-უ[ხ], ხიბ-უმჯო-ო-ტ-უ[ხ]

კრებითი რიცხვითი სახელი

კრებითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე **-ლ-ინ//ბ-ალ-ინ**, **-ლ-ენ//ბ-ალ-ენ** რთული სუფიქსის დართვით,¹ მაგ.:

- პა^ნ-ლ-ინ//პა^ნ-ლ-ენ “ორივე”, “ორივე ერთად”;
- ხიბ-ალ-ინ//ხიბ-ალ-ენ “სამივე”, “სამივე ერთად”;
- ბიპ-ალ-ინ//ბიპ-ალ-ენ “ოთხივე”; “ოთხივე ერთად”;
- ვო-ბ-ალ-ინ//ვო-ბ-ალ-ენ “ხუთივე”, “ხუთივე ერთად”;
- გუფ-ბ-ალ-ინ//გუფ-ბ-ალ-ენ “ცხრავე”, “ცხრავე ერთად”;
- ვიწ-ბ-ალ-ინ//ვიწ-ბ-ალ-ენ “ათივე”, “ათივე ერთად”...

ამ ორი ვარიანტიდან პირველი (**-ლ-ინ//ბ-ალ-ინ**) ორივე კილოშია გაგრძელებული, ხოლო მეორე (**-ლ-ენ//ბ-ალ-ენ**) მხოლოდ ვართაშნულში გვხვდება. ამის გარდა ნიჯურში **-არან** სუფიქსიანი წარმოება დასტურდება: ხიბ-არან “სამივე”, “სამივე ერთად”; ბიფ-არან “ოთხივე”, “ოთხივე ერთად”...

¹ ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, ბოლოკიდური -ენ//-ინ ელემენტი წარმოშობით ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფორმანტი უნდა იყოს; -ალ//ლ ელემენტს მკვლევარი =ალ კლიტიკას (“ც”, “ცა”, “მცა”) უკავშირებს, ხოლო თავკიდურ ბ- ელემენტს გაქვევებულ კლასიფიკატორად მიიჩნევს – ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 36.

სხვა რიცხვითი სახელების მსგავსად მსაზღვრელად გამოყენებული კრებითი რიცხვითი სახელი უცვლელია, ხოლო სუბსტანტივის ფუნქციით – სხვა ატრიბუტულ სახელთა მსგავსად იბრუნვის:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახ. პა ^ლ -ღ-ენ-ო “ორივე”, “ორივე ერთად”	პა ^ლ -ღ-ენ-ო-რ
ერგ. პა ^ლ -ღ-ენ-ტ-ინ	პა ^ლ -ღ-ენ-ტ-ღ-ონ
ნათ. პა ^ლ -ღ-ენ-ტ-ა[ღ]	პა ^ლ -ღ-ენ-ტ-ღ-ო[ღ]
მიც. პა ^ლ -ღ-ენ-ტ-უ[ხ]	პა ^ლ -ღ-ენ-ტ-ღ-ო[ხ]

წილადი რიცხვითი სახელი

წილადი რიცხვითი სახელი იწარმოება აღწერითად. ამისთვის ვართაშნულში გამოყენებულია სიტყვები ბარ “წილი”, ჯოკ “id”. კონსტრუქცია შედგება ნათესაოთსა ან აბლატივის ფორმით წარმოდგენილი რიცხვითი სახელისაგან, მსაზღვრელად გამოყენებული რიცხვითი სახელისა და “წილი”-ს აღმნიშვნელი ზემოთ დასახელებული სიტყვებისაგან:

კოტხო (ან *კოტად*) *ხიბ ბარ* (ან *ჯოკ*) “სამი მეხუთედი” (ზედმიწ. “ხუთისაგან (ან “ხუთისა”) სამი წილი”);

ბიპოტხო (ან *ბიპოტად*) *სა ბარ* (ან *ჯოკ*) “ერთი მეოთხედი” (ზედმიწ. “ოთხისაგან (ან “ოთხისა”) ერთი წილი”)...

ნიჯურში დასტურდება სხვაგვარი კონსტრუქცია: მნიშვნელის საწარმოებლად აქ გამოიყენება *-არ* სუფიქს დართული აბლატივის ფორმით წარმოდგენილი რიცხვითი სახელი, რომელსაც სიტყვა *ჟად* “წილი” ერთვის.

წილადი რიცხვითი სახელების საწარმოებლად უდიურში ასევე გამოიყენება სიტყვები *ჯი* “ნახევარი” და *ურუბ* “მეოთხედი”:

სა-ნ-ჯი “ერთნახევარი”; *პა-ნ-ჯი* “ორნახევარი”; *სა-ურუბ* “ერთი მეოთხედი”; *პა-ურუბ* “ორი მეოთხედი”; *ხიბ-ურუბ* “სამი მეოთხედი”...

ჯერობის რიცხვითი სახელები

ჯერობის რიცხვითი სახელები ასევე აღწერითიწარმოებისა. ამისთვის გამოყენებულია აზერბაიჯანულიდან ნასესხები სიტყვა *ქრან* (ვართ.)//*ქრან* (ნიჯ.) “გზის”, “-ჯერ”: *სა-ქრან* “ერთხელ”, “ერთგზის”; *პა-ქრან* “ორჯერ”, “ორგზის”; *ხიბ-ქრან* “სამჯერ”, “სამგზის” და ა.შ. (ნიჯ. *სა-ქრან, პა-ქრან, ხიბ-ქრან*).

ჯერობის რიცხვითი სახელის საწარმოებლად გამოიყენება ასევე სიტყვა *დაე* “გზა”: *სა-დაე* “ერთგზის”; *ხიბ-დაე* “სამჯერ”, “სამგზის”...

დაშლით-დანაწილებითი (წყვილობითი) რიცხვითი სახელი

ეს რიცხვითი სახელი იწარმოება გასუბსტანტივებულ რიცხვით სახელთა რედუქციაციით: *სო-სო* < *სო-ო* + *სო-ო* < *სა-ო* + *სა-ო* “თითო-თითო”, “თითო-თითოდ”; *პო-პო* < *პო-ო* + *პო-ო* < *პა-ო* + *პა-ო* “ორ-ორი”; *ხიბ-ხიბო* < *ხიბ-ო* + *ხიბ-ო* “სამ-სამი” და ა.შ.

ზმნა

დაღესტნური ჯგუფისა და ლეზგიური ქვეჯგუფის სხვა ენათაგან განსხვავებით უდიურ ზმნას არ ახასიათებს მორფოლოგიურ კატეგორიათა მრავალფეროვნება. ფინიტურ და ინფინიტურ ფორმათა პარადიგმა უდიურ ენაში სამ ათეულ ერთეულს არ აღემატება და, მათ შორის, ჭარბადაა წარმოდგენილი კავშირებითი და პირობით-ნატვრითი კილოს ფორმები. თვალში საცემია ანალიტიკურ ფორმათა არარსებობა და კონვერბთა სიმცირე, მაშინ როდესაც ეს ფორმები ძალზე გავრცელებულია დაღესტნურ ენებში.

უდიურში ზმნისათვის სისტემებრ ნიშანდობლივია მხოლოდ პირის [და რიცხვის] კატეგორიისა და დრო-კილოთა ფორმების არსებობა. მრავლობითი რიცხვი ზმნაში სპეციალური აფიქსით არ გამოიხატება. პირის კატეგორიაც ახალი შექმნილი ჩანს, ხოლო პირის ფორმანტთა განაწილება ფრიად საინტერესო სურათს გვიჩვენებს. გრამატიკული კლას-კატეგორია მოიშალა, თუმცა თვალში საცემია მისი ნაშთი გაქვავებული პრეფიქსების სახით. გვარი ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება, ხოლო ასპექტის კატეგორია მოშლის პირასაა მისული და მხოლოდ ზმნების ერთი ჯგუფის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ამ კატეგორიის შესახებ. პრევერბის ხასიათის ელემენტები გადმონაშთის სახით გვხვდება მხოლოდ რამდენიმე ზმნაში.

ზმნური სიტყვაფორმის სტრუქტურა

მარტივი აგებულების ზმნები

არანაწარმოებ (სინქრონულ დონეზე), ანუ მარტივი აგებულების ზმნების რიცხვი უდიურ ენაში არ არის დიდი და 60-70 ერთეულს არ აღემატება. მათი დიდი ნაწილი ერთმარცვლიანია და VC, VCC, CVC, CVCC სტრუქტურისაა.

VC: აკ-ეს “ნახვა”, “დანახვა”, “გამოჩენა”; აყ-ეს “აღება”, “აყვანა”; უქ-ეს “ჭამა”; უღ-ეს “დაღევა”; ეწ-ეს “შეშრობა”; ოწ-ეს “გარეცხვა; ეფ-ეს “დაჭერა”, “დაკავება”...

VCC: არც-ეს “დაჯდომა”; უსკ-ეს “გაზომვა”...

CVC: ბაქ-ეს “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”; ბიხ-ეს “შობა”, “დაბადება”; ბოკ-ეს “წვა”, “ხრუკვა; ბოხ-ეს “ხარშვა”; ბოყ-ეს “კრეფა”; ჭურ-ეს “გრეხა”; ჩურ-ეს “გავლა”, “გასეირნება” (ნიჯ. “ყვარება”, “შეყვარება”); ქალ-ეს “ღუღება”; გურ-ეს “წაქცევა”; ჯარ-ეს “წვა”, “ხრუკვა; შამ-ეს “კვლა”; დოფ-ეს “სკდომა”...

CVCC: ბასკ-ეს “დაწოლა”, “დაძინება”; ბურჯ-ეს “დაწყება”; ბაშყ-ეს “მოპარვა”; მანდ-ეს “დარჩენა”; ჩალხ-ეს “გაცნობა”...

იშვიათად გვხვდება ორმარცვლიანი მარტივი აგებულების ფუძეები, მაგ.: წორო-ეს “ღინება” [წურწურით, წვეთ-წვეთად]; ახა-ეს “აკიდება”, “ზურგზე ჩამოკიდება”; ჩოვაჭ-ეს (ნიჯ.; < ვართ. ჭე-ბაქ-ეს) “გადავლა”...

ბ-ეს “კეთება” და ფ-ეს “თქმა”, “ქმნა” ფუძეს ცალკეული თანხმოვანი წარმოადგენს, თუმცა, საფიქრებელია, რომ ისტორიულად ერთი თანხმოვნისაგან შემდგარი ფუძეები უდიური ზმნისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

რთული აგებულების ზმნები

უდიურ ენაში ზმნური ლექსემების დიდი ნაწილი კომპოზიტებს წარმოადგენს. ზმნური კომპოზიტების პირველი ინგრედიენტი მარტივ არაუდვლელად ფუძეს წარმოადგენს, ხოლო მეორე შემადგენელი ნაწილი – მეშველ ზმნას. ამ დამხმარე ზმნებისაგან ცალკე აღებული მხოლოდ სამი ზმნა წარმოადგენს დამოუკიდებელ ლექსემას, ესენია: ბაქ-ეს “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”; ბ-ეს “კეთება” და ფ-ეს “თქმა”, “ქმნა”. მათ რიცხვს შესაძლოა მიუვმატოთ ერთი ლექსემაც – ეც-ეს, რომელიც მოძრაობის აღმნიშვნელ დეფექტურ ზმნად უნდა მივიჩნიოთ და, ამასთან ერთად, იგი დეკაუზატივისაც აწარმოებს (სხვა თვალსაზრისის მიხედვით ვნებითი გვარის მაწარმოებელს წარმოადგენს – ევბ. ჯეირანიშვილი).

ბაქ-ეს – გარდაუვალ ზმნებს აწარმოებს, მაგ.: *ქალა-ბაქეს* “გაზრდა” (*ქალა* “დიდი”); *ჭოჭა-ბაქსუნ* “გაწითლება” (*ჭოჭა* “წითელი”)...

ბ-ეს – გარდამავალ ზმნებს აწარმოებს, მაგ.: *აშ-ბეს* “მუშაობა” (*აშ* “საქმე”); *ბარ-ბესუნ* “დარიგება”, “დანაწილება” (*ბარ* “წილი”)...

ფ-ეს – ძირითადად სემანტიკურად მეტყველებასთან, ხმასთან დაკავშირებულ მოქმედებების აღმნიშვნელ და სხვა გარდამავალ ზმნებსაც აწარმოებს, მაგ.: *აძთ-ფეს* “ლაპარაკი” (*აძთ* “სიტყვა”); *მალ-ფეს* “მღერა” (*მალ* “სიმღერა”); *ჯოჯ-ფეს* “დახველება”, *ახშუშ-ფეს* “გაცინება”; მაგრამ: *ახი-ფეს* “თამაშობა” (*ახი* “თამაში”); *ობ-ფეს* “ვარცხნა” (*ობ* “სავარცხელი”); *ცამ-ფეს* “წერა” (*ცამ* “წაწერი”)... ფორმა **ფ-ეს** იშვიათად აწარმოებს გარდაუვალ ზმნებსაც, შდრ.: *ჩურ-ფეს* “ღვომა”, “გაჩერება”...

ეც-ეს – აწარმოებს დეკაუზატივს, მაგ.: *აკ-ე-ნე* “ნახა” – *აკ-ეც-ე-ნე* “დაენახა”; *თად-ე-ნე* “მისცა” – *თად-ეც-ე-ნე* “მიეცა”... მიუხედავად ამისა, ეს ფორმა, ჩვენი აზრით, წარმოადგენს არა მაწარმოებელს, არამედ მეშველ ზმნას, შდრ.: *ცამ-ფ-ე-ნე* “წერს” – *ცამ-ეც-ე-ნე* “იწერება”; *გამ-ნე-დ-ე* “აცხელებს” – *გამ-ეც-ე-ნე* “ცხელდება”; *გირ-ბ-ე-ნე* “თავს უყრიან” – *გირ-ეც-ე-ნე* “თავს იყრის”... ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ ფორმა **აც-ეს** პირველ ინგრედიენტს დაერთვის როგორც მეშველი ზმნა და სხვა უღვლებად კომპონენტებს (**ბ-ეს**, **ფ-ეს**, **დ-ეს**) ენაცვლება (უდიურში დაუშვებელია ორი დამხმარე ზმნის ერთად თავმოყრა).

როული აგებულების ზმნების ყველაზე გავრცელებული მეორე უღვლებადი კომპონენტი, რომელსაც ამჟამად დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არ გააჩნია, არის **დ-** (ყრუ თანხმოვნების შემდგეს ხშირად გვაძლევს **ტ-ს**, მაგ.: *აკეს-ე-დ-ი* “დაანახა” – *აკეს-ტ-ეს* “დანახვა”), მაგ.: *ქოლ-დ-ეს* “დაცობა” (*ქოლ* “საცობი”); *თოვ-დ-ეს* “გაყიდვა” (*თოვ* “ფასი”). ეს ელემენტი გვევლინება ასევე კაუზატივის მაწარმოებლად (**-ეც** მაწარმოებელთან ერთად), მაგ.: *ბ-ეს* “კეთება” – *ბ-ეს-ტ-ეს* “კეთებინება”; *უქ-ეს* “ჭამა” – *უქეს-დ-ეს* “ჭმევა”; *ულ-ეს* “დაღევა” – *ულ-ეს-დ-ეს* “დაღევინება”...

უდიურის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში, რთული აგებულების ზმნებში გამოიყოფა ასევე სხვა ელემენტები: **კ**, **ჭ**, **ყ**, **ხ**. ამ ელემენტების გამოყოფა ხერხდება მხოლოდ სიტყვაწარმოებითი ანალიზის ან ეტიმოლოგიური ძიების საშუალებით, მაგ.: ბათ-**კ**-ეს “ხრჩობა”, “ჩაძირვა”, “წყალში დაშვება”; შდრ. აზერბაიჯანული: ბათ “ხრჩობა”.

რთული აგებულების ზმნების პირველი კომპონენტი, როგორც წესი, წარმოშობით სახელს ან ადვერბიალურ სიტყვას წარმოადგენს. იშვიათად პირველ ინგრედიენტად შეიძლება შეგვხვდეს ზმნური ფუძე. ხშირია შემთხვევები, როდესაც პირველ კომპონენტსაც – არაუდვლელად ფუძეს, ამაჟამად არ აქვს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა, მაგ.: ბა-ფეს “ჩასხმა”, “ჩაყრა”; შამ-ფეს “დაკვლა”; ტი-ტეს “დაძახვა”; ჭურ-დეს “მოგრესა”, “მოდრეცა” და სხვა.

გვხვდება იდიომატური მნიშვნელობის კომპოზიტები, მაგ.: ხაბარ-აყ-ეს “შეკითხვა” (ხაბარ “ახალი ამბავი” + აყ-ეს “აღება”); აჭხი-დუღ-ეს “მოტყუება” (აჭხი “ტყუილი” + დუღ-ეს “დარტმა”, “ცემა”); გომ-დუღ-ეს “ღებვა” (გომ “ფერი” + დუღ-ეს “დარტმა”, “ცემა”); იშეს-თაღ-ეს “გათხოვება” (იშეს “ქმარი” [მიც.] + თაღ-ეს “წასვლა”); ნეპახ-ეს “დაძინება” (ნეპახ “ძილი” [მიც.] + ეს-უნ “მოსვლა”)...

პირის [და რიცხვის] კატეგორია

უდიური ენისათვის დამახასიათებელია ზმნის უღვლილება პირის მიხედვით. საყურადღებოა, რომ ისევე როგორც გარდაუვალ ზმნასთან, გარდამავალ ზმნასთანაც აღინიშნება მხოლოდ სუბიექტის პირი. ამ მხრივ უდიურში დასტურდება მონათესავე ენათაგან განსხვავებული მდგომარეობა: ივარაუდება, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებისათვის, როგორც კლას-კატეგორიის, ისე პირის კატეგორიის თვალსაზრისით, გარდამავალი ზმნის ფორმაში პირველადი უნდა იყოს ობიექტის ასახვა [არნ. ჩიქობავა]. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, სადაც განვითარდა პიროვანი უღვლილება (თაბასარანული ენა [სამხრული კილო], ქართველური ენები, ჩერქეზული ენები და უბიხური),

გარდამავალ ზმნასთან აღინიშნება როგორც სუბიექტის, ისე რეალური ობიექტის პირი, ხოლო იმ ენებში, სადაც კლასოვანი ან კლასოვან-პიროვანი უღვლილება გვაქვს (თაბასარანული ენა [ჩრდილოური კილო], ლაკური და დარგუული ენები, ბაცბური ენა) გარდამავალ ზმნასთან პირდაპირი ობიექტის კლასი აღინიშნება.

ზმნების თითოეულ ჯგუფს უდიურში ახასიათებს პირის ნიშანთა საკუთარი სერიის ყოლა. სუბიექტის პირი ზმნასთან (ან, შესაძლოა, წინადადების სხვა წევრებთანაც; იხ. ქვემოთ) აღინიშნება წინადადების კონსტრუქციის მიხედვით, ანუ თუ რომელ ბრუნვაში მოითხოვს ზმნა მასთან შეწყობილ რეალურ სუბიექტს. უდიურში ზმნას ახასიათებს პირის გამოსატვის სამგვარი სისტემა:

I ჯგუფში შედის ზმნების აბსოლუტური უმრავლესობა, ესაა გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები, რომელიც მოითხოვენ სუბიექტს სახელობით ბრუნვასა და ერგატივში.

II ჯგუფს განეკუთვნება გრძნობა-აღქმის სემანტიკის გამომხატველი ზმნები (*verba sentiendi*), რომლებიც მოითხოვენ სუბიექტს მიცემით ბრუნვაში, თუმცა დღეს უდიურში, როგორც წესი, გრძნობა-აღქმის ზმნების სუბიექტი ერგატივის ფორმით გვევლინება. ბუნებრივია, ეს მეორეული მოვლენაა. ნიჯურში ეს პროცესი (მიცემითის შეცვლა ერგატივით) დასრულებულია, ხოლო ვართაშნულში – დასრულების სტადიაშია.

III ჯგუფს კი ერთი დეფექტური ზმნა ბუ “ყოლა”, “ქონა” მიეკუთვნება (ის მხოლოდ აწმყოსა და ნამყო-უწყვეტელის დროებს აწარმოებს, ხოლო დანარჩენ პარადიგმას ბაქეს “ყოფა”, “არსებობა” “გახდომა” ზმნის დრო-კილოები აწარმოებენ). ეს ზმნა სუბიექტს ნათესაობით ბრუნვაში მოითხოვს (ზმნა ბუ “ყოფნის” მნიშვნელობით გამოიყენება, მაგ.: ზუ ბუ=ზუ “მე ვარ”. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ზმნა სუბიექტს სახელობით ბრუნვაში მოითხოვს და შესაბამისად I ჯგუფში შედის).

განსხვავებული ვითარება დასტურდება ნიჯის დიალექტში. ვართაშნულ კილოში “ქონა”-“ყოლის” ზმნისათვის (ვართ. ბუ, ნიჯ. ფუ) დამახასიათებელი III (პოსესიური; გენეტიური) სერიის პირის ნიშნები შეიცვალა II (მიცემითსუბიექტიანი) პირის ნიშნებით. ვართაშნულში

დამოწმებული დატიური კონსტრუქცია გრძნობა-აღქმის ზმნებთან ნიჯურში შეიცვალა ერგატიულით და verba sentiendi ზმნები I სერიის პირის ნიშნებს ირთავს. მაშასადამე, ერთი ზმნის ჩვენებას (ფუუ “ყოლა”, “ქონა”) თუ არ მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიჯურში მოხდა უნიფიკაცია პირის აღნიშვნის სისტემების.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უღვლილების ზოგადი პრინციპები პრინციპულად მსგავსად არის წარმოდგენილი უდიური ენის ორსავე კილოში. თითქმის ერთგვარადაა წარმოდგენილი პირის ნიშნებიც. გვხვდება მცირე, ფონეტიკური ხასიათის განსხვავებანი.

პირის ნიშნები I-სა და II პირში უჭველად ნაცვალსახელური წარმოშობისაა. პირის ნიშნები ზოგჯერ ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდიან, ზოგჯერ კი უცვლელად იმეორებენ I და II პირის ნაცვალსახელთა ფორმას.

როგორც აღინიშნა, I ჯგუფის ზმნები გრამატიკულ სუბიექტს მოითხოვენ სახელობითსა ან ერგატივში. ამის მიუხედავად, პირის ნიშნები ორივე კონსტრუქციასთან წარმოდგენილია ერთნაირად. გარდამავალი ზმნის სუბიექტი უდიურში ყოველთვის დასმულია ერგატიულ ბრუნვაში, ხოლო გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, იშვიათი გამონაკლისების გარდა – სახელობითშია.

ზმნების I ჯგუფის (სუბიექტი სახელობითსა ან ერგატივში) პირის ნიშნები ვართაშნულ კილოში

პირი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I პ.	=ზუ, =ზ, > =სუ, =ს	=დან
II პ.	=ნუ (=რუ, =ლუ, =დუ, =ტუ)// =ნ (=რ, =ლ, =დ, =ტ)	=ნან (=რან, =ლან, =დან, =ტან)
III პ.	=ნე (=რე, =ლე, =დე, =ტე)	=ყუნ

შენიშვნა: მუქი ფერით აღნიშნულია ძირითადი (გავრცელებული) პირის ნიშნები; დანარჩენი ვარიაციები მიღებულია ფონეტიკური ცვლილებების საფუძველზე. რედუქციის შედეგად მიღებულია: =ზუ > =ზ;

=ნუ > =ნ; =ნე > =ე; ფორმები =ხუ, =ხ წინამავალ ან მომდევნო ყრუ თანხმოვანთან ასიმილაციის შედეგად არის მიღებული: =ზუ > =სუ; =ზ > =ს, მაგ.: თა=ზ=ცი > თა=ს=ცი “მე წავედი”... თუ პირის ნიშანი იწყება ნ თანხმოვნით და მოხვდება წინამავალი ფუძისეული რ, ლ, დ, თ//ტ თანხმოვნების უშუალო მეზობლობაში, იგი სრულ რეგრესულ ასიმილაციას განიცდის და ვიღებთ შემდეგ ფორმებს:

მხლ. რიცხვი II პ. =ნუ > =რუ, =ლუ, =დუ, =ტუ; =ნ > =რ, =ლ, =დ, =ტ

III პ. =ნე > =რე, =ლე, =დე, =ტე

მხლ. რიცხვი II პ. =ნან > =რან, =ლან, =დან, =ტან

ნომინატივ-ერგატივიანი სერიის პირის ნიშნები ნიჯურ კილოშიც წარმოდგენილია ვართაშნული დიალექტის მსგავსად, შდრ.:

ზმნების I ჯგუფის (სუბიექტი სახელობითსა ან ერგატივში) პირის ნიშნები ნიჯურ კილოში

პირი	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I პ.	=ზუ, =გზ, =უზ, =ზ > =ს	=დან
II პ.	=ნუ, =ნ, =გნ, =უნ	=ნან
III პ.	=ნე, =ე	=თუნ

შენიშვნა: შეინიშნება ზოგი თავისებურება: თუ პირის ნიშნის დართვისას თავს იყრის რამდენიმე თანხმოვანი, მაშინ თანხმოვნებს შორის ჩნდება თანხმოვანგასაყარი -გ- > -უ- ელემენტი: =ზუ > =ზ > =გზ//=უზ; ვართაშნულში გავრცელებული რეგრესიული ასიმილაცია ნიჯურში არ დასტურდება; ვართაშნულის მხოლოდებითი რიცხვის III პირის ძირითად ფორმანტს (=ნე) ნიჯურში ორი ძირითადი ფორმანტი შეესატყვისება (=ნე//=ე). ამათგან =ნე ფორმანტი ხმოვნით დასრულებულ ფუძეს დაერთვის, ხოლო =ე – თანხმოვნით; მრავლობითი რიცხვის III

პირისათვის ნიჯურში დასტურდება სხვა ფორმანტი, შდრ.: ვართ. =ყუნ და ნიჯ. =თუნ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უდიურში ზმნების აბსოლუტური უმრავლესობა მისდევს სახელობით-ერგატივიანი უღვლილების სისტემას, ხოლო მიცემით-სუბიექტიანი უღვლილება დაახლოებით თხუთმეტიოდე ზმნას ახასიათებს. უნდა აღინიშნოს, რომ ნიჯურ კილოში დატიური კონსტრუქცია ამჟამად არ არის წარმოდგენილი, ხოლო ვართაშნულში იგი მოშლის პირასაა მისული: დღეს, როგორც წესი, verba sentiendi ზმნების სუბიექტი დასმულია ერგატიულ ბრუნვაში. ასეთ შემთხვევაშიც კი ზმნა ინარჩუნებს მიცემით-სუბიექტიანი სერიის პირის ნიშნებს, რაც გვაძლევს კიდევ დატიური კონსტრუქციის გამოყოფის საფუძველს ვართაშნულ კილოში.

ზმნების II ჯგუფის (მიცემით-სუბიექტიანი) პირის ნიშნები ვართაშნულ კილოში

პირი	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I პ.	=ზა, =ზახ, =ზ	=და, =დახ
II პ.	=ვა, =ვახ, =ვ	=ვა ^ა , =ვახ ^ა , =ვა-ნან
III პ.	=ტუ, =ტუხ	=ყო, =ყოხ

შენიშვნა: მიცემით-სუბიექტიანი ზმნების I და II პირის ნიშნები წარმოადგენს სათანადო ნაცვალსახელთა მიცემითი ბრუნვის ფორმას; მხოლოდობითში III პირისათვის გამოყენებულია =ტუ ფორმანტი, რომელიც დეტერმინატივად გვხვდება ჩვენებით ნაცვალსახელთა დატივის ფორმაში, შდრ.: შე-ტუ, შე-ტუხ. გასარკვევი რჩება =ყო//=ყოხ პირის ნიშანთა საკითხი; ფორმები =ზ და =ვ რედუქციის შედეგადაა მიღებული: =ზა > =ზ; =ვა > =ვ; II პირის ნიშანი მრავლობითში (=ვა^ა), ზოგიერთ შემთხვევაში კარგავს ფარინგალიზაციას =ვა^ა > =ვა. ამის შედეგად, ეს ფორმა ემსგავსება II პირის ნიშანს მხოლოდობითში. საფიქრებელია, რომ განსხვავების აღსადგენად მას დამატებით ერთვის სახელობით-

ერგატივიანი სერიის II პირის აღმნიშვნელი კლიტიკა (მრავლობითი რიცხვის) =ნან, მაგ.: ბუ=ვა=ყსა > ბუ=ვა=ყსა > ბუ=ვა=ყსა=ნან

თავისებურ ვითარებას გვიჩვენებს ნიჯის დიალექტი, სადაც მიცემით-სუბიექტიანი სერიის პირის ნიშნები მხოლოდ ერთ ზმნასთან შემოგვრჩა – ფუუ “ქონა”, “ყოლა”. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ზმნასთან პირის ნიშნები, როგორც წესი, პრეფიქსურ პოზიციას იკავებენ, მაგ.: ზახ=ფუუ “მე მყავს”, “მე მაქვს”; გახ=ფუუ “შენ გყავს”, “შენ გაქვს”; თუხ=ფუუ “იმას ყავს”, “იმას აქვს” და ა.შ.

ზმნების II ჯგუფის (მიცემით-სუბიექტიანი) პირის ნიშნები ნიჯურ კილოში

პირი	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I პ.	=ზახ	=დახ
II პ.	=ვახ	=ვახ ^ლ
III პ.	=თუხ	=თუხ ^ლ , =თოხ ^ლ , =თოოხ ^ლ

მიუხედავად იმისა, რომ პირის ნიშნები ნიჯურ კილოში მიცემითის ფორმითაა წარმოდგენილი (მიცემით-სუბიექტიან სერიას განეკუთვნებიან), ქონა-ყოლის ზმნის რეალური სუბიექტი, ვართაშნულის მსგავსად, აქაც ნათესაობით ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული, მაგ.: ბეზი კოჟ ზახ=ფუუ “მე (ნათ.) სახლი მაქვს”.

ზმნების III ჯგუფის (ნათესაობით-სუბიექტიანი) პირის ნიშნები ვართაშნულ კილოში

პირი	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I პ.	=ბეზ	=ბეშ
II პ.	=ვი	=ე ^ლ ფ
III პ.	=ტაფ, =ტა	=ე ^ლ ო, =ეო

შენიშვნა: ზმნის გენეტიური (პოსესიური) კონსტრუქციის პირის ნიშნები ნიჯურ კილოში არ გვხვდება.

სამივე სერიის პირის ნიშნები, როგორც ზემოდ აღინიშნა, გენეტიურად ამა თუ იმ ბრუნვაში დასმული პირის ნაცვალსახელებია. ეს თვალსაჩინო გახდება, თუ პირის მაწარმოებლებს შესადარებლად სათანადო პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმებს მუყუყენებთ, შდრ.:

პირის ნაცვალსახელთა ბრუნვა უდიურ ენაში

ბრუნვები	I პირის		II პირის	
	მხოლოდობითი	მრავლობითი	მხოლოდობითი	მრავლობითი
სახელობითი	<i>ზუ</i>	<i>დან</i>	<i>უნ//პუნ (ნიჯ.)</i>	<i>ვან//ქჭან</i>
ერგატივი	–	–	–	<i>ვან</i>
ნათესაობითი	<i>ბეზი</i>	<i>ბეში</i>	<i>ვი</i>	<i>ქჭი</i>
მიცემითი	<i>ზა//ზახ</i>	<i>და//დახ</i>	<i>ვახ</i>	<i>ვახ^ნ</i>

საყურადღებოა, რომ კავკასიის ალბანურში მოგვეპოვება III პირის აღმნიშვნელი ენკლიტიკა მხოლოდობითში *=ნ(ე)* [ი. გიპერტი, ვ. შულცე, ზ. ალექსიძე, ე.-პ. მაქ]. ეს ფორმა (*ნე*) კავკასიის ალბანურში, შესაძლოა, ჩვენებითი ნაცვალსახელიც იყოს.

ასევე აღსანიშნავია, რომ II პირის ნიშანთა (*=ნუ* მხოლოდობითში და *=ნან* მრავლობითში) ნაცვალსახელურ წარმოშობას უკეთ გვიჩვენებს კავკასიის ალბანური ენის II პირის ნაცვალსახელების ფორმა, შდრ.: კავკ.-აღბ. *ნუნ* “შენ”; *ნან* “თქვენ” და უდ. *უნ* “შენ” და *ვან//ქჭან* “თქვენ”.

როგორც აღინიშნა მრავლობით რიცხვს საკუთარი მაწარმოებელი არ გააჩნია. მრავლობითის პირველი და მეორე პირის ნიშნები სათანადო პირისა და რიცხვის ნაცვალსახელებს წარმოადგენენ.

III პირის მრავლობითის *=ყუნ*, *=ყოს//ყო*, *=ყოფ//ყო* მაწარმოებლების წარმოშობის საკითხი ნათელი არ არის.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად მიიჩნეოდა, რომ უდიურ ენაში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, პირის ნიშნები აფიქსებს წარმოადგენენ. 90-იანი წლების მიწურულს ა. ჰარისმა ახალი თვალსაზრისი წარმოგვიდგინა, რომელიც ვრცლად გაშუქდა მის მონოგრაფიაში “Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax” (Oxford, 2002). ეს თვალსაზრისი უდიური ენის ზოგიერთმა თანამედროვე მეკლემეურმაც გაიზიარა (ვ. შულცე, ტ. მაისაკი...). ა. ჰარისის მოსაზრების თანახმად, უდიური ენის პირის ნიშნები კლიტიკებს წარმოადგენენ. გარდა პირის ფორმანტებისა, ზმნის მორფემათაგან ასეთივე კვალიფიკაცია მიეცა იუსივის (კატეგორიულ კილო ან “ნაწილაკოვან-კავშირებითი I” ევბ. ჯეირანიშვილის მიხედვით) და პირობით-ნატვრითი კილოს (“ნაწილაკოვან-კავშირებითი II” ევბ. ჯეირანიშვილის მიხედვით) =ყა და =გი მაწარმოებლებს და ნამყოს =ღ მაწარმოებელსაც.

უდიური ენაში პირის ფორმანტების მოქმედება მთელ რიგ შემთხვევებში უჩვეულოა აფიქსათათვის. პირის ნიშნები წინადადებაში ხშირად სხვა მეტყველების ნაწილებს ერთვის (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნიზედა, თანდებული, ნაწილაკი). საყურადღებოა, რომ პირის ნიშანი შეიძლება სხვა კლიტიკას დაერთოს, რაც შეუძლებლად მიიჩნევა აფიქსათათვის¹. აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, რომელსაც დაერთვის პირის ნიშანი, არ განიცდის ცვლილებას.

თუ წინადადებაში შემასმენელი არ იმყოფება ფოკუსში, ასეთ შემთხვევაში პირის ნიშანი დაერთვის არა პრედიკატს, არამედ ფოკუსში მყოფ წინადადების წევრს². კითხვით წინადადებებში, მაგალითად, ეს,

¹ ეს შეიძლება იყოს უარყოფის აღმნიშვნელი კლიტიკები თუ=, ნუ=, მა=; იუსივისა ან პირობით-ნატვრითი კილოს მაწარმოებელი კლიტიკები ყა= და გი= (ნიჯურში დი-); კლიტიკა =აღ (ქართულ -ც ნაწილაკს უდრის). პირის ნიშნები და აღნიშნული კლიტიკები ერთად ადგენენ პროკლიტიკურ (მაგ.: თუ=ნუ=ბესა “არ აკეთებს”), ენკლიტიკურ (მაგ.: ბაღ=თუ=ნუ “არ გააკეთებს”) და ენდოკლიტიკურ (მაგ.: ბა=თუ=ნუ=ქო “შესაძლოა (ვინიცობაა) იყოს, გახდეს”) კომპლექსებს. ხშირად ასეთ კომპლექსებში შეიძლება სამი კლიტიკაც კი იყოს გაერთიანებული, მაგ.: მა=ყა=ნ=ბაქე “აუცილებლად არ ვიქნებოდი, გავხვდებოდი”; უ=აღ=თუ=ნუ=ქსა, უ=აღ=თუ=ნუ=ღ¹-სა “არ შევჭამ კიდევ, არ დავლევ კიდევ [არც შევჭამ და არც დავლევ]” და ა.შ.

² ფოკუსში მყოფი წინადადების წევრის (არა პრედიკატის) პირის ნიშნით მარკირების ასახსნელად გამოითქვა ორი განსხვავებული ჰიპოთეზა: ა. ჰარისის ვარაუდით,

როგორც წესი, კითხვის გამომხატველი სიტყვებია (მაგ.: ეკა=ნ ბესა “რას აკეთებ?”; =ნ II პირის ნიშანია მხოლოდობითში და, ამ შემთხვევაში, ის უჭკველად კითხვით ნაცვალსახელს დაერთვის. ამ შესიტყვებაში პირის ნიშნით პრედიკატის მარკირება იქნება გაუმართავი და არასწორი); უარყოფით წინადადებებში პირის ნიშანი დაერთვის უარყოფის გამომხატველ სიტყვებს (მაგ.: უდინ ზღიჭბა ბუ=თე=ნე “უდიური ანბანი არ (+ 3 SG) არსებობს”; უკ-ეს თე=ზ=ბაქ-სა “ჭამა არ (+ 1 SG) შემძლია”); წინადადებებში, რომელიც კითხვაზე პასუხს შეიცავს, ფოკუსში მოიქცევა ის სიტყვები, რომლებიც უშუალოდ პასუხობენ დასმულ კითხვას, მაგ.: თუ

უდიურისათვის ისტორიულად უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი *კლეფტის* ტიპის წინადადება, ანუ ისეთი რთული წინადადება, რომელშიც მთავარი ნაწილი მთლიანად რემას მიეკუთვნება, ხოლო დამხმარე – თემას, მაგ.: ინგ. It is John who speaks “ეს ჯონი ლაპარაკობს [ეს არის ჯონი, რომელიც ლაპარაკობს]”, ან რუს. Что касается меня, то я ухажу... აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის წინადადება ძალზე გავრცელებულია დაღესტნურ ენებში.

პირობითად ა. პარისის მიერ ნავარაუდები კონსტრუქცია უდიურში შეგვიძლია ასეთი სახით გადმოვცეთ:

ხორაგ COP [PROX ხუნნი-მუდ-ონ კჰზირ-ბ-ი]
საჭმელი არის ეს და-PL-ERG საჭმლის მომზადება-LV-PTCP
 ეს საჭმელია, რომელიც მოამზადეს დებმა [ხედმიწ. საჭმელია ეს დების (ერგ.) მომზადებული]

შემდგომში, ა. პარისის ვარაუდით, მეშველი ზმნა (COP) დაკარგულ იქნა, ხოლო რთული წინადადება, რომელიც მთავარი (ეს საჭმელია) და დამხმარე (რომელიც მოამზადეს დებმა) შესიტყვებებისაგან შედგებოდა გარდაიქმნა მარტივ წინადადებად. დამხმარე ზმნის დაკარგვის გამო შეიცვალა შეთანხმების კონტროლიორი – ამ ფუნქციით აღიჭურვა მთავარი ზმნის ქვემდებარე (*დებმა*) და არა მეშველი ზმნის სუბიექტი, ხოლო ნაცვალსახელი, რომელსაც ქვეწყობილი წინადადება შეჰყავდა, გარდაიქმნა პირის შემათანხმებელ ელემენტად, რომელიც ენკლიტიკურად დაერთვოდა ფოკუსში მდგომ მეშველი ზმნის ყოფილ სუბიექტს, ხოლო გადალაგებულ წინადადებაში – დამატებას; მთავარი ზმნა მოგვევლინა დრო-კილოიანი და არა მიმდებარის ფორმით, ის. თანამედროვე უდიურისაგან:

ხუნნი-მუდ-ონ ხორაგ-ახ=ყუნ კჰზირ-ბ-ესა
და-PL-ERG საჭმელი-DAT=3 PL საჭმლის მომზადება-LV-PRS
 დები (ერგ.) ამზადებენ საჭმელს

ვ. შულცეს ვარაუდით კი, ფოკუსის მარკირება სპეციალური ნიშნით (*-ნი) საერთო ლეზბურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. თავდაპირველად *-ნი ფორმანტი ყველა პირთან თანაბრად გამოიყენებოდა, ხოლო შემდგომ, I პირის კონტექსტში, დაიწყო მისი შეცვლა I პირის ნაცვალსახელით. II და III პირის ფორმები ჩამოყალიბდა მოგვიანებით, *-ნი ფორმის ფონეტიკური გავლენით.

წინასწარ ცნობილი იყო, რომ ვიდაცამ აიღო ორი ვაშლი, წინადადებაში “ბავშვმა აიღო ორი ვაშლი” ფოკუსში მოექცევა სახელი “ბავშვი”, როგორც ნათქვამის მომენტში არაპროგნოზირებადი და ლოგიკურად აუხსნელი. შესაბამისად, პირის ნიშანი (=ნე III პირის ფორმანტი მხოლოდობითში) ამ წინადადებაში დაერთვის არა პრედიკატს (“აიღო”), არამედ სუბიექტს (“ბავშვი”):

აღელ-ენ=ნე აყ-ე პა^ნ ეშ^ნ-ნ-უხ
 ბავშვი-ERG=III SG აღება-PERF ორი ვაშლი-O-DAT
ბავშვმა აიღო ორი ვაშლი

თუ დაისმის კითხვა, რა აიღო ბავშვმა, ან რამდენი ვაშლი აიღო ბავშვმა, ჩვენ მივიღებთ, მაგალითად, ასეთ პასუხს:

აღელ-ენ პა^ნ ეშ^ნ=ნე აყ-ე
 ბავშვი-ERG ორი ვაშლი=III SG აღება-PERF
ბავშვმა აიღო ორი ვაშლი

ჩვეულებრივ თხრობით წინადადებაში კი ეს ფრაზა ასეთ სახეს მიიღებს:

აღელ-ენ პა^ნ ეშ^ნ-ნ-უხ ა=ნე=ყ-ე
 ბავშვი-ERG ორი ვაშლი-O-DAT აღება=III SG=ST-PERF
ბავშვმა აიღო ორი ვაშლი

პირის ნიშანი დაერთვის აგრეთვე იმ სიტყვებს, რომლის გამოყოფა მთხრობელის სურვილით ხდება და რომელიც გამონათქვამის ძირითად აზრს გამოხატავს, მაგ.:

დან სა ქალა ადუ-ე=დან ბაქსა “ჩვენ ერთ დიდ სოფელში (+ 1 PL) ვცხოვრობთ”;

აღლა ზუ თბილისი-ნ-ა=ზ თაღსა “მე ხვალ თბილისში (+ 1SG)

მივდივარ”;

ბა=ნე=ქე, თე=ნე=ბაქე, სა იშუ-ჩუბუხ=ნე ბაქე “იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი (+ 3 SG)”...

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სინტაქსური ურთიერთობები უშუალოდ მოქმედებს პირის ნიშანთა განაწილებაზე.¹

ფოკუსში მყოფი სიტყვა, თუ წინადადებაში გვაქვს შემასმენელი, როგორც წესი, შემასმენელია ან შემასმენელს უსწრებს.

ზმნაშიც პირის ნიშანს არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია. ერთსა და იმავე ზმნურ ფორმაში, ერთი და იგივე პირის ფორმანტი შეიძლება იმყოფებოდეს სხვადასხვა პოზიციაში: სტატიკურ ზმნებში პირის ნიშანი, როგორც წესი, პოსტფიქსურ პოზიციას იკავებს, მაგ.: *ბუ=ნე* “არის”; *არცი=ნე* “ზის”; *ჩურფი=ნე* “ღვას”; *ბასკი=ნე* “წევს”; *არცი=თე=ნე* “არ ზის” (+ 3SG) ...

გარდამავალ და გარდაუვალ დინამიკურ ზმნებთან პირის ნიშანი გამოიყენება სხვადასხვა ადგილას, მაგ.: *ბა=ნე=ქსა, ბაქსა=ნე* “არის ხოლმე”, “არსებობს”, “ხდება”, *თე=ნე=ბაქსა* “არ არის ხოლმე...”; *ე=ნე=სა, ესა=ნე* “მოდის”, *თე=ნე=ესა* “არ მოდის”; *აშ=ნე=ბ[ე]ქსა, აშ-ბესა=ნე* “მუშაობს”, *თე=ნე=აშ-ბესა* “არ მუშაობს”...

ზოგჯერ პირის ნიშნის პოზიციის შეცვლით სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობაც იცვლება, მაგ.: *ბო=ნე=ხსა* “ხარშავს” – *ბოხ=ნე=სა* “იხარშება”; *ბი=ნე=ხსა* “შობს”, “ბადებს” – *ბიხ=ნე=სა* “იბადება”...

როდესაც პირის ნიშანი ფუძის მომდევნო პოზიციაზე იმყოფება, ის,

¹ პირდაპირი ობიექტის ბრუნვის ფორმა ასევე ნაწილობრივ არის დამოკიდებული სინტაქსურ ურთიერთობებზე. ცნობილია, რომ პირდაპირი ობიექტი უდიურში მიცემითი ან სახელობითი ბრუნვის ფორმებით არის გადმოცემული. თუ პირდაპირი დამატება შემასმენელს მისდევს, მაშინ ის ფაკულტატურად იყენებს მიცემითისა და სახელობითის ფორმებს (თუმცა მიცემითი ჭარბობს). თუ პირდაპირი დამატება შემასმენელს წინ უსწრებს, ასეთ შემთხვევაში, გამოთქმის მომენტში უცნობი, განუსაზღვრელი ნომინატივის ფორმით იქნება წარმოდგენილი, ხოლო ცნობილი, განსაზღვრული – დატივით. განუსაზღვრელი, ნათქვამის მომენტში უცნობი სახელი, როგორც წესი, ფოკუსში მოექცევა (ანუ ფოკუსში მყოფი უახლოესი ობიექტი სახელობითში გვექნება), მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც შემასმენლის წინ მდგარი და ფოკუსში მყოფი პირდაპირი ობიექტი მიცემითის ფორმით იყოს წარმოდგენილი.

როგორც წესი, ბოლოკიდურ ელემენტად გვევლინება¹, ანდა, იშვიათად შეიძლება იმყოფებოდეს ზმნური ფუძის შემდეგ, მაგრამ წინ უსწრებდეს რომელიმე მაწარმოებელს, მაგ.: *ბიხ=ნე=სა* “იბადება”, *ბოხ=ნე=სა* “იხარშება”².

პრეფიქსურ (ფუძის წინა) პოზიციაზე ყოფნისას პირის ნიშანი ზმნის აბსოლუტურ დასაწყისში არ გვხვდება: იგი უეჭველად უნდა მისდევდეს სხვა თავკიდურ მორფემას (როგორც წესი, ეს არის ზმნაში უარყოფის გამომხატველი ელემენტები: *თე=*, *მა=*, *ნუ=*).

ყველა რთული აგებულების ზმნაში პირის ნიშანი შეიძლება ინტერფიქსურ პოზიციაში იმყოფებოდეს: ის არაუღვლილებად ფუძესა და მეშველ ზმნას შორისაა, ანუ კომპონენტებს შუა იკავებს ადგილს, მაგ.: *აშ-ბ-ეს* “მუშაობა” (*აშ* “საქმე” + *ბ-ეს* “კეთება”) – *აშ=ნე=ბ[ეს]*ა “მუშაობს”; *აზარუ-ბაქ-ეს* “ავად გახდომა” (*აზარუ* “ავდმყოფი”, “სნეული” + *ბაქ-ეს* “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”) – *აზარუ=ნე=ბაქსა* “ავად ხდება”, “ავადდება”...

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირის ნიშანი მარტივი აგებულების ზმნებშიც გვევლინება ინფიქსურ პოზიციაში. ასეთ შემთხვევაში, იგი ფუძის ბოლო თანხმონის წინ იკავებს ადგილს ანუ ზმნურ ფუძეს ხლენს, მაგ.: *ბაქ-ეს* “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა” – *ბა=ნე=ქსა* “არის ხოლმე”, “ხდება” (+ 3 SG); *ბიხ-ეს* “შობა”, “დაბადება” – *ბი=ნე=ხ-სა* “შობს”, “ბადებს”; *უნე=ქ-ესა*, *უნე=ღ^ლ-ესა* “ჭამს, სვამს”, შდრ.: *უქ-ეს* “ჭამა”; *ულ^ლ-*

¹ ზოგიერთ დრო-კილოსთან პირის ნიშნის პოსტფიქსური განლაგება აუცილებელია: ასეთ დრო-კილოსთან რიცხვს განეკუთვნება: მყოფადი ძირითადი და მისგან ნაწარმოები მყოფადი აუცილებლობითი, მყოფადი ნაწილაკოვანი, ნამყო-მყოფადი ძირითადი, ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი და აგრეთვე კონიუნქტივი, ნამყოს კონიუნქტივი და ბრძანებითი კილო (იმპერატივი).

² პირის ნიშანთა აღნიშნული განლაგება უდიურ ენაში ეწინააღმდეგება ერთ-ერთ ე.წ. უნივერსალიას. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კლიტიკას შეუძლებელია მისდევდეს რომელიმე აფიქსი. თუ უდიური ენის პირის ნიშნებს კლიტიკებად მივიჩნევთ, რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებელია, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ფრიად საინტერესო ვითარება: წარმოდგენილ მაგალითებში, პირის ნიშანს მისდევს აწმყოს მაწარმოებელი *-სა* [*-ესა*], რომელიც დიაქრონიულ დონეზე შეიძლება დავყოთ მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის სუფიქსსა (*-ს* < *-ეს*) და უშუალოდ პრეფიქსის მაწარმოებელზე (*-ა*). მოყვანილ ლექსებში პირის ნიშანს შეიძლება მისდევდეს სხვა დრო-კილოსა მაწარმოებლები, რომელთა კვალიფიკაცია როგორც აფიქსების – ეჭვს არ იწვევს.

ეს “სმა”... საფიქრებელია, რომ ზოგიერთ ზმნურ ლექსემაში, პირის ნიშანი ზმნის ისტორიული ძირის შიგნითაც კი გვხვდება. ასეთ ლექსემათა რიცხვს განეკუთვნება: *აკ-ეს* “ნახვა”, “დანახვა”, “გამოჩენა”; *აყ-ეს* “აღება”; *ეფ-ეს* “შენახვა”; *ეს-უნ* “მოსვლა”; შდრ.: *ა=ტუ=კ-სა* “ხედავს”, “დაინახავს”, “გამოჩნდება” (+ 3 SG); *ა=ნე=ყ-სა* “იღებს”; *ე=ნე=ფ-ესა* “ინახავს”; *ე=ნე=ს-ა* “მოდის” (უკანასკნელ ზმნას, საფიქრებელია, რომ დაკარგული აქვს ძირისეული თანხმოვანი *ღ* < **ღ* და მისი ფუძე მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის სუფიქსის ფორმას ემთხვევა).

მარტივი აგებულების ზმნების უმრავლესობას მოეპოვება პირის ნიშნისათვის ინფიქსური პოზიცია. გამონაკლისია ზმნები *ბ-ეს* “კეთება” და *ფ-ეს* “თქმა”, რომელთა ფუძეც ცალკეული თანხმოვნისაგან შედგება და კიდევ ორი ზმნა: *ბუ* “ყოფნა”, “ქონა”, “ყოლა” და *ბი[ღ]-ეს* “მოკვდომა”.

თუ უდიურ ენაში პირის ნიშნებს კლიტიკებად მივიჩნევთ, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს უნიკალური ვითარება: მსოფლიოს შესწავლილ ენათაგან არსად არ არის დამოწმებული *ენდოკლიტიკა*, ანუ ისეთი კლიტიკა, რომელიც ერთიანი სიტყვაფორმის, ან, მით უფრო, მორფემის შიგნით გვხვდება. ზოგიერთ შემთხვევაში, პირის ნიშანი ზმნის ისტორიულ ძირსაც კი ხლექს (იხ. ზემოთ).

უდიურ ენაში პირის ფორმანტთა ენდოკლიტიკებად ჩამოყალიბების ასახსნელად ა. ჰარისმა გამოითქვა ორი ჰიპოთეზა. პირველის თანახმად, სახელისა და ზმნისაგან შემდგარ შესიტყვებათა შერწყმის შედეგად უდიურში გამხორციელდა პირის ნიშანთა “გარშემორტყმის” (“trapping”) პროცესი. ა. ჰარისის აზრით, ეს პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავდა: შემასმენელისა და მის წინ მდგომი პირის ნიშნით მარკირებული დამატებისაგან შემდგარი ფოკუსური კონსტრუქციები განიცდიდა ლექსიკოლოგიზაციას და გვაძლევდა იდიომატური შინაარსის შესიტყვებებს, რომელიც მორფოლოგიზაციის შედეგად ყალიბდებოდა რთული აგებულების ზმნებად. ამ პროცესის გამო, პირის ნიშნები აღმოჩენილ იქნა ერთიანი სიტყვის შიგნით, დამხმარე ზმნასა და ინკორპორირებულ სახელს შუა.

ამ ჰიპოთეზის საფუძველზე ა. ჰარისი ცდილობს მარტივი აგებულების ზმნებში პირის ნიშანთა ინტრამორფემული პოზიციის წარმოქმნის ახსნას. მკვლევრის ვარაუდით, ამ შემთხვევაში პირის ნიშნები კი არ ჩამოყალიბდნენ ამ პოზიციაზე, როგორც რთული აგებულების ზმნებში, არამედ მოხდა მათ მიერ თანდათანობით ამ პოზიციის დაკავება. გამომდინარე იქიდან, რომ უდიურ ენაში მეშველი ზმნების უმრავლესობა (*ბ-ეს* “კეთება”; *ფ-ეს* “თქმა”; *ღ-ეს* – ცალკე აღებულს არ გააჩნია დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა და სხვა) ცალკეული თანხმონისაგან შედგება, პოზიცია ფუძის ბოლო თანხმონის წინ აღქმულ იქნა როგორც პირის ნიშნის ადგილი. ამის შედეგად, პირის ნიშნებმა, ანალოგიით, მარტივი აგებულების ზმნებშიც დაიკავეს ინფიქსური პოზიცია.

ა. ჰარისმა წარმოგვიდგინა ალტერნატიული ვარაუდიც, რომლის თანახმად პირის ნიშნებს ყველა პოზიცია კლასიფიკატორებისაგან მემკვიდრეობით ერგოთ: კლასოვანი უღვლილების მოშლის შემდეგ, კლასის ექსპონენტთა ნაწილი დაიკარგა, მაგრამ მათი ადგილი დაიკავეს ახლადწარმოქმნილმა პირის ნიშნებმა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ იყო განხილული კლასოვან-პიროვანი უღვლილების ფუნქციონირების შესაძლებლობა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს: უდიურ ენაში მარტივი ზმნების უმრავლესობას ფუძეში შეიძლება გამოეყოს გრამატიკული კლას-კატეგორიის გაქვავებული ექსპონენტი (*ბ-*, *ბა-*, *ბე-*, *ბი-*, *ბო-*, *ბო'*-, *ბუ-*, *ბუ'*-, *ღ-*, *ღუ-*, *უ-* [*< *გუ-*], *უ'* [*< *გუ'*-]...), რომლის შემდეგაც ფიქსირდება პირის ნიშანთა ინფიქსური პოზიცია. წარმოდგენილი კლასოვანი პრეფიქსები ზმნის ძირთან სინქრონულ დონეზე ერთ მორფემას წარმოადგენენ, თუმცა მათი გამოყოფა მონათესავე ენების მონაცემთა გამოყენებით ხერხდება, მაგ.: უდ. *ბაქ-ეს* “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”; *ბა=ნე=ქსა* “არის”, “არსებობს”, “ხდება” (+ 3SG); შდრ.: რუთ. *დი-ქის//რი-ქის//ვი-ქის//დი-ქის* “ყოფნა” [გრამატიკული კლასების მიხედვით]; არჩ. *ვი-ქირ//დი-ქირ//ბი-ქირ//ი-ქირ* “ყოფნა”; წახ. *გხ[~]-ად//დი-ხ[~]-ად//ვეუ-ხ[~]-ად* “ყოფნა”;

უდ. ბიხ-ეს “შობა”, “დაბადება”; ბი=ნე=ბ-სა “შობს”, “ბადებს” (+ 3SG);
შდრ.: რუთ. *ფუ-ბ-გენ//რუ-ბ-გენ//ვეუ-ბ-გენ* “შობა”, “დაბადება” [გრამატიკული
კლასების მიხედვით]; წახ. *უ-ბ-ი//ფუ-ბ-ი//ვეუ-ბ-ი* “id”; შდრ. აგრეთვე: ლეზბ.
ბ-უნ “id”;

უდ. ბოკ-ეს “წვა”; ბო=ნე=კ-სა “იწვის” (+ 3SG); შდრ.: არჩ. *უ-კ-ას//დო-
კ-ას//ბო-კ-ას* “წვა” [გრამატიკული კლასების მიხედვით];

უდ. დულ-ეს “რტყმევა”, “დარტყმა”; დუ=ნე=ღ-სა “ურტყამს” (+ 3SG);
შდრ.: რუთ. *ფგ-ბ-გენ//რფგ-ბ-გენ//ვეფგ-ბ-გენ* “რტყმევა” [გრამატიკული კლასების
მიხედვით]; თაბ. *უ-ბ-უზ//ფუ-ბ-უზ* “დარტყმა”; შდრ. აგრეთვე: ხუნდ. *ვეუ-ბ-
იზე//ფუ-ბ-იზე//ბუ-ბ-იზე//რუ-ბ-იზე* “ცემა”...

ექვი გვეპარება, რომ პირის ნიშნებს კლასოვანი უღვლილების
მოშლის და, შესაბამისად, კლასოვანი პრეფიქსისა და ზმნური ძირის
(დიაქრონიულ დონეზე – ფუძის) ერთ ფუძედ ჩამოყალიბების შემდეგ
დაეკავებინათ ინტრამორფემული პოზიცია. ამასთან ერთად,
საყურადღებოა, რომ პირის ნიშნები თავიკიდურ პოზიციაში (აბსოლუტურ
ანლაუტში) არ გვხვდება, რაც ასევე უარყოფს კლასიფიკატორთა პირის
ნიშნებით ჩანაცვლების პიპოთეზას. თუ პირის ნიშანი პრეფიქსურ
პოზიციაზე იმყოფება, ის, უექველად, სხვა რომელიმე მორფემას უნდა
მისდევდეს, არადა კლასიფიკატორთა თავიკიდური განლაგება ყველაზე
გავრცელებულია იბერიულ-კავკასიურ ენებში და, მათ შორის,
დაღესტნურსა და ლეზგიურ ენებში.

საყურადღებოა, რომ უდიურში პირის ნიშნებით გამოიხატება მხოლოდ
სუბიექტის პირი, მაშინ როდესაც პირდაპირი ობიექტის აღნიშვნა უნდა
იყოს პირველადი ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის [არჩ. ჩიქობავა].

ამის ასსნა შესაძლებელია, თუ დავუშვებთ, რომ კლასოვანი
უღვლილებიდან პიროვან უღვლილებამდე უდიურმა გაიარა კლასოვან-
პიროვანი უღვლილების საფეხური, რომელიც ობიექტის კლასისა და
სუბიექტის პირის აღნიშვნას გულისხმობდა (როგორც ეს არის ყველა
იბერიულ-კავკასიურ ენაში, სადაც კლასოვან-პიროვანი უღვლილება
გვაქვს). გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ ობიექტური
პიროვანი უღვლილება, განსხვავებით, მაგალითად, ქართველური და

ადილური ენებისაგან, უდიურში, საფიქრებელია, რომ გარშემომყოფ არამონათესავე ენათა გავლენის გამო არ წარმოიქმნა.

ჩვენი აზრით, პირის ნიშნები ყალიბდებოდა არა ინტრამორფემულ (კლასოვანი პრეფიქსისა და ზმნის ძირის შორის) პოზიციაზე, არამედ თანდათანობით ხდებოდა მათ მიერ ამ პოზიციის დაკავება. ჩვენი ვარაუდით, თავდაპირველად პირის ნიშანი ენკლიტიკურად ერთვოდა ზმნას, ხოლო მის მიერ ინფიქსური (//ინტერფიქსური) პოზიციის დაკავება გამოწვეული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა სინტაქსური და მორფოლოგიური პროცესებით (კაუზატივისა ან დეკაუზატივის წარმოება; განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გამოხატვა), რომლის რელიქტები შემონახული უნდა იყოს თანამედროვე უდიურ ენაში, ასე, მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგჯერ პირის ნიშნის პოზიციის შეცვლით სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობაც იცვლება: *ბო=ნე=ხსა* “ხარშავს” – *ბოხ=ნე=ხსა* “იხარშება”; *ბი=ნე=ხსა* “შობს”, “ბადებს” – *ბიხ=ნე=ხსა* “იბადება”... ამ მაგალითებში, პირის ნიშნის პოზიციის შეცვლით ხდება დეკაუზატივის წარმოება.

გამომდინარე იქიდან, რომ უდიურ ენაში ზმნური ძირებისა და მეშველი ზმნების უმრავლესობა ცალკეული თანხმონისაგან შედგება, პოზიცია ფუძის ბოლო თანხმონის წინ (რთულ ზმნებში – მეორე ინგრედიენტის წინ) აღქმულ იქნა როგორც პირის ნიშნის ადგილი. ამის შედეგად, ანალოგიით, პირის ნიშნებმა ყველა კომპოზიტურ ზმნაში დაიკავეს ინტერფიქსური პოზიცია, ხოლო ისეთ მარტივ ზმნებში, როგორცაა: *აე-ეს* “ხედვა”, *აე-ეს* “აღება”, “აყვანა”, “ყიდვა”, *ეს-უნ* “მოსვლა”, *ეფ-ეს* “შენახვა”... – ინფიქსური პოზიცია, შდრ.: *ა=ტუ=ე-ხსა* “ხედავს”, *ა=ნე=ე-ხსა* “იდებს”, “იყვანს”, “ყიდულობს”, *ე=ნე=ხსა* “მოდის”, *ე=ნე=ფე-ხსა* “ინახავს” (მოყვანილ ლექსემებში არ გამოიყოფა გაქვავებული კლასოვანი პრეფიქსი).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი მოსაზრება არ ეწინააღმდეგება სხვა რამდენიმე ჰიპოთეზას, მაგ.: ა. ჰარისის მიერ გამოთქმულ პირის ნიშანთა “გარშემორტყმის” ჰიპოთეზას. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია, დავეთანხმოთ მის მიერ გამოთქმულ გრამატიკული კლას-

კატეგორიის ფორმანტა პოზიციის ჩანაცვლების (ე.წ. მემკვიდრეობითი პოზიციის) ჰიპოთეზას. ჩვენი აზრით, “ენდოკლიზისის” (პირის ნიშანთა მიერ ზმნური ფუძეების გახლეჩის) მოვლენა აისხნება მხოლოდ კლასისა და პირის ფორმანტა პარალელური ფუნქციონირებით და არა კლასიფიკატორების უბრალო ჩანაცვლებით პირის ნიშნებით.

დრო-კილოთა სისტემა

უდიური ზმნის დრო-კილოთა წარმოების ძირითადი პრინციპებია:

დრო-კილოთა წარმოება ხდება სუფიქსებისა და კლიტიკების მეშვეობით; კლიტიკთა მეშვეობით იწარმოება:

იუსივი (კატეგორიულ კილო ან “ნაწილაკოვან-კავშირებითი I” ევბ. ჯეირანიშვილის მიხედვით) – ყა= კლიტიკა აწარმოებს;

პირობით-ნატვრითი კილო (“ნაწილაკოვან-კავშირებითი II” ევბ. ჯეირანიშვილის მიხედვით) – გი= კლიტიკა (ნიჯურში =**გი**) აწარმოებს;

ნამყო დროის აღმნიშვნელი რამდენიმე ფორმა – =**ე** კლიტიკის დართვით იწარმოება;

მყოფადი ნაწილაკოვანი და II კონიუნქტივი =**ალ** კლიტიკის მეშვეობით იწარმოება.

ყა= და **გი=** მაწარმოებლები შესაძლოა ინფიქსურს (ან ინტერფიქსურს), პრეფიქსურსა და პოსტფიქსურ პოზიციებზეც იმყოფებოდეს, ნამყო დროების მაწარმოებელი =**ე** და =**ალ** კლიტიკა ზმნაში პოსტფიქსურ პოზიციაზე გვხვდება, თუმცა იშვიატად =**ალ** კლიტიკა შეიძლება ინფიქსურ (ინტერფიქსურ) პოზიციაზეც შეგვხვდეს. ოთხივე მაწარმოებელი კლიტიკა შესაძლებელია, რომ სხვა მეტყველების ნაწილებსაც დაერთოს.

ამოსავალს დრო-კილოთა წარმოებისათვის წარმოადგენს მარტივი (პირველადი, ნეიტრალური) ფუძე. უშუალოდ მასზე დაყრდნობით იწარმოება პირველად ფინიტურ ფორმათა მოზრდილი ნაწილი. საწარმოებელი (საყრდენი) ფუძის მიხედვით უდიურიში დრო-კილოიანი ფორმები შეგვიძლია დავყოთ ოთხ ჯგუფად, ესენია:

მარტივ-მაწარმოებლიან მასდარის ფორმაზე დაყრდნობით

ნაწარმოები ზმნური ფორმები: აწმყო; იმპერფექტი;

მარტივ ფუძეზე დაყრდნობით ნაწარმოები ზმნური ფორმები: პერფექტი; პლუსკვამფერფექტი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო (ეს ფორმა მხოლოდ ვართაშნულში გვხვდება); მყოფადი პოტენციური; ნამყო-მყოფადი პოტენციური; II კონიუნქტივი (ეს ფორმა მხოლოდ ვართაშნულშია გავრცელებული); იმპერატივი; კონიუნქტივი, ნამყოს კონიუნქტივი, კონდიციონალი; (ეს ფორმა მხოლოდ ნიჯურ კილოში გვხვდება);

გამოყენებული მაწარმოებლების მიხედვით ეს ჯგუფი შეგვიძლია დავყოთ დრო-კილოთა სამ ქვეჯგუფად:

ზმნური ფუძე + -ე მაწარმოებელი: პერფექტი; პლუსკვამფერფექტი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო;

ზმნური ფუძე + -ო მაწარმოებელი: მყოფადი პოტენციური; ნამყო-მყოფადი პოტენციური; II კონიუნქტივი;

ზმნური ფუძე + -ა მაწარმოებელი: იმპერატივი; კონიუნქტივი; ნამყოს კონიუნქტივი; კონდიციონალი.

სრული სახის მიმდებობის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმები: აორისტი; II პერფექტი; აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი; აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო (ეს ფორმა მხოლოდ ვართაშნულისთვისაა დამახასიათებელი); II პლუსკვამფერფექტი; კონტრაფაქტივი (ორივე ფორმა მხოლოდ ნიჯურ კილოშია გავრცელებული);

უსრული სახის მიმდებობის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმები: მყოფადი ძირითადი; ნამყო-მყოფადი ძირითადი; მყოფადი აუცილებლობითი; ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი; მყოფადი ნაწილაკოვანი (უკანასკნელი ფორმა მხოლოდ ვართაშნულისთვისაა დამახასიათებელი);

სხვაგვარი კლასიფიკაციით დრო-კილოები უდიურ ენაში შეიძლება დავყოთ *პირველად* და *მეორად* ფორმებად: პირველადი ფორმებია –

უშუალოდ ზმნის ფუძეზე, სრული და უსრული სახის მიმღებებსა და მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმებია, ხოლო მეორადი – პირველადი ფორმებისაგან ნაწარმოები დრო-კილოები. მეორადი ფორმები კლიტიკების მეშვეობით იწარმოება (ყა=, გი= [ნიჯ. იი-], =ი, =აღ) და, როგორც წესი, ნამყო დროის, იუსივის, პირობით-ნატვრითი კილოსა და ორი დროის მიჯნაზე განვითარებულ მოქმედებათა აღმნიშვნელ (ნამყო-მყოფადი ან მყოფადი ნამყოში) ფორმებს წარმოადგენს.

პირველად (არანაწარმოებ) ფორმებს განეკუთვნება: აწმყო; პერფექტი; აორისტი; II პერფექტი; მყოფადი ძირითადი; მყოფადი აუცილებლობითი; მყოფადი პოტენციური; კონიუნქტივი; იმპერატივი;

მეორად (ნაწარმოებ) ფორმებს განეკუთვნება: იმპერფექტი; პლუსკვამპერფექტი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო; აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი; აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო; II პლუსკვამპერფექტი; კონდიციონალი; კონტრაფაქტივი; ნამყო-მყოფადი ძირითადი; ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი; ნამყო-მყოფადი პოტენციური; მყოფადი ნაწილაკოვანი; ნამყოს კონიუნქტივი; II კონიუნქტივი.

შენიშვნა: უდიურის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში დრო-კილოთა სხვაგვარი დაყოფა არის მიღებული. ვლ. ფანჩვიძე და ევგ. ჯეირანიშვილი ზმნურ ფუძეთა მოდულებისა და სტრუქტურის ხასიათის მიხედვით ფინიტურ კონსტრუქციებს სამ ჯგუფად ჰყოფდნენ:

I ჯგუფში “ინფინიტივ-მასდარისაგან” (მასდარი I; მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარი) ნაწარმოები ფორმები შედიოდა (აწმყო და ნამყო-უწყვეტელი);

II ჯგუფში მიმღებობისაგან ნაწარმოები ფორმები;

III ჯგუფში უშუალოდ ზმნის ფუძეზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმები შედიოდა.

ჩვენ ვიზიარებთ აღნიშნულ კლასიფიკაციას იმ შენიშვნით, რომ მიმღებობისაგან ნაწარმოებ ფორმებს ვყოფთ ორ ჯგუფად,

გამომდინარე იქიდან, რომ საყრდენი ფუძის თვალსაზრისით ამ ორ ჯგუფს არაფერი აქვს საერთო როგორც სინქრონულ დონეზე, ისე დიაქრონიულად, ესენია: სრული სახის მიმღეობის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმები (მაწარმოებელი -ი) და უსრული სახის მიმღეობის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმები (მაწარმოებლები -ალ და -ალა);

სხვაგვარ კლასიფიკაციას იყენებენ თანამედროვე უცხოელი მეცლევრები – ა. ჰარისი, ვ. შულცე, ტ. მაისაკი. ეს კლასიფიკაცია მეტწილად არერეგულარული ზმნების ჩვენებას ეყრდნობა და უდიური ენის ზმნის ფინიტურ და ინფინიტურ ფორმებს ოთხ ჯგუფად ჰყოფს:

I ჯგუფში სრული სახის მიმღეობისაგან ნაწარმოები ფორმები შედის;

II ჯგუფში – “ინფინიტივის” (მარტივ-მაწარმოებლიან მასდარი) ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმები (პრეზენსი და იმპერფექტი);

III ჯგუფში – მხოლოდ იმპერატივი, ანუ ბრძანებითი კილო შედის;

IV ჯგუფში – უსრული სახის მიმღეობისაგან ნაწარმოები ფორმები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კლასიფიკაცია დიაქრონიული მოვლენების ასახვასაც ცდილობს, მაინც ვერ გავიზიარებთ პერფექტისა და მისგან ნაწარმოები ფორმების (პლუსკვამპერფექტი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო) შეყვანას სრული სახის მიმღეობისაგან ნაწარმოები ფორმების (I) ჯგუფში, მაშინ როდესაც -ი მაწარმოებელი (სრული სახის მიმღეობას აწარმოებს) ისტორიულადაც არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი პერფექტის ფორმისათვის.

ამის გარდა, დიაქრონიული თვალსაზრისითაც გაუგებარია მყოფადი პოტენციურისა და მისგან ნაწარმოები ფორმების (ნამყო-მყოფადი პოტენციური; II კონიუნქტივი) შეყვანა IV (უსრული სახის მიმღეობისაგან ნაწარმოები ფორმების) ჯგუფში. ჩვენი აზრით, სინქრონული თვალსაზრისით გაუმართლებელია -ა მაწარმოებლიანი

ქვეჯგუფის (იმპერატივი; კონიუნქტივი, ნამყოს კონიუნქტივი, კონდიციონალი) შეყვანა იმავე (IV) ჯგუფში.

-ა მაწარმოებლიანი ქვეჯგუფის ზმნებს თუ შევადარებთ, იმპერატივის ფორმა რამდენიმე არარეგულარულ ზმნურ ლექსემასთან განსხვავებულ საწარმოებელ ფუძეს გვიჩვენებს, ესენია: ზმნა *ფ-ეს* “თქმა” და მისგან ნაწარმოები რთული აგებულების ზმნები და ზმნა *ეც-ეს* (მოძრაობის აღმნიშვნელი დეფექტური ზმნა) და მისგან ნაწარმოები ექვსი ისტორიულად პრეფიქსიანი ფორმა და რთული აგებულების ზმნები, შდრ.: *ფ-ეს* “თქმა” – *უფ-ა* “თქვი!”; *თა-[ფ]-ეს* “წასვლა”, *თა-ც-ი* “წავიდა” – *თა-ქ-ი* “წადი!”; *ბა-[ფ]-ეს* “ასვლა”, *ბა-ც-ი* “შედის” – *ბა-ქ-ი* “შედი!”; *გამ-ეც-ეს* “თბობა” – *გამ-ექ-ი* “გათბი!” და ა.შ. ანუ, ფაქტობრივად, ორი ზმნის ჩვენებას (*ფ-ეს* “თქმა” და *ეც-ეს*) თუ არ მივიღებთ მხედველობაში, საფუძველს მოკლებულია იმპერატივის გამოყოფა ცალკე ჯგუფად.

ზმნათა უმეტესობა დრო-კილოთა პარადიგმას ერთიანი ფუძის პრინციპით აწარმოებს. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე მოძრაობის ან მოძრაობის კაუზაციის აღმნიშვნელი ზმნა და ლექსემები *ფ-ეს* “თქმა”, *უქ-ეს* “ჭამა” და *ბი[ფ]-ეს* “მოკვდომა”. დასახელებული ზმნების დრო-კილოთა პარადიგმა წარმოდგენილია რამდენიმე (ორიდან-ოთხამდე) სუბლექტური ფუძეებით. ჯამში, მარტივი აგებულების არარეგულარული ზმნების რაოდენობა ორ ათეულს არ აღემატება, ის.:

არარეგულარული მარტივ-მაწარმოებლიანი ზმნები

ლექსემები	აორისტი	მასდარი	ინპერატივი	მყოფადი I
“წასვლა”	<i>თა-ც-ი</i>	<i>თა[ფ]-ეს</i>	<i>თა-ქ-ი</i>	<i>თაღ-აღ</i>
“შესვლა”	<i>ბა-ც-ი</i>	<i>ბა[ფ]-ეს</i>	<i>ბა-ქ-ი</i>	<i>ბაღ-აღ</i>
“ასვლა”	<i>ლა-ც-ი</i>	<i>ლა[ფ]-ეს</i>	<i>ლა-ქ-ი</i>	<i>ლაღ-აღ</i>
“მოსვლა”	<i>არ-ი</i>	<i>ე[ფ]-ეს</i>	<i>ექ-ი</i>	<i>ეღ-აღ</i>

“გასვლა”	ჭერ-ი	ჭე[ღ]-ეს	ჭექ-ი	ჭელ-აღ
“ჩასვლა”	ჩირ-ი	ჩი[ღ]-ეს	ჩიქ-ი	ჩიღ-აღ
“წალემა”	თაშერ-ი	თაშ-ეს	თაშ-ა	თაშ-აღ
“მოტანა”	ეჩერ-ი	ეჩ-ეს	ეჩ-ა	ეჩ-აღ
“ამოღება”	ჩიხერ-ი	ჩიხ-ეს	ჩიხ-ა	ჩიხ-აღ
“ადგომა”	ადხერ-ი	ადხ-ეს	ადხ-ა	ადხ-აღ
“სირბილი”	ტიტერ-ი	ტიტ-ეს	ტიტ-ა	ტიტ-აღ
“მოკვდომა”	პურ-ი	ბი[ღ]-ეს	ბიღ-ა	ბიღ-აღ
“ჭამა”	ქნ-ი	უქ-ეს	უქ-ა	უქ-აღ
“თქმა”	ფ-ი	ფ-ეს [აწმყო: ეხ//ე]	უფ-ა	უქ-აღ

გაცილებით დიდია რთული აგებულების არარეგულარული ზმნების რაოდენობა (დაახლ. 100-ს შეადგენს). ეს გამოწვეულია ზმნურ კომპოზიტებში მეშველი ზმნების *ფ-ეს* “თქმა” და *ეც-ეს* (საფიქრებელია, რომ მოძრაობის აღმნიშვნელი დეფექტური ზმნაა) ხშირი გამოყენებით.

არარეგულარული რთულმაწარმოებლიანი ზმნები

ლექსემები	აორისტი	მასდარი	აწმყო	ინპერატივი	მყოფადი I
“თბობა”	გამ-ეც-ი	გამ-ეც-ეს	გამ-ე-ს-ა	გამ-ექ-ი	გამ-ელ-აღ
“ტირილი”	ლ ^ნ -ე-ფ-ი	ლ ^ნ -ე-ფ-ეს	ლ ^ნ -ე-ნე	ლ ^ნ -ე-ფ-ა	ლ ^ნ -ე-კ-აღ
“კითხვა”	კაღ-ფ-ი	კაღ-ფ-ეს	კაღ-ე	კაღ-ფ-ა	კაღ-კ-აღ
“გაშეება”	ბარ-თ-ი	ბარ-თ-ეს	ბარ-ე	ბარ-თ-ა	ბარ-კ-აღ

ერთ ზმნას – *ბუ* (ვართ.)//*ფუ* (ნიჯ.) “ყოფნა”, “ქონა”, “ყოლა” ახასიათებს დრო-კილოთა დეფექტური პარადიგმა. ეს ზმნა მხოლოდ აწმყოსა (*ბუ*) და ნამყო-უწყვეტელ (*ბუ=ღ*) დროებს აწარმოებს, ხოლო დანარჩენ პარადიგმას ზმნა *ბაქ-ეს* “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა” დრო-კილოები ავსებენ.

დრო-კილოთა წარმოება

I ჯგუფი

უდიურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებული ტრადიციის გათვალისწინებით I ჯგუფში შეგვეყავს მარტივმაწარმოებლიან მასდარზე (მასდარი I) დაყრდნობით ნაწარმოები ზმნური ფორმები, კერძოდ: აწმყო და ნამყო-უწყვეტელი (იმპერფექტი).

აწმყო (პრეზენსი). იწარმოება -ეს ფორმატიან მასდარზე -ა სუფიქსის დართვით, მაგ.: ბ-ეს-ა=(ნე) “აკეთებს” (+ 3SG); აშ=(ნე)=ბ-ს-ა < *აშ=(ნე)=ბ-ეს-ა//აშ-ბ-ეს-ა=(ნე) “მუშაობს”; ქარ=(რე)=ბ-ს-ა < *ქარ=(რე)=ბ-ეს-ა “ცხოვრობს”; ბაქ-ს-ა=(ნე)//ბა=(ნე)=ქ-ს-ა < *ბაქ-ეს-ა=(ნე)//*ბა=(ნე)=ქ-ეს-ა “არის”, “ხდება”, “არსებობს”.

-ეს სუფიქსის შემადგენელი ხმოვანი ხშირად იკვეცება, როდესაც ამ სუფიქსის წინ გვხვდება დახურული მარცვალი. ამ რედუქციის შედეგად ზოგჯერ ვითარდება ფონეტიკური ცვლილებები, მაგ.: თოგ-დ-ეს “გაყიდვა”: *თოგ=(ზუ)=დ-ეს-ა > *თოგ=(ზუ)=დ-ს-ა > თოგ=(ზუ)=სტ-ა (ბგერათა გადასმა **დს > სტ**) “ყიდი”. ა. შიფნერმა აწმყოს მაწარმოებლად გამოყო -სა//**ესა** ფორმანტი (დიაქრონიულ დონეზე ამდაგვარი ფორმანტის გამოყოფა არამართებულია, თუმცა სინქრონულ დონეზე – შესაძლებელია). ა. დირი უკვე “სწორ” -ა სუფიქსს გამოყოფს, მაგრამ მაწარმოებელი ფუძის საკითხი მასაც არა აქვს ნათლად გათვალისწინებული.

აწმყოს ფორმასა და მოწარმოებლის წარმოშობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებები გამოითქვა: ევბ. ჯეირანიშვილმა ახლომონათესავე ენების (სახელდობრ, რუთულურისა და წახურის) მონაცემთა მოხმობით, უდიური ზმნის აწმყოს -ა მაწარმოებელი დაახასიათა როგორც “ყოფის” აღმნიშვნელი მეშველი ზმნის ნაშტი: *ყა > *ცა > ა.

ტ. მაისაკის თვალსაზრისით, აწმყოს ფორმა წარმოშობით მიცემით ბრუნვაში დასმული “ინფინიტივის” (მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარი)

ფორმა უნდა იყოს, რომელსაც ჩამოშორდა აწმყო დროის მაწარმოებელი მემველი ზმნა (ანუ, ტ. მაისაკის აზრითაც, ისტორიულად აწმყო ანალიტიკურად იწარმოებოდა).

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ალბანურ ენაში აწმყო დროს ასევე -ა სუფიქსი აწარმოებს, იმ განსხვავებით, რომ ალბანურში აწმყოს ფორმანტი უშუალოდ ზმნის ფუძეს დაერთვის.

ნამყო-უწყვეტელი (იმპერფექტი). წარმოშობით მეორეული ფორმაა. იწარმოება აწმყოს ფორმაზე =**ღ** ენკლიტიკის დართვით (ეს კლიტიკა ზმნაში ყოველთვის პოსტფიქსურ პოზიციას იკავებს), მაგ.: ბ-ეს-ა=(ნე)=**ღ** “აკეთებდა” (+ **3 SG**); აშ=(ნე)=ბ-ს-ა=**ღ** < *აშ=(ნე)=ბ-ეს-ა=**ღ**//აშ-ბ-ეს-ა=(ნე)=**ღ** “მუშაობდა”; ქარ=(რე)=ბ-ს-ა=**ღ** < *ქარ=(რე)=ბ-ეს-ა=**ღ** “ცხოვრობდა”; ბაქ-ს-ა=(ნე)=**ღ**//ბა=(ნე)=ქ-ს-ა=**ღ** < *ბაქ-ეს-ა=(ნე)=**ღ**//*ბა=(ნე)=ქ-ეს-ა=**ღ** “იყო”, “არსებობდა”, “ხდებოდა”.

ეგვ. ჯეირანიშვილის აზრით, ნამყო-უწყვეტელი არსებითად (წარმოშობით) არის რეინტერპრეტირებული აწმყო-ზოგადი. ამ მოსაზრებას შეუძლებელია დავეთანხმოთ. კავკასიის ალბანურ ენაში გვხვდება აღნიშნული ფორმა. ის, უდიურის მსგავსად, აწმყოს ფორმას ეყრდნობა, იმ განსხვავებით, რომ ალბანურში აწმყოს ფორმა უშუალოდ ზმნის ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება (იხ. ზემოთ).

II ჯგუფი

II ჯგუფში შეგვყავს უშუალოდ ზმნის ფუძეზე ნაწარმოები ზმნური ფორმები (ზმნის ფუძეს მივიღებთ, თუ მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის მაწარმოებელს – **-ეს** სუფიქსს მოვაშორებთ). როგორც ზემოთ აღინიშნა, მაწარმოებლების მიხედვით ეს ჯგუფი შეგვიძლია დავეყოთ დრო-კილოთა სამ ქვეჯგუფად:

-**ე** მაწარმოებლიანი ქვეჯგუფი: პერფექტი (-**ე** ფორმანტი აწარმოებს) და მისგან ნაწარმოები მეორადი ფორმები: პლუსკვამფერფექტი (-**ე** + =**ღ**), პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი (-**ე** + ყა=), პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო

(-ე + გი=);

-ო მაწარმოებლიანი ქვეჯგუფი: მყოფადი პოტენციური (-ო) და მისგან ნაწარმოები მეორადი ფორმები: ნამყო-მყოფადი პოტენციური (-ო + =დ); II კონიუნქტივი (-ო + =აღ);

-ა მაწარმოებლიანი ქვეჯგუფი: იმპერატივი (-ა); კონდიციონალი (-ა + იი- < *გი=); კონიუნქტივი (-ა) და მისგან ნაწარმოები ნამყოს კონიუნქტივი (-ა + =დ).

პერფექტი (ნამყო წყვეტილი). აორისტის მაწარმოებლისაგან განსხვავებით, პერფექტის მაწარმოებელი (-ე) მხოლოდ ფინიტურ ფორმებს აწარმოებს. სპეციალურ ლიტერატურაში უდიურის შესახებ ეს ფორმა ტრადიციულად აორისტად მიიხნეოდა და “ჩვეულებრივი” აორისტისაგან განსხვავებით, “II აორისტად” იწოდებოდა (ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჯეირანიშვილი და სხვა). მართლაც, თითქოსდა ერთი მნიშვნელობის ფორმები გვქონდეს, ხოლო მათი დიფერენციაცია მხოლოდ ზმნის უსრული და სრული ასპექტის გადმოსცემაში მდგომარეობდეს. თარგმნისას, აორისტი გადმოსცემს ქართულის ნამყო-წყვეტილის უსრული ასპექტის მნიშვნელობას, ხოლო პერფექტი შეეფარდება ნამყო-წყვეტილის სრული სახის (პრევერბიან) ფორმას. უფრო მეტიც: ზოგჯერ ეს ფორმები ენაცვლება ერთმანეთს.

მიუხედავად ამისა, ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას. აორისტისაგან განსხვავებით პერფექტის ფორმაში აისახება მოქმედების ლოკალიზაცია დროში; იგი ყოველთვის, უჩვეულად ნამყო დროის მნიშვნელობით გამოიყენება. ამ ფორმისათვის არ არის დამახასიათებელი აორისტის მნიშვნელობის თანამდევ განგრძობითობასა და განუსაზღვრელობას (*a-ristos*).

პერფექტს აწარმოებს -ე სუფიქსი და, როგორც აღინიშნა ზემოთ, იგი გადმოსცემს ქართულის ნამყო-წყვეტილის სრული ასპექტის მნიშვნელობას, მაგ.: ბ-ე=(ნე) “გააკეთა” (+ 3 SG); აშ=(ნე)=ბ-ე//აშ-ბ-ე=(ნე) “იმუშავა”; ქარ=(რე)=ხ-ე < *ქარ=(ნე)=ხ-ე “იცხოვრა” (უკვე); ბაქ-ე=(ნე)//ბა=(ნე)=ქ-ე “იყო” (უკვე), “იარსება”, “გახდა”.

წინადადებაში, სადაც პრედიკატის ფუნქციით გამოყენებულია პერფექტი, ხშირად პირის აღმნიშვნელი კლიტიკა ზმნური სიტყვაფორმის გარეთ გვხვდება, ხოლო ზოგჯერ, საერთოდ არ მოგვეპოვება წინადადებაში.

პერფექტის მაწარმოებელი -ე სუფიქსი, პირის ფორმანტის დართვისას ზოგჯერ რედუქციას განიცდის, მაგ.: *პურ=ტუნ* “მოკედნენ” (+ 3 PL); *არ=ტუნ* “მოვიდნენ”; *ჭერ=ტუნ* “გამოვიდნენ”... ეს მოვლენა განსაკუთრებით ნიჯურ კილოს ახასიათებს.

კავკასიის ალბანურ ენაში მოგვეპოვება ფორმა, რომლის მაწარმოებელია -ე სუფიქსი. ეს ფორმა თავისი მაწარმოებელითა და სინტაქსური ფუნქციის მხრივ უდიური ენის პერფექტის იდენტურია.

მყოფადი პოტენციური (მყოფადი II). მყოფადი II იწარმოება -ო სუფიქსის მეშვეობით, რომელიც უშუალოდ ზმნის ფუძეს დაერთვის. ეს ფორმა გამოხატავს შესაძლო, პოტენციურ მოქმედებას მომავალში, მაგ.: *ბ-ო=(ნე)* “გააკეთებს (ვინიცობაა, ვთქვათ-და)” (+ 3SG); *აშ=(ნე)=ბ-ო//აშ-ბ-ო=(ნე)* “იმუშავებს (ვინიცობაა, ვთქვათ-და)”; *ქარ=(რე)=ხ-ო < *ქარ=(ნე)=ხ-ო* “იცხოვრებს (ვინიცობაა, ვთქვათ-და)”; *ბაქ-ო=(ნე)//ბა=(ნე)=ქ-ო* “იქნება”, “იარსებებს”, “გახდება” (ვინიცობაა, ვთქვათ-და). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფორმა ხშირად გვაძლევს აწმყოს გაგებას.

მნიშვნელობის მიხედვით მყოფადი ძირითადი და მყოფადი პოტენციური ზოგჯერ ზუსტად არ განირჩევა ერთმანეთისაგან. ამის გამო ნიჯურში დასტურდება საინტერესო მოვლენა: ხშირ შემთხვევაში ეს ფორმები პირის მიხედვით ნაწილდება – I პირისათვის ჩვეულებრივ გამოყენებულია მყოფადი პოტენციური, ხოლო II და III პირისათვის – მყოფადი ძირითადი.

ბრძანებითი კილო (იმპერატივი). იმპერატივი იწარმოება უშუალოდ ზმნის ფუძეზე -ა სუფიქსის დართვით (მოძრაობის აღმნიშვნელ ექვს ზმნასა და იმ რთულმაწარმოებლიან ზმნებში, რომლებშიც მეორე კომპონენტად -ეც მეშველი ზმნა წარმოგვიდგება, იმპერატივის ნიშანია -ი სუფიქსი). იმპერატივის ფორმა კონიუნქტივის ფორმას ემთხვევა, თუ არ

ჩავთვლით II პირს მხოლოდობითში, სადაც იმპერატივი, კონიუნქტივისაგან განსხვავებით, არ ირთავს პირში შემათანხმებელ კლიტიკას, შდრ.: ბაჟა “იყავი” (იმპერატივი) – ბაჟა=ნ “იქნები ალბათ, შესაძლოა იქნები” (კონიუნქტივი). გარდა ამისა, რამდენიმე ათეულ ზმნაში იმპერატივისა და კონიუნქტივის ფორმები არის განსხვავებული, ესენია: მოძრაობის აღმნიშვნელი პრეფიქსიანი ზმნური ფორმები (თა[ღ]-ეს “წასვლა”; ბა[ღ]-ეს “შესვლა”; ლა[ღ]-ეს “ასვლა” და ა.შ.); ზმნა ფ-ეს “თქმა”; მეშველი ზმნისაგან ფ-ეს და ეც-ეს ნაწარმოები ორკომპონენტიანი ზმნები. იმპერატივისა და კონიუნქტივის მაწარმოებლებისა და საყრდენი ფუძის იგივეობის მიუხედავად, წარმოშობით სხვადასხვა ფორმებთან უნდა გვეკონდეს საქმე.

იმპერატივი, როგორც წესი, II პირში გამოიყენება, თუმცა უდიურში ბრძანებითი კილო III პირსა და I პირის მრავლობითშიც მოგვეპოვება. გასარკვევია I პირის ფორმის საკითხი მრავლობითში. გამოითქვა მოსაზრება, რომ საქმე გვაქვს სხვა ფორმასთან – ე.წ. ჰორტატივთან (ტ. მაისაკი), რაც არამართებულად მიგვაჩნია. გასაზიარებელი ჩანს ვლ. ფანჩვიძის მოსაზრება, რომ ამ პირის ფორმა ფონეტიკური ცვლილების შედეგად უნდა იყოს მიღებული მაგ.: *ქარხ-ენ* < **ქარხ-ა=ძან* (=ძან – I პირის აღმნიშვნელი კლიტიკა მრავლობითში), იხ. იმპერატივის ფორმათა სქემა:

გართაშნულ კილოში

I მხ. პირი —	I მრ. პირი ბაჟენ
II მხ. პირი ბაჟა “იყავი”, “გახდი”, “იარსებე”	II მრ. პირი ბაჟა=ნან
III მხ. პირი ბაჟა=ნე	III მრ. პირი ბაჟა=ყუნ

ნიჯურ კილოში

I მხ. პირი —	I მრ. პირი ბაჟენ
II მხ. პირი ბაჟა	II მრ. პირი ბაჟა=ნან
III მხ. პირი ბაჟა=ნე	III მრ. პირი ბაჟა=თუნ

კავკასიის ალბანურში დავიმოწმეთ იმპერატივი და მას აგრეთვე -ა სუფიქსი აწარმოებს.

კავშირებითი I კილო (კონიუნქტივი). იმპერატივის მსგავსად კონიუნქტივიც -ა სუფიქსის მეშვეობით იწარმოება, მაგრამ იმპერატივისან განსხვავებით, სხვა წარმოშობისაა უნდა იყოს – აბსოლუტივი (უსრული სახის) + მეშველი ზმნა, რომელიც დღეს ოდენ პირის ნიშნითაა წარმოდგენილი. ამას ნაწილობრივ ადასტურებს ის ფაქტი, რომ კონიუნქტივის ფორმა ყოველთვის პირის კლიტიკებითაა მარკირებული. თარგმანში კონიუნქტივის ფორმას შეესატყვისება: “აღბათ”, “შესაძლოა”, “იქნებ”/“იქნება” + ზმნა; მაგ.: ბ-ა=ზ “გავაკეთებ” [აღბათ, შესაძლოა], “იქნება გავაკეთო” (+ 1SG); ბ-ა=ნე “გააკეთებს” [აღბათ, შესაძლოა] (+ 3SG); აშ-ბ-ა=ზ “ვიმუშავებ” [აღბათ, შესაძლოა]; აშ-ბ-ა=ნე “იმუშავებს” [აღბათ, შესაძლოა]; ქარხ-ა=ზ “ვიცხოვრებ” [აღბათ, შესაძლოა]; ქარხ-ა=ნე “იცხოვრებს” [აღბათ, შესაძლოა]; ბაქ-ა=ზ “ვიქნები, ვიარსებებ, გავხდები” [აღბათ, შესაძლოა]; ბაქ-ა=ნე “იქნება”, “იარსებებს”, “გახდება” [აღბათ, შესაძლოა].

III ჯგუფი

III ჯგუფში შეგვყავს სრული სახის მიმღეობისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმები, ესენია: აორისტი (-ი მაწარმოებელი; წარმოადგენს სრული სახის მიმღეობის ფორმას + პირის ნიშანს); II პერფექტი (-ი + დ-ო; წარმოადგენს სუბსტანტივად გამოყენებულ სრული სახის მიმღეობის ფორმას + პირის ნიშანს); აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი (-ი + ყა=); აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო (-ი + გი=); II პლუკვამპერფექტი (-ი + =დ); კონტრაფაქტივი (-ი + დი- < *გი= + =დ/=იდ).

აორისტი. მისი მაწარმოებელია -ი სუფიქსი, რომელიც უშუალოდ დაერთვის ზმნურ ფუძეს, მაგ.: ბ-ი=(ნე) “აკეთა”, “ქმნა” (+ 3 SG); აშ=(ნე)=ბ-

$o//აშ-ბ-ი=(ნე)$ “მუშაობდა”; $ქარ=(რე)=ხ-ი < *ქარ=(ნე)=ხ-ი$ “ცხოვრობდა”;
 $ბაქ-ი=(ნე)//ბა=(ნე)=ქ-ი$ “იყო”, “არსებობდა”, “ხდებოდა”.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ აორისტი და სრული სახის მიმდებობა იწარმოება ერთი და იგივე -ი სუფიქსით, ანუ აორისტი სრული სახის მიმდებობის ფორმას იმეორებს. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აორისტს შეუძლია პირის ნიშნის დართვა, თუმცა, ხშირად აორისტის ფორმა პირის ნიშნის გარეშე იხმარება, ხოლო ზოგჯერ, წინადადება, სადაც პრედიკატად აორისტის ფორმა გვევლინება, სულაც პირის ნიშნის გარეშე არის წარმოდგენილი.

საფიქრებელია, რომ ისტორიულად აორისტი ანალიტიკურ ფორმას წარმოადგენდა: აბსოლუტივი + მეშველი ზმნა. მეშველი ზმნა ამჟამად ოდენ პირის ნიშნითაა წარმოდგენილი.

II პერფექტი. იწარმოება ზმნის ფუძეზე -იჲო//-იო სუფიქსის დართვით (მეტყველებაში პირველი ვარიანტი უფრო გავრცელებულია). წარმოშობით ეს ფორმა გასუბსტანტივებული (მასუბსტანტივებელი -ო სუფიქსდართული) სრული სახის მიმდებობისაგან წარმოიშვა და ფორმით მას ემთხვევა კიდევ. როგორც წესი, აღნიშნავს წარსულში რაიმე მოქმედის გამო დამდგარ შედეგს, მაგალითად, შდრ.: $ბახ-ი-ჲ-ო$ “დაძინებული” (დაძინება-AOP-O-NA) და $ბახ=ე=კ-იჲო$ “დაეძინა”, “სძინავს (უკვე)” (დაძინება=3 SG=ST- PERF2).

IV ჯგუფი

IV ჯგუფში შეგვყავს უსრული სახის მიმდებობისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმები, ესენია: მყოფადი ძირითადი (-აღ მაწარმოებელი; წარმოადგენს უსრული სახის მიმდებობის ფორმას + პირის ნიშანს) და მისგან ნაწარმოები ნამყო-მყოფადი ძირითადი (-აღ + =ღ) და მყოფადი ნაწილაკოვანი (-აღ + =აღ); მყოფადი აუცილებლობითი (-აღა; წარმოადგენს უსრული სახის მიმდებობის ატრიბუტულ ფორმას + პირის ნიშანს) და მისგან ნაწარმოები ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი (-აღა + =ღ).

მყოფადი ძირითადი (მყოფადი I). იწარმოება ზმნურ ფუძეზე **-აღ** სუფიქსის დართვით. საყურადღებოა, რომ მყოფადი I და უსრული სახის მიმდებარე იწარმოება ერთი და იმავე **-აღ** სუფიქსის მეშვეობით, რაც ნათელს ხდის ამ ფორმის წარმოშობას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგადად იბერიულ-კავკასიურ ენებში მყოფადის წარმოებისას ჩვეულებრივია მიმდებარის გამოყენება, რომელსაც ერთვის მეშველი ზმნა. უნდა ვივარაუდოთ, რომ უდიურ ენაშიც მყოფადი მიღებულია ასეთი პროცესის შედეგად. საფიქრებელია, რომ ეს ფორმა დამხმარე ზმნის მეშვეობით იწარმოებოდა, რომლისაგან დღეს ოდენ პირის ნიშანია შემონახული.

ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ადასტურებს ის საყურადღებო ფაქტიც, რომ ამ ფორმასთან პირის აღმნიშვნელი კლიტიკა მხოლოდ პოსტფიქსურ პოზიციაზე გვხვდება, მაგ.: $ბ-აღ=(ღე) < *ბ-აღ=(ნე)$ “გააკეთებს” (+ **3SG**); $აშ-ბ-აღ=(ღე) < *აშ-ბ-აღ=(ნე)$ “იმუშავებს”; $ქარხ-აღ=(ღე) < *ქარხ-აღ=(ნე)$ “იცხოვრებს”; $ბაქ-აღ=(ღე) < *ბაქ-აღ=(ნე)$ “იქნება”, “იარსებებს”, “გახდება”. თვალში საცემია, რომ III პირის ნიშანი მხოლოდობითში (=ნე), როგორც წესი, განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას (ასიმილაციას წინამავალი ღ-ს გავლენით): $=ნე > =ლე$. უნდა აღინიშნოს, რომ II პირში, როგორც მხოლოდობითში, ისევე მრავლობითში, პირის ნიშნების თავკიდური ნ თანხმოვანი უცვლელად შემონახული აქვს, მდრ.: $კარხ-აღ=ლე$ “იცხოვრებს” (**3SG**); $კარხ-აღ=ნუ$ “იცხოვრებ” (**2SG**) და $კარხ-აღ=ნან$ “იცხოვრებთ” (**2PL**).

ეს ფორმა, დიაქრონიულად ან აწმყოსა ანდა “აწმყო-მყოფადს” უნდა წარმოადგენდეს.

მყოფადი აუცილებლობითი (მყოფადი III). ეს დრო მოქმედების განხორციელების აუცილებლობას გამოხატავს და ქართულ თარგმანში მას შეესატყვისება ლექსემა *უნდა* + ზმნა. ამ დროის მაწარმოებელია **-აღა** სუფიქსი და წარმოშობით უსრული ასპექტის მიმდებარის ატრიბუტულ ფორმას + მეშველ ზმნას უნდა წარმოადგენდეს (მეშველი ზმნის ნაშტი მხოლოდ პირის ნიშნებითაა წარმოდგენილი, ხოლო თვით ამ დროის

ფორმა, პირის ნიშნების დაურთველად, უსრული ასპექტის მიმდებარის ატრიბუტიულ ფორმას ემთხვევა), მაგ.: ბ-აღა=(ზ) “უნდა გავაკეთო” (+ 1SG), ბ-აღა=(ნე) “უნდა გააკეთოს” (+ 3SG); აშ-ბ-აღა=(ზ) “უნდა ვიმუშაო” აშ-ბ-აღა=(ნე) “უნდა იმუშაოს”; ქარხ-აღა=(ზ) “უნდა ვიცხოვრო” ქარხ-აღა=(ნე) “უნდა იცხოვროს”; ბაქ-აღა=(ზ) “უნდა ვიყო, ვიარსებო, გავხდე”, ბაქ-აღა=(ნე) “უნდა იყოს”, “უნდა იარსებოს”, “უნდა გახდეს”.

მყოფადი ძირითადის მსგავსად ეს დრო პირის აღმნიშვნელ კლიტიკებს მხოლოდ პოსტფიქსურ პოზიციაზე ირთავს.

მეორეული (კლიტიკების მეშვეობით ნაწარმოები) დრო-კილოები

მეორადი ფორმები – პირველადი ფორმებისაგან ნაწარმოები დრო-კილოებია. მეორადი ფორმები კლიტიკების მეშვეობით იწარმოება (ყა=, გი= [ნიჯ. დი-], =დ, =აღ) და, როგორც წესი, ნამყო დროის, იუსივისა, პირობით-ნატვრითი კილოსა და ორი დროის მიჯნაზე (ნამყო-მყოფადი) ფორმებს წარმოადგენს.

მეორად (ნაწარმოებ) ფორმებს განეკუთვნება:

იმპერფექტი (აწყო + =დ); პლუსკვამპერფექტი (პერფექტი + =დ); II პლუსკვამპერფექტი (აორისტი + =დ); ნამყო-მყოფადი ძირითადი (მყოფადი ძირითადი + =დ); ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი (მყოფადი აუცილებლობითი + =დ); ნამყო-მყოფადი პოტენციური (მყოფადი პოტენციური + =დ); ნამყოს კონიუნქტივი (კონიუნქტივი + =დ);

პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი (პერფექტი + ყა=); აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი (აორისტი + ყა=);

აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო (აორისტი + გი=); პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო (პერფექტი + გი=); კონდიციონალი (? + დი-); კონტრაფაქტივი (აორისტი + დი- + =იდ//=დ);

მყოფადი ნაწილაკოვანი (მყოფადი ძირითადი + =აღ); II კონიუნქტივი (მყოფადი პოტენციური + =აღ).

**=*o* (=i; =io) კლიტიკის მეშვეობით ნაწარმოები ნამყოს აღმნიშვნელი
მეორეული ფორმები**

=*o* კლიტიკა ნამყო დროის აღმნიშვნელ რამდენიმე ფორმას აწარმოებს. ეს ფორმანტი, როგორც წესი, ზმნას ენკლიტიკურად დაერთვის, თუმცა დასახელებული მაწარმოებელი შესაძლებელია სხვა მეტყველების ნაწილებსაც დაერთოს.

როგორც ზემოთ იქნა ნახვენები, უდიურს მოეპოვება მხოლოდ ორი „პირველადი“, ანუ უშუალოდ ზმნის ფუძეზე დაყრდნობით ნაწარმოები ნამყოს დროის ფორმა, ესენია: აორისტი (-*o* ფორმანტიანი) და პერფექტი (-*o* ფორმანტიანი), ხოლო დანარჩენი ფორმები (იმპერფექტი, პლუსკვამპერფექტი და სხვა) =*o* ფორმანტის მეშვეობით იწარმოება.

=*o* ენკლიტიკის აწმყოს ფორმაზე დართვისას ხდება მოქმედების დროის შეცვლა: აწმყოს ფორმაზე =*o* მაწარმოებლის დართვით ვიღებთ ნამყო უწყვეტელს (იმპერფექტს). თუ ეს მაწარმოებელი ისედაც ნამყო დროის ფორმას დაერთვის, მაშინ მიღებულ ფორმას მოქმედება წინარეწარსულში გადააქვს. გარდა ამისა, =*o* ენკლიტიკა მყოფადზე დართვით აწარმოებს ფორმებს, რომელიც ორი დროის მიჯნაზე განვითარებულ მოქმედებას (მყოფადს ნამყოში).

=*o* (=i; =io) ენკლიტიკის მეშვეობით ნაწარმოები ნამყოს აღმნიშვნელი მეორეული ფორმები ბ-ეს „კეთება“ ზმნის მაგალითზე:

საწყისი ფორმა	ნაწარმოები ფორმა
აწმყო ბ-ეს-ა=(<i>ne</i>) „აკეთებს“	იმპერფექტი ბ-ეს-ა=(<i>ne</i>)= <i>o</i> “აკეთებდა”
პერფექტი ბ-ე=(<i>ne</i>) “გააკეთა”	პლუსკვამპერფექტი ბ-ე=(<i>ne</i>)= <i>o</i> “გააკეთა” [დიდი ხნის წინ]
აორისტი ბ-ო=(<i>ne</i>) “აკეთა”	პლუსკვამპერფექტი II ბ-ო=(<i>ne</i>)= <i>o</i> “აკეთა” [დიდი ხნის წინ]
პერფექტი II (შედგობითი)	-----

$ბ-იღო=(ნე)$	
მყოფადი I (ძირითადი) $ბ-აღ=(ნე)$ “გააკეთებს”	ნამყო-მყოფადი I (ძირითადი) $ბ-აღ=(ნე)=ღ$ “გააკეთებდა”
მყოფადი აუცილებლობითი $ბ-აღა=(ნე)$ “გააკეთებს” [აუცილებლად]	ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი $ბ-აღა=(ნე)=ღ$ “გააკეთებდა” [აუცილებლად]
მყოფადი II (პოტენციური) $ბ-ო=(ნე)$ “გააკეთებს” [ვინიცობაა]	ნამყო-მყოფადი II (პოტენციური) $ბ-ო=(ნე)=ღ$ “გააკეთებდა” [ვინიცობაა]
კონიუნქტივი $ბ-ა=(ნე)$ “გააკეთებს” [შესაძლოა, ალბათ]	ნამყოს კონიუნქტივი $ბ-ა=(ნე)=ღ$ “გააკეთებდა” [შესაძლოა, ალბათ]
*კონდიციონალი $ბ-ა-ღი=(ნ)$	-----
-----	*კონტრაფაქტივი $ბ-ი-ღი=(ნ)=იღ$

* წარმოდგენილი ფორმები მხოლოდ ნიჯურ კილოში გვხვდება.

=ღ ფორმანტით ნაწარმოები ფორმებისაგან ევგ. ჯეირანიშვილთან ოდენ ნამყო-უწყვეტელია (იმპერფექტი) აღნიშნული, ხოლო ვლ. ფანჩვიძესთან ამ ფორმის გარდა გვაქვს: ნამყო-წინარეწარსული (პლუსკვამპერფექტი) და მასზე ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კავშირებითი (აწარმოებს გო კლიტიკა), კავშირებითი II (ნამყოს კონიუნქტივი), მყოფადი ძირითადისა და მყოფადი პოტენციურისაგან ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილოს ორი ფორმა.

მყოფადი ძირითადისა და მყოფადი პოტენციურისაგან ნაწარმოებ ფორმებს უნდა დაემატოს მესამე ფორმა, რომელიც მყოფადი აუცილებლობითისაგან იწარმოება, მაგ.: *ზუ ტიდა ბაქი=გი=ზუ=ღ შოტინ მენო უა-აღა=თე=ნე=ღ* „მე რომ მანდ ვყოფილიყავი, ის ამას არ იტყოდა [უეჭველად]“, ხოლო ნაწყო-წინარეწარსულისაგან ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კავშირებითის გამოყოფა, პირიქით, საეჭვოდ მოჩანს. უნდა აღინიშნოს, რომ =ღ ენკლიტიკის დართვით ან ჩამოშორებით ამ ფორმის მნიშვნელობა არ იცვლება, შდრ.: *გი=ნ=ქარხ-ე=ღ* “რომ ეცხოვრა” და *ბ-ე=გი=ნ* “რომ ეკეთებინა”...

უნდა აღინიშნოს, რომ მყოფადისაგან ნაწარმოები სამი ფორმა, გარდა პირობით-ნატვრითი კილოს მნიშვნელობის გამოხატვისა, ორი დროის მიჯნაზე განვითარებულ მოქმედებასაც აღნიშნავს. გრამატიკულად ეს ფორმები მყოფადს წარმოადგენს, მაგრამ მათი მოქმედება ვითარდება ნამყო დროში მყოფადზე [ზოგჯერ – აწმყოზე] მითითებით, მაგ.: *შენო აწმხ ბასკა=ღე=ღ* “ის ახლახან აპირებდა დაწოლას”;

ზე ვაენკ ნანნი ზენგბალ=ზე=ღ “მე შენთან გუშინ ვაპირებდი დარეკვას” [მყოფადი ძირითადისაგან ნაწარმოები ფორმა];

გემლულა სა ჰემა ბაჭ ადამარე ბაქო=ღ “ხეობაში იყო ალბათ [შესაძლოა] ასიოდე ადამიანი”;

სა შამატე ჭოვაქი ბაქო=ღ, დოხსა ვიწ დინე ჭოვაქი ბაქო=ღ “სადღაც ერთი კვირა გავიდა (ზედმიწ. გასული იყო), ან შესაძლოა ათი დღე გავიდა” [მყოფადი პოტენციურისაგან ნაწარმოები ფორმა];

მენო ბაქალა=ნე=ღ, ამა ბათენექი „ეს უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა“;

საწწე იშუ დავინა თალალა=ნე=ღ “თერთმეტი კაცი უნდა გამგზავრებულიყო ომში” [მყოფადი აუცილებლობითისაგან ნაწარმოები ფორმა].

საფიქრებელია, რომ =ღ ფორმანტი ისტორიულად ნამყოს მაწარმოებელი მეშველი ზმნა უნდა ყოფილიყო და ასეთი ფუნქციით ის დასტურდება კიდევ ზოგიერთ ლეზგიურ ენაში, შდრ. აღულური: *მეჰემედ მტყელიმ ე* „მუჰამედი მასწავლებელია“ და *მეჰემედ მტყელიმ იღ* „მუჰამედი მასწავლებელი იყო“ (აულ ტპიუკის თქმა). ლეზგიურ ენაშიც ნამყო დროის აღმნიშვნელი სხვადასხვა ფორმების საწარმოებლად გამოყენებულია -ღ მაწარმოებელი, რომელიც, უდიურის მსგავსად, აქაც ენკლიტიკას წარმოადგენს, მაგ.: *რახაზ-ვა* „ამბობს“ – *რახაზვა=ღ* „ამბობდა“, *იიზმა* „აკეთებს“ – *იიზმა=ღ* „აკეთებდა“, *იიდა* „გააკეთებს“ – *იიდა=ღ* „გააკეთებდა“. -ღ ფორმანტი ნამყოს მაწარმოებლად გვევლინება კავკასიის ალბანურშიც, მაგ.: *ქრისტოსენ ბუყანა-ბიღ-ა-ღ* *ჰაჭინე ეკლესიას* „როგორც (ვითარც) ქრისტეს (ერგ.) შეუყვარდა ეკლესია (მიც.)“ (ეფ. 5, 25);

პო(ღ)ე ე(ღ)ეხ ბიღ-ა-ღ პანა(ღ) “ხოლო რომლისგან ყოველივე გაკეთდა”

(ებრ 3. 4);

ინედ ბულ თ[ა]ფად-ე-ე “თავისი თავი მისცა” (ეფ. 5, 25);

პადოკ-ე-ე *ოენუს* “აიყვანა ისინი” (მთ. 17, 1).

აღსანიშნავია, რომ კავკასიის ალბანურში ამ მაწარმოებლის მეშველი ზმნის ფუნქციით გამოყენება ვერ დავადასტურეთ.

საყურადღებოა, რომ =*ე* მაწარმოებელი უდიურში შეიძლება სხვა მეტყველების ნაწილებსაც დაერთოს, მაგრამ მხოლოდ პირის ფორმანტის შემდგომ, პოსტფიქსურ პოზიციაზე. ნამყოს მაწარმოებლისა და პირის ნიშნისაგან შემდგარი კომპლექსი ფაქტობრივად მეშველი ზმნის ფუნქციას იძენს, მაგ.: *შაირ თე=ზუ=ე, ვაზთადალო=ზუ=ე* „პოეტი არ ვიყავი, მასწავლებელი ვიყავი“, *ჯაჟილ=ზუ=ე* “ახალზაზრდა ვიყავი”...

ყა= კლიტიკის მეშვეობით ნაწარმოები იუსივის ფორმები

კლიტიკა **ყა=** იუსივის (კატეგორიული კილო; ნაწილაკოვან-კავშირებითი I – ევგ. ჯეირანიშვილი; ნაწილაკოვან-კავშირებითი – ვლ. ფანხვიძე) ორ სინონიმურ ფორმას აწარმოებს. პირველი – აორისტის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება **ყა=** კლიტიკის დართვით, ხოლო მეორე – პერფექტის ფორმაზე იგივე მაწარმოებლის დართვით.

პირის ნიშანი იუსივის ორივე ფორმაში უეჭველად **ყა=** კლიტიკას მისდევს. აღნიშნული კომპლექსი, როგორც წესი, პერფექტის ფორმას დაერთვის ენკლიტიკურად, ხოლო აორისტის ფორმასთან – გავრცელებული პროკლიტიკური, ანდა ენდოკლიტიკური განლაგება.

უდიური ზმნის დრო-კილოთა უმეტესობისაგან განსხვავებით (იმპერატივისა და კონიუნქტივის გარდა), იუსივის ფორმებთან გამოიყენება უარყოფის კლიტიკა **მა=**. იუსივის ფორმებზე ამ უარყოფის აღმნიშვნელი კლიტიკის დართვის შემთხვევაში იქმნება სამი კლიტიკისაგან შემდგარი კომპლექსები: **მა= + ყა= + პირის ნიშანი**. ასეთი კომპლექსი, როგორც წესი, ზმნურ ფორმასან პრეპოზიციაში გვევლენება, თუმცა აორისტის ფორმასთან დასაშვებია მისი ენდოკლიტიკური განლაგებაც, მაგ.:

ზა გალ=**მა=ყა=ნ=დ=ი**

მე:DAT შეხება=PROH=JUSS=3SG=LV-AOR

არ შემეხოს

ყა= კლიტიკა შესაძლებელია სხვა ზმნურ ფორმებს და მეტყველების ნაწილებს დაერთოს. ეს მაწარმოებელი მაერთებელი კავშირის ფუნქციითაც გამოიყენება.

თარგმანში იუსივის ფორმენი შეესატყვისება ზმნას + “აუცილებლად”, “უეჭველად”, “უთუოდ” და ა.შ.

გი= (აი-) კლიტიკის მეშვეობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილოს (კონდიციონალი) ფორმები

კლიტიკა **გი=** პირობით-ნატვრით კილოს (კონდიციონალი; ნაწილაკოვან-კავშირებითი II – ევგ. ჯეირანიშვილი; პირობით-ნატვრითი ნაწილაკოვანი – ვლ. ფანჩვიძე), იუსივის მსგავსად, ორ სინონიმურ ფორმას აწარმოებს. პირველი – აორისტის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება **გი=** მაწარმოებლის დართვით, ხოლო მეორე – პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით. პირობით-ნატვრითი კილოს ეს ფორმები მხოლოდ ვართაშნული დიალექტისათვისაა დამახასიათებელი.

გი= კლიტიკას დღეს უდიურში, **ყა=** მაწარმოებლისაგან განსხვავებით (იხ. ზემოთ), დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არ გააჩნია.

პირის ნიშანი პირობით-ნატვრითი კილოს ორსავე ფორმაში უეჭველად **გი=** კლიტიკას მისდევს. აღნიშნული კომპლექსი შეიძლება დაერთოს ზმნას ენკლიტიკურად, პროკლიტიკურად, ანდა ენდოკლიტიკურად.

უდიური ზმნის დრო-კილოთა ფორმებისაგან კონდიციონალის ფორმები ერთადერთია, რომლებთანაც გამოიყენება უარყოფის კლიტიკა **ნა=**. პირობით-ნატვრითი კილოს ფორმებზე ამ კლიტიკის დართვის შემთხვევაში იქმნება სამი კლიტიკისაგან შემდგარი კომპლექსები: **ნა=** + **გი=** + პირის ნიშანი. ასეთი კომპლექსი, როგორც წესი, ზმნურ ფორმასან პრეპოზიციამი გვევლენება, მაგ.:

შე-ტ-ინ ნწ=გი=ნ=ცამ-ფ-ე=დ

DIST-O-ERG PROH=COND=3SG=წერა-LV-PERF=PST

მას რომ არ დაეწერა

თარგმანში პირობით-ნატვრითი კილოს ფორმენი შეესატყვისება “რომ” + ზმნას.

ნიჯურ კილოში კონდიციონალის ფორმა სხვაგვარად იწარმოება: იგი, როგორც ჩანს, კონიუნქტივის ფორმას ეყრდნობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მაწარმოებელიც ნიჯურში ფონეტიკურად სახეცვლილია: *გი > *ღი > დი.

დი- ფორმანტი ნიჯურში ასევე კანტრაფაქტივს აწარმოებს. კონდიციონალისაგან განსხვავებით, რომელიც პირობით, მაგრამ რეალურ მოქმედებას აღნიშნავს, კანტრაფაქტივი გამოხატავს ირეალურ მოქმედებას, მაგ.:

ჩურ-ფ-ი-დი=ნ=იე “რომ დარჩენილიყო”

დარჩენა-LV-(AOR)-CTRF=3SG=PST

ავა-ბაქ-ი-დი=ნ=იე “რომ სცოდნოდა”

ცოდნა-LV-(AOR)-CTRF=3SG=PST

მეტყველებაში, კონდიციონალისა და კანტრაფაქტივის მაწარმოებელი დი- შეიძლება ამოვარდეს, მაგ., შდრ.: *ფ-ი-დი=ნ=იე - ფ-ი=ნ=იე* “რომ ეთქვა”...

ასევე აღსანიშნავია, რომ კონდიციონალისაგან განსხვავებით, კანტრაფაქტივი აორისტის ფორმას ეყრდნობა.

თუ ვართაშნულში გი= კლიტიკა შეიძლება სხვა ზმნურ ფორმებს და მეტყველების ნაწილებს დაერთოს, ნიჯურში დი- მაწარმოებელი მხოლოდ ზმნაში, კონდიციონალისა და კანტრაფაქტივის ფორმებში გვხვდება.

აღ კლიტიკით ნაწარმოები ფორმები

მყოფადი ნაწილაკოვანი (მყოფადი IV). მყოფადი ნაწილაკოვანი მყოფადი ძირითადის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება და მას კლიტიკა

=აღ აწარმოებს, რომელიც ცალკე აღებული ქართული -ც ნაწილაკის მსგავსი მნიშვნელობისაა. თარგმანში ამ ფორმას შეესატყვისება კომპოზიტი ზმნა + “კიდევ”, “ამასთანავე”, მაგ.: ბ-აღ=აღ=(ღე) < *ბ-აღ=აღ=(ნე) “გააკეთებს კიდევ, გააკეთებს ამასთანავე” (+ 3SG); აშ-ბ-აღ=აღ=(ღე) < *აშ-ბ-აღ=აღ=(ნე) “იმუშავებს კიდევ, იმუშავებს ამასთანავე”; ქარხ-აღ=აღ=(ღე) < *ქარხ-აღ=აღ=(ნე) “იცხოვრებს კიდევ, ამასთანავე”; ბაქ-აღ=აღ=(ღე) < *ბაქ-აღ=აღ=(ნე) “იქნება”, “იარსებებს”, “გახდება (კიდევ, ამასთანავე)”. უნდა აღინიშნოს, რომ კლიტიკა =აღ ამ ფორმაში, როგორც წესი, სუფიქსურ პოზიციაზე გვევლინება პირის აღმნიშვნელი კლიტიკასთან კომპლექსში, რომელიც =აღ კლიტიკას უშუალოდ მისდევს, თუმცა გამონაკლისიც გვხვდება, მაგ.: ცაშ=აღ=კ-აღ=(ღე) “დაწერს კიდევ”. აქ კლიტიკა =აღ ინტერფიქსურ პოზიციაზე გვევლინება, ხოლო პირის ფორმანტი – პოსტფიქსურზე.

კლიტიკა =აღ სხვა ზმნურ ფორმებსაც შეიძლება დაერთოს, მაგ.: ცაშ=აღ=ფი=(ნე) “დაწერა კიდევ”; უ=აღ=თე=ნე=ქსა, უ=აღ=თე=ნე=ღ^ლ-სა “არ შევჭამ კიდევ [და] არ დავლევ კიდევ [არც შევჭამ და არც დავლევ]”. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფორმები იშვიათია: იმ წინადადებებში, სადაც პრედიკატის ფუნქციით აწმყოსა ან ნამყოს ფორმა გვაქვს, როგორც წესი, კლიტიკა =აღ სხვა მეტყველების ნაწილებს დაერთვის.

კავშირებითი II კილო (კონუნქტივი II, ნაწილაკოვან-კავშირებითი III

– ევგ. ჯეირანიშვილი). ვართაშენულ კილოში დასტურდება მეორადი ფორმა, რომლის საყრდენი ფუძეა მყოფადი პოტენციურის ფორმა, ხოლო მაწარმოემელი =აღ კლიტიკა უნდა იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული მოსაზრება ამ კილოს ფორმანტის წარმომავლობის შესახებ, რომლის თანახმად ამ ფორმის მაწარმოებელი -ო=აღ ორი მყოფადი დროის – მყოფადი პოტენციურისა და მყოფადი ძირითადის -ო და -აღ ფორმანტების შერწყმით უნდა იყოს მიღებული (ვლ. ფანჩვიძე) – -ო-აღ. თარგმანში II კონუნქტივის ფორმას შეესატყვისება: ზმნა + “კიდევ-და”; “იქნებ”/“იქნება” + ზმნა + “კიდევ-და”; მაგ.: ბ-ო=აღ=(ღე) < *ბ-ო=აღ=(ნე) “გააკეთებს კიდევ-და”, “იქნება გააკეთოს კიდევ-და” (+ 3SG); აშ-ბ-ო=აღ=(ღე) < *აშ-ბ-ო=აღ=(ნე)

“იმუშავებს კიდევც-და”, “იქნებ იმუშავებს კიდევც-და”; ქარხ-ო=აღ=(ღე) < *ქარხ-ო=აღ=(ნე) “იცხოვრებს კიდევც-და”, “იქნებ იცხოვროს კიდევც-და”; ბაქ-ო=აღ=(ღე) < *ბაქ-ო=აღ=(ნე) “იქნება კიდევც-და”, “იყოს კიდევც”... ხშირად, მეტყველებაში -ო=აღ ფორმანტი განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას: -ო=აღ > =ოღ; მაგ.: ზუ ქარ=ზუ=b=ოღ “ვიცხოვრო კიდევც-და”, “იქნება ვიცხოვრო კიდევც-და”, უნ ქარ=რუ=b=ოღ “იცხოვრო კიდევც-და”, “იქნება იცხოვრო კიდევც-და” და ა.შ.

ზმნის დრო-კილოთა წართქმით-უარყოფითი ფორმების პარადიგმა

ზმნის ბაქეს//ბაქსუნ “ყოფა”, “არსებობა”, გახდომა” მაგალითზე (დრო-კილოები წარმოდგენილია III მხ. პირის ფორმით მხოლოდობითში; პირის ნიშნებია: =ნე//=ნ > [...ღ]=ღე). თითოეულ დრო-კილოსთან პირის ნიშნის ყველაზე გავრცელებული განლაგებაა მოცემული:

დრო-კილოს სახელწოდება	წართქმითი ფორმა	უარყოფითი ფორმა
აწმყო	ბა=ნე=ქ-ს-ა	თე=ნე=ბაქ-ს-ა
იმპერფექტი	ბა=ნე=ქ-ს-ა=ღ	თე=ნე=ბაქ-ს-ა=ღ
პერფექტი	ბაქ-ე=ნე	ბაქ-ე=თე=ნე
პლუსკვამპერფექტი	ბაქ-ე=ნე=ღ	ბაქ-ე=თე=ნე=ღ
პერფექტზე ნაწარმოები იუსივი	ბაქ-ე=ყა=ნ	მა=ყა=ნ=ბაქ-ე
* პერფექტზე ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო	ბა=გი=ნ=ქ-ე	ნა=გი=ნ=ბაქ-ე
** კონდიციონალი	ბაქ-ა-ღი=ნ	ნე=ბაქ-ა-ღი=ნ
კონიუნქტივი	ბაქ-ა=ნ(ე)	ნე=ბაქ-ა=ნ(ე) *მა=ბაქ-ა=ნ(ე)
ნამყოს კონიუნქტივი	ბაქ-ა=ნე=ღ	ნე=ბაქ-ა=ნე=ღ
*** იმპერატივი	ბაქ-ა	მა=ბაქ-ა

მყოფადი პოტენციური	ბა=ნე=ქ-ო//ბა=ნე=ქ-ონ	ბა=თე=ნე=ქ-ო// ბა=თე=ნე=ქ-ონ
ნამყო-მყოფადი პოტენციური	ბა=ნე=ქ-ო=ფ	ბა=თე=ნე=ქ-ო=ფ
* II კონიუნქტივი	ბაქ-ო=აღ=ლე// ბაქ-ოლ=ლე	ბაქ-ო=აღ=თე=ნე// ბაქ-ოლ=თე=ნე
აორისტი	ბაქ-ი=ნე	ბაქ-ი=თე=ნე
II პერფექტი	ბაქ-იფ=ნე	ბაქ-იფ=თე=ნე
** II პლუსკვამპერფექტი	ბაქ-ი=ნე=ფ	ბაქ-ი=თე=ნე=ფ
აორისტზე ნაწარმოები იუსივი	ბაქ-ი=ყა=ნ	მა=ყა=ნ=ბაქ-ი
* აორისტზე ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო	ბა=გი=ნ=ქ-ი	ნა=გი=ნ=ბაქ-ე
** კონტრაფაქტივი	ბაქ-ი-ფი=ნ=ფი	ნე=ბაქ-ი-ფი=ნ=ფი
მყოფადი ძირითადი	ბაქ-აღ=ლე	ბაქ-აღ=თე=ნე *ნეთ ბაქ-აღ=ლე
ნამყო-მყოფადი	ბაქ-აღ=ლე=ფ	ბაქ-აღ=თე=ნე=ფ *ნეთ ბაქ-აღ=ლე=ფ
მყოფადი აუცილებლობითი	ბაქ-აღა=ნე	ბაქ-აღა=თე=ნე// ნე=ბაქ-აღა=ნე *ნეთ ბაქ-აღა=ნე
ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი	ბაქ-აღა=ნე=ფ	ბაქ-აღა=თე=ნე=ფ// ნე=ბაქ-აღა=ნე=ფ *ნეთ ბაქ-აღა=ნე=ფ
* მყოფადი ნაწილაკოვანი	ბაქ-აღ=აღ=ლე	ნეთ ბაქ-აღ=აღ=ლე ბაქ-აღ=აღ=თე=ნე

* აღნიშნული ფორმები მხოლოდ ვართაშნულ კილოში გვხვდება.

** წარმოდგენილი ფორმები მხოლოდ ნიჯურ კილოში გვხვდება.

*** იმპერატივი მოცემულია II პირის ფორმით მხოლოდობითში.

სახელზმნური ფორმები

უდიურში სახელზმნური ფორმებიდან დასტურდება: მასდარისა და მიმდებობის ორ-ორი ფორმა და აბსოლუტივის ოთხი ფორმა.

ყველა სახელზმნურ ფორმას ახასიათებს როგორც ზმნური, ისე სახელური თვისებები; ზმნური თვისებებია:

მოქმედებისა ან მდგომარეობის გამოხატვა;

ზმნის პირიანი ფორმების მსგავსად, მასთან დაკავშირებული სახელის მართვის უნარი, ანუ სახელზმნური ფორმები სინტაგმაში პრედიკატის ფუნქციით გვევლინება.

უმთავრესი სახელური თვისება, რომელიც ნაზმნარ სახელს ახასიათებს, არის ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიათა ქონა.

მასდარი

უდიურში გვხვდება ორი თითქოს გარდამავალი, ერთგვარი ფუნქციის მქონე ფორმა: ორივე ფორმა იბრუნვის, რაც მათ აახლოებს მასდართან და ორივე ფორმა შესიტყვებაში მართავს სახელს ბრუნვაში, რაც ინფინიტივის თვისებას წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ფორმებს ინფინიტივის სხვა ნიშნები არ ახასიათებს (ეს ფორმები არ განარჩევენ დროსა და გვარს; განსაზღვრებად მასთან გამოყენებულია ზედსართავი სახელი, ისევე, როგორც ჩვეულებრივ სახელთან) მათ ვუწოდებთ მასდარს, თუმცა შესაძლებელი იყო *ინფინიტივ-მასდარი-ც* გვეწოდებინა, ისე როგორც ეს არის ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ.¹

პირველი იწარმოება ზმნის ფუძეზე დაყრდნობით **-ეს** სუფიქსის² დართვით (მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარი; მასდარი I), ხოლო მეორე –

¹ იხ.: ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 104-107.

² **-ეს**, როგორც ჩანს, საერთო ლეზგიურის მიცემითი ბრუნვის ნიშანს (*-ს) უკავშირდება – Алексеев М. Е., Вопросы сравнительно-исторической грамматики лезгинских языков. Морфология. Синтаксис, Москва, 1985, გვ. 45, 100.

მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის ფორმაზე **-უნ** სუფიქსის¹ დართვით (რთულ-მაწარმოებლიანი მასდარი; მასდარი II).

მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარი

როგორც ზემოთ აღინიშნა, მასდარის ეს ფორმა **-ეს** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება: *ბ-ეს* “კეთება”, “ქმნა”; *ფ-ეს* “თქმა”, “ლაპარაკი”; *ბაქ-ეს* “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”, “შეძლება”; *უქ-ეს* “ჭამა”; *ულ-ეს* “სმა”, “დაღევა”; *ბიხ-ეს* “შობა”; *ბოხ-ეს* “ხარშვა”; *ბასკ-ეს* “წოლა”; *ჩურფ-ეს* “დგომა”...

ეს ფორმა წინადადებაში გამოხატავს მოქმედების მიზან-მიზეზს, მისწრაფებასა და მიზან-დასახულობას, მაგ.:

უნ ბავაქო ქატუხ ფ-ეს “შენ შეგიძლია ამის (მიც.) **თქმა**”;

ზა ბაქალ თეზა მე აშლახ ბ-ეს “მე არ შემიძლია ამ საქმის (მიც.) **კეთება**”;

მელინ ჰელ-ეს ოხარი თენე “აქედან **გასვლა** ადვილი არ არის”;

ევახტვაბუყსა თაფ-ეს “როდის გინდა (გსურს) **წასვლა**”...

მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარი ყველა ბრუნვის ნიშანს ვერ იგუებს (ნათესაობითისა და თანდებულებიანი ბრუნვების, აბლატივისა და კომიტატივის გარდა):

სახ.	<i>ბ-ეს</i> “კეთება”	<i>ფ-ეს</i> “თქმა”
ერგ. (ინსტრ.)	<i>ბეს-ინ</i>	<i>ფეს-ინ</i>
მიც.	<i>ბეს-ა[ხ]</i>	<i>ფეს-ა[ხ]</i>
აბლ.	<i>ბეს-ახო</i>	<i>ფეს-ახო</i>
კომ.	<i>ბეს-ახოლ[ან]</i>	<i>ფეს-ახოლ[ან]</i>

მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის ფორმანტისეული **ე** ხმოვანი ირიბ ბრუნვატა ფორმებში ზოგჯერ რედუქციას განიცდის, მაგ.:

¹ როგორც არაერთგზის აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შიფნერი, ა. დირი, ნ. ტრუბეცკოი, ვლ. ფანჩიძე, ევგ. ჯეირანიშვილი), ეს ნიშანი წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტს უნდა წარმოადგენდეს.

სახ.	<i>ბაქ-ეს</i> “ყოფა”, “არსებობა”, <i>ქარხ-ეს</i> “ცხოვრება” “გახდომა”, “შექმელება”	
მიც.	<i>ბაქ'ს-ა[ხ]</i>	<i>ქარხ'ს-ა[ხ]</i>
აბლ.	<i>ბაქ'ს-ახო</i>	<i>ქარხ'ს-ახო</i>
კომ.	<i>ბაქ'ს-ახოლ[ან]</i>	<i>ქარხ'ს-ახოლ[ან]</i>

მასდარის აღნიშნული ფორმა მასტან შეწყობილ სახელს მართავს ისევე, როგორც ზმნის პირიანი ფორმა, მაგ.:

ბავაქო მე აშ-ღ-ახ ბ-ეს “შეგიძლია ამ საქმის (მიც.) კეთება”...¹

ირიბ ბრუნვათა ფორმებშიც მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარი შეიძლება იყოს გამოყენებული პრედიკატის ფუნქციით, მაგ.:

ქა ხაბარ-ახ ფეს-ახო “მაგ ამბის (მიც.) თქმამდე”...

სახელობითისა და მიცემითის გარდა, მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის დანარჩენ ბრუნვათა ფორმები თითოსდა აბსოლუტივის გაგებას გვაძლევს, მაგ.:

ვა^ა ქაროხნეთასტა ფ-ეს-ინ “ქადაგებდა და იტყოდა (INS)” (მრკ. 1, 7);

ქატუხ ფ-ეს-ახო “მაგის თქმამდე (ABL)”;
ქა ხაბარ-ახ ფ-ეს-ახოლან “მაგ ამბის თქმისთანავე (COM)”...

რთულ-მაწარმოებლიანი მასდარი

მეორე ტიპის მასდარი (რთულ-მაწარმოებლიანი მასდარი; მასდარი II) იწარმოება მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის ფორმაზე -უნ სუფიქსის დართვით; ამ დროს ხშირად ვითარდება ფორმანტისეული ე ბგერის რედუქცია: *ბ-ეს-უნ* “კეთება”, “ქმნა”; *ფ-ეს-უნ* “თქმა”, “ლაპარაკი”; *ბაქ'ს-უნ* < *ბაქ-ეს* “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”, “შექმელება”; *უქ'ს-უნ* < *უქ-ეს-უნ* “ჭამა”; *უღ'ს-უნ* < *უღ-ეს-უნ* “სმა”, “დაღევა”; *ბიხ'ს-უნ* < *ბიხ-ეს-უნ*

¹ აქ მასდარი პრედიკატის ფუნქციით გვხვდება: იგი მართავს მასთან შეწყობილ პირდაპირ დამატებას მიცემით ბრუნვაში, მაშინ როდესაც სახელთან შეწყობილი ეს სიტყვა (აშ “საქმე”) ნათესაობითი ბრუნვის ფორმით იქნებოდა წარმოდგენილი.

“შობა”; *ბოხ'ს-უნ* < *ბოხ-ეს-უნ* “ხარშვა”; *ბასკ-ეს-უნ* “წოლა”; *ჩურფ-ეს-უნ* “დგომა”...

როულ-მაწარმოებლიანი მასდარის წარმოებისას გავრცელებულია თანხმოვან ბგერათა გადასმაც: *ბისტ-უნ* < **ბიტ-ს-უნ* < *ბიტ-ეს-უნ* “თესვა”; *ბისტ-უნ* < **ბით-ს-უნ* < *ბით-ეს-უნ* “ვარდნა”, “გდება”...

როულ-მაწარმოებლიანი მასდარი, მასდარი I-საგან განსხვავებით, ჩვეულებრივად იბრუნვის, ანუ ყველა ბრუნვას აწარმოებს მხოლოდობითში; მრავლობითს მასდარის ფორმები არ აწარმოებენ:

სახ.	<i>ბ-ეს-უნ</i> “კეთება”	<i>ფ-ეს-უნ</i> “თქმა”
ერგ.	<i>ბეს-უნ-ენ</i>	<i>ფეს-უნ-ენ</i>
ნათ.	<i>ბეს-უნ-უნ</i>	<i>ფეს-უნ-უნ</i>
მიც.	<i>ბეს-უნ-ა[ხ]</i>	<i>ფეს-უნ-ა[ხ]</i>
აბლ.	<i>ბეს-უნ-ახო</i>	<i>ფეს-უნ-ახო</i>
კომ.	<i>ბეს-უნ-ახოლ[ან]</i>	<i>ფეს-უნ-ახოლ[ან]</i>
ადეს.	<i>ბეს-უნ-ასტა</i>	<i>ფეს-უნ-ასტა</i>
ალატ.	<i>ბეს-უნ-აჭ</i>	<i>ფეს-უნ-აჭ</i>
სუპერ.	<i>ბეს-უნ-ალ</i>	<i>ფეს-უნ-ალ</i>
ბენ.	<i>ბეს-უნ-ენკ[ენა]</i>	<i>ფეს-უნ-ენკ[ენა]</i>

როულ-მაწარმოებლიანი მასდარის ფორმის მნიშვნელობა ემთხვევა პირველი ტიპის მასდარის მნიშვნელობას. მარტივ-მაწარმოებლიან მასდართან შედარებით, როულ-მაწარმოებლიან მასდარს აქვს გამოსატული ზმნის (მოქმედების) სახელის (რუს. «Имя глагола») შინაარსი. ეს ფორმა ქართული ენის მასდარისაგან იმით განსხვავდება, რომ შესიტყვებაში მას, მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარისა და ზმნის პირიანი ფორმების მსგავსად, აქვს პრედიკატული დანიშნულება; მასდარის ამ ფორმას შეუძლია სახელის მართვა, მაგ.:

აშ//აშ-ღ-ახ ბ-ეს-უნ “საქმე//საქმეს კეთება”;
ჭი//ჭი-ნ-ახ უღ'-ს-უნ “ღვინო//ღვინოს დაღვევა”...

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები მასდარის ფორმების შესახებ: ა. შიფნერი და ა. დირი ორივე ფორმას ინფინიტივად განიხილავენ;¹ ევგ. ჯეირანიშვილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ფორმებს ინფინიტივ-მასდარს უწოდებს;² ა. ჰარისი და ტ. მაისაკი -ეს სუფიქსიან ფორმას ინფინიტივად მიიჩნევენ, ხოლო -ეს-უნ ფორმატიანს – მასდარად;³ ვლ. ფანჩვიძისა და ვ. შულცეს აზრით კი, ორივე შემთხვევაში მასდართან გვაქვს საქმე.⁴

უდიურისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მასდარის კიდევ ერთი ფორმა, რომლის ნაშტი დღეს არსებით სახელში გვხვდება. ამ ფორმის მაწარმოებელი -უნ სუფიქსი უნდა ყოფილიყო, რომელიც უშუალოდ ზმნის ფუძეს დაერთვოდა ბოლოკიდურად:

ბიტ-უნ “ნათესი”, შდრ. *ბიტ-ეს* “თესვა”;

უქ-უნ “საჭმელი”, შდრ. *უქ-ეს* “ჭამა”;

ნედ-უნ “სადელი”, შდრ. *ნედ-ეს* “შედელევა”;

ჩაფ-უნ “გამონაყარი”, შდრ. *ჩაფ-ეს* “გამოყრა”;

ფუფ-უნ “ამოსუნთქვა”, შდრ. *ფუფ-ეს* “სუნთქვა”, “შებერვა”...

¹ Schiefner A., Versuch über die Sprache der Uden, Mémoires de l'académie impériale des sciences de St. Pétersbourg, VII^e S., P. VI, №8, 1863, გვ. 28; Дирр А. М., Грамматика удинского языка, Тифлис, 1903, გვ. 39.

² ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 104-107.

³ Alice C. Harris., Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax, Oxford, 2002; Майсак Т.А., Глагольная парадигма удинского языка (ниджский диалект), Удинский сборник (грамматика, лексика, история языка), Москва, 2008, გვ. 115-116.

⁴ ვლ. ფანჩვიძე, “ინფინიტივის” ფორმათა წარმოება და მნიშვნელობა უდიურ ენაში, მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №2 და №4, თბილისი, 1942; მისივე, უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 193-200; Schulze W., Die Sprache der Udi in Nord-Azerbaidzan, Wiesbaden, 1982 და სხვა.

მიმღეობა

უდიურ ენაში დასტურდება მიმღეობის ორი ძირითადი ფორმა; ესენია: სრული სახის მიმღეობა და უსრული სახის მიმღეობა, რომელიც, შესაბამისად, დასრულებული (სრული სახის) ან დაუსრულებელი (უსრული სახის) მოქმედებისათვის ან მდგომარეობისათვის გამოიყენება.¹ უდიურში მიმღეობას გააჩნია სხვადასხვაგვარი ფუნქციები, რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე, მაგალითად, ქართული ენის მიმღეობისა. მიმღეობის წარმოება და ფუნქციები პრინციპულად ერთგვარია უდიური ენის ორივე კილოში.

სრული სახის მიმღეობა

სრული სახის მიმღეობა ზმნის ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება -ი სუფიქსის მეშვეობით, მაგ.:

ბ-ი “ნაკეთები”; *ფ-ი* “ნათქვამი”; *ბაქ-ი* “ნამყოფი”; *ქარხ-ი* “ნაცხოვრები”; *უქ-ი* “ნაჭამი”; *მანდი-ი* “დარჩენილი”; *არც-ი* “დამჯდარი”; *ბოხ-ეც-ი* “მოხარშული”; *ბასკ-ი* “დაწოლილი”...

სრული სახის მიმღეობა უცვლელია, როდესაც იგი მსაზღვრეადაა გამოყენებული:

სახ.	<i>არი ადამარ</i>	<i>მანდი ადამარ</i>
	“მოსული ადამიანი”	“დარჩენილი ადამიანი”
ერგ.	<i>არი ადამარ-ენ</i>	<i>მანდი ადამარ-ენ</i>
ნათ.	<i>არი ადამარ-ი</i>	<i>მანდი ადამარ-ი</i>
მიც.	<i>არი ადამარ-ა[ხ]</i>	<i>მანდი ადამარ-ა[ხ]</i>
აბლ.	<i>არი ადამარ-ახ-ო</i>	<i>მანდი ადამარ-ახ-ო</i>
მრ. რიცხვი	<i>არი ადამარ-უხ</i>	<i>მანდი ადამარ-უხ</i>

¹ სამეცნიერო ლიტერატურაში (ვლ. ფანჩიძე, ევგ. ჯეირანიშვილი და სხვა) შემდეგი ტერმინებიც გვხვდება: ნამყოს მიმღეობა (სრული სახის მიმღეობა) და აწმყო-მყოფადის მიმღეობა (უსრული სახის მიმღეობა). უნდა აღინიშნოს, რომ დროის კატეგორია მიმღეობაში წარმოდგენილია მკრთადად.

თუ მიმღეობა სუბსტანტივადაა გამოყენებული, მას დაერთვის -ო მასუბსტანტივებელი ელემენტი და იბრუნვის ზედსართავი სახელების, ნაცვალსახელებისა და რიცხვითი სახელის მსგავსად:

	<i>მხ. რიცხვი</i>	<i>მრ. რიცხვი</i>	<i>მხ. რიცხვი</i>	<i>მრ. რიცხვი</i>
სახ.	<i>არი-ო</i> “მოსული”	<i>არი-ო-რ</i>	<i>მანდი-ო</i> “დარჩენილი”	<i>მანდი-ო-რ</i>
ერგ.	<i>არი-ო-ტ-ინ</i>	<i>არი-ო-ტ-ღ-ონ</i>	<i>მანდი-ო-ტ-ინ</i>	<i>მანდი-ო-ტ-ღ-ონ</i>
ნათ.	<i>არი-ო-ტ-ა[ღ]</i>	<i>არი-ო-ტ-ღ-ო[ღ]</i>	<i>მანდი-ო-ტ-ა[ღ]</i>	<i>მანდი-ო-ტ-ღ-ო[ღ]</i>
მიც.	<i>არი-ო-ტ-უ[ხ]</i>	<i>არი-ო-ტ-ღ-ო[ხ]</i>	<i>მანდი-ო-ტ-უ[ხ]</i>	<i>მანდი-ო-ტ-ღ-ო[ხ]</i>
აბლ.	<i>არი-ო-ტ-უხო</i>	<i>არი-ო-ტ-ღ-ოხო</i>	<i>მანდი-ო-ტ-უხო</i>	<i>მანდი-ო-ტ-ღ-ოხო</i>
კომ.	<i>არი-ო-ტ-</i> <i>უხოლ[ან]</i>	<i>არი-ო-ტ-ღ-</i> <i>ოხოლ[ან]</i>	<i>მანდი-ო-ტ-</i> <i>უხოლ[ან]</i>	<i>მანდი-ო-ტ-ღ-</i> <i>ოხოლ[ან]</i>
ადეს.	<i>არი-ო-ტ-უსტა</i>	<i>არი-ო-ტ-ღ-ოსტა</i>	<i>მანდი-ო-ტ-უსტა</i>	<i>მანდი-ო-ტ-ღ-ოსტა</i>
ალატ.	<i>არი-ო-ტ-უჭ</i>	<i>არი-ო-ტ-ღ-ოჭ</i>	<i>მანდი-ო-ტ-უჭ</i>	<i>მანდი-ო-ტ-ღ-ოჭ</i>
სუპ.	<i>არი-ო-ტ-ულ</i>	<i>არი-ო-ტ-ღ-ოლ</i>	<i>მანდი-ო-ტ-ულ</i>	<i>მანდი-ო-ტ-ღ-ოლ</i>
ბენ.	<i>არი-ო-ტ-ენკ[ენა]</i>	<i>არი-ო-ტ-ღ-ონკ[ენა]</i>	<i>მანდი-ო-ტ-ენკ[ენა]</i>	<i>მანდი-ო-ტ-ღ-ონკ[ენა]</i>

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევრის აზრით (ა. შიფნერი, ა.დირი, ტ. მაისაკი), სრული სახის მიმღეობა ზოგჯერ აბსოლუტივის ფუნქციით გვევლინება, მაგ.:

ისუხ-ენ, ქეხ ბოხოღ-ი, ლაძნედი შეტულ ვა^ა ფინე “იესომ, გაშალა რა ხელი, შეეხო მას და თქვა” (რუს. «Иисус простерши руку, коснулся его и сказал») (მთ. 8, 2);

ადამარღოხ აკ-ი, შონო ლაძნეცი ბურღოლ “დაინახა რა ხალხი, ის ავიდა მთაზე” («увидев народ, он взошел на гору») (მთ. 5, 1)...

საფიქრებელია, რომ ამ და მსგავს მაგალითებში, საქმე გვექონდეს არა მიმღეობისა ან აბსოლუტივის ფორმასთან, არამედ აორისტის ფორმასთან, რომელსაც გამოტოვებული აქვს პირის ნიშანი (ასეთი

მოვლენა უდიურში არ წარმოადგენს იშვიათობას; იხ. ზმნა). შესაბამისად არნიშნული წინადადებები უნდა ითარგმნოს ასეთნაირად:

“იესომ გაშალა ხელი, შეეხო მას და თქვა”;

“დაინახა ხალხი [და] ის ავიდა მთაზე”...

უსრული სახის მიმღეობა

უსრული სახის მიმღეობა ზმნის ფუძეზე დაყრდნობით -**ალ**//-**ალა** სუფიქსების დართვით იწარმოება. ამასთან აღსანიშნავია, რომ -**ალ** სუფიქსი, როგორც წესი, მოქმედებითი გვარის შინაარსის მიმღეობას აწარმოებს, ხოლო -**ალა** – ვნებითი გვარის შინაარსის (თუმცა -**ალ** სუფიქსიანი წარმოებაც აღინიშნება),¹ შდრ.:

ბ-ალ “მკეთებელი”	ბ-ალა “საკეთებელი”
ბაქ-ალ “მყოფი”	ბაქ-ალა “სამყოფი”, “სამყოფელი”
უქ-ალ “მჭამელი”	უქ-ალა “შესაჭმელი”
აკესტ-ალ “მაჩვენებელი”	აკესტ-ალა “საჩვენებელი”
არც-ალ “მჯდომი”, “დამჯდომი”	არც-ალა “დასაჯდომი”...

უსრული სახის მიმღეობა უცვლელია, თუ იგი მსაზღვრელის ფუნქციით გვხვდება:

სახ.	ელალ ადამარ	თელალ ადამარ
	“მომსვლელი ადამიანი”	“წამსვლელი ადამიანი”
ერგ.	ელალ ადამარ-ენ	თელალ ადამარ-ენ
ნათ.	ელალ ადამარ-ი	თელალ ადამარ-ი
მიც.	ელალ ადამარ-ა[ხ]	თელალ ადამარ-ა[ხ]
აბლ.	ელალ ადამარ-ახ-ო	თელალ ადამარ-ახ-ო
მრ. რიცხვი	ელალ ადამარ-უხ	თელალ ადამარ-უხ

¹ გვარის კატეგორია უდიურში ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება.

სუბსტანტივად გამოყენებული ამ ტიპის მიმღეობა სრული სახის მიმღეობის მსგავსად იბრუნვის:

	<i>მხ. რიცხვი</i>	<i>მრ. რიცხვი</i>	<i>მხ. რიცხვი</i>	<i>მრ. რიცხვი</i>
სახ.	<i>ელაღ-ო</i> “მომსველელი”	<i>ელაღ-ო-რ</i>	<i>თაღაღ-ო</i> “წამსველელი”	<i>თაღაღ-ო-რ</i>
ერგ.	<i>ელაღ-ო-ტ-ინ</i>	<i>ელაღ-ო-ტ-ღ-ონ</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ინ</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ღ-ონ</i>
ნათ.	<i>ელაღ-ო-ტ-ა[ღ]</i>	<i>ელაღ-ო-ტ-ღ-ო[ღ]</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ა[ღ]</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ღ-ო[ღ]</i>
მიც.	<i>ელაღ-ო-ტ-უ[ხ]</i>	<i>ელაღ-ო-ტ-ღ-ო[ხ]</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-უ[ხ]</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ღ-ო[ხ]</i>
აბლ.	<i>ელაღ-ო-ტ-უხო</i>	<i>ელაღ-ო-ტ-ღ-ოხო</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-უხო</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ღ-ოხო</i>
კომ.	<i>ელაღ-ო-ტ- უხოლ[ან]</i>	<i>ელაღ-ო-ტ-ღ- ოხოლ[ან]</i>	<i>თაღაღ-ო-ტ- უხოლ[ან]</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ღ- ოხოლ[ან]</i>
ადეს.	<i>ელაღ-ო-ტ-უსტა</i>	<i>ელაღ-ო-ტ-ღ-ოსტა</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-უსტა</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ღ-ოსტა</i>
ალატ.	<i>ელაღ-ო-ტ-უჭ</i>	<i>ელაღ-ო-ტ-ღ-ოჭ</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-უჭ</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ღ-ოჭ</i>
სუპ.	<i>ელაღ-ო-ტ-ულ</i>	<i>ელაღ-ო-ტ-ღ-ოლ</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ულ</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ღ-ოლ</i>
ბენ.	<i>ელაღ-ო-ტ- ენკ[ენა]</i>	<i>ელაღ-ო-ტ-ღ- ონკ[ენა]</i>	<i>თაღაღ-ო-ტ- ენკ[ენა]</i>	<i>თაღაღ-ო-ტ-ღ- ონკ[ენა]</i>

მიმღეობა დროთა საწარმოებლად


როგორც ზემოთ აღინიშნა, უდიურ ენაში სრული ან უსრული მიმღეობის ფორმაზე დაყრდნობით დრო-კილოთა დიდი ნაწილი იწარმოება.

სრული სახის მიმღეობის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმები: აორისტი (სრული სახის მიმღეობის ფორმას ემთხვევა + პირის ნიშანი); II პერფექტი (+ **ღ-ო**; სუბსტანტივად გამოყენებული სრული სახის მიმღეობის ფორმას ემთხვევა + პირის ნიშანი); აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი (აორისტი + **ყა=**); აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო (აორისტი + **გი=**); II პლუკვამპერფექტი (აორისტი + **=ღ**); კონტრაფაქტივი (აორისტი + **ღი- [< *გი=] + =ღ/=იღ**).

უსრული სახის მიმღეობის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმები: მყოფალი ძირითადი (**-აღ** მაწარმოებლიანი

უსრული სახის მიმდევრის ფორმას ემთხვევა + პირის ნიშანი) და მისგან ნაწარმოები ნამყო-მყოფადი ძირითადი (მყოფადი ძირითადი + =**მ**) და მყოფადი ნაწილაკოვანი (მყოფადი ძირითადი + =**ალ**); მყოფადი აუცილებლობითი (უსრული სახის მიმდევრის -**ალა** მაწარმოებლიან ფორმას ემთხვევა + პირის ნიშანი) და მისგან ნაწარმოები ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი (მყოფადი აუცილებლობითი + =**მ**).

სქემატურად ეს შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ:



სახელის მართვა მიმდევობის მიერ

მიმდევობა მართავს სახელს იმ ფორმაში, რომელსაც მოითხოვს ზმნის პირიანი ფორმა: მასდარისაგან განსხვავებით, ასეთი მართვა დასტურდება როგორც ობიექტის, ისე სუბიექტის შემთხვევაში:

ვა⁵ იხნებაქი პეტრენ ისუს-ენ ფი ჯდთ-ახ “და გაიხსენა პეტრემ **იესოს** (ერგ.) **ნათქვამი სიტყვა** (მიც.)” (მთ. 14, 72); შდრ. აორისტის ფორმით: *ისუს-ენ ფი=ნე ჯდთ-ახ* “იესომ თქვა სიტყვა”;

ტე ვახტა თამნებაქი ერემია ფეხამბარ-ენ ფი-ო “მაშინ აღსრულდა **ერემია წინასწარმეტყველის** (ერგ.) **ნათქვამი**” (მთ. 12, 17);

აფრეფანან ეჭახ ბიფარკალ-ტ-ღ-ოხ! “**დალოცეთ თქვენი** (მიც.) **მაწყევარნი**” (მთ. 5, 44)...

აბსოლუტივი

აბსოლუტივი I

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული *სუპინის* ან *I სუპინის* (ა. შიფნერი), ანდა *სუპინუმის* სახელით არის ცნობილი (ეგვ. ჯეირანიშვილი).

ეს ფორმა მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -ან სუფიქსის დართვით. სავარაუდოდ, ეს მაწარმოებელი წარმოშობით ბენეფაქტივის ნიშანს წარმოადგენს.¹ ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს: ქ. ვართაშენში დადასტურებული იყო ამ მაწარმოებლის -ანქ ფორმა; ნიჯურში I აბსოლუტივის ნაცვლად ბენეფაქტივის ფორმა იხმარება, შდრ.:

ვართ. *ჩოვალლო კაჭ თასტ-ან სერდანბე დახტაკახო ყუთი*
“ბელურისათვის საკენკის მისაცემად (ABS I) ფიცრისაგან ყუთი გააკეთოთ”;

ნიჯ. *ჩოვალხო ქაჩ თასთედნაქ დოხთაქახუნ (BEN)*
კუთიდანსერბიო “id”...

აბსოლუტივის აღნიშნული ფორმა მიზეზ-მიზანსა და მიზანდასახულობის გამოსახატავად გამოიყენება:

ბ-ეს-ან “კეთებად”, “საკეთებლად”, “ქმნად”; *ფ-ეს-ან* “თქმად”, “სათქმელად”; *უქ-ს-ან* < *უქ-ეს-ან* “ჭამად”, “საჭმელად”; *უღ-ეს* “სმა”, “დაღევა”; *ბოხ-ს-ან* < *ბოხ-ეს* “ხარშვად”, “სახარშვად”; *ბასკ-ეს-ან* “წოლად”, “დასაწოლად”; *ჩურფ-ეს* “დგომად”, “დადგომად”; *ასბეს-ან* “მუშაობად”, “სამუშაოდ”...

წინადადებაში აღნიშნული ფორმა მიზნის დამატებად გამოიყენება, მაგ.: *არრეცე ცამფეს-ან* “დაჯდა საწერად (წერად)”;

იშუ თანესა ჩვლი ბიეს-ან “კაცი მოდის თევზის დასაჭერად (საჭერად)”...

¹ ვლ. ფანჩვიძე, უღურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 212-213.

აბსოლუტივი II

აბსოლუტივის მეორე ფორმას სხვადასხვა სუფიქსები აწარმოებს; ვართაშნულში დასტურდება: -ამა; -ამინ; -ტა-ამა > -ტ-ამა; -ტ-ამინ; ნიჯურში ყველაზე გავრცელებულია -ამინ; -ამუნ და რედუცირებული -ამ; ასევე დასტურდება: -ამა; -ამუნ; -ამუნ-ჯა...

იწარმოება ეს ფორმა ზმნის პირველად ფუძეზე დაყრდნობით, ან, ზოგჯერ, სრული სახის მიმდევობის ფორმაზე დაყრდნობით, მაგ.:

ქარხ-ეს “ცხოვრება”; *ქარხ-ამა//ქარხ-ამინ*; *ქარხი-ამა//ქარხი-ტ-ამა//ქარხი-ტ-ამინ* “ცხოვრებამდე”, “ვიდრე ცხოვრობს”...

მნიშვნელობით ეს ფორმა გადმოგვცემს ქართული **-მდე** თანდებულის სემანტიკას, ზოგჯერ კი *ვიდრე, მანამ* კავშირის სემანტიკას:

ტიდა ბაქა ზუ ვახ უკ-ამა! “იქ იყავი ვიდრე მე გეტყვი (თქმამდე)” (მთ. 2, 13);

ტიდა ბანექი იროდ ბი-ამა “იქ იყო პეროდეს სიკვდილამდე” (მთ. 2, 15);

შოტუ ნუტ აკალტუ ბიესუნა ხრისტოს ბიხლოლ აკ-ამა “იგი ვერ იხილავს სიკვდილს ქრისტე ღმერთის ნახვამდე” (ლკ. 2, 26)...

აბსოლუტივი III

აღნიშნული ფორმა უშუალოდ ზმნის პირველას ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება **-ახუნ/-ხუნ** სუფიქსის დართვით და გამოხატავს მოქმედების თანადროულობას, მაგ.: *ბ-ახუნ* “კეთებისას”, “კეთების დროს”; *ბაქ-ახუნ* “ყოფნისას”, “ყოფნის დროს”; *უქ-ახუნ* “ჭამისას”, “ჭამის დროს”.

აღსანიშნავია, რომ არარეგულარულ ზმნებთან ამ ფორმის წარმოების დროს გამოიყენება უსრული მიმდევობის (= მყოფადის) ფუძე, მაგ.: *უკ-ახუნ* “თქმისას”, თქმის დროს”; *ელ-ახუნ* “მოსვლისას”, მოსვლის დროს”...

გალილეუნ დჰრიანახო იშა ჭებაქ-ახუნ შეტუ ატუკი პა ვინეხ “გალილევას ზღვის ახლოს გასვლისას მან დაინახა ორი ძმა” (მთ. 5, 18)...

ნიჯურ კილოში აბსოლუტივის ეს ფორმა არ დასტურდება.

აბსოლუტივი IV

IV აბსოლუტივიც გამოხატავს მოქმედების თანაფარდობას, ანუ თავისი სემანტიკით III აბსოლუტივს შეესატყვისება. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ III აბსოლუტივი დაუსრულებელ მოქმედებაზე მიგვითითებს, ხოლო IV – დასრულებულზე.¹

აღნიშნული ფორმა -ატან//-ტან სუფიქსის მეშვეობით იწარმოება ან უშუალოდ ზმნის პირველად ფუძეზე დაყრდნობით, ანდა სრული სახის მიმდებარის ფორმაზე დაყრდნობით, მაგ.: ბატან “კეთებისას”, “კეთების დროს”; ბაჭატან “ყოფნისას”, “ყოფნის დროს”; უჭატან “ჭამისას”, “ჭამის დროს”...

რუსტამენ ეხნე, თე ეყ ქამბაქი-ტან იხ ბუდღუხო ბონეტე “რუსტამი ეუბნება, რომ ხორცის დაკლებისას [გათავებისას] თავისი ბარძაყიდან მოიჭრა”...

გარდა აღნიშნული ფორმებისა, უდიურში გვხვდება ფორმა, რომელიც “ბეელ” აბსოლუტივად უნდა მივიჩნიოთ. საფიქრებელია, რომ ამ ფორმისაგანაც წარმოქმნილია აბსოლუტივის ოთხივე პროდუქტიული ფორმა. ამ ფორმის მაწარმოებელია -ა სუფიქსი, რომელიც უშუალოდ ზმნის ფუძეს დაერთვის ბოლოკიდურად. აღნიშნული ფორმა გაგრძელებულია ნიჯურში, ხოლო ვართაშნულში აქა-იქ გვხვდება, ძირითადად ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, მაგ.:

ჭურკ-ა-ჭურკ-ა ლანესა, გამათ-გამათ ცინესა “ხვეულ-ხვეულ ადის, ჩაფ-ჩაფად ჩამოდის” (გამოცანა)...

¹ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმად ამ შემთხვევაში ერთ ფორმასთან უნდა გვეკონდეს საქმე – ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 110-111.

სახელის მართვა აბსოლუტივის მიერ

აბსოლუტივი ოთხივე ფორმა მასთან შეწყობილ სახელს მართავს ბრუნვაში, ზმნის პირიანი სახელის მსგავსად:

ვა^ა არედან შოტუ ბულკოწბეს-ან “და მოვედით მას (მიც.) თაყვანისსაცემად [მას თავი მოფუხართ]” (მთ. 2, 2)...

ტიდა ბაქა ზუ ვახ უკ-ამა! “იქ იყავი ვიდრე მე შენ (მიც.) გეტყვი [თქმამდე]” (მთ. 2, 13);

შონო ელ-ახუნ მე აშლას ჩხარზუკსად “მისი (სახ.) მოსვლისას ამ საქმეს გამთავრებდი”;

ბაბა-ხ აკ-იტან ზუ კუაზუ “მამის (მიც.) დანახვისას მე შინ (სახლში) ვიყავი”...

ფორმაუცვლელი სიტყვები

ზმნისართი

აგებულების მიხედვით უდიურში გამოიყოფა მარტივი (პირველადი) და მეტყველების სხვა ნაწილებისაგან ნაწარმოები ზმნისართები. ნაწარმოებ ზმნისართებში შეიძლება გამოვყოთ რთული აგებულების (თხზული) ზმნისართები.

უდიურ ენაში ნაკლებადაა წარმოდგენილი მარტივი აგებულების ზმნისართები. ასეთებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ზმნისართები, რომლის დაშლა ამჟამად შემაღგენელ ნაწილებად ვერ ხერხდება, მაგ. ბეშ “წინ”, კოშ “უკან”, ბოშ “შიგ”, ტოშ (ვართ.)//ჩოშ (ნიჯ.) “გარეთ”, ცინა “ქვემოთ”, ბულა “ზემოთ”, გოლრ “ბევრი”...

წარმოშობით ზმნიზედა, ჩვეულებრივ, სახელია და წარმოდგენილია რომელიმე ბრუნვის ფორმით (ნომინატივის გარდა, რომელიც გაუფორმებელ ფუძეს წარმოადგენს). ეს, როგორც წესი, ნათესაობითის, მიცემითისა ან თანდებულისანი ბრუნვების ფორმაა, მაგ.:

ბულ “თავი” > ბულ-ა “ზევით”, “თავში”; ოყ “ძირი”, “ფსკერი”, “ქვედა მხარე” > ოყ-ა “დაბლა”, ქვევით”, “ძირს”, “ფსკერზე”; ოშ “ბოლო” > ოშ-ა “შემდეგ” (DAT)...

ბიდას “საღამო” > ბიდას-უნ “საღამოს”; ბლჰარ “შუადღე” > ბლჰარ-უნ “შუადღეს” (GEN)...

ბეშ “წინ” > ბეშ-ტან “წინიდან”; კოშ “უკან” > კოშ-ტან “უკნიდან” (INS ?)...

კოტ “ნაპირი”, “კიდური” > კოტ-ელ “ნაპირას”, “კიდეზე”, “კიდურზე”; ტოლ “გვერდი”, “ფერდი” > ტოლ-ოლ “თანა”, “გვერდით”; ბილ “შუა”, “შუათანა” > ბილ-ილ “შუა”, “შუაში”, “შორის” (SUPER);

ალა “მალა” > ალ-ახო “ზემოთგან”; ოყ “ძირი”, “ფსკერი”, “ქვედა მხარე” > ოყ-ახო “ქვემოთგან” (ABL)...

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ემთხვევა ზედსართავი სახელისა და ზმნისართის ფორმა, მაგ.: შელ “კარგი” და შელ “კარგად”...

რთული აგებულების ზმნისართებში გამოირჩევა რედუქციის გზით წარმოქმნილი ზმნისართები, მაგ.: *დამ-დამ* “დილას”; *უსინ-უსინ* “ჩქარ-ჩქარა”; *ჯოკ-ჯოკ* “ცალ-ცალკე”...

ორფუძიანი ზმნისართები, მაგ.: *მე-ხო* “აქეთ”, “ამ მხარეს” (*მე* “ეს” + *ხო//წო* “მხარე”, “პირი”); *ქა-ხო* “მაგ მხარეს” (*ქა* “ეგ” + *ხო//წო* “მხარე”, “პირი”); *ტე-ხო* “იქით”, “მაგ მხარეს” (*ტე* “ის” + *ხო//წო* “მხარე”, “პირი”); *ბიპ-ხო* “ოთხმხრივ”, “ირგვლივ”, “გარშემო” (*ბიპ* “ოთხი” + *ხო//წო* “მხარე”, “პირი”); *ტიდა-მიდა* “აქეთ-იქით”, “აქა-იქ” (*ტიდა* “აქ”, *მიდა* “იქ”)...

ადგილის ზმნისართები

წარმოება-აგებულების მიხედვით ადგილის ზმნისართები უდიურში რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

1) ზმნისართები, რომელიც ისტორიულად მიცემითსა ან რომელიმე თანდებულიან ბრუნვაში დასმულ სახელს წარმოადგენს:

ბულ-ა “ხევით”, “თავში” (*ბულ* “თავი”); *ოყ-ა* “დაბლა”, ქვევით”, “ძირს”, “ფსკერზე” (*ოყ* “ძირი”, “ფსკერი”, “ქვედა მხარე”); *ოშ-ა* “შემდეგ” (*ოშ* “ბოლო”)... [DAT];

ჭოტ-ელ “ნაპირას”, “კიდეზე”, “კიდურზე” (*ჭოტ* “ნაპირი”, “კიდური”); *ტოლ-ოლ* “თანა”, “გვერდით” (*ტოლ* “გვერდი”, “ფერდი”); *ბილ-ილ* “შუა”, “შუაში”, “შორის” (*ბილ* “შუა”, “შუათანა”)... [SUPER];

ალ-ახო “ზემოდან” (*ალა* “მაღლა”); *ოყ-ახო* “ქვემოდან” (*ოყ* “ძირი”, “ფსკერი”, “ქვედა მხარე”); *ოყ-ა* “დაბლა”, ქვევით”, “ძირს”, “ფსკერზე”)... [ABL].

2) პირველადი აგებულების ზმნისართები (ისტორიულად – გაუფორმებელი ფუძით წარმოდგენილნი): მაგ. *ბეშ* “წინ”, *კოშ* “უკან”, *ბოშ* “შიგ”, *ტოშ* (ვართ.)//*წოშ* (ნიჯ.) “გარეთ”... ყველა ამ ზმნისართის ფუძეში საერთოა -*ოშ*, -*შ* ელემენტი.

შენიშვნა: აღნიშნულ ზმნისართებზე -*ტან* ელემენტის დართვით (საფიქრებელია, რომ წარმოშობით ერგატეფ-ინსტრუმენტალისის ნიშანია) წარმოიქმნება ზმნისართთა ერთი სახეობა: *ბოშ-ტან*

“შიგნიდან”, *ტომ-ტან* (ნიჯ. *ჩუჩიხუნ*) “გარედან”, *კომ-ტან*
 “უკნიდან”, *ბეშ-ტან* “წინიდან”...

3) **მV-**, **ქV**, **ტV-** ელემენტებიანი ადგერბიალური მნიშვნელობის სიტყვები:

მიდ-ა < მი-ა “აქ” მი-ხ “აქ” მა-ლა “აქეთ” მე-ლ-ან//მე-ლ-ინ “აქედან” მელ-ცირიკ “აქამდე” მე-ჩო “აქეთ”, “აქეთკენ”	ქა < ქა-ა “მანდ” ქა-ლ-ან//ქა-ლ-ინ “მანდედან” ქა-ჩო “მანდეთ”, “მანდეტკენ”	ტიდ-ა < ტი-ა “იქ” ტიდა-მიდა “იქა-აქ” ტა-ლა “იქეთ” ტადა-მადა “იქით-აქეთ” ტე-ლ-ან//ტე-ლ-ინ “იქედან” ტელ-ცირიკ “იქამდე” ტე-ჩო “იქეთ”, “იქითკენ”.
---	--	---

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა საფუძვლიანი მოსაზრება **მV-**, **ქV-**, **ტV-** ელემენტების ნაცვალსახელური წარმოშობის შესახებ, კერძოდ, ჩვენებითი ნაცვალსახელებისგან *მე* “ეს”, *ქა* “ეგ” და *ტე* “ის”.¹

4) რელუპლიკაციითა და ფუძესთან შერწყმული **-ბა** ინფიქსის გამოყენებით მიღებული ზმნისართები: *გა-ბა-გა* “ყველგან”, “ყოველ მხარეს” (*გა* “ადგილი”); *ჩო-ბა-ჩო* “პირისპირ” (*ჩო*//*ჩო* “პირი”, “მხარე”)...

დროის ზმნისართები

ამ მნიშვნელობის ზმნისართები წარმოება-აგებულების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

¹ ვლ. ფანჩიძე, უდურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974, გვ. 219-220; ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი, 1971, გვ. 114-115.

1) როგორც წესი, ნაწარმოები დროის ზმნისართები მიცემითსა ამ ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელისაგან წარმოქმნილი სიტყვებია: *ღე-ნ-ახ* “ყოველდღე” (*ღი* > *ღე* “დღე”); *უსენ-ახ* “ყოველწლიურად” (*უსენ* “წელიწადი”) [DAT];

ბიძას-უნ “საღამოს” (*ბიძას* “საღამო”); *ბლჰზჰრ-უნ* “შუადღეს” (*ბლჰზჰრ* “შუადღე”) [GEN]...

ზოგჯერ ამგვარი დროის ზმნისართი გართულებულია *ბა* ან *ბა-გჰრ*-ელემენტებით, მაგ. *ბა-ღე-ნა* “გუშინწინ”, *ბა-გჰრ-ღენა* “გუშინწინისწინ”...

იშვიათად დროის ზმნისართს ორივე ბრუნვის (დატივისა და გენიტივის) გაქცევებული ფორმანტი აქვს, მაგ.: *ღე-ნ-ახ-უნ* “დღისით”...

ზოგიერთ სიტყვაში მიცემითი ბრუნვის სუფიქსის გამოყოფა მხოლოდ ანოლოგიით ხერხდება, მაგ.: *ის-ა* “ეხლა”... ზოგი ზმნისართის აგებულება ნათელი არ არის, მაგ.: *ნარზუხ* “წუხელ”, *ნაძნე* “გუშინ”, თუმცა, სავარაუდოა, რომ აქაც მიცემითის ფორმა იყოს.

2) რთულფუძიანი დროის ზმნისართები

ა. *რედუპლიკაციით მიღებული*. *დამ-დამ* “დიღას”, “დიღით”; *ბიძას-ბიძას* “საღამოობით”, “ყოველ საღამოს”...

ხშირად ფუძის გაორმაგებით მიღებული დროის ზმნისართები დაკავშირებულია *-ბა* ელემენტით: *უსენ-ბა-უსენ* “წლიდან წლამდე”, “ყოველწლიურად”; *ღი-ბა-ღი* “დღითი დღე”, “ყოველდღიურად”...

ბ. *თხზული ზმნისართები*. 1. *არსებითი სახელის ფუძისა და მიმღეობისაგან შედგენილი*: *ღი-ჭურღი* “დღე-გამოშვებით” (*ღი* “დღე” + *ჭურღი* “დაგრეხილი” > “გამოტოვებული”)...

2. *რიცხვითი და არსებითი სახელებისაგან შემდგარი*: *სა-ვახტ* “ერთ დროს”, “ოდესმე”, “ოდესღაც”; *სა-ემა-ვახტ* “ერთ ხანს” (*სა* “ერთი” + *ემა* “რამდენი” + *ვახტ* “დრო”)...

3. *ნაცვალსახელისა და არსებითი სახელისაგან შედგენილი*: *მე-შუ* “ამაღამ” (*მე* “ეს” + *შუ* “ღამე”); *ტე-ვახტ* “იმ დროს”, “მაშინ” (*ტე* “ის” + *ვახტ* “დრო”)...

4. “ლოკატივში” (მიცემითსა ან აბლატივში) დასმული სახელისა და ზმნისართისაგან შემდგარო: ქაჯხ-იშა “უთენია”, “აღლიონზე” (ქაჯხ-თენებას”, “თენებაში” [DAT] + იშა “ახლოს”); დეუნახო-ტაღა “დღეის იქით” (დეუნ-ახო “დღეისაგან”, “დღეიდან” [ABL] + ტაღა “იქით”, “იქითკენ”)...

ვითარების ზმნისართები

წარმოება-აგებულების მიხედვით უდიურის ვითარების ზმნისართები რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

1. ვითარების გამომხატველი ზმნისართები, რომლებიც მიიღებიან ზედსართავი სახელის ადვერბიალიზაციით, შდრ.: შელ “კარგი”; შელ “კარგად”; გოლო “ბევრი”; გოლო “ძალიან”, “ბევრად”, “ფრიად”...

2. ფუძის გამეორებით მიღებული ზმნისართები, მაგ.: გოლო-გოლო “ბევრ-ბევრი”, “ბლომად”; კიწ-კიწი “ცოტ-ცოტა”, “ცოტათი”...

3. სახელის ფუძეზე რაიმე ფორმანტის, ანდა რომელიმე სიტყვის დართვით მიღებული ზმნისართები, მაგ.: სალ < სა-ალ “ერთიც”, “სულაც”, “ერთხელაც”, “კიდევ”, “კვლავ” (სა “ერთი” + =ალ - -ც ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენება)...

4. ნასესხები ვითარების ზმნისართები: ძავაშ “ნელა”, “აუჩქარებლივ”; ძავაშ-ძავაშ “ნელ-ნელა”; დინჯ “დინჯად”, “წყნარად”; ძეგინ “აჩქარებით”, “სწრაფად”; ძეგინ-ძეგინ “ჩქარ-ჩქარა”; მეჰკამ/მოჰკამ, ოსტავარ “მაგრად”, “მჭიდროდ”; ყოჭად//ყოჩხად “ყოჩხადად”, “მხნედ”; ფის “ცუდად”; შავათ (ნიჯ. შაჰათ//შათ) “ღამაზად”, “მოსდენილადად”; აბეჟჰარ “უშნოდ”...

მიზან-მიზეზის ზმნისართები

უდიურში არ არის გარჩეული მიზნისა და მიზეზის ზმნისართები: ერთი და იგივე ზმნისართი შეიძლება ორივე მნიშვნელობით იხმარებოდეს. მიზან-მიზეზის ზმნისართებია: შეტე < შეტენ[კ]/შეტაბახტინ[კ] “იმიტომ”, “იმისთვის”, “რადგანაც”; მეტაბახტინ “ამიტომ”; ქატაბახტინ “მაგიტომ”;

შეტეთე//შეტეტენეთე//შეტებახტინეთე “იმიტომ, რომ”, “იმისთვის, რომ”. წარმოშობით ეს ფორმები *შენო//შონო* “იგი”, *მე* “ეს” და *ქა* “ეგ” ჩვენებით ნაცვალსახელთა ბენეფაქტივის ფორმას წარმოადგენს, ხოლო ზოგჯერ იგივე ფორმები გართულებულია *თე* “რომ” კავშირით.

ზომა-ოდენობის ზმნისართები

ასეთთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ: *ემა* “რამდენი”, “ოდენ”; *ემა-თე* “რამდენიც”; *ტემა* “იმდენი”; *ა-ტემა* “აი იმდენი”; *მემა* “ამდენი”; *ა-მემა* “აი ამდენი”; *ქამა* “მაგდენი” *საკი* < *სა-კიწი*? “ცოტათი”, “ოდნავ” (*სა* “ერთი” + *კიწი*? “პატარა”, “ცოტა”); *სა-ჭრჷნ* “ერთხელ”, *პა^წ-ჭრჷნ* “ორჯერ”; *ბუთუშ* “მთლად”, “სულ”, “ყველა”; *ეყარა//ეყყარა* “რამდენი”...

კითხვითი ზმნისართები

ამ ჯგუფის ზმნისართები წარმოიქმნება კითხვითი ნაცვალსახელებისა *ე* “რა?” და *მა* “სად?” და სხვადასხვა ელემენტთა კომბინაციით: *ე-თჷრ* “როგორ”, “ვითარ”; *ეტენქ//ეტენკ[ენა]* “რატომ”, “რისთვის”, “რის გამო” (ბენეფაქტივის ფორმა) *ეტუხო/ეთხო* (აბლატივის ფორმა)//*ეტუხოლან//ეთხოლან* (კომიტატივის ფორმა) “რატომ”, “რისთვის”, “რისგან”; *ეკ-ალ* “რაზე” (სუპერასივის ფორმა); *ეკალ-უხ* “რაზე”, “რისთვის”; *ევახ* “როდის” (< *ვახტ* “დრო”); *ეტე* “რატომ”; *ეტა-ბახტინ* “რისთვის” (< *ბახტინქ* “თვის” თანდებული); *მა-ა* “სად”, “საით” (< *-ა* კითხვითი ნაწილაკია); *მა-ხო* “საით”, “საითკენ” (< *ხო* “პირი”, “სახე”); *მა-ლინ-ა* “საითგან”... *ოშტე* “რატომ”...

თანდებული

თანდებულები უდიურში ორ ჯგუფად იყოფა:

1. შერწყმული (სუფიქსური მნიშვნელობის) თანდებულები, რომელიც დაერთვიან სახელს (თანდებულიანი ბრუნვების ფორმანტები); მათ ამჟამად დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვთ და ეს თანდებულები იმგვარადაა შერწყმული ბრუნვის ფორმასთან, რომ მათი გამოყოფა საძნელო ხდება:

შერწყმული თანდებულები მხოლოდობითში

ბრუნვები	ვართაშნული	ნიჯური
აბლატივი	-(ახ)-ო	-(ახ)-უნ
კომიტატივი	-(ახ)-ოლ[ან]	-(ახ)-უნ[ან]
ადესივი	-(ა)-სტა	-(ა)-სთა
ალატივი	-(ა)-ჭ	-(ა)-ჩ
სუპერისივი	-(ა)-ლ	იგივე
ბენეფაქტივი	-(ენ)-კ[ენა]	-(აფ-ნ)-აქ, -(ეფ-ნ)-აქ

შერწყმული თანდებულები მხოლოდობითში

ბრუნვები	ვართაშნული	ნიჯური
აბლატივი	-(ოს)-ო	-(ახ)-უნ
კომიტატივი	-(ოს)-ოლ[ან]	-(ახ)-უნ[ან]
ადესივი	-(ო)-სტა	-(ოს)თა
ალატივი	-(ო)-ჭ	-(ო)-ჩ
სუპერისივი	-(ო)-ლ	-(ო)-ლ
ბენეფაქტივი	-(ონ)-კ[ენა]	-(ოფ-ნ)-აქ

2. შერწყმული, ცალკე ხმარებული თანდებულები. ამ ჯგუფს მიეკუთვნება: ა. თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებული ადგილის

ზმნისართები: ბეჭ “წინ”, კოშ “უკან”, ტოღ^ლოღ “თან”, ბოშ “-ში”, “შიგ”, “შიგნით”, ტოშ “გარეთ”, ოშა “შემდეგ”, “შემდგომ”; ჯოკ “გარე”, “გარდა”...

ბ. ისეთი თანდებულები, რომელიც წარმოშობით ზმნისართს წარმოადგენს, თუმცა დღეს, მხოლოდ თანდებულის ფუნქციით გამოიყენება: -ცირიკ “მდე”, -ლახო “ზედა”, “ზედ”, “ზე”...

ადგერბიალური (ზმნისართული) წარმოშობის ეს თანდებულები, მოსდევენ-რა სახელს და მართავენ მას ამა თუ იმ ბრუნვის ფორმაში. ყველაზე ხშირად თანდებული მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში, შემდეგ აბლატივსა და კომიტატივში, ხოლო ერთ შემთხვევაში სუპერასივში:

ნათესაობით ბრუნვაში სახელს მართავს შემდეგი თანდებულები: ამა “მდე”, “ოდენ”; ბახტინ//ბახტინქ “თვის”; ბეჭ “წინ”; ბიპხო “ირგვლივ”, “გარშემო”; ჰრჰმინა “გარშემო”; ბოშ “ში”, “შიგ”, “შიგნით”; გალა “მაგივრად”; ლახო “ზედა”, “ზედ”, “ზე”; ოშეხო “ბოლოდან; ოყა “ქვეშ”; ოყახო “ქვემოთგან”; ტეხო “იქით”; ტეხოხო “იქითგან”; ტოღ^ლოღ “თან”; ტოღ^ლოხო “გვერდიდან”; ტოშტან “გარედან”; ყათი “შუა”; კოშტან “უკნიდან”...

აბლატივს ან კომიტატივს მოითხოვენ შემდეგი თანდებულები: ახ^იღ “შორს”, ოშა “შემდეგ”, “შემდგომ”; მალა “აქეთ”; ჯოკ “გარე”, “გარდა”; ტოშ “გარეთ”, “გარე”; ტოღ^ლ “გარე”, “გარეშე”...

სუპერასივს მოითხოვს ერთი თანდებული: -ცირიკ “მდე”.

ნაწილაკი

უდიურს მოეპოვება ნაწილაკთა მთელი სერია: ზოგი მათგანი მხოლოდ სახელთან იხმარება, ზოგი – ზმნასთან; ზოგი კი სახელთან, ზმნასთან და მეტყველების სხვა ნაწილებთანაც. ზოგიერთი ნაწილაკი სხვა სიტყვასთან შერწყმით იხმარება, ხოლო ზოგიერთი – სხვა სიტყვასთან შეურწყმელად, ცალკე იხმარება. მეტ წილად გვხვდება ერთმარცვლიანი, ღია ან დახურული მარცვლისაგან შემდგარი ნაწილაკები, თუმცა მოგვეპოვება ორ ან ორზე მეტ მარცვლისაგან შემდგარი ნაწილაკები. ფუნქციის მიხედვით გვხვდება შემდეგი ნაწილაკები:

კითხვითი ნაწილაკი -ა. ეს ნაწილაკი გამოიყენება მეტყველების თითქმის ყველა ნაწილთან, სახელდობრ: არსებით და ზედსართავ სახელებთან, გასუბსტანტივებულ სიტყვებთან, კითხვით და III პირის ნაცვალსახელებთან, ზმნისართებთან, ზმნასთან და სახელზმნურ ფორმებთან (მხოლოდ III სუბიექტურ პირთან მხოლოდობითში; -ა ნაწილაკის გამოყენების შემთხვევაში პირის ნიშანი (-ნე) არ დაერთვის ზმნას.

უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები: თე- “არ”, ნუ- “არ”, მა- “ნუ”, “არ”, ნწ- “რომ”, “არ”, ნუთ//ნუტ “არ”. გამოხატავს უარყოფას ზმნაში. გაქვეავებული სახით გვხვდება სახელშიც.

მოდალობის გამომხატველი ნაწილაკი ყა. აწარმოებს კატეგორიულ კილოს (ე.წ. ნაწილაკოვან-კავშირებითი I) ზმნაში და გამოიყენება აგრეთვე მაკავშირებელი სიტყვის მნიშვნელობით.

ნაწილაკი -აღ. მნიშვნელობით უდრის ქართულ -ც, -ცა ნაწილაკებს. გამოიყენება არსებით, რიცხვით სახელებთან, ნაცვალსახელთან, გასუბსტანტივებულ სიტყვებთან, ზმნისართებთან. იშვიათად ზმნაშიც.

ნაწილაკი ჰა. ეს ნაწილაკი ჩვეულებრივ იხმარება მითითებით ნაცვალსახელებთან და ზმნისართებთან შერწყმითაც და შეურწყმელადაც. პირველ შემთხვევაში იგი დასაწყისში მოუდის სიტყვას, მეორე შემთხვევაში კი – ბოლოს. ამასთან ერთად: შერწყმით გამოყენების დროს ეს ნაწილაკი გამოხატავს კატეგორიულობას, დადასტურებას,

ექვმიუტანლობას და აქვს ასეთი მნიშვნელობა: “მაინცდამაინც”, “სწორედ”, “აი”; შეურწყმელად (ბოლოს) გამოყენების შემთხვევაში კი გამოხატავს ემოციურობას (დადებითს ან უარყოფითს).

ნაწილაკი **-ნე**. ეს ნაწილაკი გამოიყენება მხოლოდ ბრძანებითის ან ბრძანებითად გამოყენებული კავშირებითი კილოს ფორმასთან და აქვს მნიშვნელობა, რაც ქართულ “რა”, “რადა”, “და” ნაწილაკებს.

სხვა ნაწილაკებიდან აღსანიშნავია: *გა* “გინდ”; *ბურიმ* “თურმე”; *ბჷლივ* “ეგების”; *გენა* “კი”; *კენა* “კი”, “ვით”; *ჰაღბათ* “რასაკვირველია”; *უკონე* “თქმულა”; *გარჷგ* “უნდა”; *მაუფა* “ნუ იტყვი” [თურმე]; *ფესუნნე/ფსუნნე* “ესე იგი”; *მივილა* “აი”; *ჰოღ* “მაშ”; *დე* “დაე”, “ჰა”; *გჷჷ* “ხან”; *გარ* “ვე”; *ჰო* “ჰო”, “კი”, “დიახ”; *სა* “ერთი”; *თჷქსა* “ოდონდ”, *ბართა* “დაე”...

კავშირი

კავშირი ფუნქციის მიხედვით შეიძლება დაეყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. მაერთებელი. *ყა//ყან; ვა//ვა^ა; ბა* (ყველა ქართული “და” კავშირის მნიშვნელობის); კავშირი *ყა* ამასთან მოდალობის აღმნიშვნელი ნაწილაკიცაა და აწარმოებს კატეგორიულ კილოს (ე.წ. ნაწილაკოვან-კავშირებითი D) ზმნაში.

2. მაქვემდებარებელი. *თე* “რომ”; *ქი* “რომ”; *მანო-თე* “რომელიც” (*მანო* “რომელი” + *თე* “რომ”); *კა-თე* “რაც” (“რა” + “რომ”); *მა-თე* “სადაც”, “სადაც კი” (“სად” + “რომ”); *შუ-თე* “ვინც”; (“ვინ” + “რომ”); *ევახთე* < **ევახტ-თე* “როდესაც”, “როცა” (“როდის” + “რომ”); *ეთრ-თე* “როგორც” (“როგორი” + “რომ”); *ეტე-თე* “რადგანაც”; *შეტაბახტინ-თე* “რადგანაც” (“რადგან” + “რომ”); *მალ* < **მა-ალ* “სადაც” (*მა* “სად” + *ალ* -ც ნაწილაკი)

შენიშვნა: უდიურ ენაში აღსანიშნავია მაქვემდებარებელი კავშირების ხშირი გამოყენება და სიმრავლე, რაც ამ ენის (როგორც კავკასიის ალბანურის რელიქტის) უძველესი წერილობითი ისტორიით უნდა აიხსნას. კავკასიის ალბანურში შეინიშნება მაქვემდებარებელ კავშირთა სიმრავლე და მათი ხშირი გამოყენება. კავშირთა უმეტესობა ნაცვალსახელური ან ზმნიზედური წარმოშობისაა. მაწარმოებლად, ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება **კე** “რომ”, “თუ” და, სავარაუდოდ, ნაწილაკი **-ალ**. კავშირი **კე** “რომ” ერთვის ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედას, აქცევს მას კავშირად და კომპოზიტში ქართული ნაწილაკების **-ც**, **-კი**, მსგავს მნიშვნელობას იძენს, მაგ. *ჰაჭინ-კე* “როგორც”, “ვითარც”; *ანა-კე//ჰანა-კე* “რომელიც”...

3. შემაპირობებელი. *ჰვანჰ*, *ჰვარ* “თუ”, “თუკი”; *გი//გინ* “თუ”; *ოსხამ* “თორემ”... კავშირი *გი* აწარმოებს ნაწილაკოვან პირობით კილოს ზმნაში.

4. მაპირისპირებელი. *და*, *დე* “ან”, “ანდა”; *დე-გენა* “ან-კი”; *დე-თე*, *და-თე* “ან არა-და”; *ამა* “მაგრამ”, *ემა* “სანამ”, “ვიდრე”...

აღსანიშნავია ნასესხებ კავშირთა სიმრავლე: *ქი*, *ვა//ვა^ა*, *ბა*, *ჰვანჰ*, *ჰვარ*, *ოსხამ*, *და*, *დე*, *ამა*...

შორისდებული

შორისდებული უდიურში არაა მრავლად წარმოდგენილი. დასტურდება შემდეგი შორისდებულები (ან ამ ფუნქციით გამოყენებული სხვა სიტყვები):

ად//პად “ეი”, “ოი”; პოდ “რაო?!", “როგორ?!", “ბიჭოს!"; კო “დიახ!"; ბასტა “კმარა!"; ბართა “დაე”; მივილა “აი”; ტივილა “აი” [იქ]; ტივე “აი” [იქ]!...

სინტაქსი

ატრიბუტული სინტაგმის ანალიზი

ატრიბუტული სინტაგმა სახელურ შესიტყვებას წარმოადგენს. ეს შესიტყვება საზღვრულისა და მსაზღვრელისაგან შედგება. მსაზღვრელი საზღვრულის რაიმე ნიშანზე, თვისებაზე მიუთითებს, განსაზღვრავს მას. საზღვრული ყოველთვის არსებითი სახელია, ან მასთან გათანაბრებული, გასუბსტანტივებული სახელია, ხოლო მსაზღვრელად შეიძლება გვექონდეს ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, მიმღეობა, ნაცვალსახელი ან ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი.

უდიურისათვის დამახასიათებელია ფორმაუცვლელი მსაზღვრელი, ანუ მსაზღვრული არ იბრუნვის და, მაშასადამე, არ ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, მაგ.:

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

სახ. ქალა ხოდ “დიდი ხე”

სახ. ქალა ხოდ-რუხ

ერგ. ქალა ხოდ-ენ

ერგ. ქალა ხოდ-როდ-ონ

ნათ. ქალა ხოდ-დაჲ

ნათ. ქალა ხოდ-როდ-ო[დ]

მიც. ქალა ხოდ-და[ხ]

მიც. ქალა ხოდ-როდ-ო[ხ]

აბლ. ქალა ხოდ-დახო

აბლ. ქალა ხოდ-როდ-ოხო

კომიტ. ქალა ხოდ-დახოლ[ან]

კომიტ. ქალა ხოდ-როდ-ოხოლ[ან]

ადეს. ქალა ხოდ-დასტა

ადეს. ქალა ხოდ-როდ-ოსტა

ალატ. ქალა ხოდ-დაჟ

ალატ. ქალა ხოდ-როდ-ოჟ

სუპერ. ქალა ხოდ-დალ

სუპერ. ქალა ხოდ-როდ-ოლ

ბენეფ. ქალა ხოდ-ენკ[ენა]

ბენეფ. ქალა ხოდ-როდ-ონკ[ენა]

იხ. აგრეთვე რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი მსაზღვრელად:

სახ. სა ხოდ “ერთი ხე”

ერგ. სა ხოდ-ენ
ნათ. სა ხოდ-დად
მიც. სა ხოდ-და[ხ]
აბლ. სა ხოდ-დახო...

* * *

სახ. მე ხოდ “ეს ხე”
ერგ. მე ხოდ-ენ
ნათ. მე ხოდ-დად
მიც. მე ხოდ-და[ხ]
აბლ. მე ხოდ-დახო...

შენიშვნა: როდესაც ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, მიმდგობა ან ნაცვალსახელი გამოყენებულია სუბსტანტივის ფუნქციით, ასეთ შემთხვევაში ეს სახელები ჩვეულებრივად იბრუნვის (სუბსტანტივად გამოყენებულ დასახელებულ სახელებს -ო სუფიქსი დაერთვის და ბრუნებისას, ირიბ ბრუნვებში, -ტ ჩანართოვანი ელემენტი იჩენს თავს), შდრ.:

სახ. ქალა-ო//ქალო-ო “დიდი”
ერგ. ქალა-ტ-ინ//ქალო-ტ-ინ
ნათ. ქალა-ტ-ად//ქალო-ტ-ად
მიც. ქალა-ტ-უ[ხ]//ქალო-ტ-უ[ხ]
აბლ. ქალა-ტ-უხო//ქალო-ტ-უხო...

* * *

სახ. სო-ო < სა-ო “ერთი”
ერგ. სო-ო-ტ-ინ
ნათ. მე სო-ო-ტ-ად
მიც. მე სო-ო-ტ-უ[ხ]

აბლ. მე სო-ო-ტ-უხო...

* * *

სახ. მე-ნ-ო “ეს”

ერგ. მე-ტ-ინ

ნათ. მე-ტ-ა[დ]

მიც. მე-ტ-უ[ხ]

აბლ. მე-ტ-უხო

მსაზღვრელი უდიურში, როგორც წესი, დაისმის საზღვრულის წინ. იშვიათად პოსტპოზიციური წყობა შეიძლება გვქონდეს. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელი ზოგჯერ ეთანხმება რიცხვში საზღვრულს, ხოლო ბრუნვაში შეთანხმება არც მაშინ დასტურდება, მაგ. (1):

(1) *ადამარ-უხ არ-ც-ი-ო-რ ბუინყუნ-ა ა=ყო=კ-ე ქალა ხაშ*

ადამიანი-PL დამსხდარი-LV-AOP-NA-PL ბნელი-DAT

ხილვა=3PI=ST-PERF დიდი ნათელი

“ადამიანებმა დამსხდართა ბნელში იხილეს დიდი ნათელი” (მთ. 4, 16)...

უნდა აღინიშნოს, რომ რიცხვითი სახელი და სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები (გოლრ “ბევრი” და სხვა) ჩვეულებრივ არ ითანხმებს საზღვრულს მრავლობით რიცხვში, მაგ. (2); (3):

(2) *ეს=ნე, თე ჟულან ჭვლავ-ი ხიბ დრე=ნე ქარხ-ესა*

თქმა:PRS=3SG COMP ამა და ამ ტყე-DAT ხუთი დევი=3SG

ცხოვრება-PRS

“ეუბნება, რომ ამა და ამ ტყეში სამი დევი ცხოვრობს” (რუსტამი);

(3) *ვა^ა გოლრ ყდრი დიუამ ეს=ყუნ=ი შე-ტ=აღ=ახო*

და ბევრი სხვა ლანძღვა თქმა: PRS=3PL=PST DIST-NO=ADD=ABL
 “და ბევრ სხვა ლანძღვას ეუბნებოდნენ მას [მისთვისაც]” (ლკ. 22, 65)...

ზოგჯერ გამონაკლისის სახით მსაზღვრელ რიცხვით სახელთან საზღვრული არსებითი სახელი იხმარება მრავლობით რიცხვში, მაგ. (4):

(4) ტელან ტე ჩო თაც-ი, ა=ტუ=კ-ი შო-ტ-უ ყეფრი პა^რ ვიჩი-მ-ღ-ოხ
 იქიდან DIST მხარე წასვლა: AOP-AOR ნახვა=3PL=ST-AOR
 DIST-NO-DAT ორი ძმა-O-PL-DAT
 “იქიდან იმ მხარეს წავიდა, დაინახა მან სხვა ორი ძმა [ძმანი]” (მთ. 4, 21)...

მსაზღვრელ-საზღვრულის აღვილის შენაცვლებით ხშირად წარმოიქმნება ერთგვარი კომპოზიტური წარმონაქმნი, რომელიც იბრუნვის როგორც ერთიანი სიტყვა (არსებითი სახელი), შდრ.:

სახ. ფულჭელალ ყოდნში	ყოდნში-ფულჭელალ “id”
“თვალამოსავარდნი მეზობელი”	
ერგ. ფულჭელალ ყოდნში-ნ-ენ	ყოდნში-ფულჭელალ-ენ
ნათ. ფულჭელალ ყოდნში-ნ	ყოდნში-ფულჭელალ-უნ
მიც. ფულჭელალ ყოდნში-ნ-ა[ხ]	ყოდნში-ფულჭელალ-ა[ხ]
აბლ. ფულჭელალ ყოდნში-ნ-ახო...	ყოდნში-ფულჭელალ-ახო

როგორც აღინიშნა ზემოთ, იშვიათად მსაზღვრელი და საზღვრული შეიძლება რიცხვში შეთანხმებული იყოს. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები საზღვრულის მიერ მსაზღვრელის მართვისა ნათესაობით ბრუნვაში, მაგ.:

სახ. უდი-ნ მუზ “უდიური ენა” [ზედმიწ. “უდის ენა”]
 ერგ. უდი-ნ მუზ-ენ
 ნათ. უდი-ნ მუზ-ნ-ა[დ]

მიც. უდი-ნ მუზ-ნ-უ[ხ]
აბლ. უდი-ნ მუზ-ნ-უხო..

* * *

სახ. დურუტუნ კოჯ “ხის სახლი”
დურუტ “ხე” [მასალა]
ერგ. დურუტუნ კოჯ-ენ
ნათ. დურუტუნ კოჯ-უნ
მიც. დურუტუნ კუა[ხ]
აბლ. დურუტუნ კუახო...

საზღვრული შეიძლება მართავდეს მსაზღვრელს პოსტპოზიციური წყობის დროსაც, მაგ. (5-7):

(5) ვა^ნ წი-ახ=ალ შე-ტ-ად ღა=ყუნ=ხ-ო: ემმანუილ
და სახელი-DAT=ADD DIST-NO-GEN დადება=3PL=LV-POT ემანუელ
“და სახელსაც მისსა დასდებენ: ემანუელ” (მთ. 1, 23);

(6) შეტაბახტინ-თე იშა=ნე ბაქ-ე ფახხალ-ღულ გრგ-ნ-ჰ
რადგან-COMP ახლოს=3SG COP-PERF მეფე-ABSTR ცა-O-GEN
“რადგან მოახლოვდა მეუფეება ცისა” (მთ. 4, 17);

(7) ვა^ნ ბუ=ნან ელ ქულ-ღ-ად
თქვენ COP=2PL მარილი მიწა-O-GEN
“თქვენ ხართ მარილი მიწისა” (მთ. 5, 13).

შენიშვნა: საზღვრულის მიერ მსაზღვრელის მართვის საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში უდიურის შესახებ არ არის განხილული. ვლ. ფანჩვიძის მოსაზრებით, მსაზღვრელი ამდაგვარ მაგალითებში ნაგენტივარ სახელს წარმოადგენს [ფანჩვიძე 1974: 104-105], რასაც შეუძლებელია დავეთანხმეთ. ჩვენი აზრით, მოყვანილ მაგალითებში მსაზღვრელი არ არის ნაგენტივარი ზედსართავი სახელი, არამედ წარმოადგენს ნათესაობით

ბრუნვაში დასმულ არსებით სახელს, შდრ. ქართული *ხის სახლი, ბავშვის საწოლი* და სხვა მრავალი. შემდეგი მაგალითები თვალნათლივ ცხადყოფს ამის შესახებ:

(8) ნუთ უღ^ა-აღ^ა=ზუ ტულ-ღ-ა ბუჰჰრ-ახო ბიხოღ-ო ფასჭად-ღულ ეღ-ამა
NEG დაღევა-FUT=1SG ყურძენი-O-GEN ნაყოფი-ABL ღმერთი-GEN
მეფე-ABSTR მოსვლა-ABS
“არ დავლევ ყურძნის ნაყოფისაგან ღვთის მეუფების მოსვლამდე” (ლკ.
22, 18);

(9) ვა^ა ჰაბუნ-უხ ბარ-აღ^ა=ყუნ გრგ-იხო ვა^ა ზორ გრგ-ნ-ად გაღ-კ-აღ^ა=ლე
და ვარსკვლავი-PL ჩამოცვენა-FUT=3PL ცა-ABL და ძალა ცა-O-GEN
შერყევა-LV-FUT=3SG
“და ვარსკვლავნი ჩამოსცვივიან ციდან და ძალა ცისა შეირყევა” (მრკ.
13, 25);

(10) ვა^ან-გენა სერ=რან=ბ-ე შო-ტ-უხ ბინა აბაზაკ-ღ-ომ
თქვენ-COMP ქმნა=2PL=LV-PERF DIST-NO-DAT ბინა ავაზაკი-PL-GEN
“თქვენ კი შექმენით ის ბინად ავაზაკთა” (მთ. 21, 13);

ასეთი მსაზღვრელ-საზღვრული ხშირად ქმნის კომპოზიტებს (Composita determinativa), რომელთა პირველი წევრი ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია, ხოლო მეორე – აბსოლუტივის (სახელობითი ბრუნვის) ფორმით წარმოდგენილი არსებითი სახელი: ნეპნა-ტიკ “ძილის გუდა” (ნეპ-ნა[ღ] “ძილის” + ტიკ “გუდა”), ბაბა-კოჯ “მამის სახლი”, “დედულეთი” (ბაბა-[ღ] “მამის” + კოჯ “სახლი”), მუჭანაყნა-ჩო “ნაღები” (მუჭანაყნა[ღ] “რძის” + ჩო//ჩ^აო “პირი”), ჟენე-ელ “ქვამარილი” (ჟენე[ღ] “ქვის” + ელ “მარილი”), უენა-ხოდ “ნიგვზის ხე” (უენ-ნა[ღ] “ნიგვზის” + ხოდ “ხე”) ჭუნა-ხუბ “ერბოს ფლავი” (ჭუნ-ნა[ღ] “ერბოს”, “ცხიმის” + ხუბ “ფლავი”), კოკოწუნ-კოჯ “საქათმე” (ზედმიწ. “ქათმის სახლი” კოკოწუნ-უნ “ქათმის” + კოჯ “სახლი”), ხალიკუნ-ღარ “ბიძაშვილი” [ღედის მხრიდან] (ხალიკუნ-უნ “ბიძის” + ღარ “შვილი”), თურინ-

ლექერ “ფესსაცმელი” (ზედმიწ. “ფესის ჭურჭელი” თურ-ინ “ფესის” + ლექერ “ჭურჭელი”)...

ზოგჯერ საზღვრულის მიერ მართულ მსაზღვრელს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -მ/-ი დაკარგული აქვს და იგი გაუფორმებელი ფუძითაა წარმოდგენილი და, შესაბამისად, ნომინატივის ფორმას ემთხვევა, მაგ.: ბაბა-კოჟ (< ბაბაჲ-კოჟ) “მამის სახლი”...

პრედიკატული სინტაგმის ანალიზი

პრედიკატული სინტაგმა შედგება პრედიკატისაგან (შემასმენელი) და სუბიექტისაგან (ქვემდებარე): შემასმენელი და ქვემდებარე პრედიკატული სინტაგმის მთავარი წევრებია; მათ გარდა შეიძლება სხვა წევრებიც გვქონდეს, ესენია: დამატება (პირდაპირი და ირიბი), განსაზღვრება და გარემოება (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზნისა და მიზეზისა).

პრედიკატული სინტაგმის კონსტრუქციები

უდიურ ენაში პრედიკატული სინტაგმის ოთხი ტიპის კონსტრუქცია გამოიყოფა; ესენია: ნომინატიური, ერგატიული, დატიური (ინვერსიული), პოსესიური (გენიტიური). პირის ნაცვალსახელთა სუბიექტად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ინდეფინიტიური კონსტრუქციის შესახებ (უდიურ ენაში პირის ნაცვალსახელთა სახელობითისა და ერგატივისათვის ერთი ფორმა გვაქვს).

ნომინატიურ კონსტრუქციაში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, უდიურში პრედიკატს გარდაუვალი ზმნა წარმოადგენს, ხოლო სუბიექტს – ნომინატივით წარმოდგენილი სახელი (გაუფორმებელი ფუძე).

ერგატიული კონსტრუქციის შემადგენელი ნაწილებია: გარდამავალი ზმნა და მასთან დაკავშირებული ორი სახელი – რეალური სუბიექტი ერგატივში და პირდაპირი ობიექტი მიცემითსა ან სახელობითში. პირდაპირი ობიექტის გადმოცემა მიცემითის ფორმით მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან მხოლოდ უდიურისთვისაა დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ ერგატივში დასმული სახელი რამდენიმე ერთპირიან (*ახშუმ-ეს* “სიცილი”; *ახშუმ-ფ-ეს* “გაცინება”) და გრძნობა-აქმის ზმნებთანაც გვევლინება რეალურ სუბიექტად.

დატიურ (ინვერსიულ) კონსტრუქციას ოციოდე ზმნა ქმნის. უნდა აღინიშნოს, რომ ნიჯურ კილოში დატიური კონსტრუქცია მთლიანად მოშლილია, ხოლო ვართაშნულში იგი მოშლის პირასაა მისული – ამჟამად, როგორც წესი, *verba sentiendi*-ს ტიპის ზმნების სუბიექტი დასმულია ერგატიულ ბრუნვაში, თუმცა XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში, როგორც

უდიური ტექსტობრივი მასალიდან ირკვევა (უდიური ოთხთავი, ზღაპარი “რუსტაშ”, უდიური საანბანო-საკითხავი წიგნი “სამჯი დჷს” და სხვა), ვართაშნულში თანაბრად გამოიყენებოდა მიცემითი და ერგატიული ბრუნვის ფორმები (ბუნებრივია, გრძნობა-აღქმის ზმნათა სუბიექტის დასმა ერგატივში მეორეული მოვლენაა):

(1) ტე ვახტა *იხუს-ა ანდახ=ტუ=ბ-ი იხ-ენ იხ-ბოშ, თე ჭერ-ი=ნე იხ-ხო ზორ*

DIST მაშინ *იხლო-DAT გრძნობა=3SG=LV-AOR* თვითონ-ERG თვითონ-LOC
 COMP წართმევა:AOP-AOR=3SG თვითონ-LOC ძალა

“მაშინ *იხლომ იგრძნო თავის თავში, რომ მას ძალა გამოსვლია (წართმევია)*” (მრკ. 5, 30);

მაგრამ:

(2) შეტაბახტინ-თე *იროდ-ენ ბუ=ტუ=ყ-სა აჲელ-ახ ფურუკ-ა=ნე*

რადგან-COMP *პეროდე-ERG სურვილი=3SG=ST-PRS* ბავშვი-DAT
 მოძებნა-SUBJ=3SG

“რადგანაც *პეროდეს სურს ბავშვი მოძებნოს*” (მთ. 2, 13).

მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი ერგატივშია დასმული, გრძნობა-აღქმის ზმნები ვართაშნულში ინარჩუნებენ მიცემით-სუბიექტიანი სერიის პირის ნიშნებს, რაც გვაძლევს კიდევ დატიური კონსტრუქციის გამოყოფის საფუძველს.

უდიურ ენაში დატიური კონსტრუქცია თავისებურებას იჩენს: პრედიკატად ასეთ კონსტრუქციაში, გრძნობა-აღქმის გარდაუვალი ზმნების გარდა, გარდამავალი ზმნებიც გვევლინება: *აბაბაქ-ეს* “ცოდნა”; *აკ-ეს* “ხედვა”; *ანდახბ-ეს* “გრძნობა”; *ბაქ-ეს* (როდესაც გამოიყენება “შეძლების” მნიშვნელობით); *ბუყ-ეს* (როდესაც გამოიყენება “შეყვარების”, “ნდომის”, “მოსურვების” მნიშვნელობით); *იბაქ-ეს* “მოსმენა”; *იხბ-ეს* “მოგონება”, “გახსენება”; *ჩალხ-ეს* “ცნობა”.

რეალური ობიექტი, ერგატიული კონსტრუქციის მსგავსად, აქაც სახელობითსა ან მიცემითში გვექნება.

პოსესიურ (გენტიურ) კონსტრუქციას მხოლოდ ერთი დეფექტური ზმნა ბუ “ქონა”, “ყოლა” ქმნის (ის მხოლოდ აწმეოსა და ნამყო-უწვევეტელის დროებს აწარმოებს, ხოლო დანარჩენ პარადიგმას ბაჭეს “ყოფა”, “არსებობა” “გახდომა” ზმნის დრო-კილოები ავსებენ). პოსესიური კონსტრუქციის სუბიექტია ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი. ზმნა ბუ “ყოფნის” მნიშვნელობითაც გამოიყენება და, ასეთ შემთხვევაში, იგი ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის, მაგ. (3):

(3) ზუ ბუ=ზუ

მე COP=1SG

“მე ვარ”.

განსხვავებული ვითარება დასტურდება ნიჯის დიალექტში. ვართაშნულ კილოში “ქონა”-“ყოლის” აღმნიშვნელი ზმნის კონსტრუქციისთვის (ნიჯ. ფუუ) დამახასიათებელი პოსესიური (გენტიური) სერიის პირის ნიშნები შეიცვალა მიცემით-სუბიექტიანი სერიის პირის ნიშნებით, თუმცა მისი სუბიექტი, ვართაშნულის მსგავსად, ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ. (4):

(4) ზაქარ-ან ფუუ-თუხ-ი სა ჩუვეხ, იხ ცუი ძეთარ

ზაქარია-DAT ყოლა=3SG=PST ერთი ცოლი თავისი სახელი ეთერი

“ზაქარიას ჰყავდა ცოლი, მისი [თავისი] სახელია ეთერი”...

გრძნობა-აქმის ზმნების შემცვლელი დატიური კონსტრუქცია ნიჯურში, ვართაშნულისაგან განსხვავებით, შეიცვალა ერგატიულით: სუბიექტად *verba sentiendi* ზმნებთან მხოლოდ ერგატივში დასმული სახელი გვხვდება და, ამასთან, გამოიყენება სახელობით-ერგატივიანი სერიის პირის ნიშნები.

უდიურში ირიბი ობიექტის ბრუნვა ყველა კონსტრუქციასთან არის მიცემითი. ამას გარდა, ირიბ ობიექტად შეიძლება სუპერასივისა და -ლახო “ზე”, “ზედა” თანდებულდართული ნათესაობითის ფორმით შეგვხედეს.

პრედიკატი

შემასმენელი უდიურში გამოიხატება, როგორც წესი, ზმნის პირიანი ფორმით (თუმცა ნაზმნარსახელიანი კონსტრუქციები დასტურდება), მაგ. (5):

(5) ფასჭად *ჭე=ნე=სა, ბე=ნე=ღ-სა, აე=ნე=სა*

მეფე *გამოსვლა=3SG=PRS ხედვა=3SG=ST-PRS აღება=3SG=PRS*

“*მეფე გამოდის, ხედავს, ჰკვირდება*” (რუსტ.).

უდიურს მოეპოვება ორგვარი აგებულების შემასმენელი – მარტივი და რთული. მარტივი აგებულებისაა, მაგალითად: *ბანექსა//ბაქსანე* “არის”, “ხდება”, *ბესანე* “აკეთებს”, *ენესა//ესანე* “მოდის”, *ატუქსა* “ხედავს” და ა.შ. მარტივი აგებულების ზმნების რიცხვი უდიურში არ არის დიდი – იგი ექვს-შვიდ ათეულს არ აღემატება.

რთული აგებულების შემასმენლებია: *აზარუ-ნე-ბაქსა* “ავად ხდება”, “ავადმყოფობს” (*აზარუ* “ავადმყოფი” + *ბაქ-ეს* “ყოფა”, “გახდომა”); *აშ-ნე-ბესა//აშ-ბესა-ნე* “მუშაობს” (*აშ* “საქმე” + *ბ-ეს* “კეთება”)...

უდიურს მოეპოვება რთული შემასმენლის რამდენიმე სახეობა:

1. სუბიექტ შერწყმული შემასმენელი, მაგ.: *აღალა=ნე=სა* < **აღალა=ნე=ესა* “წვიმა მოდის”, “წვიმს”...
2. ობიექტ შერწყმული შემასმენელი, მაგ.: *აშ=ნე=ბესა* “საქმეს აკეთებს”, “მუშაობს”...
3. ადიექტივ შერწყმული (ადვერბ შერწყმული) შემასმენელი, მაგ.: *შელ=ლე=ბესა* “კარგად ხდის” (ზედმიწ. “კარგად აკეთებს”, არჩენს”...
4. ინფინიტივ შერწყმული შემასმენელი, მაგ.: *აშ-ბეს=ნე=დესა* “მუშაობას აკეთებინებს”, “ამუშავებს”...
5. მიმდევობა//აბსოლუტივ შერწყმული შემასმენელი, მაგ.: *არი-არ=რე=ცესა* “მოსული (ზედმიწ. “მოდის რა”) ჯდება”...

გარდა ასეთი შემასმენლისა უდიურში პირიან ზმნას ადვილად დაერთვის სხვა სიტყვები და იქმნება ერთი მთლიანი სინტაგმა (თხზული შემასმენელი), მაგ. (6-9):

(6) შე-ნ-ო *ე-სა-ბეღ-სა=ნე=თაღ-სა*

DIST-O-NA მოსვლა-PRS-ყურება-PRS=3SG=მოსვლა-PRS

“ის მოდის, უყურებს, [და] მიდის”;

(7) შე-ტ-ინ მე ხუპ-ას *უქ-სა=ნე=მარც-ვეკ-ესა*

DIST-NO-ERG PROX ფლავი ჭამა-PRS=3SG=გათავება-CAUS-PRS

“ის ამ ფლავს ჭამს-და-ათავებს”;

(8) მე თწმბწლ-ენ *უქ-ალ-ბოშ-ალ-ბასკ-ალ=ლე*

PROX ხარმაცი-ERG ჭამა-FUT-დღომა-FUT-დაწოლა-FUT=3PL

“ეს ხარმაცი შეჭამს-გაძღება, წამოწება”;

(9) ტე ხინწრ-ენ *ბეღ-ი-ბეღ-ი=ნე=თაც-ი*

DIST ქალიშვილი-ERG ყურება-AOR-ყურება-AOR=3SG=წახვლა-AOP-AOR

“ის ქალიშვილი უყურა-უყურა [და] წავიდა”.

თხზულ შემასმენელში პირის ნიშანი ჩვეულებრივ ბოლოსა და ბოლოსწინა კომპონენტებს შორის იკავებს ადგილს.

შესაძლებელია, რომ რთულმა შემასმენელმა ინკორპორაცია მოახდინოს რომელიმე საგარემოებო ან მსაზღვრული სიტყვისა, აბსოლუტივის. ინკორპორირებული ინგრედიენტი წინ დაერთვის ზმნის პირიან ფორმას – ამასთან ისე, რომ პირის ნიშანი აქაც მოექცევა ხოლმე შერწყმულ ფუძე-ფორმათა შორის, მაგ. (10):

(10) შე-ტ-ინ *კიწი=ნე=აშ-ბ-ე*

DIST-NO-ERG ცოტა=3SG=მუშაობა-LV-PERF

“მან ცოტა იმუშავა”.

უდიურში შემასმენელი შეიძლება გართულდეს რაიმე კლიტიკის (ნაწილაკის) დართვით (უარყოფითი, კითხვითი და ა.შ.), მაგ. (11):

(11) ალალა თე=ნე=ესა

წვიმა NEG=3SG=მოსვლა-PRS

“წვიმა არ მოდის”..

უდიურში სინქრონიულ დონეზე ცალკე არსებული პირის ნიშანი შეიძლება შემასმენლის ფუნქციით მოგვევლინოს. ეს ვითარება, როგორც წესი, გამოწვეულია მეშველი ზმნის (**ბუ** “ყოფნა”) დაკარგვით, ისე, რომ მის ფუნქციით ოდენ პირის ნიშანი გვრჩება, მაგ. (12):

(12) უნ=ნუ შო-ნ-ო, მანო-თე გპრზგ ელ=ანე?

შენ=3SG DIST-O-NA რომელი-COMP საჭირო მოსვლა:PART=Q=3SG

“**შენ ხარ** ის, რომელიც უნდა მოვიდეს?” (მთ. 11, 3).

შემასმენლის ფუნქციით ზოგჯერ გამოდის ნაზმნარი სახელი – მიმღეობა და აბსოლუტივი. ამის გამო უდიურში დასტურდება სპეციფიკური კონსტრუქციები. აღსანიშნავია, რომ ამ კონსტრუქციებში ნაზმნარი სახელი ისევე მართავს ქვემდებარესა და დამატებას ბრუნვაში, როგორც ზმნის პირიანი ფორმა.

შემასმენლის ფუნქციით ჩვეულებრივია სრული სახის მიმღეობა. სხვა ენებზე თარგმანის დროს შემასმენელი-მიმღეობა აბსოლუტივის მნიშვნელობას გვაძლევს, მაგ. (13-15):

(13) ადამარ-დ-ოს აკ-ი, შო-ნ-ო ლად=ნე=ც-ი ბურდ-ოლ

ადამიანი-PL-DAT დანახვა-AOP DIST-O-NA ასვლა:AOP=3SG=LV-AOR

მთა-SUPER

“**დაინახა რა** (ზედმიწ. დანახული) ხალხი, ის ავიდა მთაზე” (მთ. 5, 1);

(14) ისუს-ენ, ქეს ბოხო-დ-ი, ლაფ=ნე=დ-ი შე-ტ-ულ ვა^ნ ფ-ი=ნე

იესო-ERG ხელი:DAT გაშლა-LV-AOP შეხება=3SG=LV-AOR

DLOG-NO-SUPER და თქმა-AOR=3SG

“**იესომ, გაშალა რა ხელი, შეეხო მას და თქვა**” (მთ. 8, 3);

(15) რუსტამ, დრვ-ნ-უს *ბეს-ბ-ი*, ე=ნე=სა კუა

რუსტამი დევი-O-DAT მოკვლა-LV-AOP მოსვლა=3Sg=PRS სახლი:DAT

“*რუსტამს მოეკლა რა დევი, მოდის სახლში*” (რუსტ.).

მიმდებარი კონსტრუქციები უდიურში ძალზე გავრცელებულია.

აბსოლუტივი, როდესაც გამოყენებულია შემასმენლის ფუნქციით, ისევე მართავს სუბიექტსა და ობიექტს იმ ბრუნვაში, რა ბრუნვასაც მოითხოვს მათგან ზმნის პირიანი ფორმა, მაგ. (16-17):

(16) ვა^ა არ-ე=დან შო-ტ-უ *ბულ-კოწ-ბ-ესან*

და მოსვლა-PERF=1PL DIST-NO-DAT *თავი-მოხრა-LV-ABS*

“*და მოვედით მას თავი მოუეხაროთ [მოსახრელად]*” (მთ. 2, 2).

(17) ტიდა ბაქ-ა, ზუ ვახ *უკ-ამა*

იქ ყოფა-IMP მე შენ:DAT თქმა:PART-ABS

“*იქ იყავ, ვიდრე მე შენ გეტყვი [თქმამდე]*” (მთ. 2, 13).

რეალური სუბიექტი

უდიურ ენაში რეალური სუბიექტი ოთხი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული, ესენია: სახელობითი (აბსოლუტივი); ერგატივი; მიცემითი; ნათესაობითი.

სახელობითი ბრუნვა – გაუფორმებელია. აბსოლუტივის ფორმით გადმოცემულია გარდაუვალი ზმნის რეალური სუბიექტი, მაგ. (18-20):

(18) ამმა უსინ გრგ ყა=ნ *ოჩა^ალ* ფას=ნე=ბაქ-ო, ზაკონ-ახო სა ხაზ აჩ^ა-ამა

მაგრამ ჩქარა ცა და=3SG დედამიწა დაირღვევა=3SG=LV-POT კანონი-ABL

ერთი ხაზი დაკარგვა-ABS

“*მაგრამ უფრო ადრე ცა და დედამიწა დაირღვევა კანონის ერთი*

პქარის დაკარგვამდე” (ლკ. 16, 17);

(19) ბართა, თამყანბაქი ფესამბარ-უნ **ფ-ი-ო**

INTJ ასრულება=JUSS=3SG=LV-AOR მოციქული-GEN თქმა-AOP-NA
“დაე, აღსრულდეს მოციქულის **ნათქვამი**” (მთ. 2, 23);

(20) არ-იყუნ ერუსალიმ-ა **ბილიჯი-უს** ბელჭელ-ალ ამ-ესო

მოსვლა:AOP=3PL იერუსალიმი-DAT ბრძენი-PL აღმოსავლეთი-(AOP)
მხარე-ABL

“**მოვიდნენ იერუსალიმს ბრძენნი აღმოსავლეთის [მზის ამოსვლის]**
მხრიდან” (მთ. 2, 1).

ერგატიული ბრუნვა – მისი ფორმით გადმოცემულია გარდამავალი ზმნის რეალური სუბიექტი. ერგატივის ფორმა თანაბრად იხმარება ყველა დრო-კილოს ფორმასთან და ქართულ თარგმანში მას შეესატყვისება ხან მოთხრობითი, ხან სახელობითი, ხოლო ზოგჯერ – მიცემითი ბრუნვაც, მაგ. (21-23):

(21) ვა^ა ფ-ი=ნე **ისუს-ენ** ბაჩ-ნ-ა ქალა-ტ-უ

და თქმა:AOP-AOR=3SG იესო-ERG ასეული-O-GEN უფროსი-O-DAT
“**და უთხრა იესომ ასეულის უფროსს [ასისთავს]**” (მთ. 8, 13);

(22) შეტაბახტინ-თე ჰარსა **ბეს-ალ-ტ-ინ** ა=ნეყ-სა

რადგან-COMP ყოველი თხოვა-AOP-NO-ERG მიღება=3SG=ST-PRS
“**რადგანაც ყოველი მოხოვნელი [მი]იღებს**” (მთ. 7, 8);

(23) პურან თა=ნე=სა **შედთან-ენ** შო-ტ-უ გრლრ აღა-ლ-უ ბურღ-ოლ

კვლავ მისვლა:MSD=3SG=PRS ეშმაკი-ERG DIST-NO-DAT ბევრი
მაღალი-O-DAT მთა-SUPER

“**კვლავ მიჰყავს ეშმაკს იგი ძალიან მაღალ მთაზე**” (მთ. 4, 8).

რამდენიმე შემთხვევაში ერგატივის ფორმა რეალურ სუბიექტად ერთპირიან გარდაუვალ ზმნასთანაც დასტურდება, მაგ.: *ახშუმ-ეს* “სიცილი”; *ახშუმ-ფ-ეს* “გაცინება”, მაგ. (24):

(24) *შე-ტ-ინ* ახშუმ=ნე=სა
DIST–NO–ERG სიცილი=3SG=PRS
“*იგი იცინის*”...

საფიქრებელია, რომ ფორმა *ახშუმ-ეს* “სიცილი” ერგატივში დასმულ სუბიექტს მოითხოვს კომპოზიტური ზმნის *ახშუმ-ფ-ეს* “გაცინება”-ს ანალოგიით, რომლის მეორე კომპონენტი – ფ-ეს (ცალკე აღებული “თქმის” მნიშვნელობა აქვს), ჩვეულებრივად გარდამავალ ზმნებს აწარმოებს.

მიცემითი ბრუნვა – მისი ფორმით გადმოცემულია გრძნობა-აღქმის (*verba sentiendi*) ზმნების რეალური სუბიექტი. ამ ზმნების რიცხვი უდიურში ორ ათეულს არ აღემატება, ესენია: *აბაბაქ-ეს* “ცოდნა”; *აკ-ეს* “ხედვა”; *ანდახბ-ეს* “გრძნობა”; *ბაქ-ეს* (როდესაც გამოიყენება “შექლების” მნიშვნელობით); *ბუყ-ეს* “ყვარება”, “ნდომა”, “სურვილი”, “წადილი”; *იბაქ-ეს* “მოსმენა”; *იღარიბ-ეს* “ცივება”; *იხბ-ეს* “მოგონება”, “გახსენება”; *მიბ-ეს* “ცივება”; *ოტბ-ეს* “დარცხვენა”; *ქეჭილლაფტ-ეს* “წყენა”; *ყოფ-ეს* “შეშინება”; *ხალხ-ეს* “ცნობა”..., მაგ. (25-27):

(25) *ტე ვახტა ისუს-ა ანდახ=ტუ=ბ-ი იხ-ენ იხ-ბოშ, თე ჭერ-ი=ნე იხ-ხო ზორ*
DIST მაშინ *იესო*–DAT *გრძნობა*=3SG=LV–AOR თვითონ–ERG თვითონ–LOC
COMP წართმევა:AOP–AOR=3SG თვითონ–LOC ძალა
“*მაშინ იესომ (მიც.) იგრძნო თავის თავში, რომ მას ძალა გამოსვლია (წართმევა)*” (მრკ. 5, 30);

(26) ვა^ს თე=ტუ=აბა=ფ *შე-ტ-უხ*, ეთარ ახრახ შე-ტ-ინ ბი=ნე=ხ-ი იხ
და NEG=3SG=ცოდნა=PST DIST–NO–DAT როგორი ბოლოს DIST–NO–ERG
შობა თვითონ
ბეშ-უმჯი ღარ-ახ

მე:GEN-COLL Svili-DAT

“და არ იცოდა იგი, თუ მან როგორ შობა ბოლოს თავისი პირველი შვილი” (მთ. 1, 25);

(27) ტალან ტე-ჩ^ო თა-ც-ი, ა=ტუ=კ-ი შო-ტ-უ ყეფრი პა^ს ვინი-მ-უღ-ონ
იქიდან DIST+მხარე წასვლა:AOP-LV-AOR დანახვა=3SG=ST-AOR
DIST-NO-DAT სხვა ორი ძმა-O-PL-ERG

“იქიდან იმ მხარეს წავიდა, დაინახა მან სხვა ორი ძმა” (მთ. 4, 21).

გრძნობა-აღქმის ზმნების სუბიექტი ამჟამად ხშირად გვხვდება ერგატიული ბრუნვის ფორმით, მაგ. (28):

(28) შეტახსტინ-თე იროდ-ენ ბუ=ტუ=ყ-სა პეღლ-ას ქურუკ-ა=ნე
რადგან-COMP ჰეროდე-ERG სურვილი=3SG=ST-PRS ბავშვი-DAT
მოძებნა-SUBJ=3SG

“რადგანაც ჰეროდეს სურს ბავშვი მოძებნოს” (მთ. 2, 13).

მიცემითის შეცვლა ერგატივით ახალ მოვლენას წარმოადგენს და გამოწვეულია უღვლილების უნიფიკაციის ტენდენციით. ვართაშნულში მიცემითის შეცვლა ერგატივით ხშირ მოვლენას წარმოადგენს, ხოლო ნიჯურში ეს პროცესი დასრულებულია – მიცემით-სუბიექტიანი უღვლილება მოშლილია, და თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ შემთხვევას, არ დასტურდება მიცემით-სუბიექტიანი სერიის პირის ნიშნები.

ნათესაობითი ბრუნვა – მისი ფორმით გადმოცემულია “ქონა”-“ყოლის” აღმნიშვნელი ზმნის (ბუ – ამ ზმნას “ყოფნის” მნიშვნელობაც აქვს. ამ შემთხვევაში იგი ნომინატიურ კონსტრუქციას ჰქმნის) რეალური სუბიექტი. (ბუ ზმნის პარადიგმა დეფექტურია – იგი მხოლოდ აწმყოსა და იმპერფექტის ფორმებს აწარმოებს, ხოლო დანარჩენ პარადიგმას **ბაქეს** ზმნის ფორმები ავსებენ), მაგ. (29-31):

(29) იოან-ი იხი ბუ=ტა=ფ ვართალ ბუშ-ე ფოფნ-უხო

იოანე-GEN თვითონ ქონა=3SG=PST თანისამოსი აქლემი-GEN ბეწვი-ABL

“იოანეს თვითონ ჰქონდა ტანისამოსი აქლემის ბეწვისაგან” (მთ. 3, 4);

(30) ტე-თჳრ *ეჭი* ისა ბუ=ეფ დჳრდ

DIST+COMP თქვენ ახლა ქონა=2PL მწუხარება

“იმგვარადვე *თქვენ* ახლა გაქვთ მწუხარება” (ინ. 16, 22);

(31) მე *ჩობან-ი* ბა=ტა=ქ-ე=ჲ სა ჩიბუს

PROX მწყემსი–GEN ყოლა=3SG=ST–PERF=PST ერთი ცოლი

“ამ *მწყემსს* ჰყავდა ერთი ცოლი (რუსტ.).

საყურადღებო ვითარება დასტურდება ნიჯურ კილოში. “ქონა”-“ყოლის” აღმნიშვნელ ზმნას დაერთვის მიცემით-სუბიექტიანი პირის ნიშნები, ხოლო სუბიექტი, მსგავსად ვართაშნულისა, ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ. (32):

(32) *ზაქარ-ჲ* ფუ=თუხ=ი სა ჩუეუს, იხ ცუი დეთჳრ

ზაქარია–DAT ყოლა=3SG=PST ერთი ცოლი თავისი სახელი ეთერი

“*ზაქარიას* (ნათ.) ჰყავდა ცოლი, მისი [თავისი] სახელია ეთერი”...

რეალური ობიექტი

პრედიკატულ სინტაგმაში რეალური ობიექტი რეალურ სუბიექტზე არანაკლები მნიშვნელობისაა. რეალური ობიექტი უდიურში ორი ბრუნვის ფორმით არის გადმოცემული, ესენია: სახელობითი და მიცემითი. აღსანიშნავია, რომ სახელობითი ბრუნვა მხოლოდ პირდაპირ ობიექტს გადმოგვცემს, ხოლო მიცემითის ფორმა როგორც პირდაპირ, ისე ირიბ ობიექტად გვევლინება.

ობიექტის ბრუნვათა თვალსაზრისით მნიშვნელობა არ აქვს დრო-კილოთა ჯგუფებს:

პირდაპირი ობიექტი სახელობითში (33-34):

(33) რუსტამ-ენ ეხ=ნე: შელ! ჰაზირ-ბ-ა=ნან ვუღ *ყათირ*, სა *თავარ*,

რუსტამი–ERG თქმა:PRS=3SG კარგი მომზადება–LV–IMP=2PL შვიდი

სახედარი

სა *კირო*, ჰარო პა^აწვე *ფუთ*

ერთი ცული თითო თორმეტი ფუთი

“*რუსტამი ეუბნება: კარგი! მოამზადეთ შვიდი სახედარი, ერთი ცული, ერთი კირო, თითო თორმეტი ფუთი*” (რუსტ.);

(34) *ჰუნარ* რუსტამ-ენ=ნე ბ-ესა

საგმირო საქმე რუსტამი-ERG=3SG კეთება-PRS

“*საგმირო საქმეს* რუსტამი აკეთებს (რუსტ.).

პირდაპირი ობიექტი მიცემითში (35-36):

(35) მიგილა, ზუ დაყა=ზ=ბ-ესა ბეზ *ძარიშტინ-ა* ვი-ბე^აშ

ამ წამს მე გაგზავნა=1SG=LV-PRS ჩემი ანგელოზი-DAT შენ-LOC

“ამ წამს მე ვგზავნი ჩემ *ანგელოზს* შენს წინაშე!” (მრკ. 1, 2).

(36) უ=ყუნ=ჩერ-ი შე-ტ-ა-ტოლოლ ბუთუნ *აზარ-ულ-ოხ* ვა^ა *ჯინბატ-ღ-ოხ*

მოყვანა=3PL=ST-AOR DISთ-NO-DAT-LOC ყველა ავადმოფი-PL-DAT და

შეპყრობილი-PL-DAT

“მოიყვანეს მასთან ყველა *ავადმოფი* და *ავი სულით შეპყრობილი* [ავი სულით]” (მრკ. 1, 32).

ორიბი ობიექტი მიცემითში (37-38):

(37) ვა^ა შოტ-ღ-ოხო=ალ ყედრი=ორ, მე-ტ-ღ-ონ-თე ფ-ი=ყუნ *აპოსტოლ-ღ-ო*

და DLOG-PL-ABL=ADD სხვა-PL PROX-NO-PL-ERG-COMP

თქმა:AOP-AOR=3PL მოციქული-PL-DAT

“და მათგანაც სხვანი, რომელთაც უთხრეს *მოციქულებს*” (ლკ. 24, 10);

(38) თაქ-ე=ნან, უფ-ა=ნან *იოან-ახ*, ეკა-ვა^ა-ი-ბაქ-სა

წასვლა:IMP-PERF=2PL თქმა:IMP-IMP=2PL იოანე-DAT

რა-თქვენ-სმენა-LV-PRS

“წადით [და] უთხარით *იოანეს*, რაც თქვენ გესმით” (მთ. 11, 4).

გარდა ამისა, ირიბ ობიექტად შეიძლება სუპერასივის და *-ლახო* “ზე”, “ზედა” თანდებულდართული ნათესაობითის ფორმით შეგვეხედვს.

სუპერასივით გადმოცემულია, მაგ. (39-40):

(39) ქა-ტ-ინ *ზა-ლ* თე=ნე=ეს-ა

MED-NO-ERG მე:DAT-SUPER NEG=3SG=თქმა:PRS-PRS

“ეგ *ჩემზე* (სუპერ.) არაფერს მეუბნება”

(40) თქქ *ჩურ-ალ* ღარ-ი=ნე

ჯიხვი ფური-SUPER მსგავსება-AOR=3SG

“ჯიხვი *ფურს* (ზედმიწ. *ფურზე*) ჰგავს.

-ლახო “ზე”, “ზედა” ადვერბიალური თანდებულთა და მის მიერ მართული სახელით (ნათესაობითში) გამოხატული, მაგ. (41):

(41) უნ *ბეზ-ლახო* უსინ-უსინ ქწლიზ-ცამ-ფ-ა

შენ მე:GEN-LOC ჩქარა+ჩქარა წერილი-მომწერა-LV-IMP

“შენ *მე* (ზედმიწ. *ჩემზე*) ხშირად (ჩქარა-ჩქარა) მომწერე წერილი”...

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირდაპირი დამატება ორი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული – დატივითა და აბსოლუტივით (სახელობითი). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ სახელობითის ფორმით გადმოცემულია ამ დამატების განუსაზღვრელი ფორმა, ხოლო მიცემითით – განსაზღვრული ფორმა (კ. შუხარტი). ეს დებულება შეგვიძლია მხოლოდ ნაწილობრივ გავიზიაროთ: როდესაც პირდაპირი დამატება შემასმენელს წინ უსწრებს და წარმოდგენილია დატივით, გვეძლება დამატებას განსაზღვრული ფორმა, მაგ.: *უხტან კუახ სერ-რე-ბე* “ოსტატმა *სახლი* (მიც.) აავო” – ის “სახლი”, რაზედაც უკვე ითქვა...

როდესაც შემასმენელს მისდევს პირდაპირი დამატება, იგი ფაკულტატიურად დაისმის სახელობითსა და მიცემით ბრუნვაში, მასთან ისე, რომ ამ ორი ბრუნვის ფუნქცია ასეთ შემთხვევაში არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგ.: ღარა ბუტყუსა *ხინწრ-ა//ხინწრ* “ვაქს უყვარს *ქალიშვილს//ქალიშვილი*”...

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ უდიურში აკუზატივი (ა. ღირი; ზოგიერთი მკვლევარი ამ “ბრუნვას” აფექტივს უწოდებს – ა. შიფნერი, ფ. მიულერი, რ. ერკერტი) ან ორი მიცემითი ბრუნვა უნდა გვქონდეს (ვლ. ფანჩვიძე, ვ. შულცე...). ჩვენი აზრით, ორივე შემთხვევაში ეს არ არის გასაზიარებელი. აღსანიშნავია ამ “ბრუნვათა” ფუნქციური ტოლობა – “ორივე” ერთნაირად გამოყენებულია სუბიექტად *verba sentiendi* ზმნებთან, პირდაპირ და ირიბ ობიექტად და ლოკატივად. საყურადღებოა, რომ ამ “ფორმათა” ფაკულტატიურად ხმარება ლექსიკური მნიშვნელობის შეუცვლელად და, ასევე, არ წარმოადგენს სირთულეს მიცემითი ბრუნვის ნიშანთა ორი ჯგუფის (*ბ* თანხმოვნით და მის გარეშე) ერთმანეთთან ფონეტიკურად დაკავშირება. უეჭველია, რომ სინქრონულ დონეზე უდიურში ერთი მიცემითი ბრუნვა გვაქვს. საყურადღებოა მიცემით-სუბიექტიანი ზმნების პირის ნიშნების =*ზახ*, =*ვახ*, =*აახ*, =*ვა^ახ*, =*ტუხ*, =*ყოხ*... ჩვენება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ისტორიულადაც უდიურში ერთი მიცემითი უნდა გვქონოდა.

პრედიკატული სინტაგმის წევრთა მართვა-შეტანხმების საკითხი

მართვა

უდიურში შემასმენელი ჩვეულებრივ მისდევს ქვემდებარეს, მართავს ქვემდებარესა და დამატებას ბრუნვაში და იმართვის სუბიექტის მიერ პირის მიხედვით. უდიურში ქვემდებარესა და დამატებას მართავს სახელზმნური ფორმებიც. მაშასადამე, უდიურში პრედიკატული მნიშვნელობის წევრებად გვევლინება როგორც ზმნის პირიანი ფორმა, ისე მასდარი (ორივე ფორმა), მიმღეობისა და აბსოლუტივის ფორმები.

თუ წინადადება შეიცავს სრული სახის მიმდებარებას ან აბსოლუტივის ამა თუ იმ ფორმას და წინ უძღვის მას, მაშინ ის იმართვის სასახელებული სახელზმნური ფორმებისაგან ბრუნვაში. თუ ზმნის პირიანი ფორმა გარდაუვალი ზმნა და წინადადებაში გვაქვს გარდამავალი ზმნის მიმდებარება ან აბსოლუტივი, რომელიც ქვემდებარეს მისდევს (ქვემდებარესა და შემასმენლის შორის იმყოფება), მაშინ ქვემდებარე ინფინიტური ფორმის შესაბამისად ერგატიულ ბრუნვაში დაისმის და პირიქით, თუ ზმნის პირიანი ფორმა გარდამავალი ზმნაა, ხოლო მის წინ გარდაუვალი ზმნის აბსოლუტივი ან მიმდებარე ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელის შესაბამისად სახელობით ბრუნვაში დაისმის, მაგ. (42-44):

(42) შე-ტ-ინ=აღ **აყ-ი** არ=რე=ს-ც-ა
 DIST-NO-ERG=ADD აღება-AOR დაჯდომა=3SG=PRS(MSD)-ST-PRS
 “ისიც **იღებს** [და] ჯდება”;

(43) შე-ტ-ინ მე-ტ-უხ **ფ-ი** თა=ნე=სა
 DIST-NO-ERG MED-NO-DAT თქმა:AOP-AOR მისვლა:MSD=3SG=PRS
 “ის ამას **ამბობს-რა** [და] მიდის”;

(44) მე უფთ-ახ შე-ტ-ინ **უკ-ახუნ** ბიე-სა=ნე
 PROX სიტყვა-DAT DIST-NO-ERG ტქმა:PART-ABS მოკვდომა-PRS=3SG
 “ამ სიტყვის **თქმისას** ის კვდება” (ზედმიწ. ამ სიტყვას იგი (მან) **ამბობს-რა**, კვდება)...

შეთანხმება

ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმება ხდება რიცხვის მიხედვით, ხოლო ობიექტის რიცხვი ზმნაში სრულიად არ აისახება, მაგ., შდრ. (45-46) და (47-48):

(45) უსტა-ნ სერ=რე=ბ-ე
 ოსტატი-ERG აგება=3SG=LV-PERF
 “ოსტატმა ააგო” (“ააშენა”);

(46) უსტა-ღ-ონ სერ=ყუნ=ბ-ე
ოსტატი-PL-ERG აგება=3PL=LV-PERF
“ოსტატები აგებენ” (“აშენებენ”);

(47) ადამარ ქარ=რე=ბ-სა
ადამიანი ცხოვრება=3SG=ST-PRS
“ადამიანი ცხოვრობს” (“ცოცხლობს”);

(48) ადამარ-უხ ქარ=ყუნ=ბ-ესა
ადამიანი-PL ცხოვრება=3PL=ST-PRS
“ადამიანები ცხოვრობენ” (“ცოცხლობენ”)...

უდიურში ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობის არაერთი ფაქტი შეინიშნება – ხშირია შემთხვევები, როდესაც III პირის სუბიექტის მრავლობითობა არ აისახება ზმნაში და ეს მოვლენა უფრო შესამჩნევია ნიჯურ კილოში, მაგ. (49):

(49) ბეში ჯონად-უხ=ნე ფუუ
ჩვენი სტუმარი-PL=3SG COP
“ჩვენი სტუმრებია”

უნდა ყოფილიყო (50):

(50) ბეში ჯონად-უხ=თუნ ფუუ
ჩვენი სტუმარი-PL=3PL COP

შდრ. (51-52):

(51) ბეშ ჯუგ-ა ჯონად-უხ=თუნ ფუუ
ჩვენი სახლი:DAT-DAT სტუმარი-PL=3PL COP
“ჩვენ სახლში სტუმრები არიან”;

(52) ფაქ-ი ბელე-უხ=ნე ფუ

ბალი-DAT პირუტყვი-PL=3SG COP

“ბაღში პირუტყვია”

უნდა ყოფილიყო (53):

(53) ფაქ-ი ბელეუხ=თუნ ფუ

ბალი-DAT პირუტყვი-PL=3PL COP

“პირუტყვები არიან”...

ეს მოვლენა თავის დროზე შენიშნა ა. შიფნერი და მას წარმოდგენილი აქვს შემდეგი მაგალითები: ბუზურ=ნე “ყინულის [ნატეხები] არის”; ქულურ უყენალ=ლე ჭურეცი “ხელები ძვლად იქცა”.

მეტყველებისა და ფოლკლორის ნიმუშები

ვართაშნული დიალექტი

სოფ. ოქტომბერი (ზინობიანი)

ბეშ აზხ

ზუ აზხიზ ქარხესა. ბეშ აზხუნ წი ბუნე ზინობიანი. ზინობიანი ხაშტინე ზინოვინ წიენ – შინ-თე მიდა ენეჭერე. ზინოვინენ მიდა ენეჭერედ ბეშ ინსანა ჰაზარ ვუდ-ბაჩ ვულეწუნჯი – ჰაზარ საყო-სამჯი უსენა. დახ თაყუნდესად ქარხესან კულ გაგრინა. ამა ბეშ ინსან გაგრინა თეყუნ თაცე, მიდანუნ კულრუხ ლარინე ვართაშენუნ კულრულუ – ოც იშანებაქე, ჭვლავ, ჟეალ ოვალ გოლ – მამყუნდე მიდა. აზხუნ წია ხაშყუნდე ზინობიანი. ზინოვინ ბუტად სა ღარ – აძიკ სილიკაშვილი ყა სა ხინარ – ლეილა.

ჩემი სოფელი

მე ვცხოვრობ სოფელში. ჩვენი სოფლის სახელია ზინობიანი. ზინობიანს დაერქვა (ზედმიწ. მონათლა) ზინობის სახელი – ვინც აქ მოგვიყვანა. ზინობიმ აქ მოიყვანა ჩვენი ხალხი 1917-1921 წლებში. ჩვენ გვაძლევდნენ საცხოვრებელ მიწას გაგრაში, მაგრამ ჩვენი ხალხი გაგრაში არ წავიდა. აქაური მიწა მსგავსი იყო ვართაშენის მიწის – მდინარე ახლოს იყო, ტყე, ქვაც მდინარეში ბევრი იყო – დარჩნენ აქ. სოფელს სახელი დაარქვეს (ზედმიწ. მონათლეს) ზინობიანი. ზინობის ჰყავდა ერთი ვაჟი – აძიკ სილიკაშვილი და ერთი ქალიშვილი – ლეილა.

ზუ აზხ-ი=ხ ქარხ-ესა. ბეშ აზხ-უნ წი ბუნე მე სოფელი-DAT-1SG ცხოვრება-PRS ჩვენი სოფელი-GEN სახელი COP=3SG

მე ვცხოვრობ სოფელში. ჩვენი სოფლის სახელი არის

ზინობიანი. ზინობიანი ხაშ-ტ-ი=ნე ზინოვინ წი-ენ
ზინობიანი. ზინობიანი მონათვლა-LV-AOR=3SG ზინობი-GEN
სახელი-INS

ზინობიანი. ზინობიანს დაერქვა ზინობის სახელი [ზედმიწ. ზინობიანი
მოინათლა ზინობის სახელით]

შინ-თე მიდა ე=ნე=ჭერ-ე. ზინოვინ-ენ მიდა
COMP აქ მოყვანა=3SG=ST-PERF ზინობი-ERG აქ
ვინც აქ მოგვიყვანა. ზინობიმ აქ

ე=ნე=ჭერ-ე=ღ ბეშ ინსან-ა ჰაზარ ვუე+ბაჩ^წ
მოყვანა=3SG=ST-PERF=PST ჩვენი ხალხი-DAT ათასი ცხრა+ასი
მოიყვანა ჩვენი ხალხი ათას ცხრაას

ვუღ^წეწ-უნჯი ჰაზარ საყო+სა-მჯი უსენ-ა. დახ
ჩვიდმეტ-COLL ათასი ოცი+ერთი-COLL წელი-DAT ჩვენ
ჩვიდმეტ-ათას ცხრაას ოცდაერთ წელს. ჩვენ

თა=ყუნ=დ-ესა=ღ ქარხესან კულ გაგრ-ინ-ა.
მიცემა=3SG=LV-PRS=PST საცხოვრებელი (< *AOC) მიწა გაგრა-O-DAT
გვაძლევდნენ საცხოვრებელ მიწას გაგრაში,

ამა ბეშ ინსან გაგრ-ინ-ა თე=ყუნ თა-ც-ე.
მაგრამ ჩვენი ხალხი გაგრა-O-DAT NEG=3PL წასვლა-LV-PERF
მაგრამ ჩვენი ხალხი გაგრაში არ წავიდა

მიდანუნ კულ-რ-უხ ღარი=ნე ვართაშენ-უნ კულ-რ-უღ-უ
აქაური მიწა-O-PL მსგავსი=3SG ვართაშენი-GEN მიწა-O-PL-DAT
აქაური მიწა [მიწები] მსგავსი იყო ვართაშენის მიწის [მიწების]

ოკ იშა=ნე=ბაქე, ჭვლავ, ჟე=ალ ოკ=ალ
მდინარე ახლოს ყოფნა=3SG=LV-PERF ტყე ქვა=ADD მდინარე-SUPER
მდინარე ახლოს იყო, ტყე, ქვაც მდინარეში

გოლწ. მამ=ყუნ=დ-ე მიდა. აზუნ-უნ წი-ა
ბევრი დარჩენა=3PL=LV-PERF აქ სოფელი-GEN სახელი-DAT
ბევრი იყო. დარჩნენ აქ. სოფელს სახელი დაარქვეს [მონათლეს]

ხაშ=ყუნ=დ-ე ზინობიანი. ზინოვ-ინ ბუ=ტა=დ
მონათვლა=3PL=LV-PERF ზინობიანი ზინობი-GEN ყოლა=3SG=PAST
ზინობიანი. ზინობის ჰყავდა

სა დარ აძიკ სილიკაშვილი ყა სა ხინწრ ლეილა
